

ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Institute of Economic Research and Development
Georgian Technical University

ეკონომიკა და ფინანსები

ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

Economics and Finance

Quarterly International Referred and Reviewed
Scientific Journal

#2

2019

1

სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“

ზოგადი დებულება

ჟურნალის დამფუძნებელია სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზაცია ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი და მას ეკუთვნის "Copyright" უფლება. ჟურნალის თანადამფუძნებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის დანიშნულებას მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება და შენახვა. სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს საქართველოს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი.

კონცეპცია

ჟურნალი შინაარსობრივად არის სრულტექსტიანი; ჟურნალი გამოიცემა როგორც ელექტრონული სახით, ისე ნაბეჭდი ვერსიის ფორმით. გამოსაქვეყნებლად მიღებული ყველა მასალა რეცენზირდება და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში გამოქვეყნდება ჟურნალში. რეცენზირება ფარულია, ანუ ავტორისათვის უცნობი რჩება რეცენზენტის ვინაობა.

ჟურნალი ორიენტირებულია იმ სამეცნიერო მასალებზე, რომლებიც არსად გამოქვეყნებულა (სტატიები, გამოკვლევათა შედეგები, ანგარიშები და ა.შ.) და ავტორთა მიერ ჟურნალს გადაეცემა. გამოიყენება მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისათვის და ამ მასალებზე დაცული იქნება ყველა მატერიალური თუ არამატერიალური საავტორო უფლება.

ავტორები პასუხისგებელნი არიან სტატიის შინაარსსა და მის გამოქვეყნებაზე. ავტორებისათვის პუბლიკაცია ფასიანია.

ჟურნალის რედაქცია არ აგებს პასუხს სტატიის პუბლიკაციის შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ მასალების გამოქვეყნების შედეგად მოხდა საავტორო ან სხვა უფლებების, საზოგადოდ მიღებული სამეცნიერო ეთიკის ნორმების დარღვევა, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული მასალა ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მოწოდებულია ჟურნალის მაღალი სამეცნიერო სტატუსისა და ავტორიტეტის შექმნისათვის და ორიენტირებულია იმ კრიტერიუმებზე, რაც მოეთხოვება სამეცნიერო ტრადიციების მქონე აკადემიურ ჟურნალებს.

Science Journal "Economics and Finance"

General provision

The journal is founded by the scientific-educational organization Institute for Economic Research and Development and it is owned by "Copyright". Co-founder is a faculty of Business Technologies of Georgian Technical University. The purpose of the International Scientific Journal is to support the development of science, and to publish and retain new achievements, researches and results of the researches obtained by scientists and specialists. The review, expertise and publication of the articles is financed by the Institute of Economic Research and Development.

Concept

The content of the journal is full-featured; The journal is published both in electronic form and in the form of a printed version. All materials received for publishing are reviewed and published in case of positive review. The review process is anonymous so the reviewer remains unknown to the author.

The journal is oriented on scientific materials that have never been published (articles, results of research, reports, etc.). These materials are transmitted by the authors to the editorial board, used only for scientific purposes and all materials will be subject of intangible copyright rights.

The authors are responsible for the contents of the article and its publication. Publications are not free for authors.

The editorial board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. If publication of the material violat the scientific ethical norms of publication or other rights, the editorial board is authorized to remove the published material from the database.

The review, expertise and publication of the articles are financed by the Institute for Economic Research and Development as well as faculty of Business Technologies of Georgian Technical University.

The editorial board of the journal is provide the creation of a high scientific status and authoritative of the journal and is focused on the criteria required for academic journals with scientific traditions.

UDC(უკ)050:[33+336] ე-491

ISSN – 2587 – 5000

ეკონომიკა და ფინანსები Economics and Finance

N 2, 2019 წელი

სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: გიორგი ცაავა
მთავარი რედაქტორი: დავით ჩახვაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლ. ბახტაძე (თსუ), რ. ბურდიაშვილი (სტუ), ნ. გრიგოლაია (თბილისის ღია უნივერსიტეტი), ს. გოგჩე (აფიონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თურქეთი), მ. ვანიშვილი (სტუ), ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), რ. მარკს-ბიელსკა (ვორმის და მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ტ. ლიპაი (განათლების ეროვნული უნივერსიტეტი, ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი (სეუ), მ. ნარსია (სეუ), ჯ. რედელშეიმერი (რობინსდეილ ამსტრონგის უმაღლესი სკოლა, აშშ), ნ. სამჭკუაშვილი (სეუ), მ. ტროჯაკი (იაგელონის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ა. ქუთათელაძე (სტუ), რ. ქუთათელაძე (სტუ), მ. ჭელიძე (სტუ), ნ. ჭიკაიძე (სტუ).

N 2, 2019

Head of the editorial board: Giorgi Tsaava
Editor-in-Chief: David Cakhvashvili

Editorial board:

L. Bakhtadze (TSU), R. Burdiashvili (GTU), N. Grigolaia (TOU), C. Gokce (Afyon Kocatepe University, Turkey), M. Vanishvili (GTU), N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), R. Marks-Bielska (University of Warmia and Mazury in Olsztyn, Poland), T. Lipai (National Institute of Education, Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili (SEU), M. Narsia (SEU), J. Redelsheimer (Robbinsdale Armstrong High School, USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Jagiellonian University, Poland), A. Kutateladze (GTU), R. Kutateladze (GTU), M. Chelidze (GTU), N. Chikaidze (GTU),

ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით

Quarterly international refereed and reviewed scientific journal „Economics and Finance“ is issued according to the decision of Business Technologies Faculty of Georgian Technical University and Institute of Economic Research and Development

საკონტაქო ინფორმაცია:

ტელ.: +995 599
E-mail: eco.fin.geo@gmail.com
www.bpengi.com
www.facebook.com/economics.finance.ge

Contact:

Tel.: +995 599
E-mail: eco.fin.geo@gmail.com
www.bpengi.com
www.facebook.com/economics.finance.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

ვალერი მოსიაშვილი – ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ალტერნატიული გზების შესახებ	9
ნანა შონია, ირინე კოპალიანი - ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის სრულყოფის საკითხები საქართველოში	19
გიორგი ცაავა, ნათია გორგაძე – ცნებების „ფინანსები“ და „ფულის“ ძირითადი თეორიულ-სამართლებრივი განმასხვავებელი ასპექტები ..	33
ზეინაბ ახალაძე – სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თეორია და შემდგომი კვლევის პერსპექტივები	44
თენგიზ ლაჭყვიანი, ვაჟა ზევიძე - მიწის ბაზრის განვითარებისა და მართვის სრულყოფის მიმართულებები	53
მერაბ ვანიშვილი, ნინო ხიდირბეგიშვილი - ბიზნესის სფეროში კვლევითი პროექტის განხორციელების ლოგიკა და კვლევის ანგარიშის გაფორმების სტანდარტები	60
გიორგი ჯოლია - ვენჩურული კაპიტალი: კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიული მეთოდი	75
თამარ ბიჭიკაშვილი - ჩინეთი-საქართველოს ყველაზე სწრაფად მზარდი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი და მისი საორგანიზაციო კულტურის თავისებურებანი	91
დალი სეხნიაშვილი - ქალთა სამეწარმეო აქტივობის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და ახალი ინიციატივები ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის	105
ნაზი ჭიკაძე, თეკლე ხელაძე - უძრავი ქონების შეფასების მსოფლიო პრაქტიკა	118
გიორგი ცაავა, გრიგოლ ნემსაძე – საბანკო მენეჯმენტის სპეციფიკა და ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები ბანკებში	130
ნონა ზუმბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	142

Medea Chelidze, Gocha Abutidze, Goga Gelitashvili - Some Aspects of Building a Financial Control System (By the Example of Georgia)	149
Sevinc Bagirova – The Role of Progressive Derivation in English Language	153
ივანე ეპიტაშვილი, დავით ჩახვაშვილი - ოფშორული პროგრამირება როგორც ბიზნესის მართვის საშუალება და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში	158
მარიამ კენჭოშვილი, ლელა წითაშვილი - ტურიზმის ინდუსტრია და მისი განვითარების პერსპექტივები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში	166
ცოტნე გორდუზიანი - საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრი და მისი კონკურენტულობა	183
ბაჩო რუსიშვილი - ჰიდროელექტროსადგურის მართვა ბიზნეს-როცესების კონტექსტში	194
ნაზი ჭიკაძე, თეკლე ხელაძე - შეფასების საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მნიშვნელობა უძრავი ქონების შეფასების მსოფლიო პრაქტიკაში	202
ბექარ კილასონია - გადასახადები და მათი ზეგავლენა ეკონომიკის სტაბილურობაზე	211
თორნიკე შიოშვილი - ფინანსური მენეჯმენტი და ეფექტიანი მართვის პრობლემები	225
ვალერი მოსიაშვილი, მარიამ გიქოშვილი – ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში - იან ტინბერგენი, რაგნარ ფრიში	236

TABLE OF CONTENT

Valeri Mosiashvili – About Alternate Ways of the Budget Income Component	9
Nana Shonia, Irine Kopaliani – The Issues of Improving the Responsible Liability Policy for Individuals in Georgia	19
Giorgi Tsaava, Natia Gorgadze - Basic Theoretical and Legal Aspects of the Distinctive Concept of "Finance" and "Money".....	33
Zeinab Akhaladze - The theory of Agricultural Cooperation and Prospects for Further Studies	44
Tengiz Lachkepiani, Vazha Zeikidze - The Directions of the Land Market Development and Management Improvement	53
Merab Vanishvili, Nino Khidirbegishvili - The logic of implementation of research project in the field of business and the conclusion of research report	60
Giorgi Jolia – Venture Capital: An Alternative Method of Raising Capital	75
Tamar Bitchikashvili – China a Fast Growing Trade-Economic Partner of Georgia and the Specific Characteristics of its Organization Culture	91
Dali Sekhniashvili – Socio-Economic Importance of Women's Entrepreneurial Activities and New Initiatives for Women's Economic Strengthening	105
Nazi Chikaidze, Tekle Kheladze – World Practice of Real Estate Assessment	118
Tsaava George, Grigol Nemsadze - Specifics of Bank Management and Features of Financial Management in the Bank	130
Nona Zumbadze - Mechanisms of Quality Assurance in Higher Education Institutions	142
Medea Chelidze, Gocha Abutidze, Goga Gelitashvili - Some Aspects of Building a Financial Control System (By the Example of Georgia)	149

Sevinc Bagirova – The Role of Progressive Derivation in English Language	153
Ivane Epatashvili, Davit Chakhvashvili – Offshore Programming as a Tool for Business Management and Prospects for its Development in Georgia	158
Mariam Kenchoshvili, Lela Tsitashvili - Tourism Industry and its Development Prospective in Samtskhe-Javakheti Region	166
Tsotne Gordeziani – International Market of Information-Communication Technologies and it’s Competitiveness	183
Bacho Rusishvili – The Management of Hydroelectric Station in Context of Business Processes	194
Nazi Chikaidze, Tekle Kheladze - The Importance of International and European Standards in the World Practice of Real Estate Assessment	202
Beqar Kilasonia - Taxes and their Impact on Economic Stability	211
Tornike Shioshvili - Financial Management and the Problem of Effective Management	125
Valeri Mosiashvili, Mariam Gikoshvili - Laureates of the Nobel Prize in Economics - Jan Tinbergen, Ragnar Frisch	236

ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილის ალტერნატიული გზების შესახებ

About Alternate Ways of the Budget Income Component

ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ
vmosiashvili@yahoo.com

Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor
Georgian National University, Seu
vmosiashvili@yahoo.com

რეზიუმე

1. სტატიაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური რეფორმებისა და ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი ხარისხით სახელმწიფოების ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის სრულყოფაზე, სინქრონულ და ჰარმონიულ ცვლილებებზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული.

2. მითითებულია, რომ ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა, მრავალი ექსპერტების თვალსაზრისით, არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. კერძოდ ფინანსურ ტრანზაქციებზე დამატებითი გადასახადების შემოღების ირგვლივ საკმაოდ მწვავე დისკუსია მიდის, რომელთა ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების დარეგულირების როლს შეასრულებდა.

3. შეთავაზებულია ფინანსურ ტრანზაქციებზე - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების, დერივატების გარიგებებთან მიმართებაში, ახალი გადასახადის დადგენის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, რომლის გონივრული გამოყენება, ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო და ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების საწინდარი იქნება.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური პოლიტიკა, ფინანსური სტრატეგია, ფინანსური ინსტიტუტები, ფინანსური რესურსები, საგადასახადო დაგეგმვა.

Abstract

1. It is noted that success in economic reforms and the formation of a new type of economy, including the removal of structural imbalances will largely depend on the improvement of synchronical and harmonious changes in monetary (monetary) and fiscal (fiscal) policy of the state, they meet the challenges of time.

2. It is indicated that the solution to the problems of chronic budget deficit, according to many experts, is not decreasing of automatic spending cuts, but optimization of budgetary revenues and expenditures. In particular there are sharp debates about additional taxes on financial transactions, the introduction of which would allow, on the one hand, the increase of the State financial resources, and, on the other – it would have played the role of limiter of speculative operations on currency and financial markets.

3. Proposed bound and feasibility of a tax on financial transactions - for transactions in stocks, bonds, units of investment funds, money market instruments, repurchase agreements, securities lending agreements, derivatives, skillful use of which is capable to fulfill budget and to have improving effect on the economy.

Keywords: Financial Policy, Financial Strategy, Financial Institution, Financial Instruments, Sources Of Financing, Tax Planning.

შესავალი. აღნიშნულია, რომ ეკონომიკური რეფორმებისა და ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი ხარისხით სახელმწიფოების მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის სრულყოფაზე, სინქრონულ და ჰარმონიულ ცვლილებებზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული. მითითებულია, რომ ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. კერძოდ საერთაშორისო ფინანსურ ტრანზაქციებზე ახალი გადასახადების შემოღება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების აღრიცხვიანების დარეგულირების როლს შეასრულებდა. შეთავაზებულია ფინანსურ ტრანზაქციებზე -

აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების, დერივატების გარიგებებთან მიმართებაში, ახალი აუცილებელი გადასახადის დადგენის მიზანშეწონილობა, რომლის გონივრული გამოყენება, ქვეყნის ბიუჯეტში რეალური დამატებითი რესურსების წყარო და ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების საწინდარი იქნება.

მირითადი ტექსტი. ეკონომიკურ რეფორმების წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი ხარისხით ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის სრულყოფაზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული. უდიდესი დეპრესიის დროს კრიზისის დამღევაზე მიმართული ეფექტური და მუქარების ადექვატური ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის არარსებობამ, სიტუაცია მნიშვნელოვნად გაართულა, კერძოდ, საბანკო სისტემის პრაქტიკული კოლაფსი გამოიწვია.

როგორც პროფესორი ი. კოვზანაძე თავის ნაშრომში მიუთითებს, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით და ფინანსური სექტორისა და მთლიანობაში ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით, მონეტარული ხელისუფლებები ბოლო დროს აქტიურად იყენებდნენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, როგორცაა: სავალდებულო სარეზერვო განაკვეთის გარკვეული პერიოდით მნიშვნელოვნად შემცირება, რეფინანსირების განაკვეთის უპროცენტოდ დაბალი განაკვეთები, აქტივების გამოსყიდვის მასშტაბური პროგრამები, ცენტრალიზებული კრედიტების სხვადასხვა ფორმების ჩართვა (1, გვ. 237 - 242).

ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება სახელმწიფოების ფულად-საკრედიტო (მონეტარულ) და საბიუჯეტი-საგადასახადო (ფისკალურ) პოლიტიკაში სინქრონულ

და ჰარმონიულ ცვლილებებზე იქნება დამოკიდებული. ფინანსური (ფისკალური) პოლიტიკის სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია ბოლო წლებში ქვეყნების უმეტესობაში სახელმწიფო ფინანსების გაჯანსაღებაზე მიმართული კურსი იქნეს გაგრძელებული. მიუხედავად მიღებული ზომებისა, ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის შემცირება, განსაკუთრებით აღნიშნული მოვლენის მასშტაბების გათვალისწინებით, მეტად აქტუალურ ამოცანად რჩება. ასე, მაგალითად, საერთაშორისო ანგარიშსწორებების ბანკის მონაცემების მიხედვით, 2013 წლის ივნისის მდგომარეობით, მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე მიმოქცევადი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობამ 43 ტრილიონი დოლარი შეადგინა და 2007 წლიდან იგი 80%-ითაა გაზრდილი.

ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა, მრავალი ექსპერტების თვალსაზრისით, არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. თუ საუბარია ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილისა და საგადასახადო პოლიტიკის შესახებ, მაშინ მნიშვნელოვანია ბიუჯეტის გადამანაწილებელი როლი იქნეს შენარჩუნებული, ხოლო რიგი მიმართულებების მიხედვით კი - გაძლიერებულიც, რაც ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის საკმარისი რესურსების არსებობის შესაძლებლობას იძლევა, როგორცაა მოსახლეობის შემოსავლებისა და რეალური მყიდველობითი მოთხოვნის შემცირება, რომელიც ბოლო ათწლეულში რეგიონებისა და ქვეყნების განვითარების დონეში შემოსავლების განსხვავებები უფრო გაძლიერდა.

რეზერვები სახელმწიფო შემოსავლების გადიდებისათვის, უეჭველად, არსებობს, რამდენადაც, მაგალითად, აშშ-ში 1950-იან და 1960-იან წლებში მაღალ შემოსავლებზე გადასახადებმა 91% მიაღწია, ხოლო დღეისათვის იგი 35% არ აჭარბებს (3, გვ. 58). გარდა ამისა,

ფინანსური სექტორისათვის, კერძოდ ფინანსურ ტრანზაქციებზე დამატებითი გადასახადების შემოღების ირგვლივ საკმაოდ მწვავე დისკუსია მიდის, რომელთა ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების დარეგულირების როლს შეასრულებდა.

პირველად ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის იდეა ჯ.მ. კეინსის მიერ იყო შეთავაზებული, ხოლო 1972 წელს იგი ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურიატმა ჯ. ტობინმა კვლავ წამოწია, და ყველა ტრანსმოსაზღვრე ოპერაციების ბრუნვიდან აღნიშნულ გადასახადს 0,05-დან - 1%-მდე სიდიდით დადგენას თავაზობდა. გლობალური კრიზისის დროს აღნიშნულმა იდეამ პოლიტიკოსების დონეზეც საკმაოდ ფართე მხარდაჭერა მიიღო. 2011 წლიდან ასეთი გადასახადის შემოღება ევროპული კავშირის ქვეყნების პრაქტიკულ სიბრტყეშიც განიხილება, ამასთან აღნიშნული ღონისძიების მომხრეებია საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ნ. სარკოზი და გერმანიის ფედერალური კანცლერი ა. მერკელი. ევროპის პარლამენტის პრეზიდენტმა მ. შულცმა ასევე საკმაოდ გარკვევით გამოთქვა მხარდაჭერა ასეთი გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით: „მე ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის დადგენის დაბეჯითებითი მომხრე ვარ. მისი შემოღება დარგში, სადაც მოგება შეიძლება უზომოდ მაღალი აღმოჩნდება, მისცემს საშუალებას უფრო წონადი შენატანი გააკეთოს ჩვენი საზოგადოების განვითარებაში, მრავალ ქვეყანაში ფინანსური სიტუაციის გაუმჯობესებაში, ასევე მისცემს შესაძლებლობას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე სახსრების მოძიებასთან მიმართებაში. გარდა ამისა, ტობინის გადასახადი ფინანსური სპეკულაციების თავიდან აცილებაშიც დაეხმარება, რომლებიც თანამედროვე კრიზისის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს... იდეალურად ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადი მთელ მსოფლიოში უნდა

იქნეს შემოღებული. ევროპის კავშირმა აღნიშნულზე G20-ის სხდომებზე უნდა იბრძოლოს“ (4).

ევროპული კომისიის გაანგარიშების მიხედვით, ასეთი გადასახადის განაკვეთის 0,01%-ის ოდენობით შემოღება ევროპული კავშირის ქვეყნების 57 მლრდი ევროთი უზრუნველყოფას მოახდენდა. ევროპული კომისია 2012 წელს ოფიციალური წინადადებით გამოვიდა ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის შემოღების შესახებ. გადასახადის განაკვეთი უნდა დადგენილიყო 0,1% - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების გარიგებებთან მიმართებაში და 0,01% - დერივატების გარიგებებთან მიმართებაში. ამასთან, ევროპული კავშირის ცალკეულ ქვეყნებს, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის უფრო მარალი განაკვეთები დაედგინათ. დაგეგმილი იყო, რომ აღნიშნული გადასახადი 2014 წელს იქნებოდა შემოღებული, მაგრამ შემდგომში მისი შემოღება უფრო გვიან ვადაზე გადაიდო.

სახელმწიფო ფინანსების გაუმჯობესებას ასევე, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ბრძოლასთან მიმართებაში პოლიტიკის შემდგომი გამკაცრებაც შეუწყობდა ხელს. ასე, მაგალითად, მხოლოდ ევროპულ კავშირში, ევროკომისიის ექსპერტების შეფასების მიხედვით, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების შედეგად, ბუიჯეტის დანაკარგები ერთი ტრილიონი ევროთი ფასდება. სწორედ ამიტომ ევროპის კავშირში, ბოლო პერიოდში, ანაბრების შესახებ ინფორმაციის ავტომატურად გაცვლის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, საბანკო ანაბრებითან მიმართებაში პროცენტებიდან გადასახადის გადახდევინების შესახებ კანონმდებლობა გამკაცრდა.

გარდა ამისა, მიიღება ძალისხმევა მსხვილი კონცერნების პრაქტიკაში ფართედ გავრცელებული, ეროვნულ

კანონმდებლობაში პრობლემების გამოყენებით, მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავის აცილების შესაძლებლობების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ასევე უნდა იქნას შექმნილი იმ ქვეყნების ფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების კლიენტურის მონაცემების ავტომატური გაცვლის სისტემა, რომლებიც ჯერჯერობით საგადასახადო „ნავსაყუდებად“ ითვლებიან. ასეთი ღონისძიება გახდება, გერმანიის ფედერალური კანცლერი ა. მერკელის მოსაზრებით, „საგადასახადო თაღლითობისა და დღემდე ჯერ კიდევ გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ლეგალური ხერხების წინააღმდეგ ბრძოლის ნათელი მაგალითი“. ასევე, როგორც ა. მერკელი აღნიშნავს, „ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფორმებმა გადასახადები გადაიხადონ იქ, სადაც რეალურად მუშაობენ (და არა სადაც იურიდიულად დარეგისტრირებულები არიან). აღნიშნული საგადასახადო < ნავსაყუდებთან > ბრძოლას ითვალისწინებს“ (5).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2015 წლიდან ლუქსემბურგმა საბანკო ინფორმაციების ავტომატურად გაცვლის სისტემაში პრაქტიკულად მიერთების თავისი მზადყოფნის შესახებ განაცხადა. გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ბრძოლასთან მიმართებაში ღონისძიებებს ავსტრიაშიც დაუჭირა მხარი. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მრავალი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ასეთ ღონისძიებებს შვეიცარიამ, აგრეთვე ევროპული კავშირის საზღვრებს გარეთ განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმიანმა ქვეყნებმაც დაუჭირონ მხარი.

საგადასახადო მოსაკრებლების ამაღლების გარდა, ასევე სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც გულისხმობს მათგან ისეთების შემცირებას, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედებას არ ახდენენ. თუმცა ამავე დროს, ხარჯები ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მხარდაჭერასთან მიმართებაში, საჭირო დონეზე უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამასთან, პირდაპირ სახელმწიფო ხარჯებთან

ერთად, მიზანშეწონილია სახელმწიფო გარანტიები და ფინანსური სტიმულირების სხვადასხვა ინსტრუმენტები, მაგალითად, საგადასახადო შეღავათები იქნეს გამოყენებული.

ამასთან ერთად, საჭიროა სწორად იქნეს გაგებული, რომ „ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის ღონისძიებებისაგან განსხვავებით, რომლებიც ცენტრალური ბანკის მიერ შეიძლება იმავდროულად, ამომრჩევების მხრიდან ზეწოლის გადალახვას საჭიროების გარეშე იქნეს რეალიზებული, ფისკალური (საბიუჯეტო-გაგადასახადო) ღონისძიებების გადალახვა, რესურსების არაეფექტურად გახარჯვის გარდა, არაფრამდე მიმყვან დანახარჯებიან პროექტებზე უარის თქმა, გარკვეულ დროსა და გონიერებას მოითხოვს. სტიმულირების სრულყოფილ პაკეტს გაცვეთილი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ეფექტური დაბანდებისაკენ მივყავართ და რასაც სამომავლოდ ეკონომიკურ ზრდაში საკუთარი წვლილი შეაქვს“(2).

ამრიგად, როგორც ისტორიული, მათ შორის ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის ინსტრუმენტების გონივრული გამოყენება, ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების შემძლეა. მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული ინსტრუმენტების, დამანგრეველი კრიზისების წარმოქმნის არ დაშვებით, პრევენტიულ ჭრილში გამოყენება ვისწავლოთ. კრიზისების დაძლევის სფეროში ჯერჯერობით საკმაოდ დიდი გამოცდილება არ არის დაგროვებული, მაგრამ რეალურად აღნიშნულ საკითხში ზომიერი ოპტიმიზმისათვის ყველა საფუძველი არსებობს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

აღნიშნულია, რომ ეკონომიკური რეფორმებისა და ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი

ხარისხით სახელმწიფოების ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის სრულყოფაზე, სინქრონულ და ჰარმონიულ ცვლილებებზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული.

მითითებულია, რომ ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა, მრავალი ექსპერტების თვალსაზრისით, არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. კერძოდ ფინანსურ ტრანზაქციებზე დამატებითი გადასახადების შემოღების ირგვლივ საკმაოდ მწვავე დისკუსია მიდის, რომელთა ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების დარეგულირების როლს შეასრულებდა.

შეთავაზებულია ფინანსურ ტრანზაქციებზე - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების, დერივატების გარიგებებთან მიმართებაში, ახალი გადასახადის დადგენის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, რომლის გონივრული გამოყენება, ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო და ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების საწინდარი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ფინანსები, თბილისი 2016.
2. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ., ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები: სახელმძღვანელო მაგისტრანტებისათვის. თბილისი, 2019.
3. Ковзанадзе И.К. уроки мирового экономического кризиса и формирование новой модели развития, 2016. 272 с.
4. Рубин Н. Как я предсказал кризис. Москва, «Эксмо», 2011. с. 244.

5. Раджан Р. Линииразлома. Скрытые трещины, все еще угрожающие мировой экономике. Москва, издательство Института Гайдара, 2011. с. 58.
6. Шульц М. Налог на финансовые транзакции должен быть введен во всем мире, Интервью RBC daity 22. 03. 2012, www.ru.rbcdaity.ru.

ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის სრულყოფის საკითხები საქართველოში

The Issues of Improving the Responsible Liability Policy for Individuals in Georgia

ნანა შონია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების
მიმართულების პროფესორი, ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
nanashonia@gmail.com

ირინე კოპალიანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, სს „ვითიბი ბანკი
ჯორჯიას“ ქუთაისის ფილიალის მმართველი, i.kopaliani@vtb.ge

Nana Shonia - Professor of Financial field at Akaki Tsereteli State University, Head of
Quality Assurance Department of Faculty of Business, Law and Social Sciences,
nanashonia@gmail.com

Irine Kopaliani – PhD student at Georgian Technical University, JSC "VTB Bank Georgia"
Kutaisi Branch Manager, i.kopaliani@vtb.ge

Abstract

It has recently brought in the new regulations of the banking system in Georgia, which are directly related to the liability policy of individuals. From the first January, 2019, the Decree No. 281/04 of the President of the National Bank of Georgia dated 24 December 2018 on "Approval of the Regulations on Loans of Natural Person" entered into force. The goal of the regulation is to support the stable and sustainable functioning of the financial system of Georgia and encourage healthy lending. According to the provision, the lending institution shall be governed by the principle of liability, namely, the customer shall not be obliged to pay a financial liability when it is clear that the customer will not be able to pay its excess financial difficulties. Under this regulation, the loan issuer is obliged to evaluate the borrower's ability to pay the borrower and does not pay more than the loan to the physical person or impose other obligations (eg liability) than the natural person has the right to pay. The statutory provisions also include exemptions, for example, lobbying loans are not necessary to assess revenue, however, in this case the liability of a natural person is limited to a mortgage.

As a result of these regulations, the volume of loans issued by commercial banks decreased by 170.2 million GEL (0.6 percent) compared to the previous month. In February, however, it increased by 52.2 million GEL (0.2 percent) compared to the previous month.

In our opinion, the regulatory policy of responsible liability of individuals will reduce both excess credit and long-term interest rates, which in the medium term will contribute to sustainable economic growth, as this regulation is a means of provisional and quick effect. In addition, there is an expectation that today's regulation will increase the level of knowledge and attitudes towards this issue, which will in turn lead to the easing of the regulation.

Keywords: Banking System, Banking Regulations, Loans to Individuals, Responsible Lending, Assurance Coefficient of Loan, Hedged Loan, Unhedged Loan.

შესავალი. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს საბანკო სისტემაში შეიმჩნევა მთელი რიგი დადებითი ტენდენციები: ინფლაციური პროცესების მართვა, ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა, ბანკების კონსოლიდაცია და გამსხვილება, ეროვნული ბანკის მიერ საბანკო ზედამხედველობის პოლიტიკის სრულყოფა, მინიმალური საწესდებო კაპიტალისა და სხვა მაჩვენებლებისადმი მოთხოვნების გამკაცრება, რითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა საბანკო სისტემაში ძალთა განლაგება. აღნიშნული რეგულაციები პირდაპირ კავშირშია ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკასთან, რომელიც დაფუძნებულია შემდეგ კანონებზე: „საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ“; „საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ“; „საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება - კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“.

ძირითადი ტექსტი. 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის №281/04 ბრძანება „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. ანალოგიური ტიპის რეგულაცია ბოლო პერიოდში ევროპის რამდენიმე ქვეყანაში დაინერგა (მაგალითად: უნგრეთში, შვედეთში, დანიაში, ლიტვაში, ჩეხეთში, ესტონეთში და სხვა). დებულების მიზანია საქართველოს

საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება. სესხის გამცემი ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპით, კერძოდ, სესხის აღების ეტაპზე მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს ისეთი ფინანსური ვალდებულება, როდესაც წინასწარ არის ცხადი, რომ მომხმარებელი მის გადახდასაც ვერ შეძლებს ჭარბი ფინანსური სირთულის გარეშე. ამ რეგულაციით სესხის გამცემს ევალება შეაფასოს მსესხებლის გადახდიუნარიანობა და არ გასცეს ფიზიკურ პირზე იმაზე მეტი თანხის სესხი, ან დააკისროს სხვა ვალდებულება (მაგ. თავდებობა), ვიდრე ფიზიკურ პირს გადახდის რეალური შესაძლებლობა აქვს. დებულებით გათვალისწინებულია ასევე გამონაკლისები, მაგალითად ლომბარდული სესხების დროს შემოსავლების შეფასება აუცილებელი არ არის, თუმცა ამ შემთხვევაში, ფიზიკური პირის ვალდებულება მხოლოდ გირაოს საგნით იფარგლება. კანონის მიღებას წინ უძღოდა რამოდენიმე თვიანი მოსამზადებელი პერიოდი და კანონის სამუშაო ვერსიების განხილვა კომერციული ბანკის წარმომადგენლებთან. ფიზიკური პირების დაკრედიტების გამკაცრების აუცილებლობა კი მოსახლეობის მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ და აღნიშნულის ფონზე გადაუხდელი და პრობლემური ვალდებულებების წილის ზრდამ განაპირობა. არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2018 წლის მეორე ნახევრისათვის საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს „კრედიტ-ინფო“-ს შავ სიაში დაახლოებით 650 ათასი მოქალაქე იყო რეგისტრირებული, რომლებიც მოკლებული არიან შესაძლებლობას, განახორციელონ ნორმალური ეკონომიკური აქტივობა ქვეყანაში .

საბანკო სექტორის რეგულაციები ჯერ კიდევ 2018 წლის 1 მაისიდან გამკაცრდა, კერძოდ ბანკებს მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის ჩატარება დაევალათ: ცვლილების მიხედვით, მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზისთვის საჭირო

გახდა მან ბანკში წარადგინოს საბანკო ანგარიშიდან სახელფასო ამონაწერი, შემოსავლების სამსახურიდან ცნობა და სხვა მსგავსი სანდოობის დოკუმენტაცია, ასევე კომერციულ ბანკებში კრედიტის კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ ცვლილებებით, ბანკი შესაძენი ბინის შეფასებული ღირებულების 50%-ზე მეტს ვეღარ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულყოფილი ანალიზი არ ჩაატარა, ანუ სესხი გაიცა შემოსავლების დადასტურების გარეშე.

აღნიშნული და 2019 წლის იანვრიდან დაანონსებული რეგულაციების მოლოდინის გამოც შეიძლება აიხსნას ის პროცესი, რომ კომერციულმა ბანკებმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში 55 სერვის-ცენტრი დახურეს. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის დეკემბერში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კომერციული ბანკების სერვის-ცენტრები 847-დან 792-მდე შემცირდა. ამის ფონზე გაიზარდა ფილიალების რაოდენობა, თუმცა მხოლოდ ერთი ერთეულით 134-დან 135-მდე .

რა ძირითადი მიმართულებები და საკვანძო საკითხები შეიძლება გამოიყოს 01.01.2019-დან ამოქმედებული ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულებიდან:

I. ვისზე ვრცელდება რეგულაციები:

ფიზიკურ პირებზე, მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეზე გაცემულ სესხებზე. ასევე ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ფიზიკური პირი აწვდის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას (სანივთო და ვალდებულებითი: თავდებობა, თანამსესხებლობა, უძრავი ქონება . . .) სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, სესხის უზრუნველსაყოფად.

II. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპები:

- სესხის გაცემა ან/და თავდებობა/უზრუნველყოფის საშუალების მიწოდებაზე მოთხოვნა დაუშვებელია გადახდისუნარიანობის

ანალიზის გარეშე, გარდა ამ დებულებით განსაზღვრული გამონაკლისებისა;

- სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ სესხის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული აქტივის ღირებულება აღემატება სესხის მოცულობას;
- თუ ფიზიკური პირი წარმოდგენილია თანამსესხებლის ფორმით და წარმოადგენს საოჯახო მეურნეობის წევრს, მაშინ სესხის მომსახურების კოეფიციენტის დაანგარიშებისას გაითვალისწინება ჯამური შემოსავალი;
- მსესხებლის/თანამსესხებლის ყოველთვიურ წმინდა შემოსავლებსა და ყოველთვიურ გადასახდელებს შორის სხვაობა სესხის გაცემის თარიღისათვის უნდა აღემატებოდეს სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ (საქსტატი) მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმს;
- საცალო ტიპის სესხზე გადახდები შესაბამისობაში უნდა იყოს მსესხებლის შემოსავლების მიღების პერიოდულობასთან. საშეღავათო პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 6 (ექვს) თვეს;
- დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები დაცული უნდა იყოს სესხის დამტკიცების მომენტში ხელმისაწვდომი/არსებული ინფორმაციის მიხედვით.

III. სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები:

რეგულაცია აწესებს სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალურ ზღვრებს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთან და ითვალისწინებს საქართველოს საბანკო სექტორის მახასიათებლებს.

სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია არ გასცეს ისეთი სესხი ან/და არ განახორციელოს თავდებობის ან უზრუნველყოფის საშუალების მიღება, თუ მსესხებლის /თანამსესხებლის/ თავდების/ უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებლის სესხის მომსახურების

ან/და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი აღემატება ქვემოთ მოცემულ დადენილ ნორმატივებს (იხ.ცხრილი 1; 2):

ცხრილი 1

სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები დაგრძელვადიანებულ და საკონტრაქტო ვადიანობაზე

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარში	არაჰეჯირებული მსესხებლისთვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე	ჰეჯირებული მსესხებლისთვის მაქსიმალურ/საკონტრაქტო ვადიანობაზე
<1,000	20% / 25%	25% / 35%
>=1,000-2,000<		35% / 45%
>=2,000-4,000<	25% / 30%	45% / 55%
>=4,000	30% / 35%	50% / 60%

ცხრილი 2

სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) მაქსიმალური მაჩვენებელი

ლარით გაცემული სესხებისთვის	უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის
85%	70%

ჰეჯირებულია მსესხებელი/ თანამსესხებელი/ თავდები/ უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებელი, თუ მისი წმინდა შემოსავლები არანაკლებია იმავე ვალუტაში არსებული სესხის მომსახურებისთვის საჭირო წმინდა შემოსავალზე. მაგალითად:

- ✓ თუ კლიენტს შემოსავალი აქვს ლარში და სესხსაც იღებს ლარში - ის ჰეჯირებულია;
- ✓ თუ კლიენტს შემოსავალი აქვს უცხოურ ვალუტაში და სესხს იღებს ლარში - ის ჰეჯირებულია;
- ✓ თუ კლიენტს შემოსავალი აქვს ლარშიც და დოლარშიც და სესხს იღებს დოლარში - ის ჰეჯირებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი შემოსავალი დოლარში აკმაყოფილებს რეგულაციის მიხედვით PTI მაჩვენებელს დოლარში შენატანთან მიმართებაში.

I. დაანგარიშების პრინციპები:

ყოველთვიური წმინდა შემოსავლის დაანგარიშების მიზნებისათვის, როდესაც სახეზეა ყოველთვიურისგან განსხვავებული პერიოდულობის მქონე რეგულარული შემოსავლები, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს მაქსიმალური მნიშვნელობა, შესაბამისი პერიოდის მედიანურ და საშუალო მაჩვენებლებს შორის.

II. შემოსავლების შეფასება:

ფიზიკური პირის შემოსავლის დასადასტურებლად გამოიყენება სახელფასო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან ან/და ცნობა სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან. სხვა შემთხვევაში, თუ არ არსებობს მსგავსი დოკუმენტი, სესხის გამცემმა ორგანიზაციამ ფიზიკური პირის შემოსავლის სტაბილურობა უნდა შეისწავლოს და ფინანსური ანალიზი განახორციელოს შიდა პოლიტიკა/პროცედურების შესაბამისად (მათ შორის, დასაშვებია რაოდენობრივი/სტატისტიკური მოდელის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოდელის მიზანია შემოსავლების შეფასება. აღნიშნული შეთანხმებული უნდა იყოს ეროვნულ ბანკთან). ამასთან, თუ სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პოლიტიკა/პროცედურები ვერ უზრუნველყოფს მსესხებლის შემოსავლის საკმარისად გადამოწმება/დადასტურებას, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს სესხის გამცემ ორგანიზაციას აღნიშნული პოლიტიკა/პროცედურების დაუყოვნებლივ გაუმჯობესება ან სესხების გაცემის შეჩერება სათანადო პოლიტიკა/პროცედურების შემუშავებამდე. აქედან გამომდინარე რეგულირება არ კრძალავს არაფორმალური სექტორიდან (მათ შორის გზავნილებით მიღებული შემოსავალი) ან ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავლის შემთხვევაში სესხის გაცემას. სესხის გამცემი შეაფასებს მსესხებლის შემოსავლების მოცულობას და სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას შიდა პროცედურების შესაბამისად მიიღებს; შემოსავლის ბანკში ჩარიცხვა აუცილებელი არ არის, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ

ფორმალური სექტორიდან შემოსავლის ან ბანკში ჩარიცხვის შემთხვევაში, გამსესხებლისთვის უფრო მარტივია შემოსავლების შეფასება და, შესაბამისად, სესხის გაცილებით უკეთესი პირობით გაცემა.

III. სანქციები:

სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქციები. აღნიშნული რეგულაციის დებულება ცალსახად არ ვრცელდება ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებულ სასესხო ნაშთებზე და მათ რეფინანსირებაზე იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება სესხის მოცულობის ზრდა. ასევე დებულებაში მოცემული სასესხო პროდუქტისგან განსხვავებული სესხის გაცემის შემთხვევაში, სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია პოლიტიკა/პროცედურები წინასწარ შეათანხმოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან. მათ შორის, სტუდენტური სესხების თაობაზე საკრედიტო დაწესებულებები ვალდებული არიან პროდუქტი შეათანხმონ ეროვნულ ბანკთან და შემდეგ გაცეს სესხები. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ 20 თებერვლის მდგომარეობით არც ერთ კომერციულ ბანკს არ მიუღია ერივნულისგან თანხმობა მათ მიერ წარდგენილი სტუდენტური სესხების პროექტების თაობაზე.

დებულება ავალდებულებს რომ პირი, რომლის მიმართ 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება და ამავდროულად გასცემს სესხებს, ვალდებულია, რეგისტრაცია გაიაროს საქართველოს ეროვნულ ბანკში. უკვე თებერვლის თვეში გამოიკვეთა რაც მოსალოდნელი იყო, რომ ცალკეული სუბიექტები ცდილობენ, თავი აარიდონ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს რეგისტრაციის კუთხით და მოჩვენებითად და არაოფიციალურად აგრძელებენ იგივე საკრედიტო საქმიანობას, რაც, გარდა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისა, შესაძლოა საგამომიებო

ორგანოს მხრიდან შესწავლის საგანი გახდეს. ასევე, დადგენილი მოთხოვნების გვერდის ავლით დადებული ხელშეკრულებები, მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, შესაძლოა ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი გახდეს, რაც რისკის წინაშე აყენებს კერძო არარეგისტრირებულ გამსესხებელს.

მეორე მხრივ, ცალკე უნდა გამოვყოთ მიმართულებები რაზეც არ ვრცელდება რეგულაცია:

- ✓ ფიზიკური პირის იურიდიული პირის მიმართ თავდებობაზე/უზრუნველყო ფის საშუალების მიწოდებაზე, თუ თავდები/უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებელი წარმოადგენს ამ იურიდიული პირის მმართველი ორგანოს წევრს/პარტნიორს/აქციონერს ან პარტნიორის/აქციონერის საოჯახო მეურნეობის წევრს;
- ✓ ფინანსური ინსტრუმენტებით (მათ შორის, ფასიანი ქაღალდებით) და/ან ფულადი სახსრებით სრულად უზრუნველყოფილ სესხებზე;
- ✓ უძრავი ქონებით სრულად უზრუნველყოფილ სესხზე, როდესაც სესხის დაფარვის წყაროა იპოთეკაში ჩადებული უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი (იგულისხმება პროდუქტი შეცვალე ძველი ბინა ახლით).
- ✓ უძრავი ქონების სახით უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებელზე, როდესაც მისი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი გაცემულია ამ დებულების მოთხოვნების დაცვით და უზრუნველყოფის საგანი არ წარმოადგენს უზრუნველყოფის მიმწოდებლის საცხოვრებელ ადგილს. საცხოვრებლად გამოყენების ფაქტი უნდა დასტურდებოდეს მესაკუთრის წერილობითი განცხადებით.
- ✓ იპოთეკურ სესხზე, როდესაც მსესხებლის შემოსავლებს იღებს უცხოეთში და სესხის უზრუნველყოფის 60%-იანი კოეფიციენტის (LTV) დაცვა ხდება ფულადი სახსრების სახით არსებული თანამონაწილეობით (ერთობლივი იპოთეკა).

რეგულაცია საკმალო მკაცრია და მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკების მიერ ფიზიკურ პირებზე საცალო პროდუქტების გაყიდვების მასშტაბებს. მიმდინარე წლის მარტის თვის მონაცემებით, როგორც მოსალოდნელი იყო რეგულაციამ პირდაპირ იმოქმედა სამშენებლო კომპანიების და ელექტროტექნიკის და საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიების გაყიდვებზე. თავად დეველოპერები აღნიშნავენ, რომ სესხების გაცემაზე მოქმედი შეზღუდვების გამო, ბინების გაყიდვები გასული წლის იანვართან შედარებით, რიგი კომპანიებისთვის - 30%-ის, რიგ შემთხვევაში კი, 70%-ის ფარგლებში შემცირდა. თუმცა, ამ შემცირების მიუხედავად უძრავი ქონების ფასები უცვლელად მაღალი რჩება. შესაბამისად საგრძნობლად შემცირდა იპოთეკური სესხების გაცემაც. იგივე პრეტენზიებია ელექტროტექნიკის და საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიების ქსელის წარმომადგენლებს, ფაქტია რომ ამ სექტორში საცალო გაყიდვების 90% განვადებებით რეალიზაციებზე მოდიოდა, განვადებების რიცხვის კატასტროფული შემცირების შედეგად კი ადეკვატურად შემცირდა გაყიდვები. თუმცა, მხოლოდ ერთი იანვრის თვის მონაცემებით დასკვნების გამოტანა და განზოგადება რათქმაუნდა სწორი არ იქნება, თანაც მაშინ როცა იანვრის თვე ყოველთვის პასიურობით ხასიათდება. მიუხედავად ამისა მაინც გვინდა შევადაროთ კომერციული ბანკების მიერ 2017, 2018 და 2019 წლების იანვარ-თებერვლის თვის ფიზიკური პირების დაკრედიტების მაჩვენებლები ერთმანეთს, მონაცემები გვიჩვენებს რომ იანვრის თვეში ადგილი ქონდა სამომხმარებლო სესხის მოცულობის კლების ტენდენციას, თებერვლის თვიდან კი დაიწყო მომატების პროცესი, თუმცა 31/12/18-ის მონაცემებთან გათანაბრება ვერ მოხდა¹.

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2019 წლის

¹ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

იანვარში წინა თვესთან შედარებით 170.2 მლნ ლარით (0.6 პროცენტით) შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.2 პროცენტით) და მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის 26.4 მლრდ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 118.7 მლნ ლარით (1.0 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 51.5 მლნ ლარით (0.3 პროცენტით). 2019 წლის იანვარის განმავლობაში 1.0 პროცენტით ანუ 265.8 მლნ ლარით შემცირდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის 13.9 მლრდ ლარი შეადგინა. მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტი 42.79 პროცენტი შეადგინა. 2019 წლის პირველი იანვრის მდგომარეობასთან შედარებით მთლიანი სესხების ლარიზაცია შემცირდა 0.17 პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით შემცირდა 0.37 პროცენტული პუნქტით).²

მიუხედავად ზემო აღნიშნულისა, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ "Standard&Poor's"- მა (S&P) საქართველოს სუვერენული რეიტინგის პერსპექტივა სტაბილურიდან პოზიტიურისკენ გააუმჯობესა, ხოლო რეიტინგი კვლავ "BB -" - ის დონეზე დაადასტურა. სარეიტინგო სააგენტო S&P-ის შეფასებით, ეროვნული ბანკი ინფლაციას მიზნობრივ დონესთან ახლოს შეინარჩუნებს სარეიტინგო სააგენტო S&P-ის შეფასებით, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა და მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი მონეტარული პოლიტიკის მოქნილობას აძლიერებს სარეიტინგო სააგენტო S&P საერთაშორისო რეზერვების დაგროვების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებს დადებითად აფასებს

² <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3600>

სარეიტინგო სააგენტო S&P-ის შეფასებით, საბანკო სისტემა მყარ პოზიციებს ინარჩუნებს³.

დასკვნა. როდესაც ფიზიკური პირების პასუხისმგებლობიანი დაკრედიტების ინიციატივა შევიდა ძალაში, იქვე ნათელი იყო რომ დღევანდელ ეკონომიკაში ვერ მოხდებოდა ისეთი ცვლილებების შეტანა, რომ ყველა მხარე თანაბრად კმაყოფილი ყოფილიყო. შესაბამისად, შედეგი, რაც დროის მცირე მონაკვეთში გამოვლინდა - გაყიდვების შემცირება - მოსალოდნელი იყო. თუმცა, ერთი მხრივ, არსებული პრობლემა (ფიზიკური პირების მიერ ვადაგადაცილებული და დაუბრუნებელი სესხების მოცულობის კატასტროფული ზრდა), გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გარკვეული შემცირებები გაყიდვებში. საკმაოდ დიდი მასა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის იყენებდა საკრედიტო პროდუქტს გაუაზრებლად, რასაც მივყავდით მოსახლეობის ამ ნაწილის ფინანსურ კოლაფსთან, ხშირად უძრავი ქონების დაკარგვის შედეგით. ეროვნული ბანკის პოზიციას, რომ მოსახლეობაში ფინანსური ცოდნის დონე უნდა გავზარდოთ და არა მექანიკურად შევამციროთ დაკრედიტების ხელმისაწვდომობა, მაგრამ ფინანსური ცოდნის დონის და შემეცნების გაზრდა საკმაოდ გრძელვადიანი თემაა. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინიციატივით დაწყებულია ღონისძიებათა კომპლექსი, რაც მიზნად ისახავს მოსახლეობის ფინანსური განათლების კულტურის ამაღლებას, უკვე დაგეგმილია სკოლებში ფინანსური განათლების კურსის დანერგვა.

ჩვენი აზრით, ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პოლიტიკის რეგულაცია შეამცირებს როგორც ჭარბ საკრედიტო ტვირთს, ისე გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს, რაც საშუალოვადიან პერიოდში ხელს შეუწყობს მდგრად

³ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3641>

ეკონომიკურ ზრდას, რადგანაც აღნიშნული რეგულაცია დროებითი და სწრაფი ეფექტის მომტანი საშუალებაა. ამასთან, არის მოლოდინი რომ სწორედ დღევანდელი რეგულაცია გაზრდის ცოდნის დონეს და დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ, რაც თავისთავად მიგვიყვანს რეგულაციის შემსუბუქება-გაუქმებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოვზანაძე ი. კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბ., 2014;
2. მოსიაშვილი ვ. ლომიძე ფ. ქოქოსაძე ფ. საბანკო საქმე . თბ., 2009;
3. ხაჭაპურიძე დ. საბანკო კონკურენციის თავისებურებანი საქართველოში. თბ., 2016;
4. Селютин О., Межбанковская конкуренция и ее влияние на повышение качества банковских услуг, 2013;
5. "კონკურენციის შესახებ კანონი " 2012;
6. "კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის წესი " 2011;
7. "კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის წესი " 2011;
8. " მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონი " 2006 ;
9. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა
10. <http://www.ipress.ge/new/73161-aprilshi-saqartvelos-komerciuli-bankebis-mtliani-aqtivebi-02it-shemcirda>
11. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=40>
12. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109>
13. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109>
14. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403>
15. <http://ibaz.ge>
16. <http://www.ambebi.ge/mnishvnelovani-informacia/200365-pirveli-mobailbanki-romelic-internetis-kharjis-gareshe-mushaobs.html>
17. https://nbg.gov.ge/cp/uploads/legal_acts/35_NEW_FOR_WEB.PDF
18. https://nbg.gov.ge/cp/uploads/legal_acts/2017/2017.pdf
19. <http://competition.ge/images/upload/legalization/138.pdf>

20. <http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=131&rubr=0&mas=1002>
21. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=348>
22. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2019/ianvარი_2019.pdf
23. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>
24. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/grape/grape_f.pdf
25. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4422157?publication=0>

ცნებების „ფინანსები“ და „ფულის“ ძირითადი
თეორიულ-სამართლებრივი განმასხვავებელი ასპექტები

Basic Theoretical and Legal Aspects of the Distinctive Concepts of
"Finance" and "Money"

გიორგი ცაავა - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, g.tsaava@banklabonline.com;
ნათია გორგაძე - დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

Giorgi Tsaava - Doctor of Economics, Professor,
Georgian Technical University, g.tsaava@banklabonline.com;
Natia Gorgadze - PhD student, Georgian Technical University

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ტერმინი „ფინანსები“-ს ტერმინი „ფული“-საგან განმასხვავებელი ძირითადი ნიშან-თვისებები, მათი წარმოშობა და განვითარება ისტორიული ევილუციის გათვალისწინებით. ძირითადი ყურადღებაა გამახვილებული თანამედროვე საზოგადოებისათვის ფინანსებისა და ფულის არსის, თავისებურებების, ფუნქციების, როლისა და მნიშვნელობის გამოვლენის ძირითად ასპექტებზე. არგუმენტირებულია ავტორების საკუთარი მოსაზრება განხილვადი კატეგორიების განმარტებებთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: ფინანსები, ფული, ფინანსების ფუნქციები, ფინანსების როლი, ფულის ფუნქციები, ფულის რილი, ფინანსური ურთიერთობები, ფულადი ურთიერთობები.

Abstract

The article discusses the distinctive main features of the term "finances" from the term "money", their origin and development in the context of historical availability. The main focus is on the essence of finance and money, their peculiarities, role and importance of functions. The authors have argued their views on the definitions of reviewed categories.

1. "Finance" and "money" - a different side of the economy, possessing a number of distinctive features and characteristics, carrying out a set of specific functions, is an integral and essential element in the functioning and development of the economy of any modern state, as well as various aspects (elements) of the economy that They relate to each other as cause and effect.

2. Finance did not cover the entire scope of monetary relations, but only that part which is formed by the cash funds of the state, its territorial divisions, f as enterprises, organizations and institutions.

3. The financial relations differ from monetary relations on the basis of equivalence, since finances are not intended to create a counter-satisfaction, their movement is not of a nature compensation.

4. Financial relationships - it is always a distribution relationship since there are at the stage of product distribution public and not at the stage of production, exchange and consumption. One of the subjects of financial relations will always be endowed with powers.

5. It is suggested that at present, the term "finance" permissible to consider three aspects: as an economic category - finances are a set of economic monetary relations arising in the process of formation, distribution and use of funds of funds of the state, his subjects of, municipalities and as enterprises, organizations and institutions necessary for the realization of their main objectives, functions and tasks to ensure expanded reproduction, government security in general, and to meet social needs; as a material category - finance are cash funds of the state, his subjects of, municipalities are formed, as well as enterprises, organizations and institutions; as a legal category - finances are a set public relations arising in the process of formation, distribution and use of funds of the state, his subjects of, municipalities and enterprises, organizations, institutions, regulated by the law.

Keywords: Keywords: Finance, Money, Functions Of Finance, Role Of Finance, Functions Of Money, Role Of Money, Financial Relations, Monetary Relations.

შესავალი. ცნება „ფინანსები“ ხშირადაა გაიგივებული ცნება „ფულთან“. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოცემული სტატიის ფარგლებში, ჩვენს მიერ გამოკვლევის მცდელობა იქნება დასახული, თუ მაინც ასე მჭიდროდ რატომ აკავშირებენ ტერმინ „ფინანსებს“ ტერმინ „ფულთან“, „ფინანსები“ და „ფული“ - ერთი და იგივეა, თუ ორი სხვადასხვა კატეგორიაა? ჩვენი მოსაზრებით, იმისათვის, რომ მოცემული ტერმინების თანაფარდობასთან მიმართებაში უსაზღვრო მრავალფეროვან მსჯელობებში გავერკვიოთ, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ფინანსებისა და ფულის არსის, თავისებურებების, ძირითადი ფუნქციების, როლის, აგრეთვე თანამედროვე საზოგადოებისათვის მნიშვნელობის გამოვლენის მიზნით, მათი წარმოშობის წინაპირობებს უფრო სიღრმისეულად გავეცნოთ.

ამრიგად, რას წარმოადგენს თავისთავად „ფინანსები“, და რას - „ფული“?

როგორც ისტორია მოწმობს, ტერმინი „financia“ XVIII – XV სს. იტალიის სავაჭრო ქალაქებში წარმოიშვა.თავიდან იგი ნებისმიერი ფულადი ნაკადის აღმნიშვნელი იყო, შემდეგ კი მან, მიიღო რა საერთაშორისო აღიარება, ფულადი სახსრების სახელმწიფო ფონდების წარმოქმნასთან მიმართებაში ორ სუბიექტს (მოსახლეობასა და სახელმწიფოს) შორის ფულადი ურთიერთობების სისტემასთან დაკავშირებული ცნების სახით გამოყენება დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ უკვე XVI ს. საფრანგეთში ტერმინი „finances“ სახელმწიფოებრივი სახსრების მდგომარეობას აღნიშნავდა. შემდგომ მოცემული აღნიშვნა სხვა კულტურულ ქვეყნებშიც გადავიდა (1, გვ. 2).

უნდა აღინიშნოს, რომ XX ს. უცხოეთის ფინანსურ და საფინანსო-სამართლებრივ ლიტერატურაში ფინანსების ქვეშ გაგება დაიწყო როგორც საჯარო, ასევე კერძო სუბიექტების ფულადი რესურსებისა (შემოსავლები და ხარჯები) და მათი მართვის სახით. შესაბამისად, საჯარო და კერძო ფინანსების გამოყოფა ჩამოყალიბდა.

მეცნიერები, მათ შორის ქართველი მეცნიერებიც, სახელმწიფოს განვითარების რევილუციამდელ პერიოდში, ფინანსებს განიხილავდნენ როგორც სახელმწიფოს შემოსავლებსა და ხარჯებს და აღნიშნული სახსრების მართვასთან მიმართებაში საქმიანობას. ამასთან ფინანსების გაგებაში საკვანძო კატეგორიად სახელმწიფოებრივი მეურნეობა ითვლებოდა. საბჭოთა მეცნიერებამ ფინანსების თავისებური განსჯა გამოიმუშავა, რომელიც სსრკ-ს ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის შესაბამისი იყო. ფინანსების საბჭოური გაგება პრაქტიკულად „საჯარო ფინანსების“ დასავლეთი გაგებას სრულად ემთხვეოდა (2, გვ. 104 - 115).

ძირითადი ტექსტი. თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისის მიხედვით ფინანსების წარმოშობას წინ რიგი წინაპირობები უსწრებდა. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ცენტრალურ ევროპაში

პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად მონარქების ძალაუფლება მნიშვნელოვნად იქნა შეკვეცილი, რამაც შედეგად სახელმწიფოს მეთაურის (მონარქის) ხაზინიდან ჩამოშორებას შეუწყო ხელი. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს მეთაურს უკვე ბიუჯეტის (ფულადი სახსრების საერთოსახელმწიფოებრივი ფონდის) ერთპიროვნულად განკარგვა არ შეეძლო.

მეორე მხრივ, ბიუჯეტის ფორმირებამ და გამოყენებამ სისტემური ხასიათი მიიღო, რაც სახელმწიფოებრივი შემოსავლებისა და ხარჯების გარკვეული შემადგენლობის, სტრუქტურისა და კანონმდებრივი მიკუთვნების სისტემის წარმოშობით იყო განპირობებული.

ბოლოს, მესამე წინაპირობა დაკავშირებულია იმასთან, რომ გადასახადებმა ფულად ფორმაში უპირატესი ხასიათი შეიძინეს, მაშინ როდესაც ადრე სახელმწიფოს შემოსავლები ძირითადად ნატურალური შეწირულობებისა და შრომითი ბეგარების ხარჯზე ფორმირდებოდა (9, გვ/ 1 - 10).

ამრიგად, სახელმწიფოებრიობისა და ფულადი ურთიერთობების განვითარების მხოლოდ მოცემულ ეტაპზე შექმნილი პროდუქტის ღირებულებით გამოხატულებაში განაწილება გახდა შესაძლებელი. განაწილებითი ურთიერთობები - საზოგადოებაში ეკონომიკური ურთიერთობების ნაწილია, და ფინანსები, წარმოადგენენ რა საზოგადოებრივი ურთიერთობების ობიექტურად არსებული აღნიშნული სფეროს გამოხატულებას, ეკონომიკურ კატეგორიას წარმოადგენენ. მათ ღირებულების მოძრაობის განსაკუთრებული ფორმების მეშვეობით ნათლად გამოხატული სპეციფიკური საზოგადოებრივი დანიშნულება - სახელმწიფოს ფულადი ფონდების ფორმირება და გამოყენებააკისრიათ.ფინანსები ამასთან ერთად ისტორიული კატეგორიაცაა, რამდენადაც მათ წარმოშობის, განვითარების სტადიები გააჩნიათ, ანუ დროში იცვლებიან (3, გვ. 4 - 5).

პროფესორ ა.ი. ზარიცკის მოსაზრების მიხედვით, ფინანსების როგორც ისტორიული კატეგორიის წარმოშობა, განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: შრომის საზოგადოებრივი განაწილება და საზოგადოების სოციალურ ჯგუფებად დაყოფა; სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარება წარმოების ზრდასთან და მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და ეროვნული შემოსავლის (ეშ) გადიდებასთან დაკავშირებით; დამოუკიდებელი, თვითრეგულირებადი მეურნე სუბიექტების წარმოშობა, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებენ და წარმოებისათვის საჭირო ფულად ფონდებს ქმნიან; ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა (4, გვ. 3).

რაც შეეხება ფულს, მის წარმოშობას გაცვლის წარმოქმნამ შეუწყო ხელი. ნამდვილად, ფულიშიძლება ბაზარზე მიწოდებადი ნებისმიერ საქონელზე გაიცვალოს, ანუ იგი ეკონომიკური ანგარიშსწორების საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ, შეიძლება კონსტატირებული იქნეს, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკაშიფულის როლი მეტად მნიშვნელოვანია, და იგიმის მიერ შემდეგიძირითადი ფუნქციებისშესრულების მეშვეობით ვლინდება: „ფული - ღირებულების საზომი“; „ფული - მიმოქცევის საშუალება“; „ფული - გადახდის საშუალება“; „ფული - დაგროვების საშუალება“; „ფული - მსოფლიო ფული“.

რეალობაა, რომ „ფულს“ (როგორც „ფინანსებსაც“) დიდი ხნის ისტორია გააჩნიათ, და შესაბამისად, კონკრეტულ-ისტორიულ კატეგორიას წარმოადგენენ. ამავე დროს, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის ანალიზმა დაგვანახა, რომ მეცნიერები ჯერ კიდევ ვერ მივიდნენ ერთიან შეთანხმებამდე ფულის წარმოშობის ხელშემწყობი ძირითადი მოტივების განსაზღვრის საკითხთან მიმართებაში.

თუმცა საჭიროა კონსტატირებული იქნეს, რომ თანამედროვე პირობებში, მეცნიერებაში არსებული ფულის წარმოშობის თეორიებს

შორის, ყველაზე უფრო - ორმა, უფრო ზუსტად: რაციონალისტურმა და ევოლუციურმა თეორიებმა მიიღეს გავრცელება.

ასე, მაგალითად, რაციონალისტური თეორიის წარმომადგენლები ფულის წარმოშობას ადამიანების შეგნებული ქმედებების შედეგს უკავშირებენ და ამტკიცებენ, რომ ფული შეგნებულად იყო გამოგონებული და ადამიანების მიერ გაცვლის პროცესის გამარტივებისათვის შემოღებული. სხვა სიტყვებით, მოცემული კონცეფციის ჩარჩოებში ფული როგორც ხელოვნური სოციალური პირობითობა განიხილება.

მიცემული თეორიის ფუძემდებელს ძველბერძნეთის მეცნიერი არისტოტელი წარმოადგენს. შემდგომში, ფულის წარმოშობისადმი მსგავსი სახის მიდგომას მრავალი თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომებში ჰქონდა ადგილი, რომელთა შორისაა: მაგალითად, პოლ სამუელსონი, ჯონ გელბრეიტი და სხვები.

ევოლუციური თეორიის წარმომადგენლები, პირიქით, ფულის წარმოშობას ხსნიან გაცვლი პროცესების სტიქიური განვითარების როგორც შედეგს, რამაც გაცვლისადმი ყველაზე მეტი შესაძლებლობის მფლობელი საქონელის გამოყოფამდე მიგვიყვანეს, და სწორედ რომელმაც შემდგომში ფულადი ფუნქციების შესრულებაც დაიწყო (5, გვ. 4 - 5). სხვა სიტყვებით, ფულის წარმოშობის უშუალო მიზეზია - ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი საბაზრო ძალების, ანუ სტიქიური ძალების ქმედებები.

ავლნიშნავთ, რომ მოცემული კონცეფცია პირველად კ. მენეგერის და კ. მარქსის მიერ იყო ჩამოყალიბებული. თანამედროვე მეცნიერებს შორის ევოლუციური თეორიის მომხრეებს წარმოადგენენ: ფრიდრიხ ფონ ზაიკი, აგრეთვე მიურეი როტბარდი.

ამრიგად, შეიძლება კონსტატირებული იქნას, რომ „ფული“:

- მრავალწახნაგოვანი და რთული კატეგორიაა;
- ეკონომიკური კეთილდღეობის განსაკუთრებული ტიპია;

- გაცვლის საერთოალიარებული საშუალებაა, რომლის ჩარჩოებში, როგორც წესი, ღირებულების ორმხრივი (ანუ შემხვედრი, ექვივალენტური) მოძრაობა მიმდინარეობს, რომელთაგან ერთ-ერთი ფულად ფორმაში, მეორე კი - სასაქონლო ფორმაში ხორციელდება;
- სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური რეგულირების მიზნებისათვის გამოიყენება;
- მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ფუნქციებს ასრილებს.

ფინანსებისათვის, ფულისაგან განსხვავებით, როგორც რიგი თანამედროვე მეცნიერი სამართლიანად აღნიშნავს, ძირითადის და განმსაზღვრელის სახით - განმანაწილებელი და საკონტროლო ფუნქციებია დამახასიათებელი. პროფესორი ნ. ი. ხიმიჩევას მოსაზრების მიხედვით, ფინანსების მეშვეობით ხორციელდება მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და ეროვნული შემოსავლის (ეშ) განაწილება, აგრეთვე ქვეყნის მატერიალური და სოციალური კეთილდღეობების კონტროლი (6, გვ. 23).

ი. უ. კროხინა აღნიშნავს, რომ ფინანსების რილი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების შესაძლებლობაში და აღნიშნულ ურთიერთობებზე კონტროლის განხორციელებაში გამოიხატება. საკუთარ პოზიციას მოცემული ავტორი ასაბუთებს იმით, რომ ფინანსების გამოყენების მეშვეობით სახელმწიფო - ეკონომიკის რეგულირებას, სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებას ახორციელებს. მარეგულირებელის ფუნქცია - ფინანსების მეშვეობით (სახელმწიფო ხარჯები, გადასახადები, სახელმწიფო კრედიტი) სახელმწიფოს მიერ კვლავწარმოების პროცესში ჩარევასთან არის დაკავშირებული. ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების რეგულირების მიზნით - ფინანსური და საბიუჯეტო დაგეგმვა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება გამოიყენება.

გარდა ამისა, მოცემული ავტორის მოსაზრების მიხედვით, ფულად ფორმაში გამოხატულ საჯარო ფინანსებს - მთლიანობაში

კვლავწარმოების პროცესისა და მისი ცალკეული ფაზების ფინანსური რესურსებისა და ფონდების მეშვეობით გამოხატვის თავისებურება, ანუ მისი რაოდენობრივი მხარის გამოხატვა ახასიათებთ, რაც თავის მხრივ ფინანსური რესურსების ფონდების აკუმულირების, განაწილებისა და გამოყენების სისტემატურად კონტროლის შესაძლებლობას იძლევა (7, გვ. 18).

იმის შესახებ, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ფინანსების როლი მათ განაწილებით და საკონტროლო ფუნქციებში გამოიხატება, ასევე მ.გ. კარასაევაც აღნიშნავს. ასე, მაგალითად, განაწილებითი ფუნქცია, მოცემული ავტორის მისაზრებით, მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ღირებულება იქნეს განაწილებული და ამით თითოეული მეურნე სუბიექტი მისთვის საჭირო ფინანსური რესურსებით იქნეს უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, ფინანსების მეშვეობით ფულადი სახსრები სახელმწიფოს, მუნიციპალური წარმონაქმნების, საწარმოების, ორგანიზაციების, ფიზიკური პირების განკარგულებაშიც გადადის.

ფინანსების საკონტროლო ფუნქცია - განაწილებითი პროცესის მთლიან მსვლელობაზე რაოდენობრივად თვალყურის დევნების მათ შესაძლებლობაში გამოიხატება. ფინანსები მუდმივ შეტყობინებას (გაფრთხილებას) იძლევიან იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ამა თუ იმ ფულად ფონდებში ფინანსური რესურსების მობილიზაციის პროცესთან მიმართებაში, როგორ გამოიყენება ფინანსური რესურსები და ა.შ. (8, გვ. 11).

ფინანსების ფუნქციასთან დაკავშირებული საკითხების გაანალიზებით, ა.ე. ზარიცკი აღნიშნავს, რომ მათი განაწილებითი ფუნქცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (მატერიალურ წარმოებაში, არამატერიალურ სფეროში, მიმოქცევის სფეროში) ხორციელდება. ამასთან მოცემული ავტორი განაწილების სუბიექტებს მიაკუთვნებს - მიკროდონეზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, ხოლო მაკროდონეზე კი - სახელმწიფოს; განაწილების

ობიექტებს - მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ) და ეროვნულ შემოსავლებს (ემ) ფულად ფორმაში. განაწილებითი ფუნქციის მეშვეობით ხორციელდება ახალი ღირებულების განაწილება (მიკროდონეზე) და აღნიშნული ღირებულების გადანაწილება (მაკროდონეზე). თავის მხრივ, ფინანსების საკონტროლო ფუნქცია მეშვეობით - მშპ-სა და ემ-ის განაწილების პროპორციებში წარმოშობილი გადახრების, მიზნობრივი ფულადი ფონდების თავისდროულად და სრულად შექმნის, წარმოების პროცესის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფადობის შესახებ შეტყობინებას ახორციელებს. ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია - სახელმწიფოს მიერ ფინანსების მეშვეობით კვლავწარმოების პროცესში ჩარევასთან არის დაკავშირებული. მიკროდონეზე (საწარმო) აღნიშნული ფუნქცია სხვადასხვა ფონდების შექმნით მის საქმიანობას ასტიმულირებს, ხელს უწყობს საწარმოო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, მისი მოცულობის გადიდებას, მუშაკების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაკროდონეზე (სახელმწიფო) აღნიშნული ფუნქცია, სახელმწიფო ხარჯების, გადასახადების, სახკრედიტის გამოყენებით, იგივე შედეგებს აღწევს (4, გვ. 7 - 8).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შეჯამებით, შეიძლება შემდეგი სახის დასკვნა იქნეს გაკეთებული:

1. „ფინანსები“ და „ფული“ - ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების განუყოფელი და აუცილებელი ელემენტების გამომხატველი, გარკვეული ფუნქციების ერთობლიობის შემსრულებელი, რიგი განმასხვავებელი ნიშნებისა და თვისებების მქონე ეკონომიკის სხვადასხვა მხარეს (ელემენტებს) წარმოადგენენ, რომლებიც ერთმანეთს შორის როგორც მიზეზს და შედეგს განასახიერებენ.
2. ფინანსები ფულადი ურთიერთობების ყველა სფეროს კი არა, არამედ მის ნაწილს მოიცავენ, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს, მისი ტერიტორიული ქვედანაყოფების, აგრეთვე საწარმოების,

ორგანიზაციების, დაწესებულებების ფულადი ფონდები წარმოიშობა.

3. ფინანსური ურთიერთობები განსხვავდება ფულადი ურთიერთობებისაგან ეკვივალენტურობის ნიშნის მიხედვით, რამდენადაც ფინანსები შემხვედრი დაკმაყოფილების შექმნისათვის არ არის მოწოდებული და მათი მოძრაობა ანაზღაურებადობის ხასიათს არ ატარებს.
4. ფინანსური ურთიერთობები - ყოველთვის განაწილებითი ურთიერთობებია, რადგანაც ისინი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების სტადიაზე, და არა მისი წარმოების, გაცვლის ან მოხმარების სტადიებზე წარმოიშობიან. ფინანსური ურთიერთობების ერთ-ერთ სუბიექტს ყოველთვის სახელისუფლებო უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული.

დასკვნა. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში „ფინანსები“ დასაშვებია შემდეგ სამ ასპექტში იქნეს განხილული: როგორც ეკონომიკური კატეგორია- ფინანსები თავისთავად ეკონომიკური ფულადი ურთიერთობების ერთობლიობას წარმოადგენენ, რომლებიც მთლიანად ქვეყნის, მისი სუბიექტების, მუნიციპალური წარმონაქმნების, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების სჭირო ფულადი სახსრების ფონდების ფორმირების, განაწილებისა და ამოცანების - გაფართოებული კვლავწარმოების, მთლიანობაში სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის, აგრეთვე სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რეალიზაციისათვის წარმოიშობიან; როგორც მატერიალური კატეგორია - ფინანსები თავისთავად ქვეყნის, მისი სუბიექტების, მუნიციპალური წარმონაქმნების, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ფულად ფონდებს წარმოადგენენ; როგორც სამართლებრივი კატეგორია - ფინანსები თავისთავად ქვეყნის, მისი სუბიექტების, მუნიციპალური წარმონაქმნების, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ფულადი ფონდების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების პროცესში, სამართლის ნორმებით

დარეგულირებული, წარმოშობადი საზოგადოებრივი
ურთიერთობების ერთობლიობას წარმოადგენენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Эберг К.Т.Ф., Курс финансовой науки. СПб., 1913.
2. Тропская С.С. Эволюция понятия «финансы» и предмет финансового права, Государство и право. 2013, №2.
3. Финансы: Учеб. Пособие, Под ред. проф. А.М. Ковалевой. – Москва: Финансы и статистика, 1998.
4. Финансы и кредит, сост. А.Е. Зарицкий. Москва: АСТ, СПб.: Сова, Владимир:ВКТ, 2011.
5. Деньги. Кредит. Банки: учебное пособие, А.В. Власов. Ростов н, Д: Феникс, 2013.
6. Финансовое право: учебник, отв. ред. Н.И. Чимичева. Москва: Норма: ИНФРА-М, 2012.
7. Крохина Ю.А. Финансовое право России: учебник. Москва: Норма, 2008.
8. Финансовое право российской Федерации: учебник, коллектив авторов, под ред. М.В. Карасевой. Москва: КНОРУС, 2012.
9. Чуева А.С., Иваненко И.Н. Финансы и деньги: Теоретико-правовая характеристика и соотношение. Научный журнал КубГАУ, №98 (04), 2014.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თეორია და შემდგომი
კვლევის პერსპექტივები
**The Theory of the Agricultural Cooperation and Prospects for Further
Studies**

ზეინაბ ახალაძე - ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, zizi6464@mail.ru

Zeinab Akhaladze - Associate Professor,
Akaki Tsereteli State University, zizi6464@mail.ru

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია განსხვავებული მიდგომები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თეორიის კვლევისადმი: კომპანიის ნეოკლასიკური თეორია, დარგობრივი ბაზრების ორგანიზაციის თეორია, ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა.

უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურა კოოპერაციის შესახებ საკმაოდ მდიდარია. მასში საკმაოდ დეტალურადაა გაანალიზებული მეურნეობრიობის ამ ფორმის უპირატესობა სხვა ფორმებთან შედარებით, ყველაფერი ის, რამაც განაპირობა მისი პოპულარობა და თვალსაჩინო ადგილის დამკვიდრება მეურნეობრიობის თანამედროვე სისტემაში.

საკვანძო სიტყვები: კოოპერაციის თეორია; კოოპერაციული საკუთრება; ეკონომიკური ანალიზი; აგრობიზნესის სისტემა.

Abstract

The present article discusses different approaches to the study of the theory of agricultural cooperation: neoclassical theory of the company, the theory of industry markets, the new institutional economy.

Contemporary theory of cooperation is of great importance for modern Georgia. This is especially true of institutional concepts that are still not properly studied in our country. At the same time, implementation and development of a cooperative national project will be impossible if we do not have a clear imagination about the essence of the cooperative, the evolution, its place in the agribusiness system and all the problems that can be interrupted by the cooperatives in modern conditions. In this regard, it is very important to study the different directions of economic thinking and the rich experience of schools.

It should be noted that scientific literature is very rich in cooperative. It is quite detailed in the analysis of this form of farming compared to other forms,

everything that has led to its popularity and prominence in the modern system of farming.

Keywords: Cooperative Theory; Cooperative Property; Economic Analysis; Agribusiness System.

შესავალი. კოოპერაციის თანამედროვე თეორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საქართველოსთვის. ეს განსაკუთრებით ეხება ინსტიტუციონალურ კონცეფციებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. იმავდროულად, კოოპერაციის ეროვნული პროექტის განხორციელება და განვითარება შეუძლებელი გახდება თუ არ გვექნა ნათელი წარმოდგენა კოოპერაციის არსის, ევოლუციის, აგრობიზნესის სისტემაში მისი ადგილისა და ყველა იმ პრობლემის შესახებ, რასაც შეიძლება გადააწყდნენ კოოპერატივები თანამედროვე პირობებში. ამასთან დაკავშირებით, ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკური აზრის სხვადასხვა მიმართულებისა და სკოლების მდიდარი გამოცდილების შესწავლა.

ძირითადი ტექსტი. კოოპერატივების ეკონომიკური ანალიზი სათავეს XIX საუკუნეში იღებს და დაკავშირებულია ისეთი ცნობილი მეცნიერების სახელებთან, როგორებიც იყვნენ ჯონ სტიუარტ მილი, ალფრედ მარშალი და სხვები. რამდენადაც კოოპერატივებს არასოდეს ეჭირათ დომინანტი პოზიცია ეკონომიკურ სისტემაში, მათი კვლევაც შედარებით პერიოდულ ხასიათს ატარებდა. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, მათი ეკონომიკური მოდელირება XX საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო და ოთხი ძირითადი მიმართულებით ვითარდებოდა:

1. ნეოკლასიკური თეორიის ფარგლებში, კოოპერატივი განიხილებოდა, როგორც ფირმა, რომელიც ოპტიმიზაციის მიზნებიდან გამომდინარე ცდილობს მისი წევრების სარგებლის მაქსიმალურ ზრდას.

2. დარგობრივი ბაზრების ორგანიზაციის თეორიაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი განიხილებოდა, როგორც ვერტიკალური

ინტეგრაციის ფორმა. ამ მიდგომამ მიიღო სახელწოდება "extension of the farm", რაც ნიშნავდა გაფართოებას აგრარული წარმოების ფარგლებს გარეთ.

3. თამაშების თეორიის თვალსაზრისით, კოოპერატივი განიხილებოდა, როგორც კოალიცია, რომლის წევრებიც მოქმედებენ ურთიერთთანამშრომლობისა და კოლექტიური ქმედების საფუძველზე.

4. ახალი ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია, რომელიც კოოპერატივს განიხილავს როგორც კონტრაქტების ქსელს.

ნეოკლასიკური თეორია კოოპერატივებს განიხილავდა როგორც მნიშვნელოვან ორგანიზაციულ ფორმას, რომელიც აგრარულ მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევდა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა და პროდუქციის რეალიზაცია მოეხდინათ კონკურენტული ფასების საფუძველზე. კოოპერატივები ხელს უწყობენ ბაზრის ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. კოოპერატივის შექმნის მთავარ მიზეზს სასოფლო-სამეურნეო ბაზრის ცვალებადი სტრუქტურა წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ კოოპერატივები იქმნებიან იმიტომ, რომ ბაზარი ვერ უზრუნველყოფს კონკურენტული გარემოს შექმნას. ამის უამრავი მიზეზი არსებობს: ეკონომიკის მასშტაბები, კოორდინაციის ნაკლებობა, გაურკვეველობა და რისკები, კონტრაქტების დისკრიმინაციული პირობები, ინფორმაციის ნაკლებობა და ა.შ. კოოპერატივი იძლევა ამ პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას.

მართალია ნეოკლასიკური თეორია არ შეიძლება ადეკვატურად იქნას გამოყენებული აგრარულ სექტორში კოოპერატივების ეკონომიკური ქცევის შესაცნობად, მაგრამ იგი წარმოდგენას გვაძლევს ბიზნეს-მეთოდებზე, სტრატეგიებსა და პოლიტიკაზე, რომლებსაც კოოპერატივები იყენებენ გარემოს ცვალებადობის საპასუხოდ; განსხვავებებზე სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების ქმედებებს შორის ადეკვატურ პირობებში.

1970-იან წლებში შეიქმნა ეკონომიკური ანალიზის ახალი მიმართულება: დარგობრივი ბაზრების ორგანიზაციის თეორია (industrial organization – IO), რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა პარადიგმა "სტრუქტურა - ქცევა - შედეგი". ამ კონცეფციის თანახმად, დარგის ფუნქციონირება დამოკიდებულია ურთიერთობაზე გამყიდველებსა და მყიდველებს შორის, რასაც თავის მხრივ განსაზღვრავს ბაზრის სტრუქტურა.

რაც შეეხება დარგის სტრუქტურას, იგი განისაზღვრება ისეთი ფუნდამენტალური კატეგორიებით, როგორცაა: ტექნოლოგია, დანახარჯები, მოთხოვნა და ა.შ.

დარგობრივი ბაზრების ორგანიზაციის თეორიის ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის საკითხი პროდუქციის მწარმოებელთა ურთიერთდამოკიდებულების ფორმების შესახებ.

ზოგადად ეკონომიკაში განასხვავებენ განსაზოგადოების რამოდენიმე ფორმას:

1. ცალკეული ეკონომიკური ერთეულების გაფართოება, ანუ ჰორიზონტალური კონცენტრაცია;
2. ეკონომიკური ერთეულების შერწყმა ანუ კონსოლიდაცია;
3. ვერტიკალური ინტეგრაცია. მრეწველობაში განსაზოგადოება უპირატესად მიმდინარეობდა პირველი და მეორე მიმართულებით, ხოლო სოფლის მეურნეობაში - მეორე და მესამე მიმართულებით.

ისტორიულად, აგრარული წარმოებისათვის დამახასიათებელი იყო ინტეგრაციის ვერტიკალური ფორმა, რომელიც მოიცავს რესურსებით უზრუნველყოფას, საწარმოო მომსახურებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასა და გადამუშავებას, დაკრედიტების სისტემას და ა.შ. ცხადია, რომ ჰორიზონტალურ ინტეგრაციას ვერტიკალურთან შედარებით უფრო შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია, ვინაიდან ერთი საწარმოს ხელში, მიწისა და სხვა რესურსების კონცენტრაციაზე მოქმედებს ობიექტური შეზღუდვები. სამწუხაროდ, საქართველოში პროცესები სულ

სხვაგვარად განვითარდა: იქმნებოდა გიგანტური, ათობით ათას ჰექტარზე გადაჭიმული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, დამახასიათებელი მაღალი საწარმოო დანახარჯებითა და წარმოებული პროდუქციის დაუშვებლად მაღალი დანაკარგებით.

ძალზედ მნიშვნელოვანია ისიც, რომ თავად კოოპერატივების ბუნება და ხასიათი ერთის მხრივ ფერმერებს აძლევს თავისუფლების ზრდის შესაძლებლობას ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიების ხარჯზე, ხოლო მეორეს მხრივ აძლევს საშუალებას დარჩეს დამოუკიდებელი. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ფერმერებისათვის კოოპერაციული პოლიტიკისა და ინსტიტუციონალური სტრუქტურის შენარჩუნება აუცილებლობას წარმოადგენს.

ზემოთ განხილული თეორიები კოოპერატივში გადაწყვეტილების მიღების პროცესს განიხილავდნენ როგორც ერთ მთლიანს, რომლის დროსაც აქცენტი ძირითადად კეთდებოდა გადაწყვეტილების შინაარსზე, კერძოდ კი ფასწარმოქმნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მაგრამ, ამ დროს ძალზედ მნიშვნელოვანი და საინტერესოა თვით კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომლისთვისაც თანმდევი შეიძლება იყოს აზრთა სხვადასხვაობა მენეჯმენტში, წინააღმდეგობა გამგეობასა და კოოპერატივის წევრებს შორის. ამიტომ, ბოლო დროს სულ უფრო მეტი ნაშრომი ეთმობა კოოპერატივების ინდივიდუალური წევრების, როგორც გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტების როლის კვლევას. გადაწყვეტილების მიღების შიდა პროცესების ანალიზისათვის კი იყენებენ ე.წ. თამაშების თეორიას.

თამაშების თეორია გვძლევს დამატებით განმარტებებს იმისა, თუ რატომ ქმნიან ადამიანები კოოპერაციულ ორგანიზაციებს. რა თქმა უნდა, ინდივიდები თანახმა არიან იმოქმედოს ერთობლივად მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ყოველივე აამაღლებს მათ პირად კეთილდღეობას. ინდივიდები ელოდებიან, რომ კოალიცია უზრუნველყოფს თითოეული მათგანისათვის იმაზე უფრო მაღალი

მოგების მიღებას, ვიდრე სხვა ნებისმიერი გაერთიანების ფორმა. თამაშების თეორია დაკავშირებულია ე.წ. სტრატეგიულ თამაშებთან, ანუ წინასწარგანზრახულ ქმედებებთან რომლებსაც მივყავართ გარკვეულ შედეგებამდე. სტრატეგია განსაზღვრავს ვარიანტის არჩევანს ნებისმიერ შესაძლო სიტუაციაში, რომლის დროსაც თითოეული მოთამაშე გარკვეულწილად დამოკიდებულია სხვა მოთამაშეებზე. ფაქტიურად, კოოპერაციული თამაშები განიხილება როგორც ვაჭრობის პროცესი.

ახალი ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია თვით კოოპერაცივს შიგნით არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს განიხილავს, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობებს. ხელშეკრულების თეორიის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ რეალური სამყაროს სირთულის გამო თითქმის შეუძლებელია კონტრაქტში წინასწარ იქნას აღწერილი ყველა რელევანტური გარემოება, რაც შემდგომში ქმნის პრობლემებს. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რაც დამახასიათებელია კოოპერატივებისათვის და არა მარტო მათთვის არის მოტივაციის სისტემა.

პირობითად, შეიძლება განვიხილოთ მოტივაციის სისტემის ორი ტიპი:

1) ინვესტიციებთან დაკავშირებული მოტივაცია;

2) მოტივაცია, რომელიც უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

კოოპერაციული საკუთრება დაკავშირებულია უთანაბრობასთან კოოპერაცივის წევრების საინვესტიციო შენატანებსა და შესაბამისად, სარგებლის განაწილებას შორის. ამ გარემოებას მივყავართ წინააღმდეგობასთან თვით კოოპერაცივის წევრებს შორის, მათი ინტერესების დიფერენცირებასთან. კოოპერაცივის არც ერთ წევრს არა აქვს პირადი კონტროლი საკუთარ კაპიტალზე. კაპიტალი არის ერთდროულად ყველას საკუთრებაში, მაგრამ ამავე დროს არ არის ცალკე აღებული არც ერთი წევრის საკუთრებაში. საკუთრების

უფლების თეორიის თანახმად, ფულად ნაკადებზე ყოველგვარი უფლება დაკავშირებულია ორგანიზაციის წევრობის პერიოდთან, შესაბამისად სარგებლის მიღებაც დაკავშირებულია ამავე პერიოდთან. ყოველივე ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ინვესტირებასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ მოკლევადიანი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების ტენდენცია.

პრობლემების მეორე ტიპი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების პროცესს. სხვა ორგანიზაციული ფორმებისაგან განსხვავებით, კოოპერატივებს ხშირად უწოდებენ "სოციალურ ჯგუფებს კორპორაციული სულისკვეთებით".

კოოპერატივის წევრ ფერმერებს შორის განსაკუთრებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება არის ამ უკანასკნელებს შორის პირადი ნაცნობობისა და ძლიერი სოციალური კავშირების შედეგი. სოციალურ კავშირებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ნდობის ჩამოყალიბების პროცესს, რაც თავის მხრივ გამორიცხავს პოტენციურ შიდა კონფლიქტებს. შედეგად, კოოპერატივის წევრები ღებულობენ უფრო მეტად კოორდინირებულ და ინტეგრირებულ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების აგრარულ სექტორში განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვიეს კოოპერატივების გადაფასება. ამაზე სხვადასხვა ფაქტორებმა იქონიეს გავლენა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის უარყოფითი იდეოლოგიური იმიჯი, რაც კოოპერატივებს შეექმნათ ე.წ. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მიმდინარე სოციალური ექსპერიმენტებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატივის თეორია უშუალოდ არ აუკავშირდება სოციალიზმს, რიგ ქვეყნებში კოოპერატივებმა გადაუხვიეს ყველაზე მნიშვნელოვან, კოოპერაციის პრინციპებს და ფაქტიურად წარმოგვიდგინენ ერთგვარ

სახელმწიფო საწარმოებად. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს (ყოფილ კოლმეურნეობებს).

დასკვნა. კოოპერაციული სისტემა ყოველ ქვეყანაში გადის განვითარების საკუთარ, სხვებისგან განსხვავებულ გზას. საქართველოში დომინირებს კოოპერაციის ჰორიზონტალური ფორმები, ანუ ე.წ. საწარმოო კოოპერატივები, თუმცა განვითარებული ქვეყნების უმეტესობისათვის დამახასიათებელია ინტეგრაციის ვერტიკალური ფორმების განვითარება.

კოოპერაციის ეროვნული პროექტის განხორციელება და განვითარება შეუძლებელი გახდება თუ არ გვექნა ნათელი წარმოდგენა კოოპერაციის არსის, ევოლუციის, აგრობიზნესის სისტემაში მისი ადგილისა და ყველა იმ პრობლემის შესახებ, რასაც შეიძლება გადააწყდნენ კოოპერატივები თანამედროვე პირობებში. ამასთან დაკავშირებით, ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკური აზრის სხვადასხვა მიმართულებისა და სკოლების მდიდარი გამოცდილების შესწავლა.

უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურა კოოპერაციის შესახებ საკმაოდ მდიდარია. მასში საკმაოდ დეტალურადაა გაანალიზებული მეურნეობრიობის ამ ფორმის უპირატესობა სხვა ფორმებთან შედარებით, ყველაფერი ის, რამაც განაპირობა მისი პოპულარობა და თვალსაჩინო ადგილის დამკვიდრება მეურნეობრიობის თანამედროვე სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ;
2. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2012-2022 წწ;
3. ლ. დადიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ევროკავშირსა და დანარჩენ მსოფლიოში. თბილისი 2017;

4. Torgerson R.E., Reynolds B.J., Gray T.W. Evolution of cooperative thought, theory and purpose, *Journal of Cooperatives*. 2008.
5. Borgen S.O. Rethinking incentive problems in cooperative organizations, *Journal of Socio-Economics*. 2004.

მიწის ბაზრის განვითარებისა და მართვის სრულყოფის
მიმართულებები
The Directions of the Land Market Development and Management
Improvement

თენგიზ ლაჭკეპიანი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ვაჟა ზეიკიძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Tengiz Lachkepiani – Academic Doctor of Economics
Vazha Zeikidze - PhD of Economics. Associate Professor
Georgian Technical University

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მიწის როგორც სპეციფიკური თავისებურებების მქონე წარმოების ძირითადი საშუალების გამოყენების ეფექტიანობა, მისი ეკონომიკური ეფექტიანობის მიმართულები. მოცემულია, მიწის ბაზრის რეგულირების პოზიციები და ღონისძიებები. საჭიროა მიწაზე რეგულირების მარწმუნებელი კანონმდებლობის დახვეწა, რათა მაქსიმალურად გაადვილდეს რეგულირებისათვის საჭირო პროცედურის გავლა, ამ მხრივ, სახელმწიფომ უნდა განიხილოს და მაქსიმალურად გააიაფოს პროცედურები.

საკვანძო სიტყვები: მიწის ბაზარი, სოფლის მეურნეობა, მიწის რეფორმა, საჯარო რეესტრი.

Abstract

The land market, as an economic category, began to function in Georgia with full observance of market laws, which occupy a leading place in the life of the Georgian people. It is the main and indispensable means of farming. In the article the land market regulation positions and measures are given.

The article discusses the necessity of improving land regulation legislation. This is needed to make the procedure for regulation to be maximally facilitated. According to the authors, in this respect, the state should consider and should cheapen procedures as much as possible.

Keywords: Land Market, Agriculture, Land Reform, Public Registry.

შესავალი. 2005 წლამდე საქართველოში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა

მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს. 2004 წელს ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მისი ძირითადი ფუნქციები გადანაწილდა საქართველოს იუსტიციის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს შორის, რის გამოც მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.

საყურადღებოა, რომ მიწის ბალანსი მოიცავდა მონაცემებს დასავლეთ საქართველოში მიწების მეორადი დაჭაობების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში – პირობითი გაუდაბნოების, ეროზირებული, დამლაშებული და სხვა არასასურველი პროცესების შესახებ. უკანასკნელ პერიოდში ეს პროცესები, ბუნებრივია, უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა, მაგრამ თუ რა მდგომარეობაა დღეს ამ მიმართულებით, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, სათანადო მონაცემების არარსებობის გამო.

ძირითადი ტექსტი. მიწის ეფექტიან მართვას, რომელიც ქვაკუთხედს წარმოადგენს როგორც სოფლის მეურნეობის ასევე ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, გააჩნია გამოწვევები რომლებიც პირობითად შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად:

1. მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების არარსებობა, რაც შეუძლებელს ხდის სოფლის მეურნეობის პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავებასა და მის მართვას;

2. მიწის განვითარების ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის არარსებობა.

მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის საჭიროა შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფა, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად უნდა მართავდეს მიწის საინფორმაციო სისტემას, რაც შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციას მიწის დანიშნულების, კატეგორიის, ხარისხის, საირიგაციო/სადრენაჟო ინფრასტრუქტურის და სხვა მონაცემების შესახებ.

მიწის საინფორმაციო სისტემა ინტერდისციპლინარულ პროდუქტს განეკუთვნება, იგი მჭიდრო კავშირშია სხვა უწყებებისთვის საჭირო ინფორმაციასთან და ამდენად იგი უნდა აიგოს სხვადასხვა დაინტერესებული სამთავრობო თუ არასამთავრობო ინსტიტუტებთან კოორდინაციით, მაგალითად იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სხვა.

მიწის განვითარების ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის შემუშავება ასევე მოითხოვს შესაბამის ინსტიტუციურ მოწყობას. მისი არარსებობა თავის მხრივ სერიოზულ გავლენას ახდენს რეგიონალურ განვითარებაზე, ადგილობრივი თემების ჩართულობაზე, ასევე სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებაზე, სოციალური, დასაქმების, მიწის ბაზრის აქტიურობის, ინვესტიციების მოზიდვის და ასევე ზოგადად ეკონომიკის განვითარებაზე.

მიწის განვითარების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მიწის კონსოლიდაცია, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია როგორც ევროკავშირის ძველი და ახალი წევრებისთვის, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის. იმ ქვეყნებშიც კი სადაც მიწაზე კერძო საკუთრება და მიწის ბაზარი საერთოდ არაა ან სუსტადაა განვითარებული. სამწუხაროდ, საქართველო თითქმის

ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მიწის კონსოლიდაციის არავითარი გამოცდილება არ არებობს, რაც ამ მიმართულებით მოქმედების არანაირ შესაძლებლობას არ იძლევა. ამ გამოცდილების შესაგროვებლად აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდეს მიწის კონსოლიდაციის პილოტ პროექტი, რომლის გამოცდილების ბაზაზე უნდა შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პროგრამა.

გაეროს რეკომენდაციების შესაბამისად მიწის კონსოლიდაცია განიხილება, როგორც მრავალსექტორული მიდგომა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის მართვის გაუმჯობესებისათვის, სადაც ადგილობრივი თემების მონაწილეობა მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა. მიწის კონსოლიდაციის პილოტ პროექტების დიზაინის სახელმძღვანელო შემუშავდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ 2003 წ., სადაც ადგილობრივი თემების მონაწილეობა მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად იქცა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის.

2013 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, კერძოდ განხორციელდა „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, პარლამენტმა მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა და ამით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარება და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანამ და მიწის დამუშავების ხელშეწყობის გაზრდამ გამოიწვია ქართველი ფერმერების დაინტერესება მიწებით. აქედან გამომდინარე, საქართველოში ადგილობრივი ფერმერების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად შეიქმნა გარკვეული პირობები.

მორატორიუმის პერიოდში საქართველოს მთავრობამ დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი მოწესრიგების მიმართულებით, შესაბამისად გამოიკვეთა პირობები, რათა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცეთ განახორციელონ ინვესტიციები საქართველოს სოფლის მეურნეობაში. იგეგმება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონპროექტის შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების მქონე პირთა წრეს და შეზღუდვების სახეებს. ეს შეზღუდვები მაქსიმალურად გამორიცხავს შემთხვევითი ადამიანების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენას, რადგან საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელი პირობა უნდა იყოს შესაბამისი გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო სფეროში და, რაც მთავარია, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელება. ასევე გამორიცხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არამიზნობრივად (მაგალითად, განსახლებისათვის) გამოყენება.

მიწის რეფორმის დასასრულამდე მიყვანის, კერძოდ პირველადი რეგისტრაციის გასრულების უმთავრეს სამოქმედო პრინციპად პრაქტიკული მიდგომა, ანუ მიწის ფაქტობრივი მფლობელობის აღიარების მექანიზმი უნდა განიხილებოდეს, თუკი ფაქტობრივ მფლობელს არ უკავია სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ფართობები. ჩვენი აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება უკვე დასრულებული პროცესების როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური და იურიდიული ინვენტარიზაცია, მეტად გართულდება პროცესის ბოლომდე მიყვანა. მართლაც შესაძლებელია, რომ მიწა თავდაპირველად მფლობელების ნაწილს გაუმჭვირვალედ გადაეცა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივ მფლობელს არავინ ედავება, მას დაუბრკოლებელი რეგისტრაციის

საშუალება უნდა მიეცეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ვინაიდან მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, ვინც მიწა რეფორმის შედეგად მიიღო არ გააჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი საკუთრება სრულყოფილი არ არის. ამ ადამიანების დარწმუნება იმაში, რომ საკუთრების უფლების მოსაპოვებლად მათ დამატებითი ხარჯების გაღება და დროის ხარჯვა მოუწევთ, უპერსპექტივოა.

ამიტომაც მიზანშეწონილია პროგრამის მაქსიმალურად იაფად, შესაძლოა დონორთა დახმარებით განხორციელება, მაგრამ ამავე დროს, თავად პროცესს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უნდა უძღვებოდნენ. მასში აქტიურად უნდა ჩაერთონ თემები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც დააჩქარებს პროგრამას და უზრუნველყოფს მის მაღალ ხარისხს. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ აუცილებელია ძირითადი აქტორების - სახელმწიფოსა და მიწის ფონდის აღრიცხვაში მონაწილე ორგანიზაციების (ვინც უშუალოდ ადგენს აზომვით ნახაზებს) უფლება-მოვალეობათა მკაფიო გამოიჯვნა. ეს აუცილებელია პროექტის ხარისხისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. ორივე ფუნქცია სახელმწიფომ არ უნდა შეითავსოს. ამ უკანასკნელმა უნდა შეძლოს პროცედურების გასავლელად მაქსიმალურად კომფორტული და „იაფი“ გარემოს შექმნა, ასევე შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებისა და საჯაროობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

მოხდეს მიწაზე საკუთრების მარწმუნებელი კანონმდებლობის დახვეწა, რათა მაქსიმალურად გაადვილდეს რეგისტრაციისათვის საჭირო პროცედურების გავლა. ეს ეხება როგორც არამართლზომიერ, ისე მართლზომიერ მფლობელობას, მემკვიდრეობის საკითხებს და სხვა. სახელმწიფომ უნდა განიხილოს და მაქსიმალურად გააიაფოს პროცედურები, რათა არ შეფერხდეს პროგრამის მიმდინარეობა. მიწის პირველადი რეგისტრაციის დასაჩქარებლად შესაძლოა განხილულ იქნას პირველად რეგისტრაციაზე ამჟამად გაუქმებული ერთჯერადი გადასახადის გაუქმების ან გაუქმების გაგრძელების

ოფცია, ვინაიდან საჯარო რეესტრისათვის ეს ისედაც დაუგეგმავ შემოსავალს წარმოადგენს. აუცილებელია შემუშავდეს პოტენციური დავების სწრაფად და ეფექტიანად გადაჭრის მექანიზმები ადგილებზე არსებული კულტურული, რეგიონული თუ სხვა თავისებურებების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ეგიაშვილი, საქართველოს მიწის რესურსების მართვის სისტემის სრულყოფა საბაზრო ურთიერთობების პირობებში. თბ. 2009
2. ნ. ტურაბელიძე, შ. ცაავა, მიწის ფასის განსაზღვრის საკითხისათვის. ჟ. "ეკონომიკა", 2007
3. პ. კოლუაშვილი, გ. ზიბზიბაძე, მიწა ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი სივრცე. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. N12, 2010
4. პ. კოლუაშვილი, მიწა და სახელმწიფო. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. N 1. 2012
5. ნ. ტურაბელიძე, ნ. ბერიძე, მიწის რესურსების მართვა. სახელმძღვანელო. 2013
6. პ. კოლუაშვილი, მიწის რესურსების ეფექტური მართვა სიღარიბის დაძლევის წინაპირობაა. ჟურნ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება“. N2. 2014.

**ბიზნესის სფეროში კვლევითი პროექტის განხორციელების ლოგიკა
და კვლევის ანგარიშის გაფორმების სტანდარტები**

**The logic of Implementation of Research Project in Business Sphere
and Standards Survey Report**

მერაბ ვანიშვილი - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
merabvanishvili@yahoo.com

ნინო ხიდირბეგიშვილი - ასისტენტ პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Merab Vanishvili - Professor, Georgian Technical University,
merabvanishvili@yahoo.com

Nino Khidirbegishvili - Assistant Professor
Georgian Technical University

რეზიუმე

კვლევითი პროექტის წარმატებით განხორციელება, უმრავლეს შემთხვევაში, დამოკიდებულია კვლევის ეტაპების სწორად ორგანიზების, დაგეგმვისა და თანმიმდევრულად განხორციელების უნარზე. კვლევითი პროექტის ცალკეული ეტაპების რაოდენობა და შინაარსი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კვლევის ობიექტისა და საგნის სპეციფიკაზე, ასევე კვლევის სახეზე.

ბიზნესის სფეროში პრობლემის კვლევის განხორციელების ყველაზე გავრცელებული ციკლი ხუთ ძირითად ეტაპს მოიცავს. საბოლოო საფეხური, რაც ბიზნესის რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევის ჩატარებასა და მონაცემების დამუშავებას მოსდევს, არის კვლევის ანგარიშის შექმნა. კვლევის ტიპიდან გამომდინარე, კვლევის ანგარიშშიც ორი სახისაა - რაოდენობრივი და თვისებრივი. ისინი სტრუქტურულად მსგავსია, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებული.

წინამდებარე სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, განხილული იქნება ბიზნესის სფეროში კვლევითი პროექტის განხორციელების ლოგიკა და კვლევის ანგარიშის გაფორმების სტანდარტები.

გამოყენებული მეთოდოლოგიის თანახმად, თავდაპირველად გაანალიზდება კვლევითი პროექტის განხორციელების ლოგიკა და ალგორითმი, შემდეგ კი განიხილება კვლევის ანგარიშის სტრუქტურა და შექმნის ძირითადი პრინციპები.

საკვანძო სიტყვები: დივერგენცია, ტრანსფორმაცია, კონვერგენცია, კვლევის კონცეფცია, სამუშაო ჰიპოთეზა.

Abstract

Successful implementation of the research project, in most cases, depends on the ability to properly organize, plan and consistently research research phases. The number and content of the individual stages of the research project is largely dependent on the specificity of the research object and the subject, as well as the research.

The most common cycle of problem research in business sphere involves five main stages. The final step that results in the quantitative or qualitative research of business and the processing of data is to create a survey report. Based on the research type, the survey report is of two types - quantitative and qualitative. They are structurally similar, but contrary to content.

In the present article, based on the latest literary sources, the logic of implementation of the research project in the business field and the conclusion of the research report.

Based on the methodology applied, the analysis and algorithm of research project will be analyzed initially, and then review the structure of the research report and the basic principles of the study.

Keywords: Diversification, Transformation, Convergence, Research Concept, Working Hypothesis.

შესავალი. კვლევითი პროექტის წარმატებით განხორციელება, უმრავლეს შემთხვევაში, დამოკიდებულია კვლევის ეტაპების სწორად ორგანიზების, დაგეგმვისა და თანმიმდევრულად განხორციელების უნარზე.

საბოლოო საფეხური, რაც ბიზნესის რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევის ჩატარებასა და მონაცემების დამუშავებას მოსდევს, კვლევის ანგარიშის შექმნაა. კვლევის ტიპიდან გამომდინარე, კვლევის ანგარიშიც ორი სახისაა - რაოდენობრივი და თვისებრივი. ისინი სტრუქტურულად მსგავსია, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებული.

წინამდებარე სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, განხილული იქნება ბიზნესის სფეროში კვლევითი პროექტის განხორციელების ლოგიკა და კვლევის ანგარიშის გაფორმების სტანდარტები.

თავდაპირველად განვიხილავთ კვლევითი პროექტის განხორციელების ლოგიკასა და ალგორითმს. შემდეგ მიმოვიხილავთ კვლევის ანგარიშის სტრუქტურასა და შექმნის ძირითად პრინციპებს. ძირითადი ტექსტი. კვლევითი პროექტის ცალკეული ეტაპების რაოდენობა და შინაარსი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კვლევის ობიექტისა და საგნის სპეციფიკაზე, ასევე კვლევის სახეზე.

ბიზნესის სფეროში პრობლემის კვლევის განხორციელების ყველაზე გავრცელებული ციკლი და მისი ეტაპები მოცემულია ნახ.1-ზე.

კვლევის პრობლემისა და მიზნის განსაზღვრა

კვლევის პრობლემის გამოვლენა

კვლევის ობიექტისა და საგნის განსაზღვრა

კვლევის მიზნის ფორმულირება

კვლევის თემის ფორმულირება

კვლევის პროგრამის დამუშავება

კვლევის განხორციელების გეგმის დამუშავება

კვლევის განხორციელების მეთოდების შერჩევა

მოსაპოვებელი ინფორმაციის ტიპისა და მიღების წყაროების

განსაზღვრა

აუცილებელი მონაცემების შეკრების მეთოდების განსაზღვრა

კვლევის პროგრამის რეალიზაცია

მონაცემების შეკრება

მონაცემების ანალიზი

მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია

კვლევის ანგარიშზე მუშაობა და მისი გაფორმება

კვლევის შედეგების დანერგვა

ნახ. 1. სამეცნიერო კვლევის განხორციელების ეტაპები ბიზნესის სფეროში

პირველი, მოსამზადებელი ეტაპი კონცენტრირებულია კვლევის პრობლემისა და მიზნის განსაზღვრაზე. ამ ეტაპზე მკვლევარს უწევს იმის განსაზღვრა, თუ რაში მდგომარეობს პრობლემა, რომლის გადაჭრაც ხელს შეუწყობს თეორიის განვითარებასა და პრაქტიკის სრულყოფას ბიზნეს-საქმიანობაში. ამასთან, პარალელურად ყალიბდება *კვლევის კონცეფცია*, როგორც შეხედულებათა მთლიანი და ლოგიკურად დაკავშირებული, საერთო იდეით გაერთიანებული და კვლევის მიზნის მიღწევაზე მიმართული სისტემა.

კვლევის კონცეფციის ფორმირებისას გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორცაა დივერგენცია, ტრანსფორმაცია, კონვერგენცია.

ტერმინი „დივერგენცია“ (divergence - განსხვავება) გამოიყენება როგორც საზღვრების გაფართოების მეთოდი შემეცნების პროცესში, რომელიც მიმართულია კვლევის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფი იდეების, მიდგომების, მიმართულებების, მეთოდების ყოვლისმომცველ ძიებაზე. დივერგენციის მეთოდებს შესაძლებელია მივაკუთვნოთ სამეცნიერო ინფორმაციის განზოგადება, პრობლემის ვიზუალიზაციის მეთოდები, პრობლემის განხილვა, ფორმულირებების ანალიზი და ცნებითი აპარატის ფორმირება, ინფორმაციის დაგროვება, პრობლემის გადაჭრის თაობაზე არსებული თვალსაზრისებისა და მიდგომების ინვენტარიზაცია.

ტრანსფორმაცია (transformation - სახეცვლილება) გულისხმობს პრობლემის შესახებ წარმოდგენის ცვლილებას მკვლევარისათვის ყველაზე მისაღებ სახემდე. ტრანსფორმაციის მეთოდებს წარმოადგენს კლასიფიკაცია, პრობლემის სტრუქტურის დაზუსტება, ლიტერატურული წყაროების კლასიფიკაციის კრიტერიუმების ან პრობლემის ცალკეული ელემენტების შერჩევა, მეცნიერული შეხედულებების ან ლიტერატურული წყაროების რანჟირება.

კონვერგენცია (convergence - დამთხვევა) განსაზღვრავს სტატისტიკურ კვლევებზე, გაანგარიშებებზე, მეცნიერულ დასაბუთებაზე, პროექტირებაზე დაფუძნებული კვლევის საზღვრების შევიწროებას.

კვლევის კონცეფციაზე გავლენას ახდენს *პარადიგმა* (ბერძნ. Paradeigma - მაგალითი, ნიმუში), რომელიც წარმოადგენს მეცნიერთა საზოგადოების მიერ მეცნიერების განვითარების ცნობილ ეტაპზე მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური დებულებების ერთობლიობას, რომელიც გამოყენებულია ნიმუშის, სამეცნიერო კვლევის მოდელის, ინტერპრეტაციის, სამეცნიერო მონაცემების

შეფასების და სისტემატიზაციის სახით, რათა მოხდეს ჰიპოთეზათა გააზრება და ამოცანების გადაჭრა მეცნიერული შემეცნების პროცესში. სწორედ ძირითადი მეცნიერული პარადიგმა განსაზღვრავს უმრავლეს მეცნიერთა კვლევის მიმართულებას.

პრობლემის განსაზღვრის პროცესში ავტორებს უყალიბდებათ კვლევის ზოგადი სურათი და უმრავლეს შემთხვევაში ეძლევათ *სამუშაო ჰიპოთეზის* ჩამოყალიბების საშუალება, რომელიც კვლევის პროცესში უნდა იქნეს დამტკიცებული ან უარყოფილი. გარდა ამისა, ამ ეტაპზე მკვლევარი იწყებს ობიექტის, როგორც პრობლემური სიტუაციის მატარებლის და საგნის (შესწავლას დაქვემდებარებული კვლევის საგნის თვისებების ან მახასიათებლების) გამოყოფას.

კვლევითი საქმიანობა მიმართულია ახალი ცოდნის მიღებასა და გამოყენებაზე. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზნად უნდა გამოვიდეს კვლევის საგნის სარწმუნო შესწავლა, და ასევე პრაქტიკულად მნიშვნელოვანი შედეგების მიღება.

კვლევის მეორე ეტაპი დაიყვანება კვლევის პროგრამის დამუშავებაზე. კვლევის პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს წამოყენებულ ჰიპოთეზებზე. მისი ძირითადი ნაწილი მოიცავს კვლევის გეგმას და ემპირიული ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ძირითადი პროცედურების გადმოცემას. კვლევის გეგმის შედგენისას ზუსტად უნდა მივყვეთ შერჩეულ თემას და არ უნდა გავიდეთ მისი საზღვრებიდან, ჩართული უნდა იქნეს კვლევის ყველა ასპექტის ამსახველი განყოფილებები ლოგიკური თანმიმდევრობით.

კვლევის ამ განყოფილებაში ხორციელდება კვლევის მეთოდების შერჩევა, ნაჩვენებია არჩეული მეთოდების კავშირი კვლევის მიზანთან, ამოცანებთან და ჰიპოთეზასთან. მეთოდის შერჩევისას, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს კვლევის მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, იგი უნდა იყოს ეკონომიური, უსაფრთხო დასაშვები მორალისა და სამართლის თვალთახედვით, მეცნიერული ანუ გააჩნდეს მყარი მეცნიერული ბაზა.

კვლევის მესამე ეტაპზე ხორციელდება კვლევის პროგრამის რეალიზაცია. ეს ეტაპი თავისი არსით წარმოადგენს კვლევითს. იგი შედგება არა მარტო საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის, სტატისტიკური მონაცემებისა და საარქივო მასალების სისტემატური შესწავლისაგან, არამედ ასევე ვარაუდობს თეორიული და ემპირიული კვლევების ჩატარებას, შედეგების დამუშავებასა და ანალიზს, ახალი მიღე-ბული ფაქტების ახსნას, დებულებების, პრაქტიკული რეკომენდაციებისა და წინადადებების არგუმენტირებასა და ფორმულირებას.

კვლევის ანგარიშზე მუშაობისა და მისი გაფორმების ეტაპზე ხორციელდება ნაშრომის კომპოზიციის, შიდა სტრუქტურის განსაზღვრა; თემის, თავებისა და პარაგრაფების დაზუსტება; ხელნაწერის მომზადება, მისი რედაქტირება; ხელნაწერის ისეთი ელემენტების გაფორმება, როგორცაა ლიტერატურის სია და ინტერნეტ-მასალები, გრაფიკული მასალები და დანართები. კვლევითი ნაშრომის კომპოზიციის ოფიციალური სტანდარტი არ არსებობს; ყოველი ავტორი ხელნაწერის ნაწილებს შორის შიდა ლოგიკურ კავშირს ირჩევს იმგვარად, რომ სრულად გაიხსნას პრობლემა. ნაშრომის კონკრეტული სტრუქტურული ელემენტების (შინაარსი, ბიბლიოგრაფია და ა.შ.) გაფორმება უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტს, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

კვლევითი პროექტის დამამთავრებელ ეტაპზე ხორციელდება კვლევის შედეგების დანერგვა და საავტორო თანმხლები ბარათის მომზდება დასანერგავ წინადადებაზე.

სანამ უშუალოდ კვლევის ანგარიშის სტრუქტურასა და შინაარსს განვიხილავთ, აუცილებელია იმ ძირითადი პრინციპების გაცნობა, რაც ნებისმიერი სახის კვლევის ანგარიშის შექმნას უდევს საფუძვლად. მათ მიეკუთვნება შემდეგი:

მკითხველი: სანამ მკვლევარი ანგარიშის წერას დაიწყებს, უნდა გაითვალისწინოს, თუ ვინ იქნებიან მისი მკითხველები - პროფესიონალი მკვლევარები, სტუდენტები, კვლევის დამკვეთი

ორგანიზაცია თუ ფართო აუდიტორია. ამასთან, მან უნდა გაითვალისწინოს მკითხველის გათვითცნობიერებულობა მოცემულ საკითხში და მისი მოლოდინები, რაც, უდავოდ, გავლენას ახდენს ნაშრომის შინაარსზე.

როცა მკვლევარი სტუდენტებისთვის ქმნის კვლევის ანგარიშს, მან ყველა ტექნიკური ტერმინი უნდა განსაზღვროს და ნაბიჯ-ნაბიჯ გააანალიზოს მიღებული შედეგები, მაშინ როცა პროფესიონალ მკვლევარებს ტექნიკური ტერმინების განმარტება კი არ სჭირდებათ, არამედ კვლევის დიზაინისა და მეთოდების დეტალური აღწერა და მონაცემების ინტერპრეტაცია უფრო აინტერესებთ.

კვლევის დამკვეთებს სჭირდებათ მოკლე და კონკრეტული ანგარიში იმისა, თუ როგორ ჩატარდა კვლევა და რა ძირითადი შედეგები იქნა მიღებული; თანაც ეს შედეგები რაც შეიძლება მარტივი ცხრილებისა თუ დიაგრამების სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. ფართო აუდიტორიისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად კი მარტივი ენა და კონკრეტული მაგალითები უნდა იქნეს გამოყენებული, ასევე კვლევის პრაქტიკულ შედეგებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

კვლევის თემა: კვლევის თემა უნდა იყოს საკმარისად ფართო, რათა იყოს საინტერესო, პრაქტიკული მნიშვნელობის და, ამავე დროს, საკმარისად ვიწრო, რომ მოხდეს მისი ადეკვატურად შესწავლა. საკითხი უნდა იყოს ამოწურვადი. ნაშრომის სათაური უნდა იყოს ინფორმაციული თვალსაზრისით ზუსტი, ტექსტის შესაბამისი, ამავე დროს, ლაკონური.

მიზანი: მკითხველი და მიზანი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. თუ მკითხველი მკვლევარზე ნაკლებად არის ინფორმირებული მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მკვლევარის ძირითადი მიზანია ინფორმაციის მიწოდება (როგორც, მაგალითად, სახელმძღვანელოში). რა თქმა უნდა, მწერალი განსხვავებულ მიზანს ისახავს, როცა მოცემული სფეროს ექსპერტებისთვის წერს ნაშრომს.

წინასწარი თეზისი (დასკვნა): აკადემიური წერის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია, რომ ავტორმა შესავალშივე წარმოადგინოს მისი თეზისი ანუ ძირითადი პოზიცია, რაც ორ მიზანს ემსახურება: (1) ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობის შენარჩუნებას, რადგან ავტორმა უკვე ჩამოაყალიბა მისი პოზიცია, რაც დაეხმარება ერთი არჩეული მიმართულებით იმოდროს და ყველა არგუმენტი თუ ქვეარგუმენტი წარმოდგენილი პოზიციის გასამყარებლად გამოიყენოს; (2) მკითხველისთვის თავიდანვე ნათელია ავტორის პოზიცია, ამიტომ მისთვის მარტივია როგორც ავტორის არგუმენტების შესაბამისობის შეფასება, ისე მის მოსაზრებებში ლოგიკური ხარვეზების აღმოჩენა.

თეზისის სიახლე ვლინდება დარგში არსებულ ცოდნასთან მიმართებით. არ არის საკმარისი, თეზისი ახალი იყოს ავტორისთვის. ნაშრომის ორიგინალურობა არ შემოიფარგლება იმით, რომ ის ავტორის მიერ არის შესრულებული. იგი შესაბამის სფეროში არსებულ ცოდნას უნდა აფართოებდეს. დასაშვებია უკვე არსებული გადაწყვეტის ახალი დასაბუთება. ამ დროს სიახლე ვლინდება სწორედ დასკვნისკენ მიმავალ გზაში.

სტრუქტურა: ნებისმიერი ინფორმაცია ორგანიზებული უნდა იყოს განსაზღვრული სტრუქტურის საფუძველზე. ელემენტარული დონით რომ დავიწყოთ, მარტივ წინადადებასაც და მცირე ზომის პარაგრაფსაც კი საკუთარი სტრუქტურა აქვს. კვლევის ანგარიშის სტრუქტურა შემდეგი სახისაა: შესავალი, მეთოდები, შედეგები და დასკვნა. ავტორმა მკაცრად უნდა მისდიოს აღნიშნულ სტრუქტურას, რადგან მასში ყოველი მომდევნო საფეხური ლოგიკურად გამომდინარეობს წინა საფეხურიდან.

მეცნიერისთვის საინტერესოა არა მხოლოდ კვლევის შედეგი, არამედ შესაბამისი დასკვნებისკენ მიმავალი გზაც. არანაკლებ მნიშვნელოვანია აზრის სტრუქტურირებულად ზუსტი გადმოცემა: შესწავლილ საკითხთა წრესა და თანმიმდევრობას ლოგიკური ახსნა უნდა ჰქონდეს. თითოეული თავი მკითხველს უნდა აახლოებდეს

ნაშრომის შესავალში დასახულ მიზანთან. მას არ უნდა გაუჩნდეს შეგრძნება, რომ დროს კარგავს.

კვლევის ანგარიში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სრულყოფილად, თუ ავტორი არსებითად ამოწურავს დასმულ საკითხს, სრულად მიმოიხილავს შესაბამის საკითხთან მიმართებით არსებულ ხელმისაწვდომ ლიტერატურას და დასკვნის სახით წარმოაჩენს სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა-განვითარებაში.

სტილი: კვლევის ანგარიში შესაბამისი სტილით უნდა იყოს შესრულებული, რომელიც არა მარტო თანმიმდევრულად უნდა იყოს დაცული მთელ ნაშრომში, არამედ აუცილებლად შეესაბამებოდეს მკვლევარის მიზანსა და ნაგულისხმევ მკითხველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება პროფესიული ტონის მიღწევა, რადგან არაფორმალური ენით დაწერილი კვლევის ანგარიში, მიუხედავად კომპლექსური მონაცემების წარმოდგენისა, შესაძლოა, ზედმეტად გამარტივებული მოგვეჩვენოს.

დამკვიდრებულია მცდარი მოსაზრება, რომ სამეცნიერო ენა რთული უნდა იყოს. ხშირია მიდრეკილება რთული წინადადების აგებისადმი. პირიქით, ნაშრომის სიმდიდრე ვლინდება აზრის ლაკონურად გადმოცემაში. მნიშვნელოვანია, აზრი იყოს ღრმა, ხოლო გადმოცემული მაქსიმალურად მარტივი ენით. სამეცნიერო ნაშრომის ავტორი უნდა ერიდოს მაღალფარდოვან ფრაზებს, რადგან მაღალფარდოვანი ბუნდოვანი ფრაზა ხანდახან შეუძლებელს ხდის ავტორის სათქმელის გარკვევას⁴.

ასევე მნიშვნელოვანია სწორი კავშირების გამოყენება, რამდენადაც სწორი კავშირი კრავს ტექსტს და საკითხების თანმიმდევრული და სწორი აღქმისათვის შეუცვლელია. ის

⁴ ავტორმა არ უნდა გამოიყენოს არცერთი ზედმეტი სიტყვა. ზედმეტი სიტყვა ქმნის აზრის არასწორ-რად გაგების საფრთხეს. ის ყურადღებას უფანტავს მკითხველს და შესაძლებელია, მისი ყურადღება მნიშვნელოვანიდან უმნიშვნელოზე გადაიტანოს. ხშირად მკითხველი „ნეიტრალური“ სიტყვის მიღმა ეძებს შინაარსს, რომელიც ავტორს არ უგულისხმია.

დამატებითი ბერკეტია სხვადასხვა წინადადების დაწერის მიზნის გასარკვევად⁵.

დაბოლოს, უპირატესობა ენიჭება მოკლე წინადადებებს. თუმცა აზრის სიზუსტე ფრაზის სიმარტივის მსხვერპლი არ უნდა გახდეს.

ლოგიკური თანმიმდევრობა: კვლევის ანგარიშში ავტორის ყველა არგუმენტი მისი ძირითადი პოზიციის გამყარებას უნდა ემსახურებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა იდეა ლოგიკურ კავშირში უნდა იმყოფებოდეს და ავტორი არ უნდა მერყეობდეს სხვადასხვა მოსაზრებას შორის. თუ მკითხველს უწევს უკან დაბრუნება და აზრის გასაგებად ნაწერის რამდენჯერმე გადაკითხვა, ანდა მას უჭირს ავტორის არგუმენტების ძირითად პოზიციასთან დაკავშირება, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაშრომი არათანმიმდევრული და არალოგიკურია.

ნებისმიერი კვლევის ანგარიშში შემდეგი ძირითადი ელემენტებისგან შედგება: სათაური, მადლობის გადახდა კოლეგების, ხელმძღვანელებისა და სპონსორებისათვის, სარჩევი, ცხრილებისა და ნახაზების ჩამონათვალი, ანოტაცია, პრობლემის დასმა, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის დიზაინი, გამოყენებული მეთოდოლოგია, შედეგები, დისკუსია, დასკვნა, ბიბლიოგრაფია, დანართი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

სათაური - ნაშრომის ადეკვატური აღწერა რაც შეიძლება ნაკლები სიტყვით. კვლევის ანგარიშის სათაური უნდა ასახავდეს კვლევის საგანს, ზუსტად უნდა გადმოსცემდეს ნაშრომის ფოკუსს (არც

⁵ მაგალითად, სიტყვა „უპირველესად“ მიუთითებს მსჯელობის საწყისს, პირველ არგუმენტს, „შემ-დგომ“ - მომდევნო არგუმენტს, „დაბოლოს“ ასრულებს ტექსტს დამავიწყებელი არგუმენტით. „შემდგომის“ ნაცვლად, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლებელია სიტყვების „აგრეთვე“ ან „ასევეს“ გა-მოყენება. კონტრარგუმენტს ასევე წინ უძღვის ყურადღების გამამახვილებელი სიტყვა, მაგალი-თად: „ამასთან“, „თუმცა“. როდესაც ავტორს სურს ორი ურთიერთდაკავშირებული არგუმენტის გა-მოყენება, მკითხველის ყურადღების გამახვილება ხდება „ერთი მხრივ“ და „მეორე მხრივ“ გამოყენებით.

ზედმეტად ფართო უნდა იყოს და არც ზედმეტად ვიწრო), უნდა იყოს თვითამხსნელი მოცემული სფეროს სპეციალისტებისათვის.

მადლობის გადახდა კოლეგების, ხელმძღვანელებისა და სპონსორებისათვის - გაწეული დახმარებისათვის.

სარჩევი - ნაშრომის ძირითადი სექციები, თანმიმდევრობით მითითებული.

ცხრილებისა და ნახაზების ჩამონათვალი - ცხრილები და ნახაზები იმ თანმიმდევრობით წარმოდგენილი, როგორც ეს ტექსტშია მოცემული.

ანოტაცია - მთელი ნაშრომის ერთ პარაგრაფში მიმოხილვა. არსებობს ორი სახის ანოტაცია: პირველი კონცენტრირებას უკეთებს მიღებულ შედეგებსა და მათგან გამომდინარე დასკვნებს; მეორე კი ნაშრომის 4 ძირითადი ნაწილის (შესავალი, მეთოდები, შედეგები, დისკუსია /დასკვნა) თითო-თითო წინადადებით შეჯამებას გულისხმობს.

პრობლემის დასმა - გამოკვლევის ხასიათისა და მისი განხორციელების გზების მოკლე მიმოხილვა, ასევე გამოკვლევის მიზნებისა და ჰიპოთეზების ნათლად ფორმულირება.

ლიტერატურის მიმოხილვა - შერჩეული პირველადი და მეორადი წყაროების მიმოხილვა, მათი ორიგინალური და კრიტიკული ანალიზი.

კვლევის დიზაინი - იმ თეორიული სტრუქტურისა და მეთოდების მითითება, რომლის ფარგლებში და რომელთა გამოყენებითაც უნდა შემოწმდეს ფორმულირებული ჰიპოთეზები.

გამოყენებული მეთოდოლოგია - მონაცემების სანდოობისა და ვალიდურობის ჩვენება, ასევე იმ ანალიზის განხილვა, რომელიც ჰიპოთეზების შემოწმებას უნდა ემსახურებოდეს.

შედეგები - ინფორმაციისა და მონაცემების პრეზენტაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება გადაწყვეტილების მიღება ჰიპოთეზების მიღებისა თუ უკუგდების შესახებ.

დისკუსია - მიღებული შედეგებით ნაკარნახევი პრინციპების, კავშირების, კორელაციებისა და განზოგადებების პრეზენტაცია; შედეგების ინტერპრეტაცია და საკვლევ პრობლემასა და ჰიპოთეზებთან მათი კავშირის ჩვენება; დედუქციურ-ინდუქციური დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება.

დასკვნა - მიღებული შედეგებისა და მათგან გამომდინარე დასკვნების მოკლედ შეჯამება.

ბიბლიოგრაფია - ყველა გამოყენებული წყაროს აკურატული მითითება ანბანური თანმიმდევრობით, შერჩეული ფორმატის ფარგლებში.

დანართი - მნიშვნელოვანი მონაცემები და საილუსტრაციო მასალა, ძირითადი ტექსტის ფარგლებს გარეთ გამოტანილი.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი ელემენტები კვლევის ანგარიშში ასეთი დანაწევრებული სახით კი არ გვხვდება, არამედ უფრო ფართო სექციებადაა გაერთიანებული. რეალურად, როგორც ზემოთ ითქვა, კვლევის ანგარიშის ტექსტური ნაწილი ოთხი ძირითადი სექციისაგან შედგება. კერძოდ:

პირველი სექციაა შესავალი, რომელშიც პრობლემა დაყენებული და ჰიპოთეზებია მოცემული; აქვე შეიძლება იყოს წარმოდგენილი ლიტერატურის მიმოხილვა, თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლოა ცალკე სექციადაც იყოს გამოტანილი.

მეორე მეთოდების სექცია, რომელშიც კვლევის დიზაინი და გამოყენებული მეთოდოლოგია არის წარმოდგენილი; აქ განხილულია შერჩევის ტექნიკა, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა, მონაცემების მოპოვების სტრატეგიები, შეზღუდვები და ბარიერები მონაცემების მოპოვებისას, მეორადი მონაცემების წყაროები (სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემები, სხვა მკვლევართა მონაცემები), აგრეთვე დასაბუთებულია მონაცემების ანალიზის ნებისმიერი სპეციფიკური ტექნიკის გამოყენება.

მომდევნოა შედეგების სექცია, რომელშიც მოპოვებული მონაცემებია შეჯამებული და წარმოდგენილი ან სტატისტიკური

ცხრილებისა და ნახაზების სახით (თუ მონაცემები რაოდენობრივია), ან დაკვირვებების აღწერისა თუ საველე ჩანაწერების სახით (თუ მონაცემები თვისებრივია).

ბოლო სექცია არის დისკუსია / დასკვნა, სადაც მიღებული შედეგები ახსნილია და მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული სხვა კვლევების ფონზეა გაშუქებული, აგრეთვე დასმულია საკითხები, რომლებიც შემდგომ კვლევას საჭიროებს.

დასკვნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კვლევითი პროექტის ცალკეული ეტაპების რაოდენობა და შინაარსი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კვლევის ობიექტისა და საგნის სპეციფიკაზე, ასევე კვლევის სახეზე. ბიზნესის სფეროში პრობლემის კვლევის განხორციელების ყველაზე გავრცელებული ციკლი მოიცავს შემდეგ ხუთ ძირითად ეტაპს: კვლევის პრობლემისა და მიზნის განსაზღვრა; კვლევის პროგრამის დამუშავება; კვლევის პროგრამის რეალიზაცია; კვლევის ანგარიშზე მუშაობა და მისი გაფორმება; კვლევის შედეგების დანერგვა.

ნებისმიერი კვლევის ანგარიშში შემდეგი ძირითადი ელემენტებისგან შედგება: სათაური, მადლობის გადახდა კოლეგების, ხელმძღვანელებისა და სპონსორებისათვის, სარჩევი, ცხრილებისა და ნახაზების ჩამონათვალი, ანოტაცია, პრობლემის დასმა, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის დიზაინი, გამოყენებული მეთოდოლოგია, შედეგები, დისკუსია, დასკვნა, ბიბლიოგრაფია, დანართი.

კვლევის ანგარიშის ტექსტური ნაწილი ოთხი ძირითადი სექციისაგან შედგება. კერძოდ: პირველი სექციაა შესავალი, რომელშიც პრობლემაა დაყენებული და ჰიპოთეზებია მოცემული; აქვე შეიძლება იყოს წარმოდგენილი ლიტერატურის მიმოხილვა, თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლოა ცალკე სექციადაც იყოს გამოტანილი. მეორეა მეთოდების სექცია, რომელშიც კვლევის დიზაინი და გამოყენებული მეთოდოლოგია არის წარმოდგენილი.

მომდევნოა შედეგების სექცია, რომელშიც მოპოვებული მონაცემებია შეჯამებული და წარმოდგენილი. ბოლო სექცია არის დისკუსია / დასკვნა, სადაც მიღებული შედეგები ახსნილია და მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული სხვა კვლევების ფონზეა გაშუქებული, აგრეთვე დასმულია შემდგომ კვლევას დაქვემდებარებული საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. პირველი ქართული გამოცემა / ჩავა ფრანკფორტ-ნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი. - თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
2. Business research Methods. Donald R. Cooper; Pamela S. Schindler, Mc Graw Hill, ISBN 0-07-249870-2003.
3. Бесплатные видеолекции: Методы исследования в бизнесе: <http://edumarket.ru/library/consulting/12990/>
4. Когнитивная бизнес-аналитика: Учебник / Под науч. ред. д-ра техн. наук, проф. Н.М. Абдикеева. — М.: ИНФРА-М, 2010.
5. Матюгина, Э.Г. Бизнес-исследование как информационная основа планирования деятельности предприятия: организация и методы [Текст]: учебное пособие. – Томск : Изд-во Том. гос. архит.-строит. ун-та, 2014.
6. Методология и методы научных исследований в экономике и менеджменте [Текст]: пособие для вузов / Завьялова Н.Б., Головина А.Н., Завьялов Д.В., Дьяконова Л.П., Мельников М.С. и др.; под ред. Н. Б. Завьяловой, А.Н. Головиной. – Москва- Екатеринбург, 2014.

ვენჩურული კაპიტალი: კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიული
მეთოდი
Venture Capital: An Alternative Method of Raising Capital

გიორგი ჯოლია - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, gio.jolia@gmail.com

Giorgi Jolia - PhD Candidate
Georgian Technical University, gio.jolia@gmail.com

Abstract

In developed economies venture capital is deemed to be one of the most common methods of raising funds by small and newly established companies. Such companies often apply different forms of finance to implement their ambitious and innovative projects. In general, raising capital is not only convenient for the startups but also it can be financially attractive for the whole industry where they plan to operate.

Effective implementation of an alternative method of raising capital in Georgia will facilitate access to diverse financial opportunities on the market, revitalize investment environment and develop emerging innovative-technological market.

The purpose of this paper is to describe investing peculiarities and funding associated process of venture capital, comparison of different models of funding and evaluation of the interests of the investors and startup companies.

Keywords: Venture capital, venture firm, startup, raising capital, corporate governance, investor, innovation, business idea.

შესავალი. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ვენჩურული კაპიტალი (ასევე, ცნობილი როგორც სარისკო კაპიტალი, „venture capital“) ახალგაზრდა და ახალბედა კომპანიების მიერ კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი გავრცელებული ალტერნატიული მეთოდია. მსგავსი კომპანიები საკუთარი ამბიციური და ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად ხშირად მიმართავენ ფინანსების მოზიდვის სხვადასხვა ფორმებს. ზოგადად, საჭირო კაპიტალის მოზიდვა ხელსაყრელია არა მარტო სტარტაპ კომპანიებისათვის, არამედ იმ ინდუსტრიის განსავითარებლადაც, სადაც ისინი სამომავლო ოპერირებას გეგმავენ.

საქართველოში კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიული მეთოდის ეფექტური დანერგვა ხელს შეუწყობს ბაზარზე მრავალფეროვან ფინანსურ შესაძლებლობებზე წვდომას, გამოაცოცხლებს საინვესტიციო გარემოს და განავითარებს ბაზარზე მოთხოვნად ინოვაციურ-ტექნოლოგიურ მიმართულებებს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სარისკო კაპიტალით კომპანიის ინვესტირების მეთოდის, მისი თავისებურებებისა და თანამდევი პროცესების აღწერა, დაფინანსების სხვადასხვა მოდელების ერთმანეთთან შედარება და ინვესტორისა და სტარტაპ კომპანიის ინტერესების წარმოჩენა.

სტარტაპების დაფინანსების პროცესის ძირითადი მახასიათებლები

ნებისმიერი ახლად დაფუძნებული თუ განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი კომპანიისათვის (ასევე, ცნობილი როგორც სტარტაპი, „start-up“), რომლებიც მოიაზრება მცირე და საშუალო ბიზნესად (ასევე, ცნობილი როგორც „smallandmediumsizebusinesses, SMEs“), სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასახული მიზნების განსახორციელებლად საჭირო ფინანსების მოზიდვა. თუმცა, საჭირო კაპიტალის ძიება მუდმივ სირთულესთან არის დაკავშირებული.

ერთი მხრივ, წარუმატებლობასთან ასოცირებული რისკი და კონცენტრირებულ სეგმენტში გამოუცდელობა ართულებს ინვესტირებისა და კრედიტორების დარწმუნებას კომპანიის კომერციული გეგმების განხორციელებაზე. მეორე მხრივ, საკმარისი კაპიტალის ნაკლებობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი ფინანსური მაჩვენებლის მიღებასა თუ პროდუქციის სრულყოფას, რაც, თავის მხრივ, ბუნდოვანს ხდის კომპანიის ფუნქციონირებისა და მისგან მოსალოდნელი სარგებლის მიღების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ახალბედა კომპანიებს, მათი რისკიანი ბუნების გათვალისწინებით, მცირე ოდენობით ფულადი სახსრების მიღებაც კი საკმაოდ ძვირი უჯდებათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული კატეგორიის ინვესტორების (მაგ., ვენჩურული ფირმების) საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია ისეთ ინდუსტრიებთან, სადაც ბიზნესპროექტების განხორციელებადობა ბუნდოვანია, თუმცა, გარკვეული პოტენციალის მქონე. ასეთი ვითარება წარმატების მაღალ რისკთან ერთად, კომპანიის წილობრივ ღირებულებას საგრძნობლად აუფასურებს. შესაბამისად, დაინტერესებულ ინვესტორებს შესაძლებლობა ეძლევათ პოტენციურად მომგებიანი პროექტის დაფინანსება გაცილებით ნაკლები დაუზღდეთ, ვიდრე იგი ეღირებოდა მათი პორტფოლიო კომპანიის გამართული საქმიანობისას [1, გვ. 40].

ფინანსურ ბაზარზე (შეგვიძლია ვუწოდოთ ისეთ პლატფორმას, სადაც ხდება კერძო კაპიტალის ინვესტირება მრავალფეროვან ბიზნეს ინდუსტრიებში) მრავლადაა სხვადასხვა სახის ინსტიტუტები, რომლებიც განსხვავებული ოდენობით, სარგებლითა და მართვის პოლიტიკით უზრუნველყოფენ ახალგაზრდა და ახალბედა კომპანიების დაფინანსებას.

ზოგადი კლასიფიკაციით, არსებობს დაფინანსების ორი სახეობის ძირითადი წყარო: სესხი („debt“) და კაპიტალი („equity“) [2]. ახალგაზრდა კომპანიების ფინანსირების გავრცელებულ წყაროს წარმოადგენს კომერციული ბანკი, რომელიც შესაბამისი სემენტიისთვის განკუთვნილი სესხით უზრუნველყოფს სტარტაპებისათვის გარკვეული ოდენობით ფულადი სახსრების მიწოდებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც გაცემულ კრედიტს მოჰყვება უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებები, როგორცაა უძრავი ქონების იპოთეკა, გირაო და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულზე წვდომა შედარებით მარტივია, კომპანია ან მისი დამფუძნებლები (კომპანიის მოცულობიდან გამომდინარე, ძირითადად, დამფუძნებელი თავად გვევლინება მენეჯმენტში აღმასრულებელ პოზიციაზე) პერსონალურად იღებენ

ვალდებულებას კომერციულ ბანკებს დაუბრუნონ კრედიტი და მისგან გამომდინარე საკმაოდ მაღალი სარგებელი [2].

ნიშანდობლივია, რომ თუ კომერციული ბანკების შემთხვევაში, კომპანიას უწევს გრძელვადიანი სესხის აღება, რომლის დაბრუნების ვალდებულებაც მას აქვს გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, კაპიტალით ფინანსირების შემთხვევაში, კაპიტალის მიმწოდებელი, სანაცვლოდ იძენს კომპანიის გარკვეული ოდენობის წილს. ამასთან, იღებს მმართველობით/მაკონტროლებელ უფლებამოსილებას. ვინაიდან, ძირითადად ინვესტირება არ მოითხოვს რისკის დაბალანსებისათვის შექმნილ უზრუნველყოფის საშუალებებს, შეიძლება ითქვას, რომ პროექტის წარუმატებლობისას, ინვესტიცია თავადვე ითვალისწინებს დაბანდებული კაპიტალის დაკარგვის შესაძლებლობას [3, გვ. 53]. მეორე მხრივ, სესხისგან განსხვავებით, კომპანიას მიღებული კაპიტალის დაბრუნების ვალდებულება არ წარმოეშობა, თუმცა, კაპიტალის სანაცვლოდ, დამფუძნებლები/მეწილეები ახალ პარტნიორს გადასცემენ მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამის პროპორციასა და მართვის მექანიზმებს.

კაპიტალით ფინანსირების სფერო წარმოადგენს საკმაოდ მოცულობით ინდუსტრიას, მრავალი მახასიათებლითა და განსხვავებული მიდგომებით. სარისკო კაპიტალი სამი ტიპის დაფინანსებას მოიცავს: „ბიზნეს ანგელოზების“ (ასევე, ცნობილი როგორც საინვესტიციო ანგელოზები - „businessangels“) მხრიდან არაფორმალურ ინვესტირებას, ვენჩურულ კაპიტალსა და სწრაფად მზარდ კომპანიებზე ორიენტირებულ აქციათა ბაზარს [4, გვ.15].

ვინაიდან წინამდებარე ნაშრომი მთავარ ყურადღებას ამახვილებს ვენჩურული კაპიტალით ფინანსირებასა და მისგან მომდინარე მმართველობითი უფლებამოსილების გადანაწილების პროცესებზე, გარდა მოკლე დახასიათებისა, დეტალურად არ ვიხილავთ ქვემოთ მოცემული ფინანსირების მეთოდების თავისებურებებს.

ზოგადად, კაპიტალის დაბანდების სფეროში ძირითად მოთამაშეებად გვევლინებიან „ბიზნეს ანგელოზები“ და ვენჩურული ფირმები („venture firms“, ასევე, ცნობილი როგორც ვენჩურული კაპიტალისტები - „venture capitalists“) [5, გვ.13]. ახალბედა კომპანიები, ვენჩურული ფირმების მიერ მათში დაბანდებული კაპიტალით იღებენ არა მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას, არამედ შესაძლებლობას განავითარონ მათი ბიზნესსაქმიანობა [1, გვ. 45]. დამატებით, მატერიალური სარგებლის გარდა, ახალბედა კომპანიებს აქვთ წვდომა ისეთ არამატერიალურ სიკეთეზე, როგორცაა ბორდში გამოცდილი პარტნიორების დამატება და მათი მემკვიდრით ახალი კავშირების დამყარება (აღნიშნული გაცილებით მომგებიანია დაფინანსების ახალი ეტაპის მიღებისას ან/და წარმოების განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისას) [2]. ყოველივეს სანაცვლოდ, კომპანიის დამფუძნებლებს უწევთ კომპანიის გარკვეული წილის იაფად დათმობა (თანამდევნი რისკების გათვალისწინებით) და მათთვის მმართველობითი უფლებამოსილების გადაცემა.

დამატებით საინტერესოა აღინიშნოს არატრადიციული დაფინანსების ისეთი წყაროები, როგორცაა ქრადფანდინგი („crowdfunding“) და სახელმწიფო გრანტები („government grants“). ქრადფანდინგი თავისი არსით კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც მეგობრების, ოჯახის წევრების, მომხმარებლებისა და ინდივიდუალური ინვესტორების კოლექტიური ჩართულობითა და ძალისხმევით უზრუნველყოფს დამატებითი კაპიტალის მოპოვებას. იგი მოიცავს ინდივიდების ერთობლივ ძალისხმევას სოციალური მედიისა და ვირტუალური პლატფორმების საშუალებით [6, გვ. 8-11]. რაც შეეხება სახელმწიფო გრანტს, იგი ფედერალური, სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული ფინანსური ჯილდოა. როგორც წესი, სახელმწიფო გრანტი არ არის კრედიტის მსგავსი, რომელიც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ საპროცენტო განაკვეთთან

ერთად უნდა დაბრუნდეს. საგრანტო პროგრამები ძირითადად უზრუნველყოფს ხელოვნების, საგანმანათლებლო და სოფლის მეურნეობის პროექტების დაფინანსებას [7].

ვენჩურული ფირმის არსი, ფუნქციები და საქმიანობის სპეციფიკა

პირდაპირი ინვესტიციებისა და ვენჩურული კაპიტალის ევროპული ასოციაცია (EVCA) ვენჩურულ კაპიტალს განმარტავს, როგორც პროფესიული ფირმების მიერ შეთავაზებულ კაპიტალს იმ კომპანიებისათვის, რომლებმაც განვითარების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი ფინანსური ზრდის პოტენციალი აჩვენეს [3, გვ. 31].

ვენჩურული ფირმა გამოირჩევა ხუთი ძირითადი

მახასიათებლით, კერძოდ იგი:

1. ფინანსური შუამავალია მის პორტფოლიო კომპანიასა და ინვესტორთა კაპიტალს შორის;
2. ძირითადად კაპიტალს აბანდებს ისეთ კერძო კომპანიაში, რომლის ფასიანი ქაღალდები დაფინანსების ეტაპზე საჯაროდ არ იყიდება;
3. როგორც წესი (ინდუსტრიული გამონაკლისების გარდა), აქტიურად ჩართულია მენეჯმენტის ზედამხედველობის პროცესში;
4. მიმართულია კომპანიის ფინანსური ბრუნვის გაზრდაზე, რათა საფონდო ბირჟაზე კომპანიის აქციების საჯარო შეთავაზებით ან პირდაპირი გაყიდვით მოგების მატება უზრუნველყოს;
5. აბანდებს თანხას იმ მიზნით, რომ კომპანიამ დახვეწოს და საბოლოო სტადიაზე მიიყვანოს საკუთარი ინოვაციური პროდუქტი [8, გვ. 3].

ფინანსური შუამავალი

როგორც აღინიშნა, ვენჩურული ფირმა თავისი არსით წარმოადგენს სპეციალიზირებულ ფინანსურ შუამავალს, რომლის ძირითადი ფუნქციაა პერსპექტიული საშუალო და მცირე კომპანიების საჭირო კაპიტალით უზრუნველყოფა და შემდგომ მისი წილის მომგებიან ფასად რეალიზება [1, გვ. 40].

ვენჩურული ფირმა, როგორც ფინანსური შუამავალი, გარკვეული არსით წააგავს კომერციულ ბანკს, თუმცა გამოირჩევა რიგი განსხვავებულობით. ძირითადად, ვენჩურული ფირმის ორგანიზაციული მოწყობა არის კომანდიტური საზოგადოება („limitedpartnership” (LP), სადაც ვენჩურული კაპიტალის მიმწოდებლები გვევლინებიან, როგორც სრული პარტნიორები, ანუ კომპლემენტარები („generalpartners” (GP), ხოლო ვენჩურული ფირმის ინვესტორები - შეზღუდული პარტნიორები, ანუ კომანდიტები („limitedpartners”).

თუ კონკრეტულ პორტფოლიო კომპანიაში ინვესტიციასთან დაკავშირებული მოლოდინები გეგმის შესაბამისად განვითარდა, ვენჩურული ფირმა გაყიდის მის საკუთრებაში არსებულ წილს, ინვესტიციას (მოგებასთან ერთად) კომანდიტებს დაუბრუნებს და ინვესტირების ახალ ციკლს დაიწყებს [8, გვ. 4].

აღსანიშნავია, რომ ვენჩურულ ფირმებს ხშირად აიგივებენ „ბიზნეს ანგელოზებთან“. გარკვეული კუთხით, ბიზნეს ანგელოზების საქმიანობა ჰგავს ვენჩურული ფირმების ინვესტირების პროცესს, თუმცა მათ შორის არსებობს, რამდენიმე არსებითი განსხვავება. როგორც წესი, ბიზნეს ანგელოზები საკმაოდ ადრეულ ეტაპზე ერთვებიან ინვესტირების პროცესში. ადრეული ეტაპი კი გულისხმობს ისეთ ვითარებას, რა დროსაც ფინანსირება ყველაზე რისკიანია [3, გვ. 64]. ამასთან, ბიზნეს ანგელოზები, ვენჩურული ფირმებისგან განსხვავებით, კომპანიაში კაპიტალის დაბანდებისას იყენებენ საკუთარ სახსრებს, ვენჩურული ფირმა კი, როგორც აღინიშნა, საინვესტიციო კაპიტალს იღებს გარე ინვესტორებისაგან [8, გვ. 4]. განსხვავება ასევე არის ორგანიზაციულ ფორმაში. ბიზნეს ანგელოზები არიან ყოფილი მეწარმეები, რომლებმაც საკუთარი მრავალწლიანი გამოცდილებით დააგროვეს საკმარისი ოდენობის კაპიტალი, რათა სამომავლოდ ინვესტიცია მიმართონ ინოვაციურ და არაინოვაციურ პროექტებში. საინტერესოა ისიც, რომ ბიზნეს ანგელოზები არ ერთვებიან კომპანიის

საქმიანობაში და არჩევენ უფრო პასიურ „მმართველობით“ როლს [9, გვ. 103].

კაპიტალის კერძო კომპანიაში დაბანდება

ვენჩურული ფირმისათვის პორტფოლიო კომპანიაში კაპიტალის დაბანდების მთავარი მიზანია განვითარების სტადიაზე მყოფი კომპანიის ფინანსური, მათ შორის, კვალიფიციური, დახმარება, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს ინოვაციური პროდუქტის შექმნით საკუთარი წილის საბაზრო ღირებულების გაზრდა.

იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია, რომლის აქციებიც უკვე საფონდო ბირჟაზეა სავაჭროდ რეგისტრირებული, ძირითადად არ წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესს, არამედ უკვე ჩამოყალიბებულია და აქვს ფინანსურად გამართული ბიზნესმოდელი, ამიტომ, სარგებლის მიღების ალბათობა ასეთი კომპანიის კაპიტალში მონაწილეობით გაცილებით დაბალია. შესაბამისად, ვენჩურულ ფირმებს აქვთ მოტივაცია დაბალ ფასიან, თუმცა პერსპექტიულ კომპანიებში დააბანდონ ფული, რომ მათი წარმატების შემთხვევაში, მიიღონ უფრო მეტი ფინანსური სარგებელი. საინტერესოა ისიც, რომ ვენჩურული კაპიტალით დაფინანსებული კომპანიები, საშუალოდ, ორჯერ უფრო სწრაფად ახდენენ დასახული მიზნების მიღწევას, ვიდრე ვენჩურული კაპიტალის გარეშე [1, გვ. 40].

მენეჯმენტის ზედამხედველობის პროცესი

კაპიტალის მიწოდების შემდეგ ვენჩურული ფირმები გარდაიქმნებიან კომპანიის დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის საქმიან პარტნიორებად. მათ ასევე წარმოეშობათ პირდაპირი ინტერესი - ფინანსური სარგებლის მისაღებად აქტიურად ჩაერთონ კომპანიების საქმიანობაში [10, გვ. 206-207].

ამასთან, რადგან ფინანსური სარგებლის მიღება დამოკიდებულია პროექტის წარმატებულობის ხარისხზე, ვენჩურული ფირმები ცდილობენ მენეჯმენტს საკონსულტაციო და საექსპერტო დახმარება გაუწიონ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში (საჭიროების

შემთხვევაში სამართლებრივ საკითხებშიც კი) [1, გვ. 45], ახორცილებენ ინტენსიურ (ინდუსტრიის გათვალისწინებით) ზედამხედველობას და უმაღლებენ მათ რეკუტაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში (როდესაც ახალბედა კომპანიის ერთ-ერთ მეწილეს წარმოადგენს ვენჩურული ფირმა, კომპანიასთან დაკავშირებული მესამე პირები, მათ შორის, საკრედიტო ხაზით თუ სამომავლო სახელშეკრულებო ურთიერთობებით, მეტად თავდაჯერებულად გრძნობენ თავს მათთან საქმიანი ურთიერთობით) [11, გვ. 9].

შესაბამისად, მენეჯმენტის ზედამხედველობა წარმოადგენს ვენჩურული ფირმის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს [1, გვ. 42]. ვენჩურული ფირმა თუ მხოლოდ კაპიტალის ინვესტირებით შემოიფარგლება, მაშინ მისი ინვესტიციის წარმატება თუ წარუმატებლობა სრულად დამოკიდებული გახდება საინვესტიციო პორტფოლიოს მართებულ შერჩევაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ ვითარებაშიც შესაძლებელია მომგებიანი ინვესტიციის განხორციელება, ვენჩურული ფირმა დაკარგავს სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან შედარებით საკუთარ უპირატესობას [8, გვ. 5].

აღსანიშნავია, რომ ვენჩურული ფირმის პარტნიორები დახელოვნებულნი არიან ახლად შექმნილი მცირე და საშუალო ბიზნესის მართვაში. მათ აქვთ შესაფერისი ცოდნა და გამოცდილება, როგორც მმართველობითი კუთხით დაკავშირებულ ნიუანსებზე, ასევე, ზოგადად მოქმედ ინდუსტრიაზე. შესაბამისად, ვენჩურულ ფირმებს აქვთ შესაძლებლობა დაეხმარონ განვითარების ადრეულ ეტაპზე მყოფ კომპანიას იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა შეძლოს დასახული ფინანსური თუ ტექნოლოგიური მიზნების ეფექტიანად შესრულება და მოსალოდნელ სირთულეებთან გამკლავება, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს პროტოტიპის პროდუქციად გარდაქმნასთან, ასევე, მარკეტინგისა და დისტრიბუციის მომგებიანი სისტემის შექმნასთან [11, გვ. 9; 12, გვ. 47]. ამასთან, როგორც წესი,

ვენჩურული ფირმა კომპანიის დირექტორთა ბორდში ნიშნავს მინიმუმ ერთ წევრს. შედეგად კი, უზრუნველყოფს სტრატეგიულ საკითხებზე ჩართულობას [13, გვ. 4].

გარდა ამისა, რადგან მცირე და საშუალო კომპანიებს ხშირად აქვთ კვალიფიციური კადრების მოზიდვის პრობლემა, ვენჩურული ფირმა, მეტწილად, ეკონომიკურ სექტორში თავის პირად კავშირებს იყენებს, რათა საკუთარი რეპუტაციისა და ნდობის ხარჯზე მოახდინოს პორტფოლიო კომპანიის მმართველი ორგანოსათვის საჭირო წარმატებული კადრების მოძიება და მათი გადაბირება [14, გვ. 1-2].

როდესაც საუბარია კაპიტალის სანაცვლოდ მმართველობის სისტემაში გარკვეული უფლებამოსილებისა და ფინანსური სარგებლის მიღებაზე, უნდა გავითვალისწინოთ ვენჩურული ფირმების გამოცდილება მსგავს საკითხებში მოლაპარაკების გამართვისას.

როგორც აღინიშნა, ის ფინანსური რისკი, რომელიც თან ახლავს მათ ინვესტიციას, მოითხოვს მაღალი სარგებელის მიღების შესაძლებლობას, ვიდრე იგი შეიძლება ყოფილიყო უკვე გამართულად მომუშავე კომპანიის შემთხვევაში.

შესაბამისად, ვენჩურული ფირმა მოლაპარაკებისას ცდილობს მოიპოვოს ისეთი უფლებები, რომლებიც მას შესაძლებლობას მისცემს ზედამხედველობა გაუწიოს კომპანიის სტრატეგიულ განვითარებას და მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწვეტილების მიღებას, ამასთან, მიიღოს გაზრდილი ფინანსური სარგებელი თუ კორპორაციულ მმართველობითი უფლებამოსილება [15, გვ. 32].

ფინანსური ბრუნვის გაზრდა

როგორც უკვე აღინიშნა, გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი მიზნებისათვის ფინანსური ბრუნვის გაზრდა არის ვენჩურული ფირმის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი სხვა სტრატეგიული საინვესტიციო დაჯგუფებებისაგან. კომპანიაში კაპიტალის ინვესტირებით, ვენჩურული ფირმა ფიქრობს მხოლოდ ერთ

საკითხზე: გაზარდოს კომპანიის საბაზრო ღირებულება, რათა ამ უკანასკნელის აქციების საჯარო შეთავაზებით ან პირდაპირი გასხვისებით მიიღოს ნიშანდობლივი ფინანსური სარგებელი [8, გვ. 6]. შესაბამისად, ბიზნეს ანგელოზებისგან განსხვავებით, ვენჩურული ფირმა არ არის მოტივირებული კომპანიაში შეინარჩუნოს კაპიტალი და კომპანიასთან აწარმოოს გრძელვადიანი ურთიერთობები.

ვენჩურული ფირმის საქმიანობა

ვენჩურული ფირმის საქმიანობა სამ ნაწილად იყოფა:

1. ინვესტირება; 2. ზედამხედველობა; 3. კომპანიიდან გასვლა.

ინვესტირება იწყება მაშინ, როცა ვენჩურული ფირმა იწყებს ახალი პორტფოლიო კომპანიების ფინანსური მონაცემების შესწავლას და გრძელდება მანამ, სანამ მათთან არ გააფორმებს კაპიტალის დაბანდების შესახებ ხელშეკრულებას. ყოველი ახალი საინვესტიციო გადაწყვეტილებისათვის ვენჩურული ფირმა განიხილავს ასობით სხვადასხვა სფეროს პროექტს, სადაც მხოლოდ რამდენიმე მათგანს უთმობს შესაბამის დროს დეტალური შესწავლისა და მათი პრეზენტირებისათვის [16, გვ. 438]. როგორც წესი, პრეზენტირებას მოჰყვება ე.წ. ინვესტიციის პირობების წინარე შეთანხმება („termsheet“), რომელიც მოიცავს კომპანიის ღირებულებაზე და აქციის/წილის სახეობაზე მითითებას და ასევე, ინფორმაციას ინვესტორებისათვის გადაცემული მმართველობითი უფლებამოსილების შესახებ. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ წილებს, რომლებიც სხვებთან შედარებით არის უპირატესად კონვერტირებადი წილები („convertible preferred stocks“).

აღნიშნული შექმნილია იმგვარად, რომ დაიცვას ინვესტორის ინტერესი და გარკვეულწილად დააბალანსოს მისი სარისკო ინვესტიციის საკითხი. სწორედ ამიტომ, უპირატესად კონვერტირებადი წილები ვენჩურულ ფირმას აძლევს შესაძლებლობას მოითხოვონ ფიქსირებული ოდენობა დივიდენდის გაცემის დროს, სხვა პარტნიორების (ჩვეულებრივი წილის მფლობელების) დაკმაყოფილებამდე [1, გვ. 46].

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიისათვის საინვესტიციო პირობები მისაღები აღმოჩნდა, ვენჩურული ფირმა იწყებს მისი ფინანსური და სამართლებრივი მდგომარეობის შემოწმებას („duediligence“). საბოლოოდ, ინვესტირების ეტაპი მთავრდება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებით [8, გვ. 9].

ინვესტირების შემდეგ, ვენჩურული ფირმა იწყებს კომპანიასთან აქტიურ თანამშრომლობას, რომელიც გამოიხატება დირექტორთა ბორდის შეხვედრებზე დასწრებით, ახალი კადრების მოზიდვითა და მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხებზე რეგულარული სახით რჩევების მიცემით. მრავალი ვენჩურული ფირმა მიიჩნევს, რომ ამგვარი ჩართულობით იგი კომპანიას უზრუნველყოფს დამატებითი სარგებლითა და ბაზარზე უპირატესობის მინიჭებით [8, გვ. 9].

ვენჩურული ფირმის საქმიანობის ბოლო ეტაპია კომპანიიდან გასვლა, ანუ მის საკუთრებაში არსებული აქციების/წილების საფონდო ბირჟაზე გასხვისება ან სხვა ინვესტორისთვის პირდაპირი წესით მიყიდვა.

როგორც აღინიშნა, ვენჩურული ფირმა წარმოადგენს ფინანსურ შუამავალს, რომელსაც საკუთარი ინვესტორების ფინანსური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აქვს მათთვის ფულის გადახდის ვალდებულება. სწორედ ამიტომ, ვენჩურული ფირმა განსაკუთრებული გულისხმიერებით გეგმავს კომპანიიდან გასვლის სტრატეგიას, რათა უზრუნველყოს მაქსიმალური მოგების მიღება [17, გვ. 337-338].

ვენჩურულ ფირმას შეუძლია შემდეგი ექვსი მეთოდიდან ერთ-ერთის გამოყენებით გავიდეს კომპანიიდან: (i) კომპანიის აქციის გასხვისება საჯარო შეთავაზებით, (ii) კომპანიის წილის სხვა კომპანიის სასარგებლოდ გასხვისება, (iii) კომპანიის მიერ ვენჩურული ფირმის საკუთრებაში არსებული წილის შესყიდვა (უკან დაბრუნება), (iv) კომპანიის წილის სხვა ინვესტორის სასარგებლოდ გასხვისება, (v) კომპანიის რეორგანიზაცია და (vi) კომპანიის ლიკვიდაცია. გამოსვლის ფორმის შესახებ გადაწყვეტილება

დამოკიდებულია, როგორც ვენჩურული ფირმის საქმიანობის, კომპანიის ფინანსური მომგებიანობის და ლიკვიდობის, ასევე, მასთან თანამდევნი საკანონმდებლო თუ ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებაზე [1, გვ. 47].

იმ ქვეყნებში, სადაც საფონდო ბირჟა კერძო კაპიტალის ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ვენჩურული ფირმა აქციების ემისიისათვის ხშირად იყენებს საინვესტიციო ბანკების/ბროკერების აუთსორსულ მომსახურებას („outsourcedservices“), რადგან ეს უკანასკნელი საკმაოდ გრძელვადიანი და ხარჯიანი პროცესია და, შესაბამისად, საჭიროებს ვიწრო სპეციალიზაციას.

ვენჩურულ ფირმას ალტერნატივად შეუძლია პირდაპირი ტრანზაქციით დაინტერესებულ ინვესტორს მიჰყიდოს პორტფოლიო კომპანიის გარკვეული წილი/აქცია. მსგავსი ფორმით, ერთი მხრივ, ვენჩურული ფირმა თავიდან აირიდებს ხარჯიან ბიუროკრატიულ პროცედურებს, თუმცა, მეორე მხრივ, საგრძნობლად შეამცირებს, როგორც პოტენციური მყიდველის რაოდენობას, ასევე, თავად წილის/აქციის ღირებულებას [8, გვ. 10].

დასკვნა. კაპიტალის ალტერნატიული ბაზრის არსებობა შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდა კომპანიებს ნაკლები დანახარჯით განავითარონ ინოვაციური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური ბიზნესიდეები. ამ პროცესში ინოვაციური პროექტებისათვის საჭირო ფინანსების მთავარ წყაროდ და მამოძრავებელ ძალად გვევლინება ვენჩურული ფირმები, რომლებმაც მაღალი ეკონომიკური რისკის მიუხედავად დაინახეს ამა თუ იმ იდეის ფინანსური პოტენციალი. თანამდევნი წარუმატებლობის რისკი დაბალანსებულია კაპიტალის სანაცვლოდ მიღებული წილის დაბალი საბაზრო ღირებულებითა და კომპანიაში მმართველობითი უფლებამოსილების გადაცემით. თუმცა, ვენჩურული კაპიტალი ყველა კომპანიისათვის არ არის ხელმისაწვდომი. ასევე, მისი ოდენობა და მიწოდების

პერიოდულობა მჭიდრო კავშირია იმ გარემოებასთან, განვითარების თუ რომელ ეტაპზეა კომპანია და რისთვის სჭირდება მას დამატებითი ფინანსური რესურსი.

ვენჩურულ ფირმებთან ინტენსიური მოლაპარაკებისა და, ხშირ შემთხვევაში, საკმარისზე მეტ დათმობაზე წასვლის შემდეგ, კომპანიებს აქვთ წვდომა არა მარტო საჭირო კაპიტალზე, არამედ იმ ადამიანურ რესურსზე, რომელიც მათ სამომავლო საქმიანობაში გამოადგებათ. მეორე მხრივ, ვენჩურული ფირმები ცდილობენ ბორდში და ხელმძღვანელ თანამდებობაზე ისეთი პირები დანიშნონ, რომლებიც მათი ინვესტიციის წარმატების უზრუნველსაყოფად ზედამხედველობასა და დახმარებას გაუწევენ კომპანიას სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაში. საინტერესოა ისიც, რომ ვენჩურული კაპიტალის კონცეფცია სამუშაო ადგილებისა და მაღალკვალიფიციური კადრების ზრდასთან ერთად, იზრდება ახალ დაფუძნებული კომპანიის ცნობადობა და მისი სანდოობის მაჩვენებელი, რაც სამომავლო ტრანზაქციების უზრუნველსაყოფად, შემდგომ, შესაძლოა წარმატებულად იქნეს გამოყენებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. McCahery J. A. and Vermeulen E. P. M., „Corporate Governance and Innovation - Venture Capital, Joint Ventures, and Family Businesses“(2006) ECGI - Law Working Paper No. 65/2006. (https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=894785, გადამოწმებულ იქნა 28.04.2019).
2. Wiens J. and Bell-Masterson J., „Entrepreneur Policy Digest, How Entrepreneurs Access Capital and Get Funded“ (2015) An Educational Policy Brief from the Ewing Marion Kauffman Foundation (<https://bit.ly/2K7hGK8>, გადამოწმებულ იქნა 28.04.2019)
3. ხვედელიანი ა., სარისკო კაპიტალის აქტივიზაცია საქართველოს საბანკო სისტემაში. თსუ, თბ., 2017.
4. ვაშაკიძე თ., ინოვაციური მცირე საწარმოების დაფინანსება ევროკავშირში. (<http://www.inovdev.ge/uploads/files/95282T.Vashakidze.pdf>, გადამოწმებულ იქნა 28.04.2019).

5. McCahery J. A. and Vermeulen E. P. M., „Limited Partnership Reform in the United Kingdom: A Competitive, Venture Capital Oriented Business Form“ (2004) Tilburg Law and Economics Center Discussion Paper No. 2004-024 (https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=664166, გადამოწმებული იქნა 28.04.2019).
6. Mollick E. R., „Swept Away by the Crowd? Crowdfunding, Venture Capital, and the Selection of Entrepreneurs“ (2013) (https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2239204, გადამოწმებული იქნა 28.04.2019).
7. <https://www.investopedia.com/terms/g/government-grant.asp>, გადამოწმებული იქნა 28.04.2019.
8. Metrick A. and Yasuda A., “Venture Capital and the Finance of Innovation” in A. Metrick and A. Yasuda(eds) Venture Capital and the Finance of Innovation (2nded, John Wiley and Sons 2010) (https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=929145, გადამოწმებული იქნა 28.04.2019).
9. Ibrahim D. M., “Should Angel-Backed Start-Ups Reject Venture Capital?” (2011) 2 Mich J. Private Equity & Venture Cap. L. 251 (https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1919139, გადამოწმებული იქნა 28.04.2019).
10. Gordon J. M. and Orozco D., “Trust and Control: The Value Effect of Venture Capital Term Sheet Provisions as Risk Allocation Tools” (2015)4 Michigan Business & Entrepreneurial Law Review. (<https://repository.law.umich.edu/mbelr/vol4/iss2/2>, გადამოწმებული იქნა 28.04.2019).
11. Gilson R. J. and Black B. S., “Does Venture Capital Require an Active Stock Market?” (1999) Journal of Applied Corporate Finance;
12. Gilson R. J. and Black B. S., “Venture Capital and the Structure of Capital Markets: Banks Versus Stock Markets” (1998). 47 Journal of Financial Economics (https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=46909, გადამოწმებული იქნა 28.04.2019).
13. Gompers P. A. and Lerner J., “What Drives Venture Capital Fundraising?” (1997) (https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=57935, გადამოწმებული იქნა 28.04.2019).
14. Lindsey L. A., “Blurring Firm Boundaries: The Role of Venture Capital in Strategic Alliances” (2007)

(https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=995926,

გადამოწმებულ იქნა 28.04.2019).

15. Feld B. and Mendelson J., *Venture Deals: Be Smarter than Your Lawyer and Venture Capitalist* (2nded John Wiley & Sons 2012), p. 32.
16. Bagley C. E. and Dauchy C. E., *the Entrepreneur's Guide to Business Law*, (4thed, South-Western 2012).
17. Smith D. G., „The Exit Structure of Venture Capital“ (2005)53 *UCLA Law Review*
(https://digitalcommons.law.byu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1036&context=faculty_scholarship, გადამოწმებულ იქნა 28.04.2019).

ჩინეთი-საქართველოს ყველაზე სწრაფად მზარდი სავაჭრო- ეკონომიკური პარტნიორი და მისი საორგანიზაციო კულტურის თავისებურებანი

China a Fast Growing Trade-Economic Partner of Georgia and the Specific Characteristics of its Organizational Culture

თამარ ბიჭიკაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ, tbitchikashvili@yahoo.com

Tamar Bitchikashvili - Doctor of Economics, Associate Professor
Georgian National University SEU, tbitchikashvili@yahoo.com

რეზიუმე

ჩინეთის წამყვანი როლი თანამედროვე მსოფლიო ბაზარზე უდავოა. ქვეყანა ბოლო 30 წლის განმავლობაში გიგანტური ნაბიჯებით ვითარდებოდა.

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა, საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში, ჩინეთში იმპორტისას ქართული პროდუქციის 94% გათავისუფლდება ნებისმიერი საბაჟო გადასახადისგან. საექსპორტო პროდუქციას შორისაა: ღვინო, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, წვენები და ა.შ. ასევე, სამრეწველო პროდუქციიდან სამკურნალო საშუალებები, საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, ფეროსილიკომპანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2 807.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც ექსპორტი 826 006.2 ათასი აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი 1 981 294.4 ათასი აშშ დოლარი. ამ პერიოდში ჩინეთში ექსპორტმა 35 255,5 ათასი დოლარი შეადგინა, საერთო ექსპორტის 4,3 %, ხოლო იმპორტმა-221 803,1ათასი დოლარი, ანუ საერთო იმპორტის 11.2%.

წლიდან წლამდე იზრდება ჩინეთიდან როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის მოცულობა, 2010-2018 წლებში იმპორტმა 5 524 635,2 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ექსპორტმა- 905 913,29 ათასი დოლარი. აქედან ბოლო ორი წლის განმავლობაში ყოველწლიური ექსპორტი დაახლოებით 200 მლნ დოლარია, იმპორტმა გასულ წელს 800 მლნ. ლარს გადააჭარბა.

მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაც. ბოლო სამი წლის მანძილზე ჩინეთის პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა ქართულ ეკონომიკაში მკვეთრი ზრდის ტენდენციით

ხასიათდება, კერძოდ: 2016წ.-25 460 მლნ. დოლარი, 2017 წ.-40 346.9 მლნ. დოლარი, 2018 წელს -65 400,8 მლნ. დოლარი.

ცხადია, ასეთ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია იმ ქვეყნის საორგანიზაციო კულტურის თავისებურებების ცოდნა და ურთიერთობებში და საქმიან კონტაქტებში გათვალისწინება, რომელთანაც როგორც მთელ მსოფლიოს, ისე ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესები აქვს.

ჩინეთის ეკონომიკისა და მრეწველობის სწრაფი ზრდა მნიშვნელოვანწილად ჩინური კომპანიების საორგანიზაციო კულტურის სპეციფიკამ განაპირობა, რაც ჩინური ტრადიციული კულტურის ოთხ ძირითად ბურჯს ეფუძნება, ესენია: კლანურობა, ოჯახურობა, უფროსის ერთგულება და პერსონალის წინაშე დასმული ამოცანების უპირობოდ შესრულება.

ჩინური კომპანიების ორგანიზაციული კულტურის განვითარებას ზოგადად ჩინეთისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი კონფუციზმის მახასიათებლები განაპირობებს.

ზოგადად ჩინური კომპანიების საქმიანობაში დომინირებს კომპანიების ხელმძღვანელთა სუბიექტური მოსაზრებები, განწყობები და თვალსაზრისი. კომპანიის მართვაში პიროვნებათმორის ურთიერთობებს (Guanxi) გაცილებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ვიდრე წესებს, პროცედურებსა და ნორმებს.

საკვანძო სიტყვები: სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, ექსპორტი, იმპორტი, ინვესტიციები, საორგანიზაციო კულტურა, პიროვნებათმორისი ურთიერთობები, ბიუროკრატიული კულტურა, კონფუციზმის ფასეულობები.

Abstract

The leading role of China on the modern world market is undisputable. The country was developing with giant steps during the last 30 years.

On January 1, 2018 the bilateral agreement on free trade entered into force between Georgia and China, under which 94% of Georgian products exported to China are free from any customs duties. The export products include wine, hazelnut, honey, mineral water, beer, non-alcoholic beverages, fruit jams, juices, etc., as well as industrial products, such as medicinal products, cables, plastic products, different types of nitrogen and mineral fertilizers, ferrosilicomanganese, locomotives, etc.

According to the data of the National Statistics Office of Georgia in the first quarter of the current year the turnover of foreign trade with goods in Georgia reached 2 807.3 million US dollars, from which the total value of the exported

products is 826 006.2 thousand US dollars and the total value of the imported products is 1 981 294.4 thousand dollars. During that period the export to China reached 1 981 294.4 US dollars, 4.3% of the total export and the import reached 221 803,1 US dollars, which is 11.2% of the total import.

The volumes of the export, as well as the import from China are growing each year. The import between 2010 and 2018 was 5 524 635,2 thousand dollars and the export was 905 913,29 US dollars, from which the yearly export during the last two years is approximately 200 million US dollars and during the last year the import exceeded 800 million GEL.

The foreign investment volumes are also significant. During the last three years the volume of the direct investments in Georgian economy is growing, in particular in 2016 it was 460 dollars, in 2017 - 40 346.9 dollars and in 2018 - 65 400,8 million dollars.

It is obvious that in such conditions it is very important to have knowledge of the organization culture of the country and use it during relationships and business contacts, to which the whole world, as well as our country has economic interests.

The fast growth of the economy and industry in China was mostly caused by the specific characteristics of the organization culture of Chinese companies, which is based on four milestones of the Chinese traditional culture: clan, family, loyalty to a leader and unconditional fulfillment of the tasks given to personnel.

Development of the organization culture of Chinese companies is mostly determined by Confucianism in China.

In general the activities of Chinese companies are dominated by subjective opinions, moods and views of the managers companies. The relationships (Guanxi) between people are mostly influenced by the rules, procedures and norms.

Keywords: Trade-Economic Links, Export, Import, Investments, Organizational Culture, Interpersonal Relationships, Bureaucratic Culture, Confucacy Values.

შესავალი. ჩინეთის წამყვანი როლი თანამედროვე მსოფლიო ბაზარზე უდავოა. ეს ქვეყანა ბოლო 30 წლის განმავლობაში გიგანტური ნაბიჯებით ვითარდებოდა და ჩამორჩენილი აგრარულიდან წამყვან ინდუსტრიულ ქვეყანად იქცა, რომლის მრეწველობაზე დამოკიდებულია მრავალი ქვეყნის სტაბილურობა. 2010 წლიდან ჩინეთი უკვე მსოფლიო მეორე ეკონომიკას წარმოადგენს, და ჩაანაცვლა იაპონია, რომელიც ამ ადგილს 42 წელი იკავებდა. დღეისათვის ჩინეთი უმსხვილესი მომხმარებელი,

მწარმოებელი და ექსპორტიორია. ჩინეთის ფართობი თითქმის ორჯერ ნაკლებია რუსეთზე, სამჯერ აღემატება ინდოეთის ტერიტორიას და დაახლოებით კანადისა და აშშ-ს ტერიტორიის ტოლია. ჩინეთი მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაა, რომლის მოსახლეობა 1.34 მილიარდია (2010 წლის აღწერის მონაცემებით).

ჩინეთი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მზარდი ეკონომიკა, სულ უფრო მეტ დაინტერესებას გამოხატავს საქართველოსთან როგორც სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერების, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის თვალსაზრისით. ცხადია საქართველოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ საიმედო სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორთან ურთიერთობის გაღრმავება.

ძირითადი ტექსტი. ჩინეთი მსოფლიო ბიზნეს არენაზე წამყვან პოზიციას იკავებს. ყოველწლიურად იზრდება ჩინური ეკონომიკური სტრუქტურების ძალაუფლება, ვითარდება საგარეო და საშინაო ვაჭრობა, ღრმავდება ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები სხვა ქვეყნებთან. 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს აძლევს ჩვენს ქვეყანას. ხელშეკრულების ფარგლებში, ჩინეთში იმპორტისას ქართული პროდუქციის 94% გათავისუფლდება ნებისმიერი საბაჟო გადასახადისგან. საექსპორტო პროდუქციას შორისაა: ღვინო, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, წვენები, ყველანაირი ბოსტნეული, ხილი, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა, ზღვის პროდუქტები, მარცვლეული, ასევე, სამრეწველო პროდუქციიდან სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, სარეცხის მანქანები, ფერო სილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ.

ჩინეთს გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 14 შეთანხმება მსოფლიოს 24-ზე მეტ სახელმწიფოსა და რეგიონთან. მათ სიას საქართველოც დაემატა. საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, ვისთანაც ჩინეთს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს გაფორმებული.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთს საქართველოსთვის ტარიფების გასაწესებლად არ დაუწესებია გარდამავალი პერიოდი, რაც ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში 5-10 წლამდე გრძელდება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 2 807.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც ექსპორტი 826 006.2 ათასი აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი 1 981 294.4 ათასი აშშ დოლარი. ამ პერიოდში ჩინეთში ექსპორტმა 35 255,5 ათასი დოლარი შეადგინა, საერთო ექსპორტის 4,3 %, ხოლო იმპორტმა-221 803,1 ათასი დოლარი, ანუ საერთო იმპორტის 11.2%.

წლიდან წლამდე იზრდება როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის მოცულობა. 2010-2018 წლებში იმპორტმა ჩინეთიდან 5 524 635,2 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ექსპორტი 905 913,29 ათასი ლარია. აქედან ბოლო ორი წლის განმავლობაში ყოველწლიური ექსპორტი დაახლოებით 200 მლნ ლარს შეადგენს, იმპორტმა გასულ წელს 800 მლნ. ლარს გადააჭარბა.¹

მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაც. ბოლო სამი წლის მანძილზე ჩინეთის პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა ქართულ ეკონომიკაში მკვეთრი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, კერძოდ: 2016წ.-25 460 მლნ. დოლარი, 2017 წ.-40 346.9 მლნ. დოლარი, 2018 წელს -65 400,8 მლნ. დოლარი.¹

ცხადია, ასეთ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია იმ ქვეყნის საორგანიზაციო კულტურის თავისებურებების ცოდნა და ურთიერთობებში და საქმიან კონტაქტებში გათვალისწინება,

რომელთანაც როგორც მთელ მსოფლიოს, ისე ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესები აქვს.

ჩინეთის ეკონომიკისა და მრეწველობის სწრაფი ზრდა მნიშვნელოვანწილად სწორად ჩინური კომპანიების საორგანიზაციო კულტურის სპეციფიკამ განაპირობა, რაც ჩინური ტრადიციული კულტურის *ოთხ ძირითად ბურჯს ეფუძნება, ესენია: კლანურობა, ოჯახურობა, უფროსის ერთგულება და პერსონალის წინაშე დასმული ამოცანების უპირობოდ შესრულება*. (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მკვლევარი ამ ყველაფერს პირიქით, განვითარების დამაბრკოლებლად თვლის).

ჩინური კომპანიების ორგანიზაციული კულტურის განვითარებას ზოგადად ჩინეთისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი *კონფუციზმის* მახასიათებლები განაპირობებს.

ჩინელები, როგორც აღმოსავლეთის ხალხის უმეტესობა, „*აუჩქარებლად სეირნობს ტბის ირგვლივ*“, ღებულობს მხოლოდ გააზრებულ გადაწყვეტილებას, და ამასთან ძალიან აფასებს დროს. ეს განსაკუთრებით მაშინ შეიმჩნევა, როდესაც სხვა ადამიანებს ართმევენ დროს, ძალიან ხშირად ებოდიშებიან. ჩინეთში მიღებულია საუბრის და შეხვედრის დასრულების შემდგომ მონაწილეებისთვის მადლობის გადახდა დახარჯული (წართმეული) დროისთვის. პუნქტუალობაც სხვა აზიურ ქვეყნებზე მეტად მნიშვნელოვანია მათთვის, შეხვედრაზე შეთანხმების შემთხვევაში ხშირად 15-30 წუთით ადრე მიდიან, „*საქმის ვადაში დასამთავრებლად*“ და სხვისი დროის მოსაფრთხილებლად. ჩინეთში ასევე მიღებულია შეხვედრის დაწყებიდან 10-15 წუთის შემდეგ გაცხადება, რომ მალე აპირებენ წასვლას, ამას აკეთებენ შეხვედრის მონაწილეთა დროის ეკონომიის კეთილშობილური მიზნით. ცხადია ჩინელი მოლაპარაკებების დასრულებამდე არ წავა, მაგრამ ამ ჟესტით აჩვენებს თავის დამოკიდებულებას. ეს ერთგვარად ორმაგი სტანდარტია, ერთის მხრივ ჩინური აღზრდა მოითხოვს მოსაუბრის დროისადმი, როგორც განსაკუთრებულად ძვირფასისადმი მოპყრობას და მეორეს მხრივ

ჩინელები იმედოვნებენ, რომ მათ მიეცემათ საკმარისი დრო ყველა დეტალის მრავალჯერადად განხილვისა და პირადი ურთიერთობების გამყარებისთვის. ისინი ხშირად წუწუნებენ, რომ მივლინებით ჩასული ამერიკელები (და არა მარტო) ხშირად ჩქარობენ და აღნიშნავენ რომ აგვიანდებათ თვითმფრინავზე და მიდიან „შუა შეხვედრიდან“. ამერიკელების შეხედულებით ფაქტები სათანადოდ არის განხილული, ჩინელი კი ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ არ მიუღწევია ურთიერთობაში სიახლოვის და ნდობის სათანადო დონისთვის, რაც მისთვის საწარმოს და სამომავლო ერთობლივი საქმიანობის საფუძველია.

ჩინელ და, ზოგადად, აღმოსავლეთის ხალხებს მძლავრი ისტორიული მეხსიერება აქვთ, რომელიც ეროვნული ისტორიული ტრადიციების საფუძველზე ფორმირდება. ჩინელების ისტორიული ცნობიერების მნიშვნელოვანი თავისებურება უცხოელებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულებაა. თვლიან რა თავიანთ ქვეყანას ამჟამინდელი ცივილიზაციებიდან ყველაზე ძველად, განიცდიან ინტელექტუალურ, მორალურ და კულტურულ უპირატესობას დანარჩენი სამყაროს მიმართ. შესაძლებელია ამიტომაც უცხოელებს არასრულფასოვნად თვლიან, მაგრამ კონკრეტულ ადამიანებს ძალიან კარგად ექცვიან, არიან ძალიან თავაზიანი და სტუმართმოყვარე მათ მიმართ.

ჩინელები ისეთი აბსტრაქტული განსაზღვრებებისადმი, როგორც არის „დრო“ და „სივრცე“, განსაკუთრებულ ყურადღებას არ იჩენენ და უპირატესობას ანიჭებენ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ განსაზღვრებებს, მიზნებსა და ამოცანებს. სწორედ აქედან იღებს სათავეს ჩინელების პრაგმატიზმი, რეალიზმი და შრომისმოყვარეობა. დროისა და სივრცის განხილვა მიმდინარეობს იმ კონტექსტში, თუ რამდენად კარგად შეიძლება მიესადაგოს ადამიანი დროისა და სივრცის კონკრეტულ მონაკვეთს. ტრადიციულად ყურადღება ფოკუსირდება სუბიექტურ ფაქტორზე, ადამიანის ცხოვრებაზე, მის საქმეებსა და

თვითრეალიზაციის შესაძლებლობაზე და არა დროისა და სივრცის ობიექტურ მაჩვენებლებზე. ჩინურად დროზე დაკვირვება გულისხმობს სახით უკვე მომხდარისკენ და ზურგით მომავლისკენ, მოსალოდნელისკენ დგომას. ანუ, *„ჩინელი ცხოვრების მდინარის ნავში სახით განვლილი ცხოვრებისკენ ზის და ზურგით მომავლისკენ“*.² ჩინელები ნაკლებად თავდაჯერებულნი არიან სამომავლო გეგმების დასახვისას, ახალგაზრდა ჩინელების განმარტებით *„მე არ შემძლია ვიცოდე რა მელის მომავალში, მაგრამ დღეისათვის ვაკეთებ ყველაფერს, რაც აუცილებელია ღირსეული მომავლისთვის“*.²

ყველა უცხოელი, ჩინელებთან პირველივე შეხვედრისას აფიქსირებს მათ განუზომელ სიყვარულს საჩუქრების გაცვლის საქმეში, პატივისცემისა და ერთობლივ საქმეში წარმატების ნიშნად. საჩუქარი ჩინელისთვის უნდა იყოს ფუნქციონალური-ეს არის საჩუქრის ყველაზე სწორი ტიპი, მაგ. ტრადიციულ სტილში მოხატული ელ. ჩაიდან, ორიგინალური საფერფლე, ძვირფასი კალამი, ალკოჰოლური სასმელი ლამაზი შეფუთვით. ამ ტიპის საჩუქარი სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს საქართველოდან ღვინის მზარდი ექსპორტის ფონზე. თავი უნდა ავარიდოთ ლამაზ, მაგრამ არაფუნქციონალურ საჩუქრებს, მაგ. ალბომი ქალაქის ხედებით, ასევე საჩუქრებს, რომელნიც უბედურების ან წარუმატებლობის სიმბოლოდ შეიძლება იყოს აღქმული მაგ. ძვირფასი თეთრი ფერის ყვავილები, ან ყვითელი და ცისფერის შეხამება (ჩინეთში ითვლება სიკვდილის სიმბოლოდ), მჭრელი საგნები, ასევე საათი, რომელიც ადამიანს ახსენებს, რომ სიცოცხლე სწრაფად გადის. თავი უნდა ავარიდოთ განსაკუთრებით ძვირფას საჩუქრებსაც, რომ არ ჩავაყენოთ ადამიანი უხერხულ მდგომარეობაში, საჭიროა „ოქროს შუალედის“ დაცვა. კორპორატიული საჩუქარი გადაეცემა ფირმის ხელმძღვანელს, ან მის მოადგილეს. თანამშრომლებს ინდივიდუალურ საჩუქრებს გადასცემენ იმ რიგითობით, როგორც წარადგენენ. ყველაზე

სტანდარტულ და მისაღებ საჩუქრად ითვლება ბიზნეს-ნაკრები: კალამი ორგანიზაციის ლოგოტიპით, ჭიქა ასეთივე ლოგოტიპით, სამაგიდო საწერი ნაკრები. სასურველია საჩუქრის წითელ ქაღალდში შეხვევა და ბაფთით შეკვრა.

ჩინურ სახელმწიფო ორგანიზაციებში არსებობს გადაცემული საჩუქრების შესანახად მიზარების მკაცრი ტრადიცია, რის გამოც საჩუქრების აბსოლუტური უმეტესობა, განსაკუთრებით ძვირფასი საჩუქრები, რომელნიც სახალხოდ გადაეცათ, თქვენს პარტნიორს ფაქტობრივად აღარ გადაეცემა.

ჩინური კულტურა, ისე როგორც იაპონიის, ტაივანის, სინგაპურის, სამხრეთ კორეის, თურქეთისა და ფინეთის კულტურა, რეაქტიული კულტურის ქვეყნებს განეკუთვნება. **რეაქტიული კულტურის** ქვეყნების მოსახლეობა ისმენს, ვიდრე დაიწყებს საქმიანობას. ისინი მსოფლიოში ყველაზე კარგი მსმენელები არიან, ვინაიდან კონცენტრირდებიან იმაზე, რასაც ელაპარაკებიან, პრაქტიკულად არასოდეს აწყვეტინებენ მოსაუბრეს, ვიდრე მათი გამოსვლა ან პრეზენტაცია არ დასრულდება. ისინი არ ჩქარობენ პასუხის გაცემას, მცირე პაუზის შემდგომ, გამოხატავენ რა პატივისცემას სათანადო ყურადღებით, აუჩქარებლად აკეთებენ შენიშვნებს და გამოთქვამენ მოსაზრებებს. ჩინელები არ ჩქარობენ და ამუშავებენ სხვადასხვა სტრატეგიას, რათა თავიდან აიცილონ პროტესტი. რეაქტიული კულტურის მატარებლები ინტროვერტები არიან, არ მოსწონთ უხვსიტყვაობა და, შესაბამისად, არავერბალური კომუნიკაციის ოსტატები არიან, ახასიათებთ ძნელად შესამჩნევი მიმიკების, ჟესტებისა და დახვეწილი სხეულის ენა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ლათინო ამერიკელების, იტალიელებისა და აფრიკელების ჟესტიკულაციასთან, ასეთი მონოაქტიური ადამიანებისთვის რეაქტიული ტაქტიკა, როგორც ჩანს, ძნელი გასაგებია, რადგან ეს არ შეესაბამება მათთვის დამახასიათებელ წრფივ სისტემას (კითხვა / პასუხი, მიზეზი / შედეგი). რეაქტიული კულტურებში კომუნიკაციის სასურველი

მეთოდია: მონოლოგი - პაუზა - აზროვნება - მონოლოგი. თუ შესაძლებელია, ერთი მხარე საშუალებას აძლევს, მეორე მხარეს პირველმა წარმოთქვას მონოლოგი. მონოაქტიური და პოლიაქტიურ კულტურაში კომუნიკაცია ხორციელდება დიალოგის მეშვეობით.

ჩინური საორგანიზაციო კულტურის პოლიტიკური სპეციფიკა. ჩინეთში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფო საკუთრებას და დაშვებულია სხვადასხვა ეკონომიკური წყობის არსებობა, ამიტომ ჩინური კომპანიების უმეტესობის ორგანიზაციულ კულტურას მრავალი პოლიტიკური მდგენელი აქვს, როგორცაა „დამოუკიდებლობა და თავისუფლება“, „საკუთარ ძალებზე დაყრდნობა“, და სხვა. იმის გამო, რომ მრავალი წლის განმავლობაში დომინირებდა გეგმური ეკონომიკა და სახელმწიფო ერეოდა საწარმოთა საქმიანობაში, კომპანიების ქცევას და ღირებულებებს, გეგმებს და მიზნებს მთავრობა და ჩინოვნიკები განსაზღვრავდნენ. ერთის მხრივ საწარმოები იქცეოდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმონაქმნებად, და მეორეს მხრივ კარგავდნენ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რომელნიც ძირითადად მოკლევადიან მიზნებზე ორიენტირდებოდნენ. წარსულმა ტრადიციებმა განაპირობა დღევანდელი იაპონური საწარმოებისგან განსხვავებით აქცენტირება საქმიანობის მოკლევადიან შედეგებზე და არა გრძელვადიან მიზნებზე, როგორცაა ახალი პროდუქტების შექმნა.

მორალი და ეთიკა, როგორც კონფუციზმის საფუძვლები. ჩინური საორგანიზაციო კულტურა აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მორალი საქმიანობის საფუძველია ე.ი. მორალური და ეთიკური ნორმები ყოველთვის იყო მართვის სისტემის მთავარი შემადგენელი. როგორც წესი ორგანიზაციები ისწრაფვიან ადამიანური ურთიერთობის ჰარმონიზაციისკენ, ადამიანური თანასწორობისკენ, მორალური სწავლებისკენ. შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, ეკონომია მათი მთავარი ფასეულობებია. როგორც წესი, კადრების შერჩევისას და საქმიანობის შეფასებისას, მთავარი კრიტერიუმები ეთიკური

ნორმებია და არა ობიექტური ეკონომიკური შედეგი. სამუშაოს შედეგები მაშინ ითვლება წარმატებულად, როდესაც თანამშრომელი დროულად და ხარისხიანად ასრულებს უფროსის მიერ განსაზღვრულ დავალებას. ამგვარად, ჩინური ორგანიზაციების საორგანიზაციო კულტურა სამი ნაწილისგან შედგება: პოლიტიკური იდეოლოგია, ეთიკური ნორმები და კომპანიის შიდა ატმოსფერო. ამასთან უპირატესობა ეთიკურ ნორმებსა და პოლიტიკურ იდეოლოგიას აქვთ, ეს უარყოფითი მხარე ჩინური გეგმიური ეკონომიკის პერიოდიდან მოდის. მას შემდეგ რაც ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი გახდა, როგორც მთავრობის, ისე საწარმოებისთვის მნიშვნელოვანია მართვის მსოფლიო გამოცდილების გაზიარება. თავისუფალი საბაზრო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ეფექტური საკუთრებითი ურთიერთობებისა და კანონმდებლობასთან ერთად მნიშვნელოვანია მაღალი მორალური პრინციპების მქონე და ეთიკური ნორმების დამცველი მმართველები. რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც ცალკეული ორგანიზაციები, ისე მთლიანად საბაზრო ეკონომიკა ვერ განვითარდება მორალური პრინციპების და წესებისა და კანონმდებლობის იგნორირებით. ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩინური კომპანიების საორგანიზაციო კულტურა სწორედ კონფუციზმის პრინციპებს ეფუძნება.

ოჯახური ურთიერთობების ხაზგასმა და კლანის წინამძღოლის ხელში ძალაუფლების თავმოყრა. ტრადიციულ ჩინურ კულტურაში ოჯახის ან კლანის რეპუტაცია და ინტერესები პრევალირებს. კონფუციზმის მიხედვით „ოჯახი-საფუძველია“, სწორედ ამ პრინციპით მუშაობენ ჩინელები კომპანიებში. კომპანიის მფლობელი „კეთილისმყოფელია“, ვინაიდან ის წყვეტს კადრების შერჩევას და დაჯილდოების, უფლებამოსილების განაწილების საკითხებს. შესაბამისად, პერსონალი უსიტყვოდ ემორჩილება საწარმოს ხელმძღვანელს და გამოდის „ბავშვის“ როლში, რაც გამოიხატება სრულ ლოიალობაში და დამჯერებლობაში. ამასთან „მშობლები“

(მფლობელები) თვლიან რომ, „ბავშვები“ მათი სიცოცხლის და საქმეების გამგრძელებლები არიან და მხოლოდ მათ აქვთ საწარმოს ფლობის და საქმიანობის გაგრძელების უფლება.

პიროვნებათშორისი ურთიერთობები- (Guanxi)- ხშირად ვლინდება პერსონალის შერჩევასა და გადაადგილებაში. მაგ. თუ კომპანიის თანამშრომელი რამენაირად დაკავშირებულია ჩინოვნიკებთან ან ტოპ მენეჯმენტთან, მას უადვილდება სამუშაოს მიღება, უფასო სწავლება, მაღალი პოსტის დაკავება და სხვა.

ამგვარად, ჩინური კომპანიების ორგანიზაციული კულტურა ეროვნული კულტურის ოთხი ძირითადი პრინციპით ხასიათდება, ესენია: პოლიტიკური მდგენელი, მორალი და კონფუციზმის ფასეულობები, ოჯახური ურთიერთობები და პიროვნებათშორისი ურთიერთობების თავისებურებები.

ამჟამად ჩინურ კომპანიებში ორგანიზაციული კულტურის სამი ტიპი დომინირებს:

1. ბიუროკრატიული კულტურა- ახასიათებს მკაცრი იერარქიული კულტურა, წესები, პროცედურები, დაკვირვება, წესრიგი, კონტროლი, დაგეგმვა, დასაქმების გარანტია, ურთიერთობების სტაბილურობა და ამოცანების შესრულება. კარიერული ზრდისთვის დაუშვებელია შეცდომების დაშვება. ასეთი კომპანიების ხელმძღვანელები რაციონალურად მოაზროვნე კოორდინატორები და ორგანიზატორები არიან.

2. კლანური კულტურა - პიროვნებათშორისი ურთიერთობებს უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ, რაც უფრო მჭიდროა პიროვნების ნათესაური კავშირი კომპანიის ხელმძღვანელთან, მით მაღალია მისი ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნის და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის შანსი. ამასთან, ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის შინაურული ურთიერთობებია. თანამშრომელი კომპანიის ხელმძღვანელისადმი ლოიალური უნდა იყოს. ყველაფერი, რაც დაკავშირებულია პერსონალის შერჩევის, შეფასების, დაჯილდოების და კარიერული

ზრდის საკითხებთან, ძირითადად წყდება კომპანიის ხელმძღვანელის სუბიექტური შეხედულების შესაბამისად. ასეთ კომპანიებში ძალიან მაღალია ძალაუფლების კონცენტრაცია. გარდა ამისა, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მორალური წესები და ეთიკის ნორმები.

3. საბაზრო კულტურა -ძირითადი ყურადღება კონცენტრირდება ინოვაციებზე, პიროვნებებზე, შეჯიბრებითობაზე, გამარჯვებისადმი სწრაფვაზე, გუნდურ მუშაობაზე, ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შორის პარტნიორულ ურთიერთობებზე.

ამგვარად ბიუროკრატიული კულტურა ყველაზე მეტად ესადაგება სახელმწიფო კომპანიებს და მსხვილ უცხოურ კომპანიებს, კლანური კულტურა- კერძო ჩინურ კომპანიებს, საბაზრო კულტურა-ძირითადად დომინირებს ერთობლივ უცხოურ კომპანიებში.

ზოგადად ჩინური კომპანიების საქმიანობაში დომინირებს კომპანიების ხელმძღვანელთა სუბიექტური მოსაზრებები, განწყობები და თვალსაზრისი. კომპანიის მართვაში პიროვნებათშორის ურთიერთობებს გაცილებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ვიდრე წესებს, პროცედურებსა და ნორმებს. **Guanxi** მყარად არის ფესვგადგმული ჩინეთში უკვე 2000 წელია, მას აქეთ, რაც კონფუციზმმა მოახდინა საზოგადოებრივი ნორმების კოდიფიცირება. **Guanxi** სხვა ნორმებთან ერთად ამყარებს ჩინელების იერარქიულ და საზოგადოებრივ სტრუქტურას. ამასთან ერთად ჩინური საწარმოების ორგანიზაციული კულტურის თავისებურებები მნიშვნელოვნად განპირობებულია საწარმოთა ხელმძღვანელების პიროვნული თვისებებით.

ჩინურ საწარმოებში შეიმჩნევა ორგანიზაციული კულტურის დაშორება საწარმოს მართვისგან. კერძოდ, ზოგი მეწარმე ორგანიზაციულ კულტურას საწარმოს „სულად“ მოიაზრებს და თვლის, რომ მას წარმოების მართვასთან კავშირი არ აქვს. საყოველთაოდ ცნობილი განმარტების თანახმად *ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს მართვის მიზნების მიღწევის მიდგომას ან*

ბერბს (Hofstede, 1991). სულიერი ფაქტორი ცხადია მნიშვნელოვანია კოლექტივის შეჭიდულობის და წარმოების ეფექტიანობის ზრდისთვის, საწარმოს განვითარებისთვის, მაგრამ ის შერწყმული უნდა იყოს საწარმოს სტრატეგიასთან და მართვისა და სტიმულირების სისტემასთან.

დასკვნა. თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნებს შორის გამაფრებელია კონკურენცია ეკონომიკასა და მეწარმეობაში. ყველა ქვეყნის განვითარების ისტორია ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საყრდენი სწორედ მეწარმეები და ბიზნესია. ჩინური კომპანიები დღეისათვის ითვლება ახალი იდეების ამოუწურავ წყაროდ და მენეჯმენტის თვალსაზრისით ახალი აზროვნებად. ჩინეთში სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი გიგანტური კორპორაციები, მნიშვნელოვან ექსპერიმენტებს ატარებენ მენეჯმენტის სფეროში დასავლურ კომპანიებთან თანამშრომლობისას. დღეისთვის ჩინეთისგან მრავალი სიახლის შესწავლაა შესაძლებელი და გასათვალისწინებელი ქართულ-ჩინური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo,
გადამოწმებულია 24.04.2019წ.
2. [file:///C:/Users/user/AppData/Local/Temp/Rar\\$DIa0.535/Столпы%20китайской%20корпоративной%20культуры](file:///C:/Users/user/AppData/Local/Temp/Rar$DIa0.535/Столпы%20китайской%20корпоративной%20культуры),
გადამოწმებულია 24.04.2019წ.
3. Маслов А.А. Китай и китайцы. О чем молчат путеводители. М.2013
4. Персикова Т.Н. Межкультурная коммуникация и корпоративная культура. М.2011

ქალთა სამეწარმეო აქტივობის სოციალურ-ეკონომიკური
მნიშვნელობა და ახალი ინიციატივები ქალთა ეკონომიკური
გაძლიერებისთვის

Socio-Economic Importance of Women's Entrepreneurial Activities and
New Initiatives for Women's Economic Strengthening

დალი სეხნიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, d.sekhniashvili@gtu.ge

Dali Sekhniashvili

Doctor of Economics, Associate Professor
Georgian Technical University, d.sekhniashvili@gtu.ge

Abstract: Women are half of the world's population and they have their role to play in creating a more prosperous world. There is a positive and strong relationship between women entrepreneurship and socio-economic development their families and whole society in general. Female entrepreneurship is considered as one of the most important factors contributing to the economic development of the society. Women entrepreneurs have been considered instrumental in initiating and sustaining socio-economic development.

Women's entrepreneurship activities strengthen their own autonomy and independence, influence in the personal and economic scope. The crucial component of social, economic, and environmental sustainability is to extend the women's personal independence, self-sufficiency, and their rights, to strengthen them. The article discusses new approaches and researches in this field. On the basis of these new researches author analyses some opportunities for women's economic strengthening and creates several recommendations for government bodies, business owners and individuals.

Keywords: Female Entrepreneurship, Women Economic Independence, Entrepreneurship, Socio-Economic Development.

შესავალი. ქალთა მეწარმეობის მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისათვის ფართოდაა აღიარებული. მრავალრიცხოვანი კვლევები ადასტურებს, რომ ქალთა მეწარმეობას დადებითი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე, ისევე, როგორც მდგრადი და გრძელვადიანი მშვიდობის

შენარჩუნებისთვის (Cuberes and Teignier 2014 , Fetsch, Jackson, და Wians 2015); უფრო მეტიც, ქალთა მეწარმეობის მაღალ დონის მქონე ქვეყნები უფრო მედეგნი არიან ფინანსური კრიზისისა და ეკონომიკური დეპრესიებისადმი (გლობალური მეწარმეობის კვლევის ასოციაცია, 2017/2018). განსხვავებული მეთოდოლოგიის მიუხედავად, ამ კვლევებმა ქალთა მეწარმეობის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკურ უპირატესობა აღმოაჩინეს.

2025 წლისთვის ქალთა მეწარმეობის წილი მსოფლიო მშპ-ს დაახლოებით 28 ტრილიონ დოლარი, ანუ 26 %-ით იქნება. ამჟამად, ქალი მეწარმეების პოტენციალი ბევრ ეკონომიკაში სრულად არ არის რეალიზებული. სინამდვილეში, 95 ქვეყანაში 15 გენდერული ინდიკატორის ანალიზმა აჩვენა, რომ 46 ქვეყანას აქვს მაღალი დონის გენდერული უთანასწორობა ინდიკატორების ნახევარზე მეტის მიხედვით. სხვა კვლევის მიხედვით, გენდერული განსხვავებასთან დაკავშირებული შემოსავლის დანაკარგები განსხვავდება გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით. ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ყველაზე მაღალი დანაკარგებია ქალთა დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობების გამო (27%); ევროპაში, ეს დანაკარგი 10% -ზე ნაკლებია.

ძირითადი ტექსტი. კვლევები ადასტურებს, რომ ქალთა სამეწარმეო აქტივობაზე მოქმედებს გენდერული უთანასწორობები, როგორცაა: ქალთა დაბალი ფინანსური ჩართულობა, განათლებაში განსხვავება და სამართლებრივი უფლებები.

ქვეყნების უმრავლესობაში ქალთა მიერ დაარსებული ბიზნესის წილი 1/3-ზე ნაკლებია. იმავდროულად, ესტონეთის გარდა, ყველა ქვეყანაში მოზრდილი ქალების 1%-ზე ნაკლებია ახალი შპს-ს მფლობელი. ესტონეთში ეს მაჩვენებელი 1,2%-ია.

ქალთა ეკონომიკური უფლებების და შესაძლებლობების გაძლიერება არის მსოფლიოში ინვესტირების, ბაზრების განვითარების, საკადრო რეზერვების და დემოგრაფიული დივიდენდების მიღების მნიშვნელოვანი წყარო და სფერო.

როდესაც ქალთა ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ქალების ეკონომიკური უფლებები, უწინარეს ყოვლისა, თანაბარი ხელმისაწვდომობა, მიწის, საკუთრების, საწარმოო აქტივების და რესურსების, მათ შორის ფინანსური რესურსების ფლობის და კონტროლის უფლება, მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ან უნარი თავისუფლად დაიცვას საკუთარი ავტონომიურობა და განახორციელოს არჩევანი, მათ მიერ ყველა იმ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა, რაც მოქმედებს როგორც მათი, ისე მათი ოჯახების, თემის და საზოგადოების ცხოვრებაზე.

ქალა ეკონომიკური უფლებების და შესაძლებლობების გაფართოებას საზოგადოებისთვის უდიდესი დივიდენდები მოაქვს, მაგალითად:

თუ ქალებს და მამაკაცებს თანაბარი ხელმისაწვდომობა ექნებათ მიწაზე, ტექნოლოგიებზე, ფინანსურ მომსახურებაზე, განათლებასა და ბაზრებზე, ქალთა ფერმებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა 20-30 %-ით გაზრდა მშვიერთა რაოდენობის 100-150 მილიონი ადამიანით შემცირებას გამოიწვევს

თუ ქალები მონაწილეობენ ეკონომიკურ საქმიანობაში, აქვთ საწარმოო აქტივები და აკონტროლებენ მათ, ეს იწვევს განვითარებას, ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას, ამცირებს უთანსწორობას და აუმჯობესებს ბავშვების კვების და ჯანმრთელობის ხარისხს და სკოლაში გაკვეთილებზე ბავშვების დასწრების მაჩვენებელს.

თუ ქალების დასაქმების დონე ისეთივე იქნებოდა, როგორც მამაკაცების, მშპ ყველგან გაიზრდებოდა, მაგ., ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში 27%-ით, სამხრეთ აზიაში 19%-ით.

თუ ქალებს და მამაკაცებს ერთი და იგივე მდგომარეობა ექნებოდათ ეკონომიკაში მონაწილეობის თვალსაზრისით, ანაზღაურებისა და მეწარმეობის მხრივ, 2025 წლისთვის 28

ტრილიონი დოლარით გაიზრდებოდა გლობალური ეკონომიკა, რაც არის აშშ-ს და ჩინეთის მშპ ერთად აღებული.

მსოფლიო საზოგადოებაში იზრდება კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ ქალთა ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება არის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურ მართვას, ეკონომიკურ ზრდას, სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრას და სასურსათო უსაფრთხოების მიღწევას, მოხმარების მდგრადი მოდელის ჩამოყალიბებას, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მდგრადობას.

მართლაც, ქალთა ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება არის გაროს გენერალური 2015 წლის ანსამბლეაზე მიღებული 2030 წლამდე პერიოდის მდგრადი განვითარების დღის წერივის განუყოფელი ნაწილი. მასში განსაზღვრულია ერთობლივი ძალისხმევის პრიორიტეტები იმისათვის, რომ ყველა ქალს და კაცს შეეძლოს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სიკეთეებით სარგებლობა.

ყურადღების მიღმა არ შეიძლება დარჩეს ის ფაქტი, რომ ქალების ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებისადმი მიმართული ძალისხმევა მოითხოვს, რომ საბაზრო მიდგომებს, ეკონომიკურ სარგებელს და სტიმულებს თან უნდა ახლდეს მიზანმიმართული ეკოსისტემა, რაც ქალებს საკუთარი უფლებების რეალიზაციის, აგრეთვე, სამოქმედო არეალის და პოტენციალის გათანაბრების საშუალებას მისცემს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიულად ქალების სისტემატური დისკრიმინაცია ზღუდავს მათ სრულად და თანაბრად მონაწილეობის შესაძლებლობას ეკონომიკაში, რის აღმოსაფხვრელადაც მთავრობამ და კერძო სექტორმა სპეციალური ზომები უნდა მიიღოს.

მეწარმეობა და ღირსეული სამუშაო ეკონომიკური გაძლიერების საფუძველია. ისინი ეხმარებიან ქალების და კაცების, მათი ოჯახების, თემების ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებას.

სტრუქტურული ბარიერები ქალთა მეწარმეობაში. რიგი შეზღუდვები, რომელიც არსებობს ქალთა სამეწარმეო საქმიანობაში, იწვევს მამაკაცებთან შედარებით არათანაბარ ეკონომიკურ შესაძლებლობებს და შედეგებს. მათი ფესვები სტრუქტურულ ბარიერებსა და დისკრიმინაციულ კანონებშია, აგრეთვე, სოციალურ და კულტურულ ნორმებსა და სტერეოტიპებში, რომლებიც ზღუდავენ ქალთა უფლებების რეალიზაციას. ქალებს ეპყრობიან როგორც მამაკაცებთან შედარებით დაბლა მდგომებს და მათდამი დაქვემდებარებულს.

მსოფლიო ბანკის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, მსოფლიოში მხოლოდ 6 ქვეყანაა, სადაც კანონმდებლობით გაამყარეს გენდერული თანასწორუფლებიანობა. ბელგია, დანია, საფრანგეთი, ლატვია, ლუქსემბურგი და შვედეთი.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 173 ქვეყნიდან 167- ში არის სულ მცირე, ერთი საკანონმდებლო შეზღუდვა, რომელიც სქესის მიხედვით ქალთა დასაქმებას და მათ სამეწარმეო აქტივობას ზღუდავს.

ამის შედეგად იზრდება სიღარიბის ფემინიზაცია, ფართოდ ვრცელდება კეთილდღეობაში გენდერული განსხვავება და შემოსავლები როგორც დასაქმებიდან (შემოსავალი ანაზღაურებადი სამუშაოდან, აგრეთვე თვითდასაქმებიდან), ისე, მეწარმეობიდან. ამის გარდა, ეს შეზღუდვები დაკავშირებულია სიღარიბესთან, ეთნიკურ მიკუთვნებათან, რასასთან, ინვალიდობასთან, სოფლისადმი მიკუთვნებასთან და სტატუსთან, რაც იწვევს მრავალი ქალის ეკონომიკურ მარგინალიზაციას.

ეკონომიკაში გენდერული უთანასწორობის ძირითადი სემენტებია: არაფორმალური ეკონომიკა, პროფესიული სეგრეგაცია, დისკრიმინაცია დაქირავების სისტემაში, დაწინაურება სამსახურში, მამაკაცების და ქალების შემოსავლებს შორის სხვაობა, აქტივების ნაკლებობა, საწარმოო რესურსებისადმი არათანაბარი და

არასაკმარისი წვდომა და ხელმისაწვდომობა, დაფინანსება, საშინაო სამუშაო, სექსუალური შევიწროვება სამუშაო ადგილზე.

მსოფლიოში მომუშავე ქალების 70 % მუშაობს არა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ არაფორმალურ სამუშაოზე და ისინი არ არის უსაფრთხო, არ არის დაცული და მათზე დაბალი ანაზღაურებაა.

სქესის მიხედვით პროფესიული სეგრეგაცია ნიშნავს, რომ ქალები კვლავ ბევრ შემთხვევაში კლასტერიზებულნი არიან როგორც დაბალანაზღაურებადი და დაბალხარისხიანი სამუშაოს შემსრულებელნი. სეგრეგაციის ყველაზე გამანადგურებელი ქმედებაა, რომ ქალებს სისტემატურად უფრო ცოტას უხდებიან იგივე სამუშაოს შესრულებისთვის, ვიდრე მამაკაცებს. შრომის ანაზღაურებაში გლობალური სხვაობა 23%-ს შეადგენს.

პროფესიული სეგრეგაციის ერთი მიზეზია ის აზრი და მოლოდინი, რომ ქალები არიან ოჯახზე მთავარი მზრუნველები. ეს მზრუნველის სამუშაო, რა თქმა უნდა, არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობად და შესაბამისად, არც ანაზღაურდება. მთელ მსოფლიოში ქალები საშუალოდ ხარჯავენ 2,5-ჯერ მეტ დროს ამ სახის საქმიანობაზე, ვიდრე მამაკაცები.

თუმცა, დრო, რომელსაც ქალი მზრუნველობის არაანაზღაურებად სამუშაოზე ხარჯავს, შეიძლება ანაზღაურებადი სამუშაოსთვის დაეთმოს და გაეზარდა საკუთარი შემოსავალი.

კიდევ ერთი სტრუქტურული ბარიერი პროდუქტიული აქტივებისადმი ქალების ხელმისაწვდომობის ნაკლებობაა, რაც ხშირად მემკვიდრეობის ან საკუთრების უფლების შესახებ კანონით არის გამყარებული. ეს კი ნიშნავს, რომ ქალებს ნაკლები სახსრები აქვთ ბიზნესში მოზიდვისთვის. ამის შედეგია, რომ ქალები საქმიანობენ, ძირითადად, იმ სექტორებში, სადაც შესვლის დაბალი ბარერები და ზრდის შეზღუდული პოტენციალია.

მართალია, ის საწარმოები, რომლებსაც ქალები ფლობენ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამიზნე ჯგუფია, მაინც იგრძნობა

თვით ამ ორგანიზაციების მხრიდან მათი მხარდაჭერის ნაკლებობა. მაგალითად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის კრედიტების მხოლოდ 14-19% გაიცემა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, რომლებიც ქალებს ეკუთვნის, თუნდაც ცნობილი იყოს, რომ ისინი ისევე კარგად მუშაობენ, როგორც ის საწარმოები, რომლებიც მამაკაცებს ეკუთვნის.

მეწარმეობის ხელშეწყობით და ინოვაციების დანერგვის გზით არსებული „შუშის ჭერის“ და „კედლების“ დამსხვრევა გაეროს გლობალურ იმპერატივადაა მიჩნეულია, ისევე, როგორც ქალების ეკონომიკური უფლებების და შესაძლებლობების გაფართოება.

განსაზღვრულია ქალთა ეკონომიკური უფლებების და შესაძლებლობების გაფართოების 7 ძირითადი ფაქტორი, რომლებიც ქალთა მეწარმეობას ეხება და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები:

- არასასურველ ნორმებთან ბრძოლა და მისაბამი მაგალითების ჩვენება;
- სამართლებრივი უზრუნველყოფის დაცვა და დისკრიმინაციული კანონების და წესების რეფორმირება;
- არაანაზღაურებადი მზრუნველობის და საშინაო სამუშაოების შემცირება, შემცირება და გადანაწილება;
- ციფრული, ფინანსური და ქონებრივი აქტივების შექმნა, შენება;
- ბიზნესის და კერძო სექტორის კულტურის და პრაქტიკის შეცვლა;
- დასაქმებისა და შესყიდვების სფეროში საჯარო სექტორის პრაქტიკის სრულყოფა;
- გამჭვირვალობის (ხილვადობის), კოლექტიურობის და წარმომადენლობითობის ზრდა.

შესყიდვები, როგორც ქალთა მეწარმეობის ზრდის მთავარი კომპონენტი. ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორია მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების და კორპორაციების მიერ საკუთარი მოთხოვნილებებისთვის საჭირო

პროდუქტების და მომსახურების შეძენა იმ საწარმოებისგან, რომლებიც ქალ მეწარმეებს ეკუთვნით.

ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვები მშპ-ს 15 დან 30%-მდე შეადენენ. ეს შექმნის საბაზრო შესაძლებლობებს ქალი მეწარმეებისთვის, რომელთა მონაწილეობა ამ აქტივობაში ახლა მხოლოს 1%-ია.

გაეროს შეფასებით, შესყიდვების 1%-ით გაზრდა საწარმოსთვის 60-70 მილიარდი დოლარის შემოსავლს უზრუნველყოფს. ის რეკომენდაციას აძლევს მთავრობებს, დაადგინოს და თვალი ადევნოს საერთო სახელმწიფოებრივ მიზნობრივ მაჩვენებლებს შესყიდვებში ქალთა მონაწილეობის შესახებ და, აგრეთვე, წახალისონ მომწოდებლები, რომ მათაც იგივე აქტივობები განახორციელონ. აგრეთვე, მეწარმე ქალებს და ქალთა კოლექტივებს უნდა ასწავლონ, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ და აკეთონ ბიზნესი მთავრობებთან.

კორპორაციებსაც აქვთ კარგი შესაძლებლობები,, შესყიდვების პოლიტიკისა და პრაქტიკის საშუალებით, უზრუნველყონ გენდერული თანასწორობა და გააფართოვონ ქალთა უფლებები და შესაძლებლობები საკუთარ სამუშაო ადგილებზე, საკუთარ თემში. მთელ მსოფლიოში კორპორატიული შესყიდვების უზარმაზარი ზომა და მოცულობა ნიშნავს იმას, რომ კორპორაციებს შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ მომწოდებლების საქმიანობასა და მიწოდების ჯაჭვზე.

არ აქცევენ რა ყურადღებას იმ საწარმოებს, რომლებიც ქალებს ეკუთვნით, ბევრი კორპორაცია ხელიდან უშვებს გლობალურ ბაზარზე გაფარების, მიწოდების ჯაჭვის დივერსიფიკაციის და მოდერნიზაციის, ეკონომიკის განვითარების და ქალ-მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობის ზრდის და იმავდროულად, მთელ მსოფლიოში ქალების და გოგონების ცხოვრების გაუმჯობესების შესაძლებლობას. კარგი მაგალითი კი არის Alibaba ჯგუფი, რომლებმაც ელექტრონული კომერცია გახადეს

ქალთა მეწარმეობის და მათი უფლებებისა და შესაძლებლობების ზრდის მძლავრ იარაღად.

გაეროს ტრანსფორმაციის პროგრამები. ქალთა ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობების ზრდა გაეროს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. ისინი მსოფლიოს 75 ქვეყანაში მუშაობენ და ეხმარებიან ქალებს ღირსეული სამუშაოს შექმნაში, აქტივების დაგროვებაში, სახელმწიფო პოლიტიკასა და ინსტიტუტებზე გავლენის მოხდენაში.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით მარგინალიზირებული ჯგუფები არიან სოფლად მცხოვრები ქალები, დიასახლისები, დევნილები და მიგრანტები, ინვალიდი ქალები და დაბალი კვალიფიკაციის მქონე ქალები.

არსებობს რამდენიმე პარადოქსული დასკვნაც ქალთა სამეწარმეო აქტივობის სფეროში, რომელთა ახსნა მეტად რთულია. მაგალითად, ეკონომიკური განვითარების დონის ზრდის კვალობაზე, სამეწარმეო საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი მცირდება. ანალოგიურად, ქალთა მიერ ბიზნესის დაწყების შესაძლებლობების აღქმაც უკავშირდება განვითარების დონეს: ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ქალთა შორის საკუთარი სამეწარმეო სამეწარმეო შესაძლებლობების აღქმა შედარებით უფრო დაბალია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. იგივე ტენდენცია შეინიშნება განათლებასთან დაკავშირებით. სავარაუდოა, რომ ზოგადი განათლება სამეწარმეო კომპეტენციების ფორმირებისთვის ან სამეწარმეო საქმიანობაში რწმენის განმტკიცებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. მეწარმეობის სპეციფიკური უნარ-ჩვევები შეიძლება უფრო მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს სამეწარმეო აქტივების განსახორციელებლად.

რატომ იწყებენ ქალები მეწარმეობას? „ქალ მეწარმეთა 2018 წლის ბიზნეს მოხსენების“ მიხედვით, რომელსაც American Express გამოსცემს, აშშ-ში ქალების მიერ დაფუძნებული ბიზნესების რაოდენობა 1972 წლიდან დაახლოებით 3,000-მდე გაიზარდა. დღეს

აშშ-ში ახალი ბიზნესის 40% -ს ქალები ქმნიან. და არა მხოლოდ ამ ქვეყანაში, დღეს მსოფლიოში ქალთა დიდი რაოდენობა იწყებს საკუთარ ბიზნესს, ვიდრე არასდროს. მაგრამ რატომ იწყებს ამდენი ქალი საკუთარ ბიზნესს? არის რამდენიმე მიზეზი იმის, თუ კორპორაციაში თანამდებობრივ წინსვლასთან შედარებით რატომ ანიჭებენ უპირატესობას ქალები საკუთარი მეწარმეობის დაწყებას.

მეტი მოქნილობა. რეალობა ისაა, რომ ქალები, საკუთარი ბუნებით, უპირველესად, მზრუნველები და მომვლელიები არიან, ჩვენ აქ ვსაუბრობთ ბავშვებზე ან ხანდაზმულ მშობლებზე ზრუნვის თაობაზე. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკელი ქალების მიერ ბიზნესის დაწყების მთავარი მიზეზი არის მათი ოჯახური მოთხოვნილებებზე სამუშაოს მორგება. სხვა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დაახლოებით ქალები 74% მოსაზრებით, მათთვის სამუშაოს მოქნილი გრაფიკი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეტი ფულის მიღება. როგორც წესი, საკუთარი ბიზნესი უფრო მეტ თავისუფლებას იძლევა, ვიდრე ვინმესთვის მუშაობა. ეს დამატებითი ავტონომია განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც ოჯახი ნომერ პირველი პრიორიტეტია.

საკუთარი სამუშაო გრაფიკის შედგენის შესაძლებლობა კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც ქალები მეწარმეობას იწყებენ.

დარწმუნდეს, თუ რა „ღირს“ ის რეალურად. სამწუხაროდ, სხვაობა გენდერულ ანაზღაურებაში ბოლო 15 წლის განმავლობაში შედარებით სტაბილური დარჩა. Census Bureau-ს მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ წელიწადში სრულ განაკვეთზე მომუშავე ქალების ხელფასმა კოლეგა მამკაცების ხელფასის 80% შეადგინა. თუ ამ მიმართულებით ცვლილები იგივე ტემპით გაგრძელდება, ქალები 2119 წლამდე ვერ მიაღწევენ თანასწორობას ანაზღაურების სფეროში. გვინდა ასი წელი ველოდოთ ამას? რა თქმა უნდა, არა და ეს არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ქალები მეწარმეობას იწყებენ. მხოლოდ მეწარმე ქალია

უნიკალურ მდგომარეობაში დააწესოს საკუთარი რეიტინგი და დაადასტუროს თუ რა ღირს ის სინამდვილეში.

საკუთარი მომავლის უფრო მეტი კონტროლი. რწმენა, რომ სხვა კომპანიაში მუშაობა უფრო მეტ სტაბილურობას სთავაზობს ქალს, არის მითი. კადრების შემცირება, რესტრუქტურისა, რეორგანიზაცია კორპორატიული ცხოვრების ნაწილია. ეს მომენტები ხშირად ორგანიზაციული ცვლილებების შედეგია, რომლებიც არ არიან კონტროლირებადი ერთი ადამიანის მიერ და მათ შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ კარიერულ წინსვლაზე. საკუთარი ბიზნესის არსებობა ნიშნავს მძლავრ სავარძელში ჯდომას. ეს არის ძლიერი პოზიცია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბიზნესის კონტროლია შესაძლებელი, არამედ იმათი კონტროლიც, ვისთანაც მუშაობს ქალი, ესენი არიან: კლიენტები და ბიზნეს პარტნიორები.

უფრო სწრაფად დაწინაურება. მრავალი ქალი იწყებს ბიზნესის იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ ე.წ. „მინის ჭერი“. ჰარვარდის ბიზნეს მიმოხილვაში გამოქვეყნდა კვლევა, სადაც შემოწმებული იყო თეორია, რომ ქალები, ისე სწრაფად ვერ წინაურდებიან სამუშაოზე, როგორც მამაკაცები, რადგან ისინი განსხვავებულად იქცევიან. სენსორების გამოყენებით ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ მამაკაცები და ქალები ერთნაირად იქცევიან სამუშაოზე, ასრულებენ იგივე მოცულობის სამუშაოს, იგივე დროს ატარებენ თავიანთ ზემდგომებთან შეხვედრებზე და ანალოგიურად აფასებენ საკუთარ სამუშაოს. ეს შედეგები ცხადყოფს, რომ სამუშაოზე დაწინაურებაში განსხვავებები არ არის მათი განსხვავებული ქცევით გამოწვეული, არამედ იმით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ მიმართ და როგორ ექცევიან მათ.

LeanIn.Org და McKinsey & Co - ის კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალების და მამაკაცების ს თანაბარ რაოდენობას სურს დაწინაურება, მამაკაცებთან შედარებით 15%-ით ნაკლები რაოდენობის ქალს აწინაურებენ. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ საუკუნეზე მეტი დასჭირდება საზოგადოებას იმისათვის, რომ

გენდერულ პარიტეტს მიაღწიოს. გასაკვირი არ არის, რომ ქალები მეწარმეობას მიმართავენ თავიანთი კარიერის უფრო სწრაფად განვითარებისთვის.

დაიცვას საკუთარი სიბერე. ბევრი ქალი ტოვებს კორპორატიულ ცხოვრებას, რადგან მათი სამუშაო ადგილები უბრალოდ აღარ არის მათთვის ინსპირაციის წყარო. ბიზნესის დაწყება საშუალებას აძლევს ქალს იპოვოს არსი და შესაძლებლობა, რომ დატოვოს ისეთი მემკვიდრეობა, რომლითაც შეიძლება იამაყონ.

რა სჭირდებათ ქალ მეწარმეებს 2019 წელს? მრავალ ამერიკელსაც შეიძლება გაუკვირდა ის ფაქტი, რომ მათ ქვეყანაში საწარმოების 40%-ს ქალები ფლობენ. 2018 წლის მოხსენების მიხედვით 1972 წლიდან 1918 წლამდე მეწარმე ქალთა რიცხვი 31-ჯერ გაიზარდა, 2007 წლიდან 2019-2018 წლამდე ეს რიცხვი 585-ით გაიზარდა.

მართალია, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ მეწარმე ქალების მიმართ ხშირად აქვს ადგილი სექსუალურ ძალადობას და უთანასწორობას, სისტემური ხასიათი აქვს სოციალურ უთანასწორობას, განსაკუთრებით, რასისა და სქესის მიხედვით.

მართალია იმ საწარმოების წილი იზრდება, რომელთა მესაკუთრეებიც ქალები არიან, მაგრამ ისინი საერთო შემოსავლის მხოლოდ 4,3%-ს უზრუნველყოფენ. ამის მიზეზი სხვადასხვაა და მათ შორის ერთ-ერთი მიზეზი ისარის, რომ ქალები უფრო ხშირად, ვიდრე მამაკაცები, არასრული სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობენ, ამით ზრდიან რა საკუთარ შემოსავლებს, რადგან ისინი ან განიცდიან ფინანსურ სიძნელეებს, ან სჭირდებათ მოქნილი სამუშაო გრაფიკი იმის გამო, რომ ზრუნავენ ოჯახის წევრებზე, ან ახლობელ ადამიანებზე.

სხვა მიზეზი იმის, რომ არსებობს დიდი სხვაობა ქალ მეწარმეების მიერ დაარსებული საწარმოების რაოდენობასა და მათ მიერ მიღებულ შემოსავლებს შორის ის არის, რომ მცირე რაოდენობის

ქალი იზიდავს კაპიტალს კომპანიის დასაფინანსებლად. მაგ., 2017 წელს ქალების მხოლოდ 2%-მა მიიღო ვენჩურული ინვესტიცია.

ამ უთანასწორობის ერთ-ერთი ახსნა შესაძლოა ის იყოს, რომ ვენჩურული კაპიტალის მხოლოდ 9%-ს ფლობენ ქალები.

ჟურნალში Academy of Management 2018 გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, ვენჩურული ინვესტორები (როგორც მამაკაცები, ისე ქალები), ქალ-მეწარმეებს უფრო მეტ „პროფილაქტიკურ“ კითხვას აძლევენ, ვიდრე მამაკაცებს.

ქალი მეწარმეების რიცხვსა და მათ მიერ ფირმაში დაბანდებულ ფულს შორის სხვაობის შესამცირებლად საჭიროა ქალებთან და მათ სამეწარმეო აქტივობასთან მიმართებაში შეიცვალოს ნორმები და მოლოდინები, რაც შესაძლოა მეწარმე ქალებს შორის ურთიერთქმედების გამარტივებითა და მათი ბიზნესის ღიაობის ამაღლებით.

მაგალითად ModernCapital გამოაქვეყნა ანგარიში ქალების აქტივობის შესახებ სტარტაპების ეკოსისტემაში, სადაც რეკომენდაციას აძლევს ქალებს, რომ მათ გაზრდონ საკუთარ ბიზნესის თვალსაჩინოება საზოგადოებრივ ღონისძიებებზე, ინტერნტში და კონფერენციებზე გამოსვლებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Marc Teignier, David Cuberes, Aggregate Costs of Gender Gaps in the Labor Market: A Quantitative Estimate, 2014, <http://www.ub.edu/ubeeconomics/wp-content/uploads/2014/02/308-Web.pdf>
2. Emily Fetsch, Chris Jackson, and Jason Wiens, Women Entrepreneurs are Key to Accelerating Growth, 2015, <https://www.kauffman.org/what-we-do/resources/entrepreneurship-policy-digest/women-entrepreneurs-are-key-to-accelerating-growth>
3. Global Entrepreneurship Research Association, The 2017/18 Global Entrepreneurship Monitor (GEM) report, <https://gemconsortium.org/report/50012> <https://journals.aom.org/journal/amj>
4. Women, Business and the Law 2019, A Decade of Reform, The World Bank, 2019

უძრავი ქონების შეფასების მსოფლიო პრაქტიკა World Practice of Real Estate Assessment

ნაზი ჭიკაიძე - პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
nazichikaidze@gmail.com

თეკლე ხელაძე - დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
tekle-1991@mail.ru

Nazi Chikaidze - Professor, Georgian Technical University
nazichikaidze@gmail.com

Tekle Kheladze - PhD Student, Georgian Technical University
tekle-1991@mail.ru

რეზიუმე

უძრავი ქონების შეფასების მნიშვნელობა გაიზარდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ პერიოდიდან იწყება ამ სფეროს საერთაშორისო დონეზე შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ“ შემუშავებული სტანდარტები, რომლებიც მორგებულია და ითვალისწინებს დაინტერესებული ქვეყნების ინტერესებს.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას და გლობალურობას, ქვეყნები განვითარების ახალ ეტაპზე გადაყავს, რაც თავისთავად გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას. შსსს _ს მიერ შემუშავებული სტანდარტები მოიცავს ყველა სფეროს, რომელიც მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარებისთვის.

შსსს_ს სტანდარტებიდან ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს სტანდარტები, რომლებიც უძრავი ქონების შეფასებას ეძღვნება.

როგორც უკვე ავლინეთ, შსსს-ს სტანდარტები სხვადასხვა ქვეყნის მრავალწლიანი პრაქტიკის გათვალისწინებით შეიქმნა და ითვალისწინებს ყველა ნიუანსს, რომელიც თან ახლავს შეფასების პროცესს.

(IVSC) (შსსს) თანამშრომლობს გამოცდილ შემფასებლებთან და რეგულატორებთან. იგი თანამშრომლობს IASB (საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების საბჭო) და FASB (აშშ-ს ფინანსური ანგარიშგების საბჭო). ასევე IOSCO (ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაცია), ESMA (ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების ორგანიზაცია ევროპაში), SEC (ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია), FSA (ფინანსური რეგულირებისა და ზედამხედველობის სამსახური), და სხვა.

გარდა საერთაშორისო შეფასების სტანდარტებისა, აშშ_ში და ევროპაში ფუნქციონირებს შეფასების პრაქტიკა, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე განიცდიდა ცვლილებას და დღეისათვის წარმოადგენს შეფასების სისტემას,

რომელიც საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევასოთ ეკონომიკის სხვადასხვა სფერო.

აშშ-ში ფართოდ არის გავრცელებული „შეფასების პროფესიონალური პრაქტიკის ერთიანი სტანდარტები“ (USPAP), სადაც აღწერილია სტანდარტები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ შემფასებლებმა შეფასების პროცესში.

ევროპაში კი შემფასებლები ხელმძღვანელობენ „ევროპული შეფასების სტანდარტებით“, რომლებიც შემუშავებულია “TEGOVA”-ს მიერ. ეს არის ევროპელი შემფასებლების არაპროფილური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 74 შეფასების ასოციაციას მსოფლიოს 37 ქვეყნიდან.

როდესაც საუბარია შეფასების საერთაშორისო სტანდარტებზე და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ ქვეყნებმა, რომლებიც ამჟამად ამ სტანდარტებს აქტიურად იყენებენ პრაქტიკაში, განვითარების მრავალწლიანი პრაქტიკა გაიარეს და შედეგი მრავალწლიანი გამოცდილებით მიიღეს.

საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, რომელიც ხშირად განიცდის ეკონომიკურ კრიზისს და ახასიათებს უამრავი პრობლემა, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების არქონა უმთავრეს პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როდესაც ქვეყანას პრეტენზია აქვს საერთაშორისო დონეზე ქვეყნებს შორის ურთიერთობის დამყარებაზე, აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების გატარება და შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა.

ჩვენს ქვეყანას აღნიშნულ სფეროში დიდი პერსპექტივა აქვს, თუმცა დღეისათვის შესაბამისი კანონმდებლობისა და სტანდარტების არარსებობა ერთადერთი პრობლემა არაა. საქართველოში ნაკლებია პროფესიონალი შემფასებლების რაოდენობა, რაც უმთავრესია შეფასების სფეროს განვითარებისთვის. თუმცა არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებით შეფასების პრაქტიკას ნერგავენ და მათ პოპულარიზაციას უწყობენ ხელს.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონება, უძრავი ქონების შეფასება, სტანდარტი.

Abstract

The value of real estate valuation increased from the second half of the 20th century. From this period begins the study of this field at the international level and in practice.

As we know, the standards developed by the International Standards Assessment Board are used in world practice that are customized and foreseen in the interest of interested countries.

Developing international relations and globalization, the countries will move to a new stage of development, which implies the use of international standards. The standards developed by the IVSC include all areas that are important for the development of the economy.

The objective of our interest from the IVSC standards is standards that are devoted to real estate assessment.

Apart from the international assessment standards, the US and Europe operate the assessment practice that has been the subject of change for many years and is now the assessment system that allows us to evaluate objectively in different areas of economy.

In the United States, there is a widespread "common standards for professional practice of assessment" (USPAP), which describes standards that the appraisers should follow in the assessment process. In Europe, appraisers are guided by "European Evaluation Standards" developed by "TEGOVA". This is a nonprofit organization of European assessors which unites 74 Assessment Associations from 37 countries of the world.

When discussing international standards of assessment and implementation of their practice, do not forget that the countries that are currently using these standards in undergone many years of development practice.

For Georgia, as a country with a transitional economy that often experiences economic crisis and characterizes a lot of problems, the absence of international standards of assessment is not a major problem. However, it should be remembered that when the country has a claim to establish relations with countries at international level, it is necessary to carry out relevant measures and implement appropriate practice.

Our country has a great perspective in this field, but nowadays the absence of relevant legislation and standards is not the only problem. In Georgia, the number of professional assessors is less important for development of the field of assessment. However, there are organizations that promote the evaluation practice of international standards and promote their popularity.

Keyword: Real Estate, Real Estate Evaluation, Standard.

შესავალი. უძრავი ქონების შეფასების სისტემას, ჯერ კიდევ 40-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. გარკვეულ ქვეყნებში შემუშავებული იქნა რიგი პრინციპები და მეთოდები, რომლებიც უძრავი ქონების შეფასებაში გამოიყენებოდა.

მიუხედავად ამისა, უძრავი ქონების შეფასებისადმი, როგორც პროფესიისადმი მიდგომა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. შესაბამისად, დაიწყო ამ სფეროს განვითარება და საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებას.

შეფასება, როგორც უკვე არაერთხელ ავღნიშნეთ, ეს არის შემფასებლის მეთოდური დასკვნა უძრავი ქონების ფასის შესახებ. შეფასების სფეროს განვითარების პარალელურად ნათელი გახდა, რომ შეფასების სისტემა მოითხოვდა ქვეყნებს შორის ბარიერების მოხსნას ურთიერთობების გაღრმავების მიზნით. შესაბამისად, როგორც ვიცით საფუძველი ჩაეყარა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებას.

შეფასების საერთაშორისო სტანდარტების ფორმატი მთლიანად ითვალისწინებს იმ ნიუანსებს და პრობლემებს, რომლებიც წარმოიშვა შეფასების სისტემის ჩამოყალიბების მრავალწლიანი პრაქტიკის პერიოდში.

უძრავი ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტები საშუალებას აძლევს ქვეყნებს ყოველგვარი ბარიერების გარეშე დაამყარონ ეკონომიკური ურთიერთობები. შეფასების ერთ-ერთ მთავარ უპირატესობად ითვლება ის, რომ იგი ასახავს ფასების მერყეობას და ეკონომიკურ განსხვავებას რეგიონებს შორის.

შეფასება არის შემფასებლის მეთოდური დასკვნა უძრავი ქონების ფასის შესახებ. შესაფასებელი ობიექტის შეფასების საფუძველს წარმოადგენს შემკვეთსა და შემფასებელს შორის დადებული შეფასების ხელშეკრულება, რომელიც კანონს შეესაბამება.⁶

ძირითადი ნაწილი. კანონით , მიწა და მასზე არსებული საკუთრება, უძრავ ქონებას წარმოადგენს. შემფასებლები იკვლევენ ფიზიკური უძრავი ქონების ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ საკუთრების უფლებას იმის დასადასტურებლად, რომ უძრავი ქონება არსებობს ჩვენი სოციალური გარემოს

⁶ International Valuation Standards, 2017

სტანდარტების შესაბამისად. შეფასებისთვის საჭირო გარემოს ქმნის ის ფაქტი, რომ მიწის პოტენციური გამოყენება ხდება გეოგრაფიული, იურიდიული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.⁷

უძრავი ქონების ღირებულების დადგენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის სარგებლიანობას. შეფასებაში მნიშვნელოვანი პირობაა იმის განსაზღვრა, თუ რა მიზნით ხორციელდება შეფასება. უძრავი ქონების სპეციფიკიდან და კლასიფიკაციიდან გამომდინარე, მისი შეფასება სპეციფიკური ხასიათისაა.

უძრავი ქონების კლასიფიკაცია მისი შინაარსიდან გამომდინარე, როგორც ვიციტ განსხვავებულია და შეფასების დროს შესაბამის მიდგომას საჭიროებს.

შეფასების დროს გასათვალისწინებელია და მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს თავად შემფასებლის კომპეტენტურობა. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, შემფასებელს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მნიშვნელოვანია შემფასებლები ითვალისწინებდნენ და მოქმედებდნენ შესაბამისი ეთიკის ნორმის მიხედვით.

სწორედ ამ სპეციფიკის გათვალისწინებითაა შემუშავებული „შეფასების საერთაშორისო სტანდარტები“ (IVS), რომლებიც შემუშავებულია “შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საკონსულოს“ (IVSC) მიერ.

ეს არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1980 წლის დასაწყისში უძრავი ქონების შემფასებლების მიერ. 90-იანი წლებიდან მოიცავს ბიზნესის შეფასების საკითხებსაც. 2008 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ, IVSC გახდა დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდება მისი წევრების და სპონსორების

⁷ The Appraisal of Real Estate, 847 pages, 14th Edition , 2013, გვ. 5

მიერ.⁸ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IVSC) (შსსს) არის დამოუკიდებელი, არაკომერციული, კერძო სექტორის ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია, ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს.

(IVSC) (შსსს)-ს მიერ შემუშავებული სტანდარტები შემუშავებულია იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რომლებიც წარმოიქმნება შეფასების პრაქტიკაში.

(IVSC) (შსსს) თანამშრომლობს გამოცდილ შემფასებლებთან და რეგულატორებთან. იგი თანამშრომლობს IASB (საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების საბჭო) და FASB (აშშ-ს ფინანსური ანგარიშგების საბჭო). ასევე IOSCO (ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაცია), ESMA (ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების ორგანიზაცია ევროპაში), SEC (ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია), FSA (ფინანსური რეგულირებისა და ზედამხედველობის სამსახური), და სხვა.

საერთაშორისო სტანდარტები შემუშავებული იქნა შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

ა) ძირითადი პრინციპები და კონცეფციების გაგება; შეფასება და განსაზღვრა; დამოუკიდებლობა და ობიექტურობა; კომპეტენტურობა; ფასი, შეფასება და ღირებულება; ბაზრები, ბაზრის საქმიანობა და მისი მონაწილეები.

ბ) შეფასების საფუძვლები, შემოთავაზება და სპეციალური შემოთავაზება: შეფასების საფუძველი (საბაზრო ღირებულება, ყველაზე მაღალი ფასი და მისი საუკეთესოდ გამოყენება, საინვესტიციო ღირებულება, სამომავლო და სპეციალური ღირებულება); დამატებითი შემოთავაზებები (სახელმწიფო აქტივები+გაცვლის პირობები); სპეციალური შემოთავაზება (ფაქტიურისგან განსხვავებული); საოპერაციო ხარჯები; იძულებითი

⁸ Real Estate Appraisal and International Valuation Standards - Aart C. Hordijk

გაყიდვები (იძულებითი გაყიდვები + შესაბამისი მარკეტინგი შეუძლებელია).

გ) შეფასების მიდგომები და მეთოდები.⁹

უძრავი ქონების შეფასებისას შემფასებლებმა უნდა გამოიჩინონ პროფესიონალიზმის მაღალი დონე. ეს ძირითადად გულისხმობს ოთხი პრინციპის გათვალისწინებას: 1. ქცევის კულტურა; 2. მართვა; 3. კონფიდენციალურობა; 4. ანგარიშგების წარმოების უნარი.

მნიშვნელოვანია შეფასების დროს შემფასებელი იყოს მიუკერძოებელი და ობიექტურად შეაფასოს ობიექტი. კონფიდენციალურობას რაც შეეხება, შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც უშუალოდ შეეხება აქვთ შეფასების პროცესთან. შემფასებელი უნდა იყოს ორგანიზებული და შეეძლოს შეფასების პროცესის მართვა, პროცესის წერილობითი ფორმით აღწერა და ისეთი ფორმით წარდგენა, რომ ყველასთვის გასაგები იყოს. შეფასების პროცესთან დაკავშირებული ჩანაწერები შენახული უნდა იქნას მინიმუმ 5 წლის ვადით, მომავალში საქმის ხელახალი განხილვის შემთხვევაში.

შემფასებლების ეთიკაზე წარმოდგენას გვიქმნის პროფესიონალური შეფასების პრაქტიკის სტანდარტები, ეგრეთ წოდებული USPAP-ის სტანდარტები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება აშშ-ი.

აღნიშნული სტანდარტები ძალაში შევიდა 1987 წლის 27 აპრილს. USPAP - ის სტანდარტები აშშ-ში აღიარებული სტანდარტებია და იგი შეფასების პრაქტიკის ნაწილს წარმოადგენს. ამ სტანდარტებს თუ გადავხედავთ შეგვეძლება გავიგოთ როგორ ხდება უძრავი ქონების შეფასება აშშ-ში.

ქვემოთ მოკლედ მიმოხილულია USPAP-ის სტანდარტები, რომლებიც შეეხება ონების შეფასებას.¹⁰

⁹ Real Estate Appraisal and International Valuation Standards - Aart C. Hordijk

სტანდარი 1 - უძრავი ქონების შეფასება და განვითარება – მოცემული სტანდარტი გულისხმობს, რომ შემფასებელმა უნდა განსაზღვროს პრობლემა, რომელიც იქნება გადაწყვეტილი, განსაზღვროს სამუშაოს მოცულობა, რომელიც საჭირო იქნება აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნას სწორი შეფასების განხორციელება.

სტანდარტი 2 - უძრავი ქონების შეფასება, მოხსენება - გულისხმობს შეფასების შედეგების, დასკვნებისა და მოსაზრებების წერილობითი ფორმით გადმოცემას, ისე რომ ყველასათვის მარტივი გასაგები იყოს.

სტანდარტი 3 - შეფასების მიმოხილვა, განვითარება და მოხსენება – მოცემულ სტანდარტში საუბარია შემფასებლის რეცეზენტად დანიშვნაზე, რომელიც გადაამოწმებს გამოვლენილ პრობლემას, მის მოცულობას და მის აღმოსაფხვრელად საჭირო სამუშაოების მასშტაბს. დასკვნები რეცეზენტმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი ფორმით, ისე რომ არ იყოს გაუგებრობის გამომწვევი მიზეზი.

სტანდარტი 4 – უძრავი ქონების შეფასების კონსულტაცია, განვითარება – აღნიშნულ სტანდარტში კონსულტანტმა შემფასებელმა უნდა განსაზღვროს პრობლემა და პრობლემის მოგვარების გზა და სწორი დასკვნების საფუძველზე დაყრდნობით, ხელი შეუწყოს სასურველი შედეგის მიღებას.

სტანდარტი 5 – უძრავი ქონების შეფასების კონსულტაცია, მოხსენება – აღნიშნულ სტანდარტში იგულისხმება, რომ შემფასებელმა კონსულტანტმა უნდა შეაჯამოს არსებული კვლევის შედეგები და გადაამოწმოს მისი სიზუსტე.

სტანდარტში საუბარია შეფასების დროს გაწეული ყველა ტიპის კონსულტაცია, სიტყვიერი თუ წერილობითი, უნდა იქნას წერილობით დასაბუთებული.

¹⁰ Uniform Standards Of Professional Appraisal Practice (Uspap), 2010-2011

სტანდარტი 6 - მასობრივი შეფასება, განვითარება და მოხსენება – მოცემული სტანდარტის მიხედვით, მასობრივი შეფასების განვითარებისთვის და წარმატებით განხორციელებისთვის, საჭიროა შემფასებელმა ზუსტად იცოდეს მეთოდები და ტექნოლოგიები.

სტანდარტი 7 - კერძო საკუთრების შეფასება , განვითარება – მოცემულ სტანდარტში იგულისხმება, რომ შემფასებელმა უნდა განსაზღვროს პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზა, სამუშაოების მასშტაბები სასურველი შედეგის მისაღებად.

სტანდარტი 8 - კერძო საკუთრების შეფასება, მოხსენება – მოცემული სტანდარტის მიხედვით შემფასებელმა ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს შეფასების პერიოდში ჩატარებული სამუშაოები და მისცეს დასრულებული, წერილობითი ფორმა ისე, რომ ყველასთვის გასაგები იყოს და არ გახდეს გაუგებრობის გამომწვევი მიზეზი.

ზემოთ განხილული სტანდარტები წარმოადგენს „პროფესიონალური შეფასების პრაქტიკის ერთგვაროვანი სტანდარტების“ (USPAP) ნაწილს, რომლებშიც საუბარია უძრავი ქონების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნულ სტანდარტებს გააჩნიათ თავისი გამოყენების და პრაქტიკაში დანერგვის წესები, რომლებსაც ვრცლად განვიხილავთ ნაშრომის მომდევნო ნაწილში.

ზემოთ განხილული სტანდარტები დიდათ არ განსხვავდება იმ სტანდარტებისგან, რომლებსაც გვთავაზობს „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“.

2013 წელს, მსოფლიო ბანკთან გამართული შეხვედრის შემდეგ, შეიქმნა საერთაშორისო ქონების შეფასების სტანდარტების კოალიცია(IPMS), რომლის მიზანსაც წარმოადგენს, ქონების შეფასების საფუძველზე დაყრდნობით მსოფლიო შეფასების ჰარმონიზებული სტანდარტების შექმნა. აღნიშნული სტანდარტები მოწოდებულია ნებისმიერი ნაგებობის საფუძვლიანი შეფასებისკენ.

IPMS სტანდარტები ფაქტობრივ გაზომვებს ეფუძნება და მოიცავს პრინციპებს, რომელიც შეეხება ყველა შენობა-ნაგებობას, ესენია;

1. შენობა უნდა ექვემდებარებოდეს გაზომვას;
2. გაზომვა უნდა ხდებოდეს ობიექტური შეფასების გზით;
3. გაზომვები უნდა იყოს დეტალურად და გარკვევით დოკუმენტირებული შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:
 - შეფასებისას რომელი სტანდარტი გამოიყენება, მაგ; IPMS 1, IPMS 2, თუ IPMS 3.
 - გაზომვის საშუალებები;
 - გაზომვის ერთეულები;
 - გაზომვის ცდომილება (დაშვებული);
 - გაზომვის თარიღი.
4. თითოეული შენობა უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, მოხსენებაში ყველა სართული განიხილება განცალკევებით;
5. IPMS სტანდარტი ყველაფერს ვერ განსაზღვრავს და არის სიტუაციები, როდესაც უნდა იმოქმედო სიტუაციიდან გამომდინარე საღაზროვნებაზე დაყრდნობით.¹¹

როგორც ვიცით და უკვე განვიხილეთ, არსებობს უძრავი ქონების სხვადასხვა სახეობა. აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს უძრავი ქონების კლასიფიკაციას. იგი წარმოდგენილია შემდეგი სტანდარტების სახეებით:

- ოფისის შენობები;
- საცხოვრებელი ნაგებობები;
- სამრეწველო შენობები;
- საცალო შენობები.

კოალიცია მოწოდებულია აღნიშნული სტანდარტები გამოყენებული იქნას ყველა ტიპის უძრავი ქონების შეფასებისას.

¹¹ IPMS for Residential Buildings | International Property Measurement Standards (IPMS)ipmsc.org, გვ; 12

დასკვნა. აღნიშნული სტანდარტები საშუალებას იძლევა შენობის ობიექტურად შეფასებისა და ღირებულების ზუსტად დადგენისა, რაც ნებისმიერი მოლაპარაკებისთვის მნიშვნელოვანი და მომგებიანია.

ზემოთ განხილული სტანდარტები საქართველოში პოპულარული არ არის და პრაქტიკაში არ გამოიყენება. თუმცა სტანდარტების დეტალური ხასიათიდან გამომდინარე, აღნიშნული სტანდარტები საქართველოს უძრავი ქონების ბაზარს ახალ საფეხურზე აიყვანდა.

საინტერესო და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული სტანდარტები გამოზრდილია მხოლოდ საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების შეფასებისთვის. როგორც უკვე ზემოთ ავლიშნეთ არსებოს ინდივიდუალური სტანდარტი ყველა ტიპის შენობის შესაფასებლად, ეს არი საოფისე, სამრეწველო თუ ინდივიდუალური შენობა.

ასეთი ყურადღება დეტალების მიმართ, შეფასების პროცესს გაცილებით ამარტივებს და უფრო ობიექტურს ხდის, რაც უკვე ავლიშნეთ, ნებისმიერი მოლაპარაკებისთვის მომგებიანია.

საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, რომელიც ხშირად განიცდის ეკონომიკურ კრიზისს და ახასიათებს უამრავი პრობლემა, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების არქონა უმთავრეს პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როდესაც ქვეყანას პრეტენზია აქვს საერთაშორისო დონეზე ქვეყნებს შორის ურთიერთობის დამყარებაზე, აუციელებელია შესაბამისი ღონისძიებების გატარება და შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა.

ჩვენს ქვეყანას აღნიშნულ სფეროში დიდი პერსპექტივა აქვს, თუმცა დღეისათვის შესაბამისი კანონმდებლობისა და სტანდარტების არარსებობა ერთადერთი პრობლემა არაა. საქართველოში ნაკლებია პროფესიონალი შემფასებლების რაოდენობა, რაც უმთავრესია შეფასების სფეროს განვითარებისთვის.

თუმცა არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებით შეფასების პრაქტიკას ნერგავენ და მათ პოპულარიზაციას უწყობენ ხელს.

საბანკო მენეჯმენტის სპეციფიკა და ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები ბანკებში

Specifics of Bank Management and Features of Financial Management in the Bank

გიორგი ცაავა - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, g.tsaava@banklabonline.com

გრიგოლი ნემსაძე - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Giorgi Tsaava - Doctor of Economic Sciences, Professor,
Georgian Technical University, g.tsaava@banklabonline.com

Grigoli Nemsadze - PhD student
Georgian Technical University

რეზიუმე

სტატიაში შესწავლილია საბანკო მენეჯმენტის ფუნქციები, პრინციპები, სტრატეგიული, ფინანსური და პერსონალის მენეჯმენტი. განხილულია ბანკის უსაფრთხოების მართვის და ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები ბანკში. შეთავაზებულია ოქროს საბანკო წესები, ბანკის საქმიანობის შემოსავლიანობის (რენტაბელობის) ძირითადი მაჩვენებლების (კოეფიციენტების) სისტემა, განხილულია ფინანსური მართვის თანამედროვე სისტემები.

საკვანძო სიტყვები: საბანკო მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური ანალიზი, ფინანსური კრედიტი, ფინანსური ბაზარი.

Abstract: The article deals with: bank management functions, principles, strategic, financial and personnel management. The Bank's security management and financial management features in the bank are discussed. Gold banking rules are offered, the system's main indicators (coefficients) of the bank's activities are considered, modern financial systems are considered.

Keywords: Banking management; Financial management; Financial analysis; Financial credit; Financial market.

შესავალი. როგორც ცნობილია, მენეჯმენტი არის ეკონომიკის მართვის საბაზრო მოდელი, რომელიც სამომხმარებლო მოთხოვნის ყველაზე უფრო სრულად დაკმაყოფილებისას მაქსიმალური მოგების ამოღებაზეა ორიენტირებული. რამდენადაც ბანკები - საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურაშექმნადი ელემენტია, ამიტომ მათი ეფექტიანი მართვა - მთლიანად საკრედიტო-საფინანსო სისტემის

მდგრადობის საფუძველია. საბანკო მენეჯმენტი თავისთავად საკრედიტო ორგანიზაციაში პროფესიონალური საქმიანობის დამოუკიდებელ სახეობას წარმოადგენს [1., გვ. 296 - 300].

საკრედიტო ორგანიზაციის ფუნქციონირების სპეციფიკა ბანკის მართვის თავისებურებებს განსაზღვრავს. აღნიშნული სპეციფიკა მდგომარეობს შემდეგში: ფინანსური რეზერვების მოძრაობის ხელშეწყობა; მოგების ამოღება, უპირატესად, მოზიდული კაპიტალის გამოყენების ხარჯზე; ფინანსურ ბაზრებზე კონკურენციის მაღალი დონე; საბანკო პროდუქტის თავისებურობა; მაღალი რისკები ყველა საბანკო ოპერაციების; მიმდინარე საქმიანობაზე ცენტრალური ბანკის მხრიდან გარეგანი რეგულირებისა და ზედამხედველობის არსებობა; წარმატებული ინფორმაციული სისტემების გამოყენების აუცილებლობა.

აგრეთვე, ცნობილია, რომ საბანკო მენეჯმენტის ფუნქციებია:

- საბანკო საქმიანობის გრძელვადიანი სტრატეგიის არჩევა;
- მიზნების კოორდინაცია, რომლებიც სისტემის ყველა ელემენტების ზემოქმედებებსა და ქმედებებს მართავენ;
- საბანკო საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის ორგანიზაცია (კაპიტალის ფორმირება, პასივებისა და აქტივების მართვა და ა.შ.).

საბანკო მენეჯმენტის პრინციპების კი მიეკუთვნება: მაკროეკონომიკური ფაქტორებისა და ფინანსური ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინება; ცენტრალური ბანკის ნორმატიული მოთხოვნების გათვალისწინება; საქმიანობის ორიენტაცია საბაზრო მოთხოვნაზე, საკრედიტო ორგანიზაციის მომსახურებაზე; საბანკო ოპერაციების შემოსავლიანობისა და რისკების ოპტიმიზაცია; მართვაში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრინციპების შეხამება.

ძირითადი ტექსტი. საბანკო საქმიანობის მაღალი ხარისხით რეგულირებადობის მიუხედავად, თითოეული ბანკი თავისთავად თვითრეგულირებად სისტემას წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი თავისებურებები გააჩნია.

საკრედიტო ორგანიზაციის მართვის პროცესი მოიცავს: მიზნების დასახვას; მმართველობითი საქმიანობის ანალიზს; დაგეგმვას; პროგნოზირებას; ბანკის ყველა ქვედანაყოფების საქმიანობის

ორგანიზებას და რეგულირებას; მონიტორინგს (დაკვირვება), კონტროლს და აღრიცხვას.

საბანკო მენეჯმენტის სახეობებია:

- სტრატეგიული (საერთო) მენეჯმენტი - მოიცავს საკრედიტო ორგანიზაციის განვითარების საერთო კონცეფციის განსაზღვრას, საქმიანობის მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების დასახვას, დასახული მიზნების რეალიზაციასთან მიმართებაში ღონისძიებების შემუშავებას, ბანკის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის როგორც ბანკის ეფექტიანი საქმიანობის ორგანიზაციის ფაქტორის ფორმირებას.
- ფინანსური მენეჯმენტი - არის ბანკის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მართვა, რომელიც მოიცავს: კაპიტალის, აქტივებისა და პასივების, ლიკვიდობის, შემოსავლიანობის, საბანკო რისკების მართვას; ფინანსურ დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას; აღრიცხვისა და ინფორმაციების სისტემას.
- პერსონალის მენეჯმენტი - არის ბანკის საკადრო პოლიტიკის ბაზაზე შრომითი რესურსების მართვა. საკრედიტო ორგანიზაციები საქმიანობის პერსონალტევად სახეობებზეა ორიენტირებული. თანამშრომლების პროფესიონალიზმს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია.

პერსონალის მართვა მოიცავს: კვალიფიციურ თანამშრომლებში მოთხოვნილების დაგეგმვას; საშტატო განრიგის შედგენასა და თანამდებობრივი ინსტრუქციების მომზადებას; პერსონალის შერჩევასა და თანამშრომლების კოლექტივის ფორმირებას; მუშაობის ხარისხის ანალიზს და კონტროლს; პროფესიონალური მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შემუშავებას; თანამშრომლების ატესტაციას: კრიტერიუმები, მეთოდისა, შეფასება; მოტივაციას: შრომის ანაზღაურება, პრემიები, შეღავათები, თანამდებობრივე წინ წაწევა.

პერსონალის განვითარების მიზნებია: კვალიფიკაციის ამაღლება; შრომის ეფექტიანობის ამაღლება; კადრების დენადობის შემცირება; საჭირო ხელმძღვანელი კადრების მომზადება; ახალგაზრდა წარმსატეხული თანამშრომლების აღზრდა; შრომის ბაზრიდან მეტი დამოუკიდებლობის მიღწევა; ახალი ტექნოლოგიებისადმი ადაპტაცია; თანამშრომლების სოციალური ხარისხისა და შრომით

მათი დაკმაყოფილების ზრდა. პერსონალის განვითარების ეტაპებია: კვალიფიკაციის ამაღლება; კარიერის დაგეგმვა; შრომის სტრუქტურირება. ღონისძიებები პერსონალის განვითარებასთან მიმართებაში: შრომისუნარიანობის შენარჩუნება; ცვალებადი პირობებისადმი პერსონალის ადაპტაცია; თანამშრომლების მომზადება უფრო რთული ამოცანების შესრულებისადმი; ამაღლებული რისკების პირობებში მომუშავე თანამშრომლებზე ფსიქოლოგიური დახმარების ორგანიზაცია.

ეფექტიანი მენეჯმენტის ფაქტორებია: პროფესიონალური ზრდა; მოტივაცია (მატერიალური); ხელმძღვანელობის სტილი.

ბანკის უსაფრთხოების მართვა - საკრედიტო ორგანიზაციის ეფექტიანი მუშაობის პირობების უზრუნველყოფაზე მიმართული ღონისძიებების კომპლექსს წარმოადგენს. ბანკის უსაფრთხოების სისტემა მოიცავს:

- ეკონომიკურუსაფრთხოებას, რომელიც ბანკის საქმიანობის ისეთ ორგანიზაციას ითვალისწინებს, რაც უზრუნველყოფს მის სტაბილურობას, საბანკო კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას, კლიენტების ინტერესებისა და ფინანსური მდგრადობის დაცვას;
- ინფორმაციულ უსაფრთხოებას, რომელიც ინფორმაციული რესურსების დაცვის უზრუნველყოფაზეა მოწოდებული;
- საბანკო საკუთრების ობიექტების უსაფრთხოებას, რომელიც ფასეულობების, სათავსოების, მოწყობილობების, ტერიტორიებისა და ა.შ. დაცვას ითვალისწინებს;
- პერსონალის უსაფრთხოებას, რომლის უზრუნველყოფა საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმის (გასაშვებისა და შიდაობიექტურის) ორგანიზაციით, პერსონალის შერჩევითა და მის მუშაობაზე შიდა კონტრილის სისტემის ჩამოყალიბებით ხორციელდება.

ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები ბანკში:

კაპიტალის მართვა ითვალისწინებს [1., გვ. 302 - 305]:

- მისი საკმარისობის დასაბუთებას ბანკის აქტიური ოპერაციების მოცულობასთან, სტრუქტურასთან და შინაარსთან შესაბამისობაში. რამდენად მეტია რისკიანი აქტივების წილი, იმდენად შედარებით მეტი სიდიდის საკუთარი სახსრებია

საჭირო. ნებისმიერ შემთხვევაში ბანკი კაპიტალის მაღალი წილით უფრო საიმედოდ და კონკურენტუნარიანად ითვლება.

- კაპიტალის მოცემული მომენტისათვის გაზრდის ოპტიმალური ხერხის შერჩევას. განასხვავებენ შემდეგ ხერხებს: კაპიტალის ზრდის უმნიშვნელოვანესი შიდა წყაროა - მოგება; ბანკის საწესდებო კაპიტალის გაზრდა შესაძლებელია აქციების გამეორებადი ემისიის ხარჯზე, რაც საემისიო ხარჯებთან არის დაკავშირებული; სუბორდინირებული კრედიტების მოზიდვა.
- კლიენტებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების სახსრების მოზიდვის ღირებულებისა და რისკების გათვალისწინებას.

კაპიტალის გაზრდის წყაროების საბოლოო არჩევა სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობის გათვალისწინებით ხორციელდება.

აქტივებისა და პასივების მართვა- თავის მხრივ, რესურსების ფორმირებისა და მათი აქტიური ოპერაციების მიხედვით განთავსების ისეთი მეთოდების გამოყენებას ითვალისწინებს, რომლებიც ბანკისათვის ლიკვიდობის, შემოსავლიანობისა და რისკის ოპტიმალურ თანაფარდობას უზრუნველყოფენ.

დეპოზიტური ოპერაციების ორგანიზაციისას საჭიროა:

1. დეპოზიტების ვადების, სიდიდეებისა და ფორმების მიხედვით გამრავლფეროვნება, აუცილებლად მოთხოვნამდე, ვადიანი დეპოზიტებისა და მოსახლეობოს ანაბრების გამოყოფით;
2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული დეპოზიტებზე, რომლებიც ბანკის ბალანსის ლიკვიდურობას ყველაზე მეტი ხარისხით უჭერენ მხარს;
3. მუდმივად უნდა იქნას ყურადღება გამახვილებული საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშებზე სახსრების ნაშთებზე და მათი მიხედვით ბრუნვებზე, და ცალკეულ ანგარიშებზე სახსრების მუდმივი ნაშთების არსებობისას მფლობელებებს რეკომენდაცია გაეწიოს მათი ვადიანი დეპოზიტების ანგარიშებზე (შესაძლებელია კრედიტის ქვეშ საკომპენსაციო დეპოზიტის პირობებზეც) გადატანასთან მიმართებაში;
4. მინიმუმადე უნდა იქნას დაყვანილი დეპოზიტურ ანგარიშებზე სახსრები (ანუ აქტიურ ოპერაციებში გამოუყენებელი) თავისუფალი რესურსები;

5. გატარებული იქნას საპროცენტო პოლიტიკა, რომელიც კლიენტების - მენაბრეების მოზიდვას უზრუნველყოფს და ასევე დადგინდეს საპროცენტო მარჟა (მიღებად და გადახდად პროცენტებს შორის სხვაობა) არა ნაკლები, ვიდრე შედარებად ბანკებშია.

აქტივების მართვა ითვალისწინებს: 1) აქტიური ოპერაციების მათი ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით დივერსიფიკაციას. 2) რისკებზე და მათ შემცირებაზე ყურადღების გამახვილებას, აქტიური ოპერაციების მიხედვით შესაძლო დანაკარგებზე რეზერვების შექმნას. 3) აქტივების შემოსავლიანობის მხარდაჭერას.

აქტივების მართვის ძირითადი მეთოდები: ბანკის ყველა რესურსებისაგან (საკუთარი და მოზიდული), ანუ (ანაბრები მოთხოვნამდე, საშემნახველო ანაბრები, ვადიანი ანაბრები, აქციონერული კაპიტალი {აკ} და რეზერვები) სახსრების საერთო ფონდი (მეთოდი 1) იქმნება, რომლიც მიმდინარე ლიკვიდობის, ან სპეკულაციური მოგების უზრუნველყოფის პოზიციებიდან მიმდინარე პრიორიტეტების საფუძველზე აქტივების მიხედვით (პირველადი რეზერვები, მეორადი რეზერვები, სესხები, სხვა ფასიანი ქაღალდები, შენობები და მოწყობილობა) განთავსდება. აღნიშნული მეთოდი რისკიანად ითვლება და აქერდან გამომდინარე მათი ცალკეულ პერიოდებში გამოყენება მხოლოდ მაღალი ფინანსური მდგრადობის ბანკებს შეუძლიათ.

აქტივების განაწილების, ანუ სახსრების კონსერვაციის მეთოდს საბანკო პრაქტიკაში ფართე გავრცელება გააჩნია. იგი სხვადასხვა სახეობის რესურსების მოზიდვის მიმოქცევის სიჩქარეზეა დაფუძნებული. მართვა ხორციელდება ერთდროულად პასივებისა და აქტივების ვადებისა და სიდიდის მიხედვით მათი კოორდინაციის გზით (მაგალითად, მოთხოვნამდე ანაბრები შეიძლება განთავსდეს პირველად და მეორად რეზერვებში, საშემნახველო ანაბრები - მეორად რეზერვებში, სესხებში და სხვა ფასიან ქაღალდებში, ვადიანი ანაბრები - მეორად რეზერვებში, სესხებში და სხვა ფასიან ქაღალდებში, აქციონერული კაპიტალი - სხვა ფასიან ქაღალდებში და შენობებსა და მოწყობილობაში). მეთოდს ბანკის შიგნით შედარებით გამოცალკავებული „ლიკვიდობა - მომგებიანობის ცენტრების“ შექმნისაკენ მივყავართ.

ბანკის მხრიდან კლიენტების მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებაზე ორიენტაციისას ზემოთაღწერილ ორივე მეთოდს ნაკლოვანებები გააჩნია. ლიკვიდობის საშუალო დონეზე ორიენტირებით, ბანკები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კლიენტებს.

აქტივების მეცნიერულად მართვის, ანუ ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდი, ლიკვიდობის ნორმატივების დაცვისა და რისკების დივერსიფიკაციისას მოგების მაქსიმიზაციაზეა ორიენტირებული. არნიშნული მეთოდი ყველაზე ეფექტიანად ითვლება. აქტივებისა და პასივების მეცნიერულად მართვის საფუძველში ეგრეთ წოდებული „ოქროს საბანკო წესებია“ ჩადებული.

აქტივებისა და პასივების აღწერილი მეთოდებიდან ნებისმიერთ მართვის ეფექტიანობის მაჩვენებელს ბანკის აქტიური ოპერაციების მიხედვით შემოსავლიანობის დონე წარმოადგენს.

ოქროს საბანკო წესები {1., გვ. 306}:

- მოკლევადიანი პასივები განთავსებული უნდა იქნან მოკლევადიან აქტივებში. გრძელვადიანი პასივები განთავსებული უნდა იქნან გრძელვადიან აქტივებში.
- მოკლევადიანი და საშუალოვადიანი სახსრების ჯამი აქტივის მიხედვით არ უნდა აჭარბებდეს მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ვალდებულებების ჯამს პასივის მიხედვით.
- გრძელვადიანი სახსრების ჯამი აქტივის მიხედვით შეიძლება აჭარბებდეს ბანკის გრძელვადიანი ვალდებულებებისა და მისი საკუთარი კაპიტალის ჯამს. განთავსების ვადა არ უნდა აჭარბებდეს მოზიდვის ვადას.
- აქტივების სტრუქტურა: ბანკის ბალანსში რამდენად დაბალია მაღალრისკიანი აქტივების წილი, იმდენად მაღალია მისი ლიკვიდობა.
- პასივების სტრუქტურა: რამდენად დაბალია მოთხოვნამდე ანაზრების წილი და მეტია ვადიანი ანაზრების წილი, იმდენად მაღალია ლიკვიდობა.

ბანკის შემოსავლიანობის მართვა {1., გვ. 306 - 308}:

ბანკის შემოსავლიანობის მართვა ითვალისწინებს აქტიური ოპერაციების მიხედვით შემოსავლის ამოღებას, რომელიც საკმარისი იქნება რომ გადაფაროს: დანახარჯები სახსრების მოზიდვის

მიხედვით; საოპერაციო დანახარჯები; ინფლაციის დანახარჯები; რისკები შემოსავლიანი ოპერაციების მიხედვით (პრემია რისკზე).

მოგების გაანგარიშებისათვის პროცენტულ და არაპროცენტულ შემოსავლებს და ხარჯებს გამოყოფენ. ბანკის მოგება საბოლოო ფინანსური შედეგის მახასიათებელია და იგი ბალანსის პასივში აისახება. საბალანსო მოგება თავისთავად შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას წარმოადგენს. ზარალი (ხარჯების მეტობა შემოსავლებზე) ბალანსის აქტივში აისახება.

ბანკები შემდეგი სახის გადასახადებს იხდიან:

- მოგებაზე გადასახადს და ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე გადასახადს;
- დამატებულ ღირებულებაზე გადასახადს, ქონებაზე გადასახადს, გადასახადებს საგზაო ფონდში, ადგილობრივ გადასახადებს და მიწის ფასს.

ბანკის საქმიანობის შემოსავლიანობა (რენტაბელობა) მაჩვენებლების (კოეფიციენტების) სისტემაში აისახება. ძირითად მაჩვენებლებს მიეკუთვნებიან:

$$\text{რენტაბელობა (ROA)} = \frac{\text{აქტივების მოგება}}{\text{აქტივები}} \times 100 ;$$

$$\text{აქტივების რენტაბელობა} = \frac{\text{შემოსავლის მომტანი მოგება}}{\text{შემოსავლიანი აქტივები}} \times 100 ;$$

$$\text{ეფექტიანობა} = \frac{\text{აქტიური ოპერაციები შემოსავლიანი აქტივები}}{\text{აქტივები}} \times 100 ;$$

$$\text{რენტაბელობა (ROE)} = \frac{\text{კაპიტალის მოგება}}{\text{კაპიტალი}} \times 100 .$$

ბანკის შემოსავლიანობის გინივრული (მცოდნე) მართვა ასახავს მრავალი ეკონომიკური სუბიექტების ინტერესებს:

- ბანკი > მოგება.
- სახელმწიფო > გადასახადები და ფულად-საკრედიტო სისტემის მდგრადობა.
- კლიენტები > პროცენტები ანაბრების მიხედვით.
- აქციონერები > დივიდენდების სიდიდე.

რისკების კლასიფიკაცია მრავალფეროვანია: იგი შერჩეული კრიტერიუმებისაგან დამოკიდებულებაში აიგება (ყალიბდება) [2].

ბანკებისა და საბანკო დაწესებულებების რისკები კლასიფიცირდება: ეკონომიკურებად და პოლიტიკურებად, საგაროებად და შედეგებად. საგარეო რისკები თავისთავად მოიცავენ ქვეყნიურ რისკს (კონვერტირებადობის რისკი, ტრანსფერტის რისკი, გადახდის მორატორიუმის რისკი), სავალუტო რისკს (კომერციული, ტრანსლაციური), სტიქიური უბედურებების რისკს. შიდა რისკები მოიცავენ ბანკის კლიენტების შემადგენლობას (სხვადასხვა დარგებისადმი კუთვნილებადობის მიხედვით, სიდიდის მიხედვით, საკუთრებისადმი მიმართების მიხედვით, სამრეწველო, დარეგულირებისა და მიწოდებების, ფორს-მაჟორული გარემოებების, სარესურსო), საბანკო ოპერაციების ხასიათს (ბალანსირებადი ოპერაციების მიხედვით, გარესაბალანსო ოპერაციების მიხედვით, აქტიური ოპერაციების მიხედვით, პასიური ოპერაციების მიხედვით), კომერციული ბანკის სახეობას, სადაც თვით აქტიური ოპერაციები დაიყოფა (ოპერაციის სახეობის რისკი: ბარტერი, ლიზინგი, კლირინგი, ფაქტორინგი, დაკრედიტება; საკრედიტო, პორტფელური: ფინანსური, ლიკვიდობის რისკი, სისტემატური, არასისტემატური), ხილო პასიური ოპერაციები შედგება (დივერსიფიკაციის რისკისაგან, ინფლაციის რისკისაგან).

საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შემდეგი რისკები: საკრედიტო; პორტფელური (ფასიანი ქაღალდები); ლიკვიდობის რისკი;

საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი; სავალუტო (ეროვნულ ვალუტაში აქტივებისა და პასივების ღირებულების ცვლილების რისკი სავალუტო კურსის ცვლილებისას).

რისკების მართვის პრინციპებია:

- არ შეიძლება გარისკო უფრო მეტად, ვიდრე ამის შესაძლებლობას საკუთარი კაპიტალი იძლევა.
- საჭიროა რისკის შედეგები დეტალურად იქნას გათვლილი.
- არ შეიძლება გარისკო ბევრით მცირედის გამო.
- რისკის შემცირების ძირითადი ხერხებია:
- დივერსიფიკაცია (საკრედიტო ან საინვესტიციო პორტფელში აქტივების სხვადასხვა შემოსავლიანობისა და რისკის ხარისხის დონის მიხედვით განთავსება);
- ლიმიტირება - არის ლიმიტის (დაკრედიტების, ხარჯების და ა.შ. ზღვრული თანხების) დადგენა;
- თვითდაზღვევა - არის საკრედიტო ორგანიზაციის ხარჯზე სარეზერვო და სადაზღვევო ფონდების შექმნა;
- დაზღვევა - არის რისკის ნაწილის სადაზღვევო კომპანიაზე გადატანა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის წარმოშობისას ზარალს კრედიტორს სრულად ან ნაწილობრივ აუნაზღაურებს;
- ჰეჯირება;
- მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება როგორც საკრედიტო რისკის შემცირების ხერხი;
- რეზერვების შექმნა შესაძლო დანაკარგებზე.

ფინანსური მართვის ამოცანებია: დანახარჯების ოპტიმიზაცია; საბანკო პროდუქტებისა და საკრედიტო ორგანიზაციის ცალკეული ქვედანაყოფების მუშობის ფინანსური დიაგნოსტიკისა და რენტაბელობის ოპერატიული მონიტორინგის ეფექტური სისტემის შექმნა; ხარჯების, შემოსავლების, მოგების შიდა მართვისა და მართვის პროცედურების ფორმალიზაციისათვის ნორმატიული ბაზის შემუშავება; ანალიტიკური სისტემების ავტომატიზაცია.

ფინანსური მართვის მეთოდებია: ფინანსური ანალიზი, საბიუჯეტო (ფინანსური) დაგეგმვა (ბიუჯეტირება), ბანკის ლიკვიდობის მართვა, ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი, ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდი; მოგების, რისკების, კაპიტალის ადექვატურობის მიზნით აქტივებისა და პასივების დივერსიფიკაცია თანხების, ვადების, ფასების მიხედვით; შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით ბანკებში ხაზინის შექმნის გზით მოკლევადიანი აქტივებისა და ვალდებულებების სახაზინო მართვა; სეკიურტიზაცია - ტრადიციული კომერციული (საკომისიო შემოსავლები) და საინვესტიციო საბანკო ბიზნესის კომბინაციაზე დაფუძნებული აქტივებისა და პასივების მართვის მეთოდი; ბიჯეტირება - არის ბიუჯეტის (შემოსავლებისა და ხარჯების) ფორმირებისა და მონიტორინგის პროცესი, ფულადი ნაკადების ფინანსური დაგეგმვა და მართვა სამეურნეო (კომერციული) გაანგარიშების პრინციპებზე.

დასკვნა. სტატიაში შესწავლილია საბანკო მენეჯმენტის სპეციფიკა, ფუნქციები, პრინციპები, პროცესი და სახეობები, ასევე სტრატეგიული, ფინანსური და პერსონალის მენეჯმენტი; განხილულია ეფექტიანი მენეჯმენტის ფაქტორები, ბანკის უსაფრთხოების მართვა და ფინანსური მენეჯმენტი ბანკში: კაპიტალის მართვა, აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი მეთოდები; შეთავაზებულია ოქროს საბანკო წესები, ბანკის შემოსავლიანობის მართვა, ბანკის საქმიანობის შემოსავლიანობის (რენტაბელობის) ძირითადი მაჩვენებლების (კოეფიციენტების) სისტემა, საბანკო რისკების მართვა და კლასიფიცირება და ფინანსური მართვის თანამედროვე სისტემები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Костерина Т.М. Банковское дело: Учебно-методический комплекс. Москва, издательство: ЕАОИ, 2008. 404 с.
2. Балабанов И.Г. Риск – менеджмент. Москва, 1996.

3. Под ред. О.И. Лаврушина. Банковское дело: учебник. Москва: КНОРУС, 2009. 768 с.
4. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი, გამომცემლობა: შპს „სეზანი“, 2014. 548 გვ.
5. ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა: „დანი“, 2014. 600 გვ.
6. ხანთაძე გ., ცაავა გ., საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). თბილისი, გამომცემლობა შპს „წიგნის სახელოსნო“, 2012. 400 გვ.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

Mechanisms of Quality Assurance in Higher Education Institutions

ნონა ზუმბაძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
n.zumbadze@seu.edu.ge

Nona Zumbadze
Head of Quality Assurance Department
Georgian National University SEU
n.zumbadze@seu.edu.ge

Abstract

Quality assurance is a new service in the higher education system of Georgia. At present, all higher education institutions have a Quality Assurance Office, which elevates about facilitation of the formation of internal mechanisms for quality assurance in educational institutions, implementation of external mechanisms and their further improvement.

Higher education institution is obliged to give the student a high-grade education and the Quality Assurance Office is obliged to support the constant development of teaching and learning quality, to make up the correct, reliable and valid assessment criteria of the learning process, timely monitoring academic staff, evaluate the progress of study process, promote staff development, and inculcate modern teaching/learning techniques, it should cooperate with structural units and care for eradication of defects.

Keywords: Quality of Teaching, Evaluation of Teaching, Monitoring of Teaching.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უმაღლესი განათლების ხარისხზე. აქედან გამომდინარე, უმაღლესი განათლების სტაბილური სისტემისა და სამეცნიერო სფეროს განვითარება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად არის განსაზღვრული. სტრატეგიის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, მუდმივად იზრუნოს მისი ხარისხის

განვითარებაზე და მოამზადოს ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ხარისხის უზრუნველყოფა შედარებით ახალი სამსახურია. ამჟამად, ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მაგრამ საინტერესოა, რას მიაღწიეს მათ არსებობის მანძილზე და როგორ უზრუნველყვეს ამ სამსახურებმა სწავლებისა და კვლევის ხარისხი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობაზე, გარე მექანიზმების განხორციელებასა და მათ შემდგომ სრულყოფაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია სტუდენტს მისცეს ხარისხიანი განათლება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია ხელი შეუწყოს სწავლებისა და სწავლის ხარისხის მუდმივ განვითარებას, შეადგინოს სწორი, სანდო და ვალიდური სასწავლო პროცესის შეფასების კრიტერიუმები, დროულად ახერხებდეს აკადემიური პერსონალის მონიტორინგს, აფასებდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ხელს უწყობდეს თანამშრომლების განვითარებას და სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს დანერგვას, ის უნდა თანამშრომლობდეს სტრუქტურულ ერთეულებთან და ზრუნავდეს ნაკლოვანი მხარეების გაუმჯობესებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფა ვალდებულია უზრუნველყოს, ისეთი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება, სადაც სწავლის შესაძლებლობები, საშუალებები, პროგრამის შინაარსი დასახულ მიზანთან იქნება შესაბამისობაში. ხარისხის უზრუნველყოფა რეკომენდაციებს უნდა აწვდიდეს როგორც აკადემიურ ისე ადმინისტრაციულ პერსონალს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია და ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით უნდა განხორციელდეს. თუმცა აქაც არის პრობლემა, რადგანაც ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ვალდებულია ფორმალური მხარეები შეასრულოს, თუნდაც დოკუმენტების შემოწმება და ნაკლები დრო რჩება რეალური შედეგების შესამოწმებლად, რაც იწვევს ხარისხის შემცირებას.

უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს აქვთ თავისი სტრატეგია, რომელიც მთლიანად უნივერსიტეტის მისიასთან არის შეთანხმებული და მოიცავს ძირითად სამოქმედო გეგმას, მიზნების და ამოცანების, შეფასების ინდიკატორების და წყაროების განსაზღვრას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პროგრამების შეფასება, რომლის შესრულებაში აქტიურად თანამშრომლობენ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. პროგრამების შეფასებას ძირითადად ახორციელებენ კითხვარების საშუალებით და ანალიზის საფუძველზე გეგმავენ პროგრამის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობაში შედის უნივერსიტეტის პირობების და რესურსების შესაბამისობის შეფასება არსებულ პროგრამებთან. ამასთან, უნივერსიტეტის პირობების და რესურსების შეფასების საფუძველზე, შეიმუშავენ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება და ზედმიწევნით განხორციელება გარკვეულ სიძნელებებთან არის დაკავშირებული.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს პროფესორ-მასწავლებლებს აკადემიური საქმიანობის განხორციელებაში. სილაბუსების, კურიკულუმების ცვლილებების პროცესში ჩართვა პროფესორების დამატებით ძალისხმევას მითხოვს, მაგრამ ხარისხის

სამსახურების დახმარებით ხდება მათი დახმარება, ცვლილებების განხორციელება და შედეგი დამაკმაყოფილებელი ხდება ორივე მხარისთვის.

საგანმანათლებლო სისტემაში სწრაფი ცვლილებებიდან გამომდინარე, მართვაში, ზოგად მეჯემენტში, თუ კონკრეტულ უნივერსიტეტთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსაც სტრატეგიები მეტ-ნაკლებად იცვლება. პროფესორთა უმეტესობა უკმაყოფილოა იმით, რომ ბევრი შრომა უწევთ სილაბუსებზე და ხშირად უწევთ მათში ცვლილებების შეტანა, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის. ამის გამო, პროფესორებს ხანდახან შვებულების პერიოდშიც უწევთ მუშაობა. პროფესორთა ნაწილს ესმის, რომ სილაბუსის შეცვლა სწავლის მიმდინარეობის დროს არ არის სწორი.

აკადემიური პერსონალის შეფასება არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ერთ-ერთი სტრატეგიული ფუნქცია, რაც აქტიურად ტარდება სტუდენტების გამოკითხვების მეშვეობით, თუმცა არ არსებობს კოლეგების მიერ აკადემიური პერსონალის შეფასების პრაქტიკა. აკადემიური პერსონალის შეფასების მთავარი მიზანი არის სწავლის ხარისხის ამაღლება და ლექტორების აკადემიური განვითარებისთვის ხელშეწყობა. თუმცა, ამასთან ერთად, აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების აქტიური მონაწილეობა, მათი მხარდაჭერა სხვადასხვა კონფერენციასა და საერთაშორისო მოხილვების განხორციელებაში, აგრეთვე სიახლეებზე საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია, ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა იყოს აკადემიური პერსონალის მიმართ რეკომენდაციის მიმცემი, აზრთა შეჯერება უნდა ხდებოდეს მოლაპარაკების, შეხვედრებისა და ურთიერთშეთანხმების გზით.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს უწყისების განხილვით და რეიტინგების დადგენით, არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია, თუმცა ძირითადი ნაწილი აღნიშნულ ფუნქციას ახორციელებს, როგორც მის ერთ-ერთ მოვალეობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იმ უნივერსიტეტებში, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ახორციელებენ სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, ეს მაინც უფრო ფორმალურ სახეს ატარებს, ვიდრე შინაარსობრივს. არ ხდება სტუდენტების აკადემიურ მოსწრების მონიტორინგის მიზნობრივად, ფუნქციონალურად გამოყენება. სწავლის და სწავლების ხარისხის ამაღლებაზე მიმართული კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. უნივერსიტეტებში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ ფორმალური მოვალეობა, რომლის მნიშვნელობა და შესაძლო დანიშნულება არ არის კარგად გაცნობიერებული. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგისათვის ძირითადად იყენებენ შეფასების ელექტრონულ სისტემას.

თითქმის ყველა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გარკვეული ხარისხით ასრულებს სტუდენტთა მობილობის და კრედიტების აღიარების ფუნქციას. ისინი ჩართულები არიან სტუდენტის გარე და შიდა მობილობის პროცესების განხორციელებაში ან ასრულებენ რეკომენდატორის ფუნქციას შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების მიერ დანახული პრობლემები მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით ხასიათდება. რაც შესაძლოა იმით აიხსნას, რომ თავისთავად ყველა უნივერსიტეტს სპეციფიური პრობლემები აქვს. ამიტომ აუცილებელია უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა,

გამოცდილების, შეხედულებების, მოსაზრებების მუდმივი გაცვლა და გაზიარება.

უმაღლეს სასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სტრატეგიები და პროცედურები, რათა მათი პროგრამების და დიპლომების ხარისხი უზრუნველყოფილი იყოს. მათ უნდა იზრუნონ, შეიმუშავონ და განავითარონ ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სტრატეგია. ყველაფერს ერთად, პროცედურებს და სტრატეგიებს უნდა გააჩნდეთ ოფიციალური სტატუსი და საჯარო უნდა იყოს. ასევე მასში უნდა მონაწილეობდნენ სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარე. მნიშვნელოვანია გამართული იყოს საინფორმაციო სისტემა და ინფორმაციის საჯაროობა.

ხარისხის გარე უზრუნველყოფა უნდა ითვალისწინებდეს შიდა ხარისხის პროცედურების ეფექტურობას. პროცესები თანმიმდევრულად უნდა იქნეს შემუშავებული და გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები ობიექტურად უნდა იქნეს გამოყენებული. უნდა მოხდეს პროცესების მიზანმიმართულება, რათა პროცესების მიზნების შესაბამისობა მოხდეს ამოცანის მიღწევებთან. შემუშავებული რეკომენდაციები უნდა იყოს განმავითარებელი და არ უნდა ატარებდეს სადამსჯელო ხასიათს. ასევე უნდა იქნეს განსაზღვრული შემდგომი განვითარების პროცედურები, რომელიც თანმიმდევრულად განხორციელდება და მოხდეს პერიოდული შემოწმება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG, 2015
2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები. თბ.; 2016

3. ხარისხის გაუმჯობესების მდგომარეობა საქართველოში - მიღწევები და პრობლემები. თბ.; 2010
4. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. თბ., 2013.

Some Aspects of Building a Financial Control System (By the Example of Georgia)

Medea Chelidze - PhD in Economics, Associate Professor

Gocha Abutidze - Doctoral Student

Goga Gelitashvili - Senior Specialist
Georgian Technical University

Abstract

In this article, we have shown that financial control is a complex, multilateral and multidirectional process. It includes the formation of cash funds and their use, the identification of the economic efficiency of financial transactions and the control of the appropriateness of costs.

In Georgia in recent years, special attention has been paid to the State system of internal financial control, which provides independent, objective, public, transparent professional state internal financial control, as well as the creation of an internal audit system.

On March 26, 2010, the Law “On State Internal Audit and Inspection” was adopted, which is the main basis for creating a system of state internal financial control.

The goal of our study is to show how the structure of the organization of financial control in Georgia corresponds to the tasks set. This paper also investigates the importance of financial control system to promote the stable functioning of the financial system.

In Georgia is created the following structure of organization of the financial control: State Financial Control; Departmental Financial Control; Internal Financial Control; Independent Financial Control.

The results show that the financial control system should ensure the implementation of the rights of the state and its organization, as well as all economic entities in the country and protect the rights of all parties.

Keywords: State Financial Control, Departmental Financial Control, Internal Financial Control, Independent Financial Control

1. Introduction

In Georgia State Financial Control System and peculiarities of its operation are defined by the Constitution of Georgia and the Budget Code of Georgia.

2. Some aspects and structure of the financial control system

Executive authorities' financial activities are controlled by the President and the government representative bodies. According to the Constitution the Presidential control of the finances is carried out by means of the issuance of the decrees related to the financial issues, signing laws, nomination the of National Bank President candidates to the parliament and candidate approval.

On the basis of the law "The Law of Georgia on the Structure, Authority and Rules of Operation of the Government of Georgia" (February 11, 2004), Georgian Government regulate financial-budgetary relations, present the draft of the state budget to the Parliament. Georgian Government is carrying out a common state policy in the field of finance, money and credit, carry out coordination and control over the activities of the Ministries and special financial control.

An important place in the state financial control system holds the Ministry of Finance. It controls directly its implementation. Ministry of Finance carries out possess of the development and execution of the state and local budgets, is involved at the implementation of monetary control, controls the directions and effectiveness of the state investments and etc.

The use and expenditure of public funds and other values material from July 2012 supervises the State Audit Office. It is also authorized to inspect activities of other financial and economic state bodies, to present to the parliament proposals on improving Tax Legislation.

The State Audit office (Georgia) is the supreme audit institution, responsible for performing audit. It is entitled to financial, compliance and performance audit implementation. The special attention is paid to the Public Internal Financial Control System, which provides independent, objective, public, transparent professional Public Internal Financial Control and, establishment of Internal Audit System among them. Internal control is the instrument which provides the transparency and independence of the principals of financial management and financial control to ensure countries financial stability and strengthening.

The law “On State Internal Audit and Inspection” was adopted on March, 2010. According to this law and based on the decree N 345 of 9th November 2010 "Internal Audit Issues Review Board" (Harmonization Center) was established. The main objective of the Harmonization Center is coordination of the activities of the entities of the Internal Audit, ensuring the synchronized operation, development of the internal audit processes, organization of the trainings for the internal auditors to ensure their professional development and etc.

The law “On State Internal Audit and Inspection” was improved in 2011 and harmonized with the international standards – INTOSAI and IIA. In this regard, the Parliament made the relevant amendments to the law “On State Internal Audit and Inspection” (December 9, 2011) and except for fundamental changes and addition, the name of the law was changed to the law “On State Internal Financial Control”.

The central role in the Public Internal Financial Control System holds Internal Audit. It is an independent and objective activities aimed to ensure the improvement of institution activities, which with systematic, disciplined approach evaluates and improves risk management, control and governance process efficiency and is directed to the accomplishment of the institution's objectives.

The role of non-state financial control is significantly increased, the role of the financial control, that is carried out independently, without the direct participation of State enforcement authorities, but on the basis of the relevant state laws and regulations.

Internal control is exercised by the enterprise itself, by its economic services - Accounting, Finance Division, Financial Management Service itself, on financial and economic activities of Enterprise, its branches and subsidiaries.

The Legal Basis for Audit Control is defined by the law of Georgia “On Accounting and Financial Audit” (June 29, 2012). Audit in Georgia is carried out in accordance to the International Auditing Standards (ISA).

3. Results and discussion

As we can see, the development of a financial control system is a continuous process for which relevant actions should be carried out continuously by relevant authorities. We also demonstrated the importance of financial control system to promote the stable functioning of the financial system.

4. Conclusion

The content of financial control forms and methods have changed significantly in Georgia due to the changing role of the state in a market economy and developing democracy. In particular: The scale of the state financial control has been limited significantly. At the same time, widens the scope of activity of non-state financial control from audit and insurance firms, mortgage companies and etc. side; especially increased the role of the pre-control. The development of democracy caused the strict control of financial activities of the executive branch and necessity of in-depth analysis of spending effectiveness and feasibility while approving state budget.

References:

1. Mosiashvili, V., and M. Chelidze. 2016. Finance. 377-410. Tbilisi: Dani.
2. Ministry of Finance of Georgia. Public Internal Financial Control. <https://mof.ge/4178>
3. Ministry of Finance of Georgia. Guideline for Risk Management in Public Sector. <https://mof.ge/en/4711>
4. State Audit Office of Georgia. The Law of Georgia on State Audit Office. <http://sao.ge/legislation/the-law-of-georgia-on-state-audit-office>

The Role of Progressive Derivation in English Language

Bagirova Sevinc - English Language Teacher
The University of Economics in Baku

Abstract

As the leading language in the world, English is developing very swiftly. New words, as a rule, appear in speech every day. It should be noted that the vocabulary of the language is constantly enriched by word-building by changing the meaning of words, creating new phraseological units and borrowings.

The article deals with the problem of derived words with old English suffixes. We tried to observe and analyze suffixes -ly, -dom, -ship, -hood which appeared in Old English period and coexist with roots of adjectives, adverbs, numerals and with the present participle. Since the Old English period words with above mentioned suffixes have suffered considerable changes.

It is necessary to note that a suffix may lose its productivity and then revive. This happened, for instance, to some certain suffixes in past. For a long time they were non-productive but in the last hundred years a lot of words were emerged with their help., for instance, to some certain suffixes in past. For a long time they

Keywords: Affixation word-building, Segment structure, Progressive derivation, Suffix productivity, Semantics.

The word as a complex and varied creation is a minimal syntax unit with complex, segmental and morphological structure. The great value of the language is that, with a small number of means, virtually unlimited possibilities are created: the whole lexical foundation of the language will be translated by several hundreds of sounds, with a combination of several hundred roots and fewer words. The key value of the word, as well as the meaning of active impressions, also helps in the use of language lexical foundation.

It is generally known that the structure of any language is characterized by certain peculiarities. Structural composition of the English language is exceptional and it is necessary to familiarize and analyze the meaning of individual lexical units, specific aspects of its importance. During the history of lexical units According to the word output

One of the most productive means of speech production is the idea of progression or progressive derivation. The issue of derivation was always constituted and is now the main problem of word processing. The productions of the word is a complex with the structural-semantic character of the language unit, all attributable and conversion formations, abbreviations, and difficult words. These are semantically associated with the root words. In the lexical composition of the language continuously changes. The new words were made in the language by the words of the original . Derivative words in modern English are much more than the root words.

The famous Russian linguist A. Smirnitski studied the peculiarities of the word industry in the Old English language. He pointed out that some of the independent words were converted into a word-producing expression (ic, scipe, dom, had). In modern English the morphemes -ly, -ship, -dom, -hood is a sophisticated nature that no longer causes doubt.

In this work, we consider the sophistication of the noun name -ly, -ship, -dom and -hood, which are still functional in old English and are still productive (though not unequal). We will try to illustrate their products that prove the productivity and play a large role in the English language of spoken language. We analyze each of these:-ly is the old English origin suffix (BC), which produces both adjectives and verbs. He has reached us in the name of adjective names, still from the Old English period by the adjectives, eg Deadly, "Deadly, deadly", goodly "pretty good, beautiful, . The meaning of a person or subject is expressed in the basis of the fatherly, "paternal", "motherly", "heavenly", earthy, "earthy" etc. In the Middle English period, the name of the adjectives was created by the sophistication of sticky, manly, womanly, beastly, gentlemanly, stately, and in early English with the same suffix: kindly, lonely, elderly Etc. suffix -ly, which also produces the verbs, as we mentioned earlier, with the name of the adjective name and the time of the present time and is characterized by

semantic firmness deep-deeply, clearly-clear, firstly-first, secondly-second, smilingly-smile.

It should be noted that the fact that Suffix-to-Present is a product of the vermiculation of the present time has high productivity. For example: lovingly, laughingly, as before, we mentioned the suffix-less is less productive.

The suffix -ship, which was the base of the adjectives, emerged in the old and Middle English period. For example: false ship (falsehood, betrayal), hardship (misery, tribulation), mad ship (madness), swift ship (speed), wild ship .However, nearly all similar words have been replaced by the ending of the endings on the Suffix. Therefore, in modern English language, the suffix -ship is used to produce abstract substantive names from the substrate roots, which agree with the following meanings:

1. The importance of the condition and the character of the condition (in the synchronization). In this case the ship is attached to the roots of the essential name that expresses the person and gives it the importance: "state, condition, or quality of being what the stem indicates." For example: authorship "state of being a director", state of being a director, friendship "friendship", membership "membership" (state of being a companion), comradeship (state of being comrades), etc.
2. In the sense of sequencing, profession, rank. In this sense, the suffix -ship is also attached to the basics of essential names that refer to individuals who work in a particular area. For example: championship (champion rank) clerkship (secretary, clerk position), generalship (general rank), ladyship (title, lady rank), mastership (teacher rank) page ship (job position), readership (lecturer position, readers), chancellorship (Chancellor's rank), and chairmanship (chairman's responsibilities).
3. The sword-ship (master's art), draft-man ship (art of drawing), airmanship (rhythmic arts), penmanship (Writing, pure writing art),

salesmanship (Art of attracting buyers, art of goods delivery) seamanship (swim art), statesmanship (arts management of government).

In modern English, the suffix -ship is less productive. It produces abstract essentials only meaning "mastery, nuance, skill, art".

In the old English, there are many complex words, the second component is -dom. This component has become a productive expression for the beginning of the medium English period. In the beginning, the dom was attached only to the foundations of the adjectives: freedom (freedom), wisdom (wisdom), halegdom (wisdom). Later he produced the words from the foundations of the bits: bishopdom (bishop's title), earldom (gratist, county), kingdom (royal), masterdom (dominion), popedom (rank of pope).

The modern English language -dom generates abstract essentials from the bases of essential names that express the importance of:

1. The importance of the territory, the country, the dominion, the power of a particular person. For example: kingdom (kingdom), dukedom (duke), earldom (county). In this sense, the suffix is attached to the basis of the essential names and expresses the persons who hold the supreme power.
2. The suffix -dom often expresses the public mood, rank, position of the person on the basis of which the textbook is based. This value has come to us from the time of the Old English period, sheriff Dom (sheriff's position), officialdom (official, bureaucracy), pryncedom (princess rank), peer Dom (peer rank).
3. In modern English, the suffix -dom is widely used in a cognitive sense that expresses the relationship between a class or group of people that are characterized by certain traditions, peculiarities, interests, and etc. Sh. For example: artisdom (artistic world, aristocratic circle), (artist, artist, painter); Beggardom (beggar, "beggar"), bourgeois Dom ("bourgeois") and many others can also list other examples: butler Dom, professor Dom, scholar Dom, teacher Dom, Christendom.

4. Persons belonging to the social status (rank, position), for example: priesthood (priest rank or position), waitresshood (official position), ladyhood (lady rank, condition), neighbourhood (neighborhood).

Depending on the presented material, it is an essential role played in English in an interactive speech that is a long-term process in any language. Even some of the earliest pieces of old English have not lost their productivity yet. Depending on the research found in the article, we can conclude that one of the most productive means of speech is the idea of progression or progressive derivation. The issue of derivation was always constituted and now it is the main problem of word processing. The productions of the word is a complex with the structural-semantic character of the language unit, all attributable and conversion formations, abbreviations, and difficult words. These are semantically associated with the root words.

Bibliography

1. Baugh A.A., History of the English language, 1978.
2. Plysh B. A., History of English, M. 1995.
3. Амосова Н. Н., Етимологические основы словарного состава современного английского языка Москва 1956.
4. Бортиичук Е. Н., Словообразование современного английского языка, Киев, 1988.
5. Смирницкий А. И. Лексикология английского языка, М. 1987.

**ოფშორული პროგრამირება როგორც ბიზნესი მართვის საშუალება
და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში**
**Offshore Programming as a Tool for Business Management and Prospects for
its Development in Georgia**

ივანე ეპიტაშვილი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, davit.chakhvashvili@outlook.com

Ivane Epitashvili – PhD of Theology
Georgian Technical University
Davit Chakhvashvili - PhD of Economics. Professor
Georgian National University, davit.chakhvashvili@outlook.com

რეზიუმე

ოფშორული პროგრამული სერვისი აუტსორსინგის საკმაოდ ფართო მნიშვნელობის ტერმინია და მას ბევრი განმარტება აქვს. ეს აბსტრაქტული კონცეფცია აღწერს ათობით პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროდუქტების მენეჯმენტის ან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მარტივი, შედარებით იაფი მოდელების ფორმირება. მარტივად რომ ვთქვათ, ოფშორული პროგრამირების დროს შემკვეთი ქირაობს გარე მიმწოდებელს, რათ მან განახორციელოს ზოგიერთი IT ამოცანა და რომელიც საბოლოოდ ბიზნეს ოპერაციები ეფექტურობაზე დადებითად იმოქმედებს.

საკვანძო სიტყვები: უტსორსინგი, მენეჯმენტი, მართვა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ეფექტური ბიზნესი მოდელი, ანაზღაურება, სერვისი, სახელმწიფო მხარდაჭერა.

Abstract

The offshore software outsourcing meaning is quite a broad term having lots of definitions. This abstract notion describes dozens of processes aimed at creating IT products or solutions, management, maintenance, etc. Simply put, it's all about hiring an external provider to execute some IT tasks and perform business operation processes.

Keywords: Outsourcing, Management, Management, Information Technology, Effective Business Model, Payment, Service, Government Support.

შესავალი. დღესდღეობით უდავო ფაქტია, რომ რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით მეტია კვალიფიციურ

პროგრამისტებზე მოთხოვნა. პროგრამისტების დეფიციტი კი იწვევს მათთვის ხელფასის მატებას. ამერიკელი პროგრამისტის მუშაობის ერთი საათი, საშუალოდ, 180-230 დოლარი ღირს. ამასთან, კარგი პროგრამის დაწერა ერთნაირად შეუძლიათ როგორც ამერიკელ, ასევე ინდოელ, პოლონელ და ქართველ პროგრამისტებს, თუმცა გაცილებით ნაკლებ თანხებში. მაგ., იმავე სამუშაოსთვის ქართველი პროგრამისტის მთელი თვის ანაზღაურება, საშუალოდ, 300-დან 1000 აშშ დოლარამდეა. კვალიფიციური კადრების უკმარისობის პრობლემა შეიძლება ორი გზით გადაწყდეს. პირველი - ქვეყანაში მეტი ემიგრანტის შემოყვანით და მეორე-შეკვეთების უცხოელი ფირმისთვის გადაცემით. სწორედ ეს უკანასკნელი პროცესი ატარებს ოფშორული პროგრამირების სახელს.

ძირითადი ტექსტი. ბოლო დროინდელმა კვლევებმა დაასაბუთეს, რომ ოფშორული პროგრამისტების გამოყენება გაცილებით იაფია, ვიდრე სპეციალისტების ექსპორტი. ვინაიდან, ჯერ ერთი, ადამიანები დასაქმებულნი არიან და საზღვარგარეთ წასვლის ინტერესი ნაკლებია, ანუ აღარ ხდება ქვეყნიდან ე.წ. "გონების გადინება", და მეორე მხრივ, კომპანიები იხდიან გადასახადებს და ხარჯავენ თავიანთ მოგებას ადგილობრივ ბაზარზე. პროგრამული უზრუნველყოფის ამერიკელი მწარმოებლები სულ უფრო აქტიურად იყენებენ "იაფი ქვეყნების" ინტელექტუალურ რესურსებს. კომპანია Sand Hill Group-ის კვლევებით, 2013 წელს პროგრამული უზრუნველყოფის ამერიკელი მწარმოებლების 74% პროექტების ნაწილს ათავსებდა საზღვარგარეთ, ხოლო ამავე კომპანიის პროგნოზებით, წელს soft-ის გამოყენებულ ყოველ მერვე კომპანიას ეყოლება ოფშორული პარტნიორები.

ოფშორული პროგრამირება, დღეს საკმაოდ დინამიურად ვითარდება მთელ მსოფლიოში. ამ მხრივ ლიდერობს ინდოეთი, ჩინეთი, ისრაელი, ირლანდია. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს რუსეთმა და უკრაინამ. რაც შეეხება საქართველოს, ოფშორული პროგრამირება აქ ჯერჯერობით უცხო ხილია. როგორც ქართველი

სპეციალისტების უმეტესობა აღნიშნავს, საქართველო ამ სფეროში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ამ საქმით დღეს მხოლოდ ათამდე კერძო ფირმა და სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული სამეცნიერო ჯგუფია დაკავებული, თუმცა ისინი უმეტესად გრანტებზე მუშაობენ.

განვითარებადი ქვეყნებისთვის "აუთსორსინგი" ერთ-ერთ გამოსავალია, რადგან ქვეყანაში საკმაოდ სოლიდური ფინანსების მოზიდვას უწყობს ხელს. მაგ., ოფშორული პროგრამირების ბაზრის 75% დღეს ინდოეთს უკავია. აქ აუთსორსინგის გზით ყოველწლიურად ათეულობით მილიარდი აშშ დოლარი შემოდის და ეს ციფრი სისტემატურად იზრდება. აღსანიშნავია ამ სფეროში ჩინეთის წარმატებებიც. ჩინეთის პროგრამული უზრუნველყოფის ასოციაციის (OECD) მონაცემებით, 2016 წლისთვის ჩინეთის პროგრამული უზრუნველყოფის ექსპორტი 26 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა. ძნელი სათქმელია, თუ რა რაოდენობის კაპიტალი ბრუნავს დღეს ქართული ოფშორული პროგრამირების ბიზნესში. ეს სფერო არავის გამოუკვლევია, შესაბამისად ოფიციალური მონაცემებიც არ არსებობსა. ორიენტაციისთვის შეგვიძლია მხოლოდ ამ დარგში მოღვაწე კომპანიების სავარაუდო მონაცემები მოვიყვანოთ. კომპანიების წარმომადგენელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ აუთსორსინგის გზით დღეს საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ათეული ათასი აშშ დოლარი შემოდის, თუმცა იმასაც აცხადებენ, რომ ეს თანხები მხოლოდ მათი კომპანიების მეშვეობით შემოდის. მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში ამ დარგში მილიარდები ტრიალებს. საქართველოში ათეულ ათასებზე საუბარი არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ჩვენთან წლების განმავლობაში პრიორიტეტულ სფეროდ რესტორნებისა და სახინკლეების ბიზნესის განვითარება იყო აღიარებული (მართალია არაოფიციალურად, მაგრამ რეალურად), ინდოეთსა და ჩინეთში (და ასევე სხვა მრავალ ქვეყანაში) კი, IT სექტორის განვითარება სახელმწიფო რანგში იყო აყვანილი და, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც იდგმებოდა. ამიტომაც ამ ქვეყნების პროგრამისტებზე მოთხოვნა

მთელ მსოფლიოში საკმაოდ დიდი მოთხოვნაა და მათთან უმსხვილესი კომპანიები თანამშრომლობენ. საქართველოს IT სექტორს თითქმის არავინ იცნობს და, შესაბამისად, ქართველ პროგრამისტებზე მოთხოვნაც არ არის.

2018 წელს Diceus-ის ექსპერტებმა შეადგინეს ანგარიში ოფშორული დეველოპერები ანაზღაურების შესახებ. ეს მონაცემები ღირებულება და სასარგებლოა მეზისმიერი დამკვეთისთვის და ასევე შემსრყლებლისთვის. ცხრილში შეგიძლიათ შეადაროთ ფასები, გაანალიზოთ საკუთარი შეთავაზებები და შეაფასოთ კონკურენცია მსოფლიოს რეგიონებს შორის. (იხ. ცხრილი 1)

2018 Global Software Outsourcing Rates



Title of Full Time Employee (FTE)	United States	Latin America	Eastern Europe	Asia
Business Analyst	\$110 - \$205	\$45 - \$55	\$40 - \$63	\$30 - \$42
Architect	\$198 - \$292	\$60 - \$72	\$50 - \$77	\$35 - \$48
Project Manager	\$133 - \$233	\$55 - \$66	\$45 - \$70	\$35 - \$48
Jr. Developer	\$105 - \$111	\$35- \$44	\$25- \$42	\$18- \$24
Mid-Level Developer	\$132 - \$140	\$30 - \$52	\$35 - \$56	\$24 - \$35
Lead Developer	\$176 - \$187	\$50 - \$61	\$45 - \$70	\$30 - \$42
Sr. Developer	\$154 - \$163	\$45 - \$55	\$45 - \$70	\$30 - \$42
Junior QA	\$77 - \$81	\$30 - \$39	\$25 - \$42	\$15- \$24
Mid-Level QA	\$99 - \$105	\$35 - \$44	\$30 - \$49	\$20- \$30
Senior QA	\$143 - \$169	\$40 - \$50	\$40 - \$63	\$25- \$36
Graphic Designer	\$79 - \$163	\$40 - \$50	\$35 - \$56	\$25- \$36

საქართველოში ოფშორულ პროგრამირებაზე ოფიციალურად ათამდე კომპანია მუშაობს. მაგ., კომპანიები: "Home Com Communication", "ITEX", "Connect World", "EMCOS", „საათეკი“, "კვანტუმ ჯგუფი", საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი "ITDC" და სხვა. თუმცა, როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში ვარაუდობენ, რეალურად ამ

სფეროში გაცილებით მეტი კომპანიაა ჩართული. ეს კომპანიები ოფიციალურად ტექნიკის შემოტანით ან სხვა საქმიანობით არიან დაკავებულნი. შესაბამისად რთული სათქმელია, რამდენად დინამიურად ვითარდება ეს ბიზნესი საქართველოში, მით უმეტეს, რომ თავად ეს კომპანიები ამჯობინებენ ჩუმად მუშაობას, რასაც იმით ხსნიან, რომ სახელმწიფოსგან არა ხელშეწყობას, არამედ ხელშეშლას უფრო ელიან.

აუთოსორსინგზე მომუშავე კომპანიის შექმნას დიდი კაპიტალი არ სჭირდება. ამისათვის რამდენიმე პროგრამისტის გაერთიანება, ოფისის დაქირავება და ტექნიკითა და ნორმალური სამუშაო პირობებით მათი უზრუნველყოფაც საკმარისია. მთავარ პრობლემას შეკვეთების მიღება წარმოადგენს. ქართველ პროგრამისტებს დღეს მსოფლიოში ნაკლებად იცნობენ. შესაბამისად, მათზე მოთხოვნაც მცირეა. უცხოურ კომპანიებთან დაკავშირება, უმეტესად, პირადი კონტაქტებით ხდება. საერთოდ, შეკვეთის მიმწოდებელ კომპანიაზე გასვლა მთელ მსოფლიოში სამი გზით არის შესაძლებელი. პირველი - პირადი კონტაქტებით, მეორე - ინტერნეტით, და მესამე - რომელიმე სპეციალიზირებული კომპანიის მეშვეობით, რომელიც მედიატორის როლს ასრულებს.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს ქვეყანაში შეკვეთების მოძიება უფრო პირველი გზით დომინირებს. რაც შეეხება მეორე გზას, დღეს ინტერნეტით რომელიმე უცხოურ კომპანიასთან დაკავშირება ფაქტიურად არარეალურია. ამის რამდენიმე მცდელობა იყო, თუმცა, საბოლოოდ ყველა მოლაპარაკება ჩაიშალა. "კვანტუმ ჯგუფის" წარმომადგენელთა აზრით, საქართველოში შეკვეთების უფრო ორგანიზებულად შემოსასვლელად საჭიროა აქ მუშაობის ინტერესი გაუჩნდეს ისეთ კომპანიას, რომელიც შემკვეთსა და შეკვეთის შემსრულებელს შორის მედიატორის როლს შეასრულებს, თუმცა, ჯერჯერობით ჩვენი ქვეყანა ასეთი კომპანიების ინტერესთა სფეროში არ შედის.

საქართველოში შეკვეთების მომწოდებლები უმეტესად წვრილი უცხოური ფირმებია. ქართველ პროგრამისტებთან მათი ურთიერთობა, ძირითადად, ერთჯერადია და რამდენიმე კვირას არ აღემატება. თუმცა, ზოგიერთ კომპანიაში, მაგალითად, "Connect World"-ში აცხადებენ, რომ მათ ერთწლიანი პროექტებიც ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, ასეთი შემთხვევები იშვიათია. საქართველოში დღეს ადგილობრივ ოფშორულ კომპანიებთან შეკვეთის მომწოდებელი არც ერთი მსხვილი უცხოური კომპანია არ თანამშრომლობს. გამონაკლისია მხოლოდ ორი ქართული ჯგუფი. პირველი, კომპანია "EMCOS", რომელიც კონკრეტულად სამანქანო ინდუსტრიაში მოღვაწეობს და მსოფლიოში განთქმულ კომპანიებთან "AUDI"-თან და "Volkswagen"-თან თანამშრომლობს და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორია, რომელიც კომპანია "Motorola"-თან პარტნიორობს. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიასთან დაკავშირებაც ლაბორატორიის ხელმძღვანელის ძალისხმევით, პირადი კონტაქტების მეშვეობით მოხერხდა. რაც შეეხება სხვა პროექტებს, როგორც აღნიშნული ლაბორატორია, ასევე ამ სფეროში მომუშავე კომპანიების უმეტესობა შეკვეთებს გრანტებით იღებს. მსოფლიოს სხვადასხვა ფონდები აფინანსებენ მშვიდობის სფეროში მომუშავე ქართველ მეცნიერებს. ამ ფონდების მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ მოწყვეტონ იარაღის წარმოებაზე მომუშავე ქართველი მეცნიერები ამ სფეროს და არ დაუშვან მათი წასვლა "მესამე" ქვეყნებში. გრანტები დღეს ქართული ოფშორული ფირმების პროექტების, დაახლოებით, 80%-ს შეადგენს.

საქართველოში ოფშორული პროგრამირების განვითარების რამდენიმე ხელისშემშლელი პირობაც არსებობს. ერთ-ერთია თავად ქართველი პროგრამისტების არაორგანიზებულობა. სპეციალისტების აზრით, ქართველ პროგრამისტებს დღეს არა აქვთ მუშაობის ისეთი კულტურა გამომუშავებული, როგორი მოთხოვნაც არსებობს საზღვარგარეთ. ხშირია შემთხვევები, როცა შეკვეთა დანიშნულ

დროს არ სრულდება, ეს კი ყოველთვის წარმოშობს უთანხმოებას შემკვეთთან და, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ავტორიტეტზე.

მეორე პრობლემა ისაა, რომ ჩვენთან ფაქტიურად არ არსებობს დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნება მაღალკვალიფიციური სპეციალისტის (პროგრამისტის) მომზადება. ქართველი პროგრამისტების უმეტესობა თვითნასწავლია. ეს კი ის პრობლემაა, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევასა და მხარდაჭერას. კომპანია "ITEX"-ის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თუ უახლოეს მომავალში სახელმწიფო ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს არ გადადგამს, IT სექტორი საქართველოში არა თუ განვითარდება, არამედ პირიქით, კიდევ უფრო კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს.

დასკვნები. ქვეყანაში ოფშორული პროგრამირების განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო პოლიტიკას. დადებითი საინვესტიციო კლიმატისა და ქვეყნის მიმზიდველი იმიჯის შექმნა, საგანმანათლებლო სფეროში რეფორმების განხორციელება და გარკვეული ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება, რომელიც საქართველოში IT-ის სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს - ეს ის საკითხებია, რომლებიც ხელისუფლების მხრიდან სასწრაფო რეაგირებას მოითხოვენ. თუმცა, როგორც ქართველი IT-ის სპეციალისტები მიიჩნევენ, ეს სათანადო რეაგირება იგვიანებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის განვითარებას. თუმცა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მიიჩნევენ, მუშაობა ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში ამ სფეროს მეტი ყურადღება დაეთმობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Rummyantseva S., How to Manage Software Development Team: Methodologies, Practices & Tools. qubit-labs.com. 2019.
2. Kravchenko I., Free Report on Offshore Software Development Rates By Country. diceus.com. 2018.
3. ჯოლია გ., ჩახვაშვილი დ., ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი. სტუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2013.

ტურიზმის ინდუსტრია და მისი განვითარების პერსპექტივები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

Tourism Industry and its Development Prospective in Samtskhe-Javakheti Region

მარიამ კენჭოშვილი - დოქტორანტი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, kenchoshvilimari1@gmail.com

ლელა წითაშვილი - ასოცირებული პროფესორი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Mariam Kenchoshvili - PhD student

Samtske-Javakheti State University, kenchoshvilimari1@gmail.com

Lela Tsitashvili - Associate Professor of

Samtske-Javakheti State University

რეზიუმე

მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ტურიზმი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ქვეყნებისთვის შექმნან დამატებული ღირებულება და გაზარდონ ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპები. საქართველოს შემთხვევაშიც ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად. მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოსი ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობები და ძირითადი გამოწვევები. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ტურიზმის ინდუსტრია და მისი განვითარების პერსპექტივები უშუალოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება კომპლექსური საკითხია და მოითხოვს მრავალი მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან კოორდინირებულ საქმიანობას, დეტალურადაა განხილული ტურიზმის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების გადადგმის აუცილებლობა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ისე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ.

გლობალიზაციის ეპოქაში ტურიზმის განვითარება წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე და ამ მიმართულებით ადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალის არსებობის გარეშე. ადეკვატური მსჯელობის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადასადგემლი ღონისძიებები აუცილებლობის შესახებ.

ნაშრომში სიღრმისეულადაა გაანალიზებული სამცხე-ჯავახეთის ტურისტული პოტენციალი და მისგან მისაღები ყველა შესაძლო პოზიტიური ეფექტი რეგიონის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონი მდიდარია უნიკალური ბუნებრივი რესურსითა თუ მრავალი ისტორიული ძეგლებით, რეგიონის ეკონომიკური

ზრდის შესაძლებლობათაგან ტურიზმი სწორედ რომ მნიშვნელოვანი მათგანია, რომლის ეფექტიანი და სწორი რეალიზების შემთხვევასი მნიშვნელოვნადაა შესაძლებელი როგორც რეგიონის, ისე საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ინდუსტრია; ეკონომიკური ზრდა; ტურიზმის განვითარება.

Abstract

The fact that tourism is an important opportunity for creation additional value and increase the economic development tempo of the country does not need many proves. In case of Georgia, tourism industry is the important opportunity for ensuring economic development. The work analyses the tourism development opportunities and key challenges in Georgia. There is also analysis of tourism industry and its development prospective directly in Samtskhe-Javakheti region.

As tourism industry development is a complex issue and requires coordinated activities from the side of the state, the necessity of tourism development supportive actions are discussed in details from the side of a national government as well as by the local self-governance authorities.

In the globalization age development of tourism is impossible without modern technologies and without the human resource having adequate education. There is the justified conclusion regarding necessity of the steps to be made by the state.

The work includes in-depth analysis of tourist potential of Samtskhe-Javakheti and all possible effects for economic development of the region. As the region is rich with unique natural resource or historical monuments, the tourism is an important opportunity for the economic growth of the region and efficient and correct realization of this possibility shall be the precondition for the improvement of life level for the population of Georgia.

Keywords: Tourism Industry, Economic Growth, Tourism Development.

შესავალი. საქართველოში ტურიზმის მნიშვნელობის და მისგან მისაღები შესაძლო პოზიტიური ეფექტის სიღრმისეული გააზრება 2003 წლიდან აქტიურად დაიწყო. მოცემული კურსი დღესაც აქტუალურია და უფრო მეტიც, „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის მიხედვით საქართველო უნდა პოზიციონირდეს, როგორც მსოფლიო დონის ტურისტული პროდუქტი და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობის მქონე ტურისტული ლოკაცია [4, გვ.3].

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოსი ტურიზმის ინდუსტრია ზრდის დინამიკით ხასიათდება, მოცემული მიდგომა რელევანტურია გლობალურ ასპექტში. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, რომლის წევრიც საქართველო 1993 წლიდანაა, ბოლო წლებში გაზრდილია საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები და მხოლოდ 2017 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლების ზრდამ შეადგინა 7% [6]

საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ მხოლოდ 2017 წლის მონაცემებით მსოფლიოს მშპ-ს 10.4%, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4.5% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.5% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში სწორედ ტურიზმის ინდუსტრიის „დამსახურებაა“. შესაბამისად ასეთი შესაძლებლობის არ გამოყენება, განსაკუთრებით იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც არ გამოირჩევიან მდიდარი ბუნებრივი რესურსებით და ორიენტირებულნი არიან მუდმივ განვითარებაზე ფაქტობრივად წარმოუდგენელია [7, გვ.1].


ტურიზმის ინდუსტრიის ზრდის მოცემული ტემპი ერთის მხრივ, იმედის მომცემია საქართველოსთვის და ყველა ქვეყნისათვის, რომელთაც ტურიზმის განვითარება ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობად ესახებათ და მეორეს მხრივ, ტურიზმის ინდუსტრიის ზრდის ტემპები, გლობალიზაციის ტემპების გათვალისწინებით, დღის წესრიგში აყენებს ქვეყნის მიერ მრავალი გამოწვევის იდენტიფიცირებისა და მასთან გამკლავების აუცილებლობას გლობალური კონკურენტუნარიანობის მისაღწევად ტურიზმის ნებისმიერი მიმართულებით.

ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკა დაფუძნებულია მომსახურების სექტორის მიერ დამატებული ღირებულების შექმნის მზარდ ტემპებზე და ქვეყნის ყველა რეგიონის უნიკალური ტურისტული პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებაზე. ამ მიმართულების საქართველოს სამხრეთ რეგიონი, სამცხე-ჯავახეთი მდიდარია როგორც ბუნებრივი,

ისე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, რომელთა ადეკვატური შეფასებისა და გამოყენების შემდეგ კიდევ უფრო მეტადაა შესაძლებელი რეგიონის ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება და ცხოვრების დონის ამაღლება, მოსახლეობის ყველა ფენის აქტიური ჩართულობით.

ძირითადი ტექსტი. საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპებს თუკი გავანალიზებთ ბოლო ათწლეული განმავლობაში, დავინახავთ რომ, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ყველაზე მაღალ მაჩვენებელ ქვეყანამ 2007 წელს მიღწია, თუმცა 2008 წლის მძიმე საგარეო შოკის შემდგომ ეს ტემპები ფაქტობრივად განახევრდა და ზრდის ტემპები კვლავ კლების ტენდენციით ხასიათდებოდა 2017 წლამდე.


მიუხედავად ბოლო წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის არათანაბარი დინამიკისა, ტურიზმის სფეროების წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში უკეთესი დინამიკით ხასიათდებოდა და 2018 წელს 8.1%-ს მიაღწია, ხოლო 2018 წელს ტურიზმის წილმა მთლიან შიდა პრიდუქტში 7,6%-ს მიაღწია.



დიაგრამა N1 ტურიზმის სფეროების წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში (%)

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის ინდუსტრიის პოტენციალზე ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით თვალნათლივ გვიჩვენებს დიაგრამა - ქვეყნის შემოსავლების შესახებ საერთაშორისო მოგზაურობებიდან. 2005-2018 წლებში მოცემული შემოსავალი 241 441 ათასი აშშ დოლარიდან 3 222 074 ათას აშშ დოლარამდეა გაზრდილი.



დიაგრამა N2. შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობებიდან

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის მიხედვით 2025 წლისათვის სამიზნე ინდიკატორი ამ მიმართულებით 6.6 მლრდ აშშ დოლარია, რაც დღევანდელი დინამიკით სრულიად მიღწევადი მაჩვენებელია. ასევე, საერთაშორისო მოგზაურობების სამიზნე რაოდენობაა 11 000 000, გაჩერების საშუალო ხანგრძლივობის სამიზნე ინდიკატორი კი 7 დღე. გარდა ამისა, ტურიზმის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, უნდა გაიზარდოს იმ ტურისტთა რაოდენობა, რომლებიც ხარჯვის მაღალი ნიშნულით ხასიათდებიან.

მოცემული სტრატეგია საქართველოს ტურისტული განვითარების კომპლექსური ხედვაა, რომელშიც შეძლებისამებრ გაანალიზებული ყველა ფაქტორი/გარემოება, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ტურიზმის განვითარებაზე, რამდენიმე ისეთ ძირითად პრინციპზე დაყრდნობით, როგორცაა კერძო სექტორის წამყვანი როლი; სახელმწიფოს სრული ჩართულობა; ბაზრების პრიორიტეტულობის განსაზღვრა; მდგრადობა და საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურის განვრცობა მომსახურების სფეროზე [4, გვ.13].

თუკი შუალედური შედეგების ანალიზის მიზნით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2018 წლის ანგარიშს

გადავხედავთ, დავინახავთ რომ საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების ზრდამ 2018 წელს თითქმის 10% შეადგინა, რაც აშკრად პოზიტიური მოვლენაა, თუმცა 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს თუკი შევადარებთ, აღმოჩნდება რომ 2017 წელს ადგილი ჰქონდა 17%-იან ზრდას, რაც ზრდის შენელების მნიშვნელოვანი მინიშნებაა, რომელიც მოითხოვს მოვლენათა გაანალიზებისა და დამდგარი შედეგების ანალიზის აუცილებლობას, შემდგომში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის ზრდის უკეთესი შედეგების მისაღწევად თუ შესანარჩუნებლად. ანგარიშის მიხედვით ყველაზე მეტი ვიზიტორი ქვეყანას გასულ წელსაც მეზობელი ქვეყნებიდან ეწვია და სომხეთის გარდა, ყველა მეზობელი ქვეყნიდან ვიზიტორთა რაოდენობა გასულ წლებთან შედარებით გაზრდილია, განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთის ფედერაციიდან განხორციელებული ვიზიტების ზრდის ტემპი, რომელმაც წინა წელთან შედარებით 23% შეადგინა. აღმოჩნდა, რომ თითოეული ვიზიტორისათვის, ვიზიტის საშუალო დანახარჯი არ აღემატება 1100 ლარს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, სწორედ ამიტომ სწორება მაღალგადამხდელუნარიან ტურისტულ სეგმენტზე მეტად რელევანტურია დღევანდელი მოცემულობით და მიდგომა, რომლის მიხედვითაც პრიორიტეტულია ტურისტთა რაოდენობის ზრდა არამხოლოდ მეზობელი ქვეყნებიდან- სწორი, რადგან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, სწორედ რომ მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების დანახარჯია განსაკუთრებით დაბალი და არ აღემატება აზერბაიჯანის შემთხვევაში 400 ლარს, ხოლო სომხეთის შემთხვევაში 550 ლარს, ეს მაშინ როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან განხორციელებული ვიზიტების შემთხვევაში საშუალო დანახარჯი 1900 ლარამდეა [7, გვ.1-8].

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმის განვითარების მიმართულებით მრავალ საგადასახადო შეღავათს

უწესებს ამ სფეროს მოთამაშეებს. საგადასახადო კოდექსი შეღავათიან საგადასახადო პირობებს ადგენს ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტებისთვის. კანონის “თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ” მოთხოვნის საფუძველზე, ამ ზონებში მოქმედი ინვესტორები გამარტივებული წესით იღებენ ქონებას და თავისუფლდებიან ქონებისა და მოგების გადასახადისგან 15 წლის ვადით და მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელის გადახდისაგან. ასევე საგადასახადო კოდექსი დამატებული ღირებულების გადახდისგან ათავისუფლებს ტურ-ოპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანას და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდებას.[1, გვ 3]

ეს საგადასახადო შეღავათები მნიშვნელოვანი წინაპირობაა ტურ-ოპერატორების დაინტერესების მიმართულებით, თუმცა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2018 წლის ანგარიში მიხედვით საერთაშორისო ვიზიტების 95%-ის შემთხვევაში ვიზიტორებს არ უსარგებლიათ ტურისტული პაკეტებით.[7, გვ 7]

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით უმნიშვნელოვანესია ხაზი გავუსვათ ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად გადადგმული ნაბიჯების არასაკმარის შედეგს, რაც უპირატესად შესაძლებელია გაიზომოს უცხო ქვეყნიდან ვიზიტორთა რაოდენობების ზრდით. განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნებიდან, რომლებიც შედარებით მაღალი გადახდისუნარიანობით ხასიათდებიან. თუკი სტატისტიკას გადავაკვლევთ თვალს დავინახავთ რომ 2015 წლიდან 2018 წლამდე პერიოში ვიზიტორთა შორის ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეთა ხვედრითი წილი 4.7%-დან მხოლოდ 6.2 %-მდეა გაზრდილი, კერძოდ 2015 წელს ვიზიტორთა შორის ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეთა ხვედრითი წილი იყო 4.7%, 2016 წელს იგი 5%-მდე გაიზარდა, 2017 წელს ამ მიმართულებით ზრდა არ დაფიქსირებულა და შეადგენდა კვლავ

5%-ს , ხოლო 2018 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორა რაოდენობამ მთლიან ვიზიტორთა შორის მიაღწია 6.2%, რაც უდაოდ სასიკეთო მაჩვენებელია, თუმცა ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია როგორც მოცემული ზრდის ტემპების შესანარჩუნებლად აქტიური მუშაობა, ისე მის ზრდაზე მიმართული აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა.

ქვეყნის ცნობადობასთან მიმართებაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული რეიტინგები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების დროს მრავალი მიმართულებით რელევანტურია. ასე მაგალითად მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ბოლო 11 წელია მუშავდება საერთაშორისო რეიტინგი 136 ქვეყნას შორის მოგზაურობასა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის მიმართულებით. მოცემული რეიტინგი აანალიზებს იმ ძირითად ფაქტორებს და მიმართულებებს, რომლებიც მოგზაურობისა და ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძველს წარმოადგენს. მოცემულ რეიტინგში საქართველო 136 ქვეყანას შორის 70-ე ადგილზეა და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსით, როგორცაა ომანი, ვიეტნამი და რუმინეთი. მოცემულ რეიტინგში საქართველოს ყველაზე დაბალი შეფასება აქვს ისეთ ასპექტებში, როგორცაა ბუნებრივი რესურსები და კულტურული რესურსები/ბიზნეს მოგზაურობები, ასევე მნიშვნელოვნად დაბალი შეფასებებია როგორც საჰაერო, ისე სახმელეთო და საზღვაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით[3, გვ 13].

მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობთ მსგავსი რეიტინგები ვერ პასუხობს მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების ყველა ძირითად გამოწვევას, მსგავსი რეიტინგები განვითარების მიმართულების საკმაოდ აპრობირებული მიმთითებელია. კერძოდ ის მიუთითებს როგორც წესი, იმ მიმართულებებზე, რომელთა განვითარება და სრულყოფა მეტწილად სახელმწიფო პრეროგატივაა

ან მათ აქტიურ, კოორდინირებულ ჩართულობას მოითხოვს კერძო სექტორთან თუ პოტენციურ ინვესტორებთან მიმართებაში.

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი გამოწვევაა, სწორედაც რომ მდგომარეობს აქტიური პოლიტიკით საქართველოს როგორც მნიშვნელოვან ტურისტულ ლოკაციად პოზიციონირებაშია, თუმცა აუცილებლად სწორი მიმართულებით. ფაქტი, რომ საქართველოს ბუნებრივი პოტენციალი შეფასებულია საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით, მიუთითებს არა რეალურ მდგომარეობაზე საქართველოს პოტენციალზე ბუნებრივი რესურსების მიმართულებით, არამედ არასაკმარისად ეფექტიან ტურიზმის და მოგზაურობის პოლიტიკაზე, რომლიც საკმარისად კარგად ვერ აისახა ქვეყნის პოტენციალი ამ მიმართულებით.

გლობალიზაციის ეპოქამ, ინტერნეტ რესურსებზე დამოკიდებულებამ, კიდე უფრო გაამძაფრა არსებული პოტენციალის რეკლამირებისა და წინ წაწევის აუცილებლობა მსოფლიო ბაზარზე, რადგან დღეს აღარავის უკვირს ორ, აბსოლიტურ იდენტურ საქონელში/სერვისში რადიკალურად განსხვავებული ფასის გადახდა მომხმარებლის მიერ, თუკი რომელიმე მათგანი უბრალოდ კარგადაა „შეფუთული“ ბაზარზე ან რაიმე სტატუსის მატარებელია. მსგავსად ნებისმიერი საქონლისა, ტურიზმის მიმართულებით ჩვენს მიერ შეთავაზებულ სერვისებიც მნიშვნელოვანია სწორად „შეფუთოს“ ბაზარზე და ისე მიეწოდოს მომხმარებელს, განურჩევლად იმისა, თუ ტურიზმის რომელი მიმართულებით ვახორცილებთ სერვისის მიწოდებას.

თუმცა, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობა რეალურად არსებული გამოწვევაა, რომელიც მხოლოდ კომპლექსური მიდგომებით გადაიჭრება. საქართველოში ამჟამად ორი აეროპორტია, რომლიც სრული დატვირთვით მუშაობენ, ერთი მათგანი შედარებით დაბალბიუჯეტურია, რაც ტურიზმის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული

ნაბიჯია. თუმცა, ფრენების დაბალ ბიუჯეტურობა, ქვეყნის ტურიზმის განვითარების პოტენცილის მხრივ არ ამართლებს საკმაოდ მოუწყობელ ინფრასტრუქტურას, რომლის შესახებაც საერთაშორისო ვიზიტორები სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე ხშირად ჩივიან. მნიშვნელოვანია, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, სწორად იქნას გააზრებული ყველა შესაძლებლობა ტურიზმიდან მისაღები ყველა შესაძლო პოზიტიური შედეგის შესახებ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა უწყებებმა მეტი რესურსი დახარჯონ რადგან, ტურისტისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია პირველი შთაბეჭდილება და ის გარემო, რომელშიც ის ჩამოფრინდა, რომელიც ასევე დიდ როლს თამაშობს შემდგომში განმეორებითი ვიზიტების რაოდენობაზე და ვიზიტორის მიერ მოზიდულ ყველა შესაძლო ტურისტზე.

მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც საერთაშორისო მოგზაურობების ონლაინ პლატფორმაზე წავაწყდებით საქართველოში მოგზაურობასთან უკავშირდება უკვე სახმელეთო ტრანსპორტს და მოუწყობელ ინფრასტრუქტურას. კერძოდ, მოძველებულ, ხშირად ამორტიზებულ შიდა გადაადგილების საშუალებებს, არაადადეკვატურად მაღალ ფასს ტურისტებთან მიმართებაში და მოუწყვრებელ საგზაო ნიშნებსა თუ საზოგადოებრივი საპირფარეშოების არ არსებობას.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შიდა გადაადგილებისას არსებული საფასო დისკრიმინაცია ტურისტების მიმართ, განსაკუთრებით ტაქსით მომსახურებისას ჩვეული მოვლენაა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებაში მოხდეს ცნობიერების ამაღლება და იმის გააზრება, რომ ტურისტათვის კეთილსასურველი გარემოს შექმნა, მათი მოზიდვა, შემდგომში ჯამურად ყველას მდგომარეობის გაუმჯობესებას იწვევს, რომელიც არაა ერთჯერადი პროცესი. შესაბამისად ამ მიმართულებით რაიმე სახის რეგულირება ან/და ცნობიერების ასამაღლებლად გადადგმული ნაბიჯები,

შემდგომში მეტად დადებით შედეგებს გამოიღებს ტურისტების მხრიდან კარგი გამოხმაურებებისა და გაზრდილი ვიზიტორების სახით.

სტატისტიკის მიხედვით, ტურისტების მიერ მონახულეზულ ადგილებს შორის თბილისი და ბათუმი ლიდერობს, თუმცა ვფიქრობთ, რომ საქართველოს ნებისმიერ კუთხეს გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, უნიკალური პოტენციალი, რომლის რეალიზება მეტწილად დამოკიდებულია კერძო სექტორთან ერთად, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების, ისე ცენტრალური ხელისუფლების კოორდინირებულ მუშაობაზე.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, მათ შორის, უნიკალურია მდიდარი ტურისტული პოტენციალით. რეგიონი საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და გარდა მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა, როგორცაა კურორტი აბასთუმანი და კურორტი ბაკურიანი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, მდიდარია მინერალური წყლებით და ისტორიული ღირსშესანიშნაობებით.

რეგიონის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს თუკი გადავავლებთ თვალს დავინახავთ, რომ 2017 წელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მიერ შექმნილი წილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენდა 3% და შეადგენდა 1 119,6 მილიონ ლარს მიმდინარე ფასებში, რაც 45 %-ით გაზრდილი მაჩვენებელია 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით, როდესაც რეგიონის მიერ შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენდა 771,5 მილიონ ლარს. რეგიონის მიერ შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურას თუკი გადავავლებთ თვალს დავინახავთ, რომ სოფლის მეურნეობა; ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა; მეთევზეობაზე მოდის ყველაზე მაღალი წილი 236.5 მილიონი ლარი, მეორე ადგილზე 2017 წელს პირველად მოხვდა მრეწველობის დარგი 199.9 მილიონი ლარით, ხოლო მესამე ადგილზეა მომსახურების სხვადასხვა სახეები, რომლი მიერ შექმნილი ღირებულება 2017 წელს შეადგენდა 152.1 მილიონ ლარს. შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ დარგებთან

ერთად (სოფლის მეურნეობა; ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა; მეთევზეობა და მრეწველობა) ტურიზმის განვითარება რეგიონის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან შესაძლებლობად გვესახება.

თუმცა, ტურიზმის განვითარება გამომდინარე თავისი კომპლექსური ხასიათისა, დღის წესრიგში აყენებს მრავალი გამოწვევის იდენტიფიცირების აუცილებლობის საკითხს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან. რადგან ადგილობრივი თვითმმართველობების ეფექტიანი საქმიანობის გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია ტურიზმის განვითარება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საკუთარი უნიკალური მდებარეობის გამო (ესაზღვრება თურქეთსა და სომხეთს) პოტენციურად საუკეთესო ლოკაციაა მეზობელი ქვეყნიდან ტურისტთა მისაღებად. რეგიონში მდებარეობს კურორტი ბაკურიანი, რომელიც ზამთარში როგორც შიდა, ისე უცხოელი ვიზიტორების ერთ-ერთი პოპულარული ლოკაციაა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ტურიზმი ფაქტობრივად კურორტის მაცხოვრებელთა შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ადგილობრივები ფლობენ სასტუმროებს, საოჯახო სასტუმროებს და აქტიურად არიან დაკავებულნი მომსახურების სფეროში. შესაბამისად ბაკურიანის მაგალითზე ადვილი წარმოსადგენია ტურიზმის სფეროდან მიღებული სარგებლის მასშტაბები ქვეყანაში, სადაც ასეთი მძიმე სოციალური ფონია და მოსახლეობის მთავარ გამოწვევას სწორედ რომ უმუშევრობა წარმოადგენს [2, გვ 242].

დაბა აბასთუმანი და ქალაქი ბორჯომი ტურისტთა მიერ ასევე ხშირად მონახულებული ლოკაციებია, როდესაც საქმე ეხება დასვენებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ კურორტ აბასთუმანში ტურისტული ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და ფაქტობრივად, ამ მიმართულებით რესურსები კვლავ გამოუყენებელია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კურორტის

რეაბილიტაციის მასშტაბური პროცესი, რომლის საშუალებითაც მოწესრიგდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, რის შემდეგაც ვფიქრობთ ერთი ორად უნდა გაიზარდოს ტურისტთა რაოდენობა მოცემულ ლოკაციაზე.

გარდა ამისა, რეგიონში მდებარეობს ბაკურიანი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და უამრავი ისტორიული ძეგლი, როგორებიცაა ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, ზარზმის მონასტერი, ჭულევის მონასტერი, საფარის მონასტერი, აწყურის ციხე, მწვანე მონასტერი, ხერთვისის ციხე და სხვა, რომელთა პოტენციური უსაზღვროდ მაღალია. თუმცა მაგ. ვარძიის სამონასტრო კომპლექსამდე მისასვლელი გზის მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია, შესაბამისად მსგავსი ინფრასტრუქტურული ნაკლოვანებები აფერხებს ტურისტული პოტენციალის რეალიზაციის საშუალებებს და ადგილობრივი თვითმმართველობების მთავარ გამოწვევად გვესახება. მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული საგზაო მიმთითებლები და მოწესრიგებული მუნიციპალიტეტები სწორედ რომ სასურველი ტურისტული გარემოს აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია.

რეგიონი სტურისტულ სტატისტიკას თუკი გადავაკლებთ თვალს, დავინახავთ რომ ტურიზმის სფერო ამ რეგიონში ნამდვილად დიდი პოტენციალის მატარებელია, როგორც ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ვიგებთ 2015 წელს მხოლოდ ახალციხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენდა 118 ათას ადამიანს, 2016 წელს ეს მონაცემი 137.6 ათას აღწევს, 2017 წელს ვიზიტორების რაოდენობამ 141.6 ათას ადამიანს მიაღწია და 2018 წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 145.2 ათასი ადამიანი, რაც ბოლო წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. უნდა აღინიშნოს რომ ამავე წყაროს მიხედვით, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იზრდება შიდა ვიზიტორთა რაოდენობა მთლიან ვიზიტორებს შორის. მოცემული

სტატისტიკა ეყრდნობა ქ.ახალციხეში რაბათის ციხეზე წარმოებულ სტატისტიკას და გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ მოცემული ლოკაცია რეგიონის მნიშველოვან ტურისტულ ლოკაციად ითვლება რელევანტურია მოცემული სტატისტიკის რეგიონზე გავრცობაც.[8]

რეგიონის ადგილობრივ თვითმმართველობების როლი რეგიონის პოპულარიზაციის მიმართულებით უმნიშვნელოვანესია და 2018 წლის ბოლოს, რეგიონში ტურიზმის ხელშეწყობის სტიმულირების მიზნით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და USAID/Zrda-ს ინიციატივით სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) დაფუძნება დაანონსდა. DMO-ს მიზანი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია იქნება.შესაბამისად მოცემული ორგანიზაციის აქტიურ და კოორდინირებულ მუშაობაზე რეგიონის მუნიციპალიტეტებთან ერთად, იქნება მნიშვნელოვნად დამოკიდებული რეგიონის ეკონომიკურ ზრდაში ტურიზმის როლის ზრდა.[9]

ინფრასტრუქტურასთან ერთად უდაოდ მნიშვნელოვანია მომსახურების სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციის და უნარ-ჩვევების მქონე კადრების მოზიდვის/გადამზადების როლი ქვეყნის ტურისტულ განვითარებაში. რათა ქვეყნის და მოსახლეობის მიერ მაქსიმალურად იქნას მიღებული ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებით მიღებული ყველა შესაძლო სიკეთე, რაც ადგილობრივთან ერთად ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა.

21-ე საუკუნე განსხვავებული ერაა, როდესაც საქმიანი ურთიერთობებმა სამუშაო მაგიდიდან ინტერნეტში გადმოინაცვლა და არასდროს არ ყოფილა ცვლილებების ხარისხი იმდენად მაღალი როგორც დღეს. ტურიზმის მიმართულებით ბოლო 20 წლის მანძილზე თითქმის ყველა მიმართულებით ძირეულ გარდაქმნებს ჰქონდა ადგილი. დღეს ვიზიტორთა უმრავლესობა თვითონ გეგმავს

საკუთარ მოგზაურობას და სულ უფრო მცირდება იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც ამ სფეროსი შუამავალთა მომსახურებით სარგებლობს. შესაბამისად, იზრდება როლი სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე ინფორმაციის საჭიროებისა ქვეყნისა თუ ბიზნეს ოპერატორების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ამ დრომდე არ მომხდარა ერთგვარი ტურისტული უნივერსალური რუქის შექმნა, რომელიც სახელმძღვანელო იქნებოდა იმ პოტენციური ვიზიტორებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ განსხვავებული და უფრო ობიექტური აზრი ქვეყნის ყველა ტურისტული ლოკაციების მიმართულებით.

ფაქტობრივად, კერძო სექტორს დღეს აქვს ყველა ის უნიკალური შესაძლებლობა, რაც არ ჰქონდათ თუნდაც 15 წლის წინ. დღეს მსოფლიო რეალობაა განათავსო რეკლამა უფასოდ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისთვის ხელმისაწვდომ ინტერნეტ პლატფორმაზე და მიიღო მთელი რიგი სარგებელი თანამედროვე ტექნოლოგიებიდან.

tripadvisor.com, booking.com, airbnb.com და vrbo.com დღეს ტურიზმის სფეროში მოთამაშე ბიზნეს ოპერატორისთვის საქმიანობის განუყრელი ნაწილია. მოცემული ინტერნეტ პლატფორმები - ესაა განუსაზღვრელი შესაძლებლობა მოიზიდო მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ტურისტი და მიიღო სოლიდური სარგებელი. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობით სარგებლობა ვფიქრობთ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად ყველა რეგიონის სოფლის მოსახლეობისთვისაც კი, რომლისთვისაც აუცილებელია ქვეყანაში ინტერნეტიზაციის მაღალი მაჩვენებლის მიღწევა, რაც საშუალებას მისცემს ყველა დამწყებ სტარტაპერს გამოიყენონ უნიკალური შესაძლებლობები, ფეხი აუწყონ მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტემპებს. რადგან საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მაინც რჩება ინოვაციების დანერგვის უფრო მაღალი ხარისხი.

დასკვნები. ტურიზმის ინდუსტრიის ზრდის ტემპი ერთის მხრივ, იმედის მომცემია საქართველოსთვის და ყველა ქვეყნისათვის, რომელთაც ტურიზმის განვითარება ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობად ესახებათ და მეორეს მხრივ, ტურიზმის ინდუსტრიის ზრდის ტემპები, გლობალიზაციის ტემპების გათვალისწინებით, დღის წესრიგში აყენებს ქვეყნის მიერ მრავალი გამოწვევის იდენტიფიცირებისა და მასთან გამკლავების აუცილებლობას გლობალური კონკურენტუნარიანობის მისაღწევად ტურიზმის ნებისმიერი მიმართულებით. ამ გამოწვევების იდენტიფიცირება ფაქტობრივად მოხდა „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის საშუალებით, რომელშიც აღწერილია ყველა ძირითადი/საკვანძო მიმართულებები და გადასადგმელი ღონისძიებები.

სტატიაში გამოიკვეთა, რომ ბოლო წლებში ტურიზმის ინდუსტრიის შედეგების ამსახველი სხვადასხვა მაჩვენებლები მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული, თუმცა ქვეყანა ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიმართულებით, ისე ქვეყნის ცნობადობის გაზრდის მიმართულებით, რომელიც შემდგომში გამოიწვევს მალალ გადახდისუნარიანი ვიზიტორების ვიზიტების ზრდას ქვეყანაში.

გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტიური ჩართულობა მათსავე რეგიონებსა თუ მუნიციპალიტეტებში, როგორც ინფრასტრუქტურის მოწყობის, ასევე ტურისტული პოტენციალის ზრდის მიმართულებით რეკლამირებისა თუ სხვადასხვა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა თუ ვორქშოპებში მონაწილეობით.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალის გასაზრდელად როგორც სტატიიდან გამოიკვეთა, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მრავალი მიმართულებით, რომელიც დადებით სტატისტიკაშია ასახული და სამომავლოდ იძლევა მალალი

ხარისხის რწმუნებას, რეგიონის ეკონომიკური ზრდის საქმეში ტურიზმის ინდუსტრიის პოტენციალის შესახებ, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პროცესთან კომბინაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაციტაძე ნ., სახელმწიფო პოლიტიკა ტურიზმში- საქმიანი (MICE) ტურიზმი საქართველოში, ჟურნ. „ ეკონომიკა და ბიზნესი“, N4, 2018
2. Kenchoshvili M, For Understanding of Challenges of Georgian Labour Market, journal "globalization & business" . N6, 2018, P.244
3. World economic forum. Travel and Tourism Competitiveness Report 2017. P.13
4. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ , გვ.3,13
<https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/> , გადამოწმებულ იქნა 18.04.2019
5. სტატისტიკის ეროვნული სამსახური
6. World Tourism Organization, Why tourism?
<http://www2.unwto.org/content/why-tourism> გადამოწმებულ იქნა 18.04.2019
7. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2018 წლის ანგარიში გვ. 1-8
<https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/> გადამოწმებულ იქნა 18.04.2019
8. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდი <https://www.akhaltsikhe.gov.ge/en/turistebis-statistika> გადამოწმებულ იქნა 30.04.2019
9. <http://zrda.georgianeo.ge/index.php/ka/dmo-samtskhe-javakheti-geo> გადამოწმებულ იქნა 30.04.2019

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საერთაშორისო
ბაზრი და მისი კონკურენტულობა
**International Market of Information-Communication Technologies and its
Competitiveness**

ცოტნე გორდეზიანი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, tsotne.gordeziani@mail.ru

Tsotne Gordeziani- Doctor of Social Sciences, Assoc. Professor,
Caucasus International University, tsotne.gordeziani@mail.ru

რეზიუმე

მაღალი ტექნოლოგიების ბაზარს, მსოფლიო ეკონომიკური აქტივობის ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს, გამომდინარე აქედან ყველა ძლიერი ქვეყანა ცდილობს, ამ ბაზარზე თავისი ადგილი დაიკავოს და შემდეგ გაფართოვდეს აღნიშნული კუთხით და სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია ამ თემით ჩემი დანტერესება, თემა: „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარი და ამ ბაზრის კონკურენტულობა“ მოიცავს აღნიშნული ბაზრის მიმოხილვას და კონკურენტულობის განსაზღვრას, ასევე ამ ბაზარზე საქართველოს შესვლის და შემდეგში განვითარების პერსპექტივებს.

მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად მაღალი ტექნოლოგიების ბაზარი, ყველაზე მეტად ლიბერალიზებულად ჩანს და თითქმის ისე გამოიყურება, რომ ამ ბაზრის გლობალიზაცია მიღწეულია და სრულად კონკურენციული გარემოთი ხასიათდება, მაგრამ ამ ბაზრის შესწავლამ და დაკვირვებამ ცხადყო, რომ მაღალი ტექნოლოგიების ბაზარი არა თუ ლიბერალურობით და მაღალკონკურენტულობით გამოირჩევა არამედ, ერთ ერთი ყველაზე მონოპოლიზირებული ბაზარია მსოფლიოში, ერთის მხრივ ტრანსნაციონალური კომპანიების და მეორე მხრივ მათ უკან მდგომი უზარმაზარი შესაძლებლობების და გავლენების მქონე სახელმწიფოების მიერ, აქედან გამომდინარე ამ ბაზარზე შეღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია იმ კომპანიების და სახელმწიფოების მხარდაჭერისა და ხელდასმის გარეშე, რომლებიც აყალიბებენ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრებს.

საკვანძო სიტყვები: მაღალი ტექნოლოგიები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, საერთაშორისო ბაზარი, გლობალიზაცია, კონკურენცია, ტექნოლოგიური მზაობა.

Abstract

The high technology market holds the largest place for global economic activity, since all the strongest countries are trying to take their place on this market and

then broaden it in this direction and this fact has led to my interest in the topic: "International Market of Information and Communication Technologies Competitiveness of this market oitsavs The market review and determination of competitiveness, as well as the entry of the market and the prospects for development.

Despite the fact that the high-tech market is most liberally visible, it looks almost exclusively that the globalization of this market is achieved and has a fully competitive environment, but the study and observation of this market have shown that the high technology market is not only liberal and highly competitive, but one One at all Is a monopolized market in the world, on the one hand transnational companies and on the other hand with the enormous capabilities and influencing countries behind them, so it is virtually impossible to access this market without the support and support of companies and states that formulate information-communication technologies GIY global markets.

Keywords: High Technology, Information Technology, International Market, Globalization, Competition, Technological Readiness.

შესავალი. მაღალი ტექნოლოგიების ბაზარს, მსოფლიო ეკონომიკური აქტივობის ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს, გამომდინარე აქედან ყველა ძლიერი ქვეყანა ცდილობს, ამ ბაზარზე თავისი ადგილი დაიკავოს და შემდეგ გაფართოვდეს აღნიშნული კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად მაღალი ტექნოლოგიების ბაზარი, ყველაზე მეტად ლიბერალიზებულად ჩანს და თითქმის ისე გამოიყურება, რომ ამ ბაზრის გლობალიზაცია მიღწეულია და სრულად კონკურენციული გარემოთი ხასიათდება, მაგრამ ამ ბაზრის შესწავლამ და დაკვირვებამ ცხადყო, რომ მაღალი ტექნოლოგიების ბაზარი არა თუ ლიბერალურობით და მაღალკონკურენტულობით გამოირჩევა არამედ, ერთ ერთი ყველაზე მონოპოლიზირებული ბაზარია მსოფლიოში, ერთის მხრივ ტრანსნაციონალური კომპანიების და მეორე მხრივ მათ უკან მდგომი უზარმაზარი შესაძლებლობების და გავლენების მქონე სახელმწიფოების მიერ, აქედან გამომდინარე ამ ბაზარზე შეღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია იმ კომპანიების და სახელმწიფოების მხარდაჭერისა

და ხელდასმის გარეშე, რომლებიც აყალიბებენ მაღალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარს.

ძირითადი ნაწილი. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პირველი გარღვევა იყო მე-19-ე საუკუნეში, როდესაც მორზესა და სტეფანსონის თაოსნობით, 1837 წელს ტელეგრაფი ამოქმედდა, 1876 წელს კი ალექსანდრ ბელმა ტელეგრაფზე უკეთესი საკომუნიკაციო საშუალება ტელეფონი შექმნა, წერტილები და ხაზები საჭირო აღარ იყო, სწრაფი და მოქნილი კომუნიკაცია მიღწეული იქნა, მაგრამ საკმარისი არც ეს იყო.

პირველი გაზეთი მე-17-ე საუკუნეში გამოჩნდა, ხოლო მე-19-ე საუკუნეში ტელევიზორი, მე-20-ე საუკუნის 70-იან წლებში ინტერნეტი შეიქმნა, ხოლო მასიური გამოყენება დაიწყო 90-იან წლებში, როდესაც დომენ WWW-სისტემა გამოიგონეს.

ინტერნეტის განვითარებაში დიდი ნაბიჯია დაგეგმილი 2020 წელს, როდესაც მასიურ მოხმარებაში შევა 5G ინტერნეტი, აღნიშნული ინტერნეტ მომსახურება უკვე დაიტესტა ა.შ.შ-ში ნევადის შტატში ერთ-ერთ პატარა ქალაქში და მისი გამშვები ორგანიზაციის ხელმძღვანელის განმარტებით 5G ინტერნეტი დაახლოებით რამდენიმე ათეულ-ჯერ უფრო სწრაფი იქნება ვიდრე უკვე არსებული ბოჭკოვანი ინტერნეტი, ამის თვალსაჩინოდ მანვე მოიყვანა მაგალითი, მისი თქმით თუ არსებული ინტერნეტით, ყველასათვის საყვარელი სერიალის „სამეფო კარის თამაშების“ სრულად ჩამოსაწერად საჭირო იყო 1 საათი, 5G ინტერნეტით იგივე ოპერაციას 1 წუთში შევასრულებთ, რაც ნამდვილად შთაბეჭდავია.

აღნიშნული ინტერნეტის ექსპლუატაციაში სრულად ჩაშვების შემდეგ ანუ 2020 წლისთვის ჩატარებული კვლევის თანახმად ერთმანეთს მსოფლიოში ინტერნეტით 50 მილიარდი ელექტრო მოწყობილობა დაუკავშირდება

დღეს პლანეტის მოსახლეობის ნახევარს დაახლოებით 4 მილიარდ ადამიანს სიღარიბის ან ინფრასტრუქტურის არ არსებობის

გამო, არ აქვს ინტერნეტზე წვდომის საშუალება, ამ პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობენ აბსოლიტურად ყველა დიდ მაღალტექნოლოგიურ კომპანიაში და შესაბამისად გეგმებიც წარმოადგინეს, მაგ: ტექნოლოგიური კომპანიების ტესლასა და სპეისექსის დამფუძნებელმა ილონ მასკმა უკვე მიიღო 4225 ინტერნეტ გამშვები თანამგზავრის გაშვებაზე უფლება და ახორციელებს კიდევაც მათ გაშვებას ორბიტაზე, აღნიშნული გეგმა ითვალისწინებს მსოფლიოს ინტერნეტით სრულად დაფარვას.

როგორც სხვა ყველაფერს ინტერნეტსაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, მცირდება სამუშაო ადგილები, რიგ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება პირადი ინფორმაციის დაცულობა, და ა.შ.

გარდა ამისა არსებობს მოსაზრება, რომ ტექნოლოგიებმა ეკონომიკის განვითარებაში და სიღარიბის აღმოფხვრაში სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ამის არგუმენტად მოყავთ ფაქტი ეკონომიკური ზრდის შენელების შესახებ, რადგან მსოფლიო მ.შ.პ-ს ზრდამ ბოლოს 5%-ს 1976 წელს გადააჭარბა, რაც მანამდე ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, ამ მოსაზრებას ყავს ბევრი დამცველი მსოფლიოში და ასევე ბევრი კრიტიკოსი, რომელთა შორის მეც ვარ, ჩემი აზრით აღნიშნული ფაქტი მეტწილად, სხვა ტექნოლოგიებიდან დამოუკიდებელი მიზეზებით არის გამოწვეული, მაგ: ამ ფაქტის გასაბათილებლად საკმარისია გადავხედოთ მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობას 1976 წელს, რომელიც 4 154 287 594 ადამიანს შეადგენდა, ხოლო იგივე მაჩვენებელი 2019 წელს 7 714 576 923 ადამიანს წარმოადგენს, ამ სტატისტიკიდან ჩანს, რომ მსოფლიო მოსახლეობა გაიზარდა 1976 წლიდან 2019 წლამდე 3 მილიარდ ადამიანზე მეტით და თითქმის გაორმაგდა, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ტექნოლოგიების გარეშე არა თუ მსოფლიო ეკონომიკა განაგრძობდა 5%-ით და მეთით ზრდას არამედ შეიძლება საერთოდ შეეწყვიტა ზრდა და სტაგნაციისკენ წასულიყო. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მე-20-ე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა ორი მსოფლიო ომი,

რამაც გამოიწვია ომის შემდგომ პერიოდებში მსოფლიო ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები, მოგეხსენებათ ეკონომიკაში პოსტკრიზისული პერიოდები მაღალი ზრდის ტემპებით გამოირჩევა.

მაღალტექნოლოგიური კომპანიების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად ითვლება კოსმოსის ათვისება სხვადასხვა მიზნით, როგორც ზემოთ ავლნიშნე ილონ მასკმა წარმოადგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ორბიტაზე ინტერნეტ გამშვები თანამგზავრების გაშვებას და ასევე კოსმოსური ტურიზმის განვითარებასა და მარსის კოლონიზაციას.

მარსის კოლონიზაციის და კოსმოსური ტურიზმის განვითარებაზე და ამ იდეების პერსპექტიულობაზე ვერაფერს მგახსენებთ მაგრამ, ინტერნეტგამავრცელებელი თანამგზავრების გაშვება ორბიტაზე სრულიად რეალურია, თუნდაც იმ რაოდენობით, რაც space x-ში აცხადებენ, რაც მთლიანობაში 4425 თანამგზავრის გაშვებას გულისხმობს, ამ გეგმის ამბიციურობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის დედამიწის ორბიტაზე მხოლოდ 1600-მდე თანამგზავრი ბრუნავს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ Space x-ს უკვე აქვს დიდი გამოცდილება ამ დარგში მის ანგარიშზე უკვე ათობით გაშვებული თანამგზავრია.

თუმცა ეს ყველაფერი არ არის და აღნიშნული 4425 თანამგზავრი 1110-1325 კილომეტრის სიმაღლეზე განთავსდება, ხოლო მეორე ფაზაში, რომელიც სისწრაფისა და მიწოდების ხარისხის გაზრდის ითვალისწინებს space x დედამიწის ქვედა ორბიტაზე 335-246 კმ სიმაღლეზე 7518 თანამგზავრის გაშვებას გეგმავს.

ის ფაქტი, რომ დედამიწის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი საერთოდ მოკლებულია ინტერნეტით სარგებლობას, ხოლო მეორე ნახევარის უმრავლესობა დაბალი ხარისხის ინტერნეტით სარგებლობს და ამას დავამატებთ სრულიად ახალი სისწრაფის და ხარისხის 5G ინტერნეტის ხმარებაში ჩაშვებას, რომელიც ხელმისაწვდომი ჯერ არ არის თვალნათელი გახდება თუ რა მოცულობის ბაზართან გვაქვს

საქმე, ეს ბაზარი მეტისმეტად დიდია არა მხოლოდ რომელიმე ცდალკეული კომპანიისთვის არამედ ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, თუნდაც ეს ქვეყნები სუპერსახელმწიფოები იყვნენ. მიუხედავად ბაზრის ასეთი მასშტაბურობისა და ჯერჯერობით აუთვისებლობისა აღნიშნულ ბაზარზე კონკურენცია მაინც არ შეინიშნება, რადგან არნიშნულ თემით დაინტერესება მხოლოდ ერთმა კერძო კომპანიამ ტესლამ გამოხატა დანარჩენი ყველა კომპანია სახელმწიფოების საკუთრებას წარმოადგენს, რაც თავისთავად სპობს კონკურენციას, რადგან საქართველოს და ჩვენ შესაძლებლობების ქვეყანა ვერ გაუწევს კონკურენციას აშშ-ს, ჩინეთს, რუსეთს და სხვა უდიდეს სახელმწიფოებს, მიმაჩნია, რომ ამ ბაზარზე კონკურენცია და თავისუფალი საბაზრო პირობების ჩამოყალიბება შეუძლებელია, რადგან ასეთი ტექნოლოგიების განვითარებას ძალიან დიდი თანხები სჭირდება საუბარია ათობით მილიარდ დოლარზე, გარდა ამისა აღნიშნულ ბაზარზე შესვლას სპეციალური ნებართვა სჭირდება და კონტროლდება სახელმწიფოს კონკრეტული უწყებებისგან. საუბარია არა ინტერნეტ პროვაიდერებზე არამედ კოსმოსის ათვისებაზე და მის გამოყენებაზე, ინტერნეტის გავრცელებაზე რაც კიდევ უფრო მონოპოლიზებულს გახდის აღნიშნულ ბაზარს.

იმის თვალსაჩინოდ, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზარზე კონკურენცია ძალიან დაბალ დონეზეა ან საქმე გვაქვს მონოპოლისტურ კონკურენციასთან, საკმარისია გავიხსენოთ ისეთი დიდი მოცულობის ბაზარი, როგორც არის კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაზარი, ამ ბაზარზე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, საკმაოდ დამაბული კონკურენტული გარემოა თუ გავიხსენებთ ისეთ კომპანიებს, როგორებიც სამსუნგი და ეიფლი არიან და მათ ეპიკურ ბრძოლას სმარტფონების ბაზარზე, შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, რომ აღნიშნული ბაზარი მაღალი კონკურენტულობით გამოირჩევა და სხვა კომპანიები წმინდა კონკურენტულ ბრძოლაში მარცხდებიან ამ ორ გიგანტთან, სინამდვილეში რეალობა სხვანაირად

გამოიყურება, ჩემს მიერ მოძიებული ინფორმაციით, რომელიც განთავსებულია ბლუმბერგის პლატფორმაზე და თუ სირღმისეულად დავაკვირდებით ამ ორი კომპანიის აქციების დიდ ნაწილს ერთიდაიგივე საინვესტიციო კომპანიები ფლობენ, ასევე ისინი თანამშრომლობენ ერთი და იგივე კომპანიებთან, მიკრო ჩიპების და მეხსიერების ბარათებით მომარაგების პროცესში, რომლებიც თავის მხრივ ასევე იმ საინვესტიციო კომპანიების მფლობელობაში არიან, რომლებიც ზემოთ ვახსენე ესენია: Icbc, Chna Construction Bank, Berkshire Hathaway, Jp Morgan Chase, Wells Fargo, და სხვა კიდევ რამდენიმე კომპანია რომელთა საერთო საბაზრო ღირებულებამ 2018 წელს ფორბსის ინფორმაციით 35 ტრილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა, იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ბაზარი მონოპოლიზირებულია და უფრო და უფრო მონოპოლიზირებული ხდება ადასტურებს ის ფაქტი, რომ სმარტფონების ბაზრიდან გაქრა ისეთი ტექნოლოგიური გიგანტი, როგორც ნოკია არის, არადა პირველი ანდროიდ სისტემა და სმარტფონი სწორედ ნოკიამ შექმნა, და გამოუშვა ბაზარზე მაშინ ამ მოვლენამ ყოველგვარი რეკორდი მოხსნა და გაიყიდა მანამდე არ არსებული რაოდენობის სატელეფონო მოწყობილობები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნოკიაც არც ინოვაციებზე და სიახლეებზე ჰქონდა პრობლემა და არც ბაზრის ათვისებასა და რეკლამირებაზე, მაგრამ მისი ნაწარმი მაინც გაქრა დახლებიდან, მაშინ აღნიშნული ფაქტი ბევრმა ექსპერტმა კონკურენციის მაღალ დონეს დაუკავშირა და აცხადებდნენ, რომ ნოკიამ ვერ გაუძლო თანამედროვე გამოწვევებს. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად იყო თუ დავაკვირდებით იმ დროს განვითარებულ მოვლენებს და ნოკიას მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციას აღმოვაჩინოთ, რომ ნოკიას გაკოტრება არა კონკურენტულმა გარემომ არამედ სხვა ფაქტორებმა გამოიწვიეს, კერძოდ ნოკიას აკრძალა ჩინეთის ბაზარზე ოპერირება იმ მიზეზით, რომ თუ ნოკიას უნდოდა ჩინეთის ბაზარზე წვდომა მაშინ მათ უნდა დაეთმოთ აქციების წილი ჩინური კომპანიების სასარგებლოდ, ანუ

გარკვეული თანხის სანაცვლოდ ნოკიას აქციები გადავიდოდა ჩინური საინვესტიციო კომპანიების ხელში და ნოკიას უნდა აეღო ვალდებულება, რომ მის ყველა გამოგონებაზე უნდა ჰქონოდა წვდომა სხვა ჩინურ ტექნოლოგიურ კომპანიებს ასევე ნოკიას უნდა გადაეტანა საწარმოები ჩინეთის ტერიტორიებზე, რაზეც ნოკიაში უარი განაცხადეს, რამაც გამოიწვია მეტ წილად ნოკიას გაკოტრება, შემდეგ კი ნოკიამ მხოლოდ იმის შემდეგ განაახლა წარმოება, რაც მისი აქციების დიდი ნაწილი აღნიშნულმა ჩინურმა კომპანიებმა შეიძინეს. ასევე ამ პერიოდს უკავშირდება ის ფაქტი, რომ სწორედ ნოკიას გამოგონების შემდეგ გახდა სტივ ჯობსი სმარტფონების მამა, რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა სხვა კომპანია, რომელიც ოპერირებს კომპიუტერული სისტემების ბაზარზე აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს რაც წაუყენეს ნოკიას.

ტექნოლოგიების ბაზარზე არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო პოლარიზებულს ხდის აღნიშნულ ბაზარს, იმ ტექნოლოგიურ გიგანტებს, რომლებსაც მონოპოლიზირებული აქვთ ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარი, თითქმის ყველა იმ ქვეყანაში აქვთ საკუთარი საწარმოები სადაც არის დიდი ბაზარი და დიდი შესაძლებლობები ახალი მოთამაშის გაჩენისათვის, რაც თავისთავად ხელს უშლის ახალი ბაზარზე ახალი კომპანიების გამოჩენას.

ახლა ეს ყველაფერი გადმოვიტანოთ საქართველოსთან მიმართებაში, ღირს თუ არა ჩვენ დავხარჯოთ დრო, ენერჯია და ფული კომპიუტერული და საოჯახო ტექნიკის მწარმოებელი კომპანიების შექმნაზე და განვითარებაზე. მიმაჩნია, რომ საქართველოში ასეთი საწარმოების დამოუკიდებლად შექმნა და მათი გაძლიერება უბრალოდ შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი საწარმოების შექმნას და კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსებას ათობით მილიარდი დოლარი სჭირდება, რაც ამ ეტაპისთვის საქართველოს პირობებში ძალიან დიდ თანხას წარმოადგენს, მაგრამ მაინც თუ დავუშვებთ, რომ იქნა გამოძებნილი

აღნიშნული ინვესტიციები და საწარმოები შეიქმნა, ამის შემდეგ თავს იჩენს სხვა არანაკლები სირთულის პრობლემები მაგ: უკვე გაჯერებული ბაზრის ახალი სეგმენტის დაკავება, ამისათვის კომპანიას უნდა ჰქონდეს ისეთი მოცულობის შიდა ეროვნული ბაზარი, რომ სახელმწიფოს დახმარებით ამ ბაზარზე დამკვიდრების შემდეგ ფინანსური პრობლემები აღმოიფხვრას, რის საშვალეზასაც საქართველოს ბაზარი ვერ იძლევა მისი სიმცირიდან გამომდინარე.

ელექტროტექნიკის საწარმოების გახსნა და ამ კუთხით განვითარება შესაძლებელია კიდევ ერთი გზით, რასაც წარმოადგენს უკვე არსებული კომპანიების დაინტერესება, რომ საწარმოები გახსნან რომელიმე ქვეყანაში და შესაბამისი ბიზნეს გარემოს შეთავაზებით. საქართველოს პირებებში ეს მომენტიც გამორიცხულია, რადგან ჩვენ არ გავაჩნია ისეთი პირობები, რომ დავაინტერესოდ, რომელიმე დიდი კომპანია, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გახსნას საწარმო, რადგან როგორც ზემოდ ავღნიშნე ამას ბევრი ფული სჭირდება, მაგრამ ეს არ არის მთავარი პრობლემა, რადგან ასეთ კომპანიებს შეუზღუდავი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ, მაგრამ მათ დასაინტერესებლად უნდა გავაჩნდეს ისეთი მოცულობის ბაზარი, რომ ღირდეს მოცემულ ლოკაციაზე საწარმოს გახსნა, ჩვენს პირობებში კი ბაზარი წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას, რაც მთლიანობაში 3,7 მილიონი მცხოვრებია, უკეთეს შემთხვევაში საქართველოში გახსნილმა საწარმომ შეიძლება დაფაროს აზერბაიჯანის და სომხეთის ბაზრები, რაც საგრძნობლად ზრდის ბაზრის მოცულობას, 15 მილიონი მომხმარებელი, ეს რატქმაუნდა პატარა რიცხვი არ არის მაგრამ არასაკმარისია იმისთვის, რომ ბაზრის სიდიდის გამო ვინმემ ჩვენთან გადმოიტანოს საწარმოები, რჩება მეორე გზა შეექმნათ თავისუფალი ეკონომიკური ზონები და გავათავისუფლოდ გადასახადებისგან დაინტერესებული კომპანიები და შევთავაზოთ იაფი მუშა ხელი, პირველ რიგში ეს არ გამოიწვევს რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს, რადგან ასევე თავისუფალი ეკონომიკური ზონები არის ჩვენს

მეზობელ თურქეთსა და რუსეთში და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ორივეს ჩვენს მაზლობლად აქვს აღნიშნული ზონები ერთს ტრაპზონი და ბურსა მეორეს კი ყაზანის ოლქი, ერთის შიდა ბაზარი 90 მილიონი მომხმარებელია მეორესი 150, ერთი ეკონომიკურად ყველაზე პერსპექტიულ ადგილზე მდებარეობს მეორეს მთელი ორი კონტინენტი უჭირავს და ამ ყველაფერს ემატება მათი პოლიტიკური გავლენები სხვა ქვეყნებზე, რაც ამ იდეასაც ბუნდოვანს ხდის, რჩება იაფი მუშა ხელი, რაც მართლაც გამოგვარჩევს თურქეთისა და რუსეთისაგან, მაგრამ აქაც ჩიხში შევდივართ, რადგან აღნიშნული ფაქტი მხოლოდ სტატისტიკაა და რეალობაში არ ხორციელდება, რადგან ორივე ქვეყანაში მრავლად არიან ემიგრანტები, მათ შორის ქართველები რომლებიც, არათუ საგრძნობლად აიაფებენ სამუშაო ბაზარს არამედ რიგ შემთხვევებში, მხოლოდ თავშესაფარისა და ლუკმა პურის ფასად მუშაობენ, აქედან გამომდინარე ამ უპირატესობაც ვკარგავთ.

დასკვნა. ჩემი აზრით საქალთველოს ამ კუთხით განვითარებას აქვს ორი გზა ესენია: დავაინტერესოდ ინვესტორები პოლიტიკურად და გამოვიყენოდ ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა იმისთვის, რომ სწორედ თურქეთისა და რუსეთზე გამოცხადებული ეკონომიკური სანქციების პირობებში, შევთავაზოთ ამ სანქციების ავტორებს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორია მათი პროდუქციის დამზადების კუთხით, შემდეგში რეგიონის მოსამარაგებლად, რაც შედარებით ძნელი შესასრულებელია, რადგან ორივე ქვეყანა ჩვენზე პოლიტიკურად ძლიერია და მეტ ბერკეტებს ფლობს ამ იდეის არგანხორციელების შესასრულებლად, ან არსებობს მეორე გაცილებით მარტივი გზა, ჩვენი ქვეყნის ფინანსური სახსრები მივმართოთ ტრადიციული მეურნეობების განსავითარებლად, ის პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები მივმართოთ იმ დარგების განსავითარებლად რაც უკვე ვიცით და რისი წარმოებაც უკვე გვაქ და ჩვენ თუ მოვახერხებთ, რომ ამ ბაზრებზე ჩვენი ნიშა დავიჭიროთ და საერთაშორისო ბაზარზე გავიდეთ, შემდეგ შევძლებთ დავაგროვოთ

მატერიალური დოვლათი და დავაფინანსოთ ეკონომიკის ნებისმიერი დარგი მათ შორის ზემოთ მოყვანილი ელექტროტექნიკის წარმოებაც და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟურნალები და ელექტრო მედია საშუალებები: forbes Georgia, კომერსანტი, www.business press news, გადამოწმებულია: 23.03.2019
2. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის. www.geostat.ge გადამოწმებულია: 23.03.2019
3. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ვებ-გვერდი. www.economy.ge გადამოწმებულია: 23.03.2019
4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. ვებ-გვერდი www.mfa.gov.ge გადამოწმებულია: 23.03.2019

ჰიდროელექტროსადგურის მართვა ბიზნეს-პროცესების კონტექსტში The Management of Hydroelectric Station in Context of Business Processes

ბაჩო რუსიშვილი - დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, brusishvili@gmail.com

Bacho Rusishvili - PhD Student

Georgian Technical University, brusishvili@gmail.com

რეზიუმე

განხილულია საქართველოში მოქმედ ჰიდროელექტროსადგურ „სამცხის“ ბიზნეს-პროცესების მართვა. მასში ნათქვამია, რომ მართვის ეს ფორმა ახალია, მან შეცვალა ფუნქციური მართვა და ყოველი კომპანია უნდა იცნობიერებდეს მისი დროული დანერგვის მნიშვნელობას კონკურენტულ ბრძოლაში გადარჩენისთვის.

სტატიაში წარმოდგენილია ბიზნეს-პროცესების 13 ჯგუფის ჩამონათვალი, აღწერილია საწარმოო პროცესების მართვაში მონაწილე სამსახურები და ცალკეული სამუშაო ადგილები, უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ამ პროცესების მართვაში ძირითადად მონაწილეობენ ოპერატიული პერსონალი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი; კერძოდ, ცვლის უფროსები, მოტორისტები, ინჟინრები, რეპორტირების ანალიტიკოსები და სხვა. სტატია მთავრდება დასკვნით, რომელშიც წარმოაჩენილია ჰიდროელექტროსადგურის ბიზნეს-პროცესების მართვაში შემჩნეულ ზოგადი ნაკლოვანებები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-პროცესის მართვა; ბიზნეს-პროცესი; დისპეტჩერიზაცია.

Abstract

It is discussed the management of business processes of hydroelectric station “Samtskhe“which is functioning in Georgia. It is said that this style of management is new, the functional management was changed by it and every company should aware of the necessity of its fast implementation to survive in the battle of competition.

In the article it is shown the list of 13 group of business processes, it is described the services that are participating in the management industrial processes and other working places as well, rights, obligations and responsibilities. The main participant of these processes is an operational personal and administration-technical staff, for example, shift bosses, motorists, engineers, reporting analyst and others.

This article finishes with the conclusion in which the author reveals some general problems connected with the management of hydroelectric station's business processes.

Keywords: Business Process Management; Business Process; Production Control.

შესავალი. ფუნქციურის ნაცვლად პროცესული მიდგომა მენეჯმენტში უახლესი მიმდინარეობაა. მას შეიძლება ახალი ტექნოლოგიაც კი ეწოდოს, თუმცა, იგი მართვის ორგანიზაცია უფროა, ვიდრე წარმოების ტექნოლოგია. ასეა თუ ისე, პროცესული მართვა სიახლეა, და, თუ გინდათ, რომ კონკურენციაში გადარჩეთ, ან კიდევ უკეთესი ბაზრის ლიდერი გახდეთ, სიახლე გაგებისთანავე უნდა დანერგო. „ახალი ტექნოლოგიების შესასწავლად და დასანერგად საჭიროა დროსა და სივრცეში შესაბამისი რეაგირება. შეუძლებელია გაიგო მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ დღეს და დანერგო ხვალ...“ [1, გვ. 16].

ამ ყველაფრით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოს კომპანიები დაფიქრდნენ ამ საკითხზე და დროულად დაიწყონ ჯერ პროცესების ანალიზი, გააზრება, გაცნობიერება, შემდეგ კი - მათი მართვა.

მოცემულ სტატიაში ეს სამუშაო ჩატარებულია ერთი კომპანიის მაგალითზე ზოგად ჩარჩოში. ეს კომპანია არის საქართველოში ფუნქციონირებადი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც კერძოა და რომლის მესაკუთრის სურვილის მიხედვით, აქ, და შემდეგშიც, მას კოდური სახელწოდებით „სამცხე“-თი მოვიხსენიებთ.

ძირითადი ტექსტი

1. ჰიდროელექტროსადგურ „სამცხე“-ს დახასიათება

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო;

დაფინანსების წყარო: კერძო ინვესტიცია;

მესაკუთრე: კერძო პირი;

მისამართი: კონფიდენციალურია;

ენერჯის გამომუშავება: 2017 წელს 400581480 კვტ.

2. ბიზნეს-პროცესების მართვა ა ჰიდროელექტროსადგურ „სამცხე“ -ში ჰესის მართვა და კონტროლი ხორციელდება თანამედროვე ციფრული სისტემების(SCADA)-ს გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად გამოირიცხოს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ავარიები და დაზიანებები. ამ სისტემის დანერგვამ შესაძლებელი გახადა სადგურის მართვა შედარებით მცირე პერსონალის დახმარებით. სწრაფად და ეფექტურად ხდება სადგურის მართვა სხვადასხვა რეჟიმების დროს, და რაც ყველაზე მთავარია, მაქსიმალურად გახადა შესაძლებელი ადამიანების დაცვა მავნე გარემო ფაქტორების ზემოქმედებისაგან. ჰესს ემსახურება 30 ადამიანი. მომსახურე პერსონალის ძირითადი ნაწილი უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე კვალიფიციური პერსონალია.

ჰესის მართვა ხორციელდება შემდეგნაირად.

1. ოპერატიული პერსონალი _შემადგენლობა: 4 ცვლის უფროსი, 5 მორიგე ინჟინერი, 4 მორიგე მემანქანე, 4 მორიგე მოტორისტი, 1 უფროსი მოტორისტი. ჩვლის უფროსი ხელმძღვანელობს სადგურის ოპერატიული მართვის პროცესს. მის დაქვემდებარებაშია:

1.1. მორიგე ინჟინერი - პასუხს აგებს სადგურის ელექტრულ ნაწილზე.

1.2. მორიგე მემანქანე - პასუხისმგებელია სადგურის მექანიკურ ნაწილზე.

1.3. მორიგე მოტორისტი - პასუხისმგებელია სათავე ნაგებობაზე.

მორიგე მოტორისტებს ადმინისტრაციულად ხელმძღვანელობას უწევას უფროსი მოტორისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში (შვებულება, ავადმყოფობა და ა.შ) ცვლის მორიგე მოტორისტს.

2. ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი:

2.1. სადგურის მენეჯერი: ის პასუხისმგებელია სადგურის მართვაზე და მას ემორჩილება მთელი პერსონალი. მის უშუალო დაქვემდებარებაშია: ელექტრული ნაწილის უფროსი, მექანიკური ნაწილის უფროსი, ტექნიკური უსაფრთხოებისა და

ექსპლუატაციის ინჟინერი, რეპორტირებისა და დაგეგმვის ანალიტიკოსი.

2.2. ელექტრული ნაწილის უფროსი, მექანიკური ნაწილის უფროსი -პასუხისმგებელია სადგურის ელექტრულ ნაწილზე. ასევე ის მენეჯერის ადგილზე არ ყოფნის დროს ითავებს მენეჯერის მოვალეობას. მის დაქვემდებარებაშია ოპერატიული პერსონალი, ავტომატიკის ინჟინერი, ელექტრული გაზომვების რელეური დაცვისა და SCADA-ს ინჟინერი და ელექტიკოსი.

2.2. მექანიკური ნაწილის უფროსი - მის დაქვემდებარებაშია ოპერაციული პერსონალი, მექანიკურ ნაწილზე პასუხისმგებელი პირი და მექანიკოსი.

2.3. ტექნიკური უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის ინჟინერი - კოორდინაციას უწევს სადგურში უსაფრთხოების წესების დაცვას, ექსპლუატაციის წესების დაცვას, სადგურის აღჭურვას ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის სამუალებებით, საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას, ავარიული და სახანძრო უსაფრთხოების სწავლების ორგანიზებას.

2.4. რეპორტირებისა და დაგეგმვის ანალიტიკოსი -აწარმოებს საკანცელარიო, აგრეთვე წარმოებული ელექტროენერჯის სააღრიცხვო და ანალიტიკურ საქმიანობას. აწარმოებს დოკუმენტაციის თარგმნას, ასრულებს თარჯიმნის ფუნქციას.

2.5. ავტომატიკაზე პასუხისმგებელი პირი -მის მოვალეობაში შედის ელექტრო მოწყობილობებისა და დანადგარების ავტომატიკის სისტემის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის წარმოება. დადგენილი ნორმების მიხედვით მათი გაზომვებისა და გამოცდების ჩატარება..

2.6. ელექტრული გაზომვების, სარელეო დაცვების და SCADA-ს ინჟინერი - ახორციელებს ჰესის ტექნიკურ მომსახურებას, ელექტრო მოწყობილობებისა და დანადგარების რელეური დაცვის, SCADA-ს სისტემის მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს.

დადგენილი ნორმების მიხედვით მათი გაზომვებისა და გამოცდების ჩატარებას.

2.7. ელექტრიკოსი-სარემონტო პერსონალი, რომელიც ჩართულია ელექტრული მოწყობილობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ჩატარებაში.

2.8. გარემოს დაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი - პირი, რომელიც ახორციელებს ჰესის მოწყობილობების ეკოლოგიურად სუფთად ექსპლუატაციისათვის განსაზღვრულ აუცილებელ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს. აგრეთვე ავარიების და გარემოზე უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების მიზნით პროფილაქტიკურ სამუშაოთა წარმოებაზე კონტროლს.

2.9. მექანიკურ ნაწილზე პასუხისმგებელი პირი - ახორციელებს „ჰეს“-ის ტექნიკურ მომსახურებას, მოწყობილობებისა და დანადგარების მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს.

2.10. მექანიკოსი-სარემონტო პერსონალი, რომელიც ჩართულია მექანიკური და სარემონტოსამუშაოებში.

ჰესის მართვის აპარატის სტრუქტურიდან და დასაქმებულთა შორის ფუნქციების განაწილებიდან ირკვევა, რომ ყველა ისინი ჩართული არიან სხვადასხვა ბიზნეს-პროცესების შესრულებაში. ასეთი პროცესები კი მოცემულჰესში მეტად ბევრია. ისინი იწყება ბაზრის და მომსახურებათა შესწავლიდან და მთავრდება გარე გარემოს მართვით.

ამ პროცესების დიდი რაოდენობის მიუხედავად, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ სტატიაში მათი წარმოდგენა, რათა შევაფასოთ ისინი, გავიცნობიეროთ ჰესისთვის მათი სპეციფიკა და მენეჯმენტის კონტექსტში შევაფასოთ მათი დღევანდელი მდგომარეობა.

ქვემოთ მოგვაქვს შპს „სამცხე“-ში ბიზნეს-პროცესების ჩამონათვალი. ჩამონათვალში შედის 13-ჯგუფის ბიზნეს-პროცესები. თითოეული ჯგუფი აერთიანებს რამდენიმე (3-5) ქვეჯგუფს, ხოლო ქვეჯგუფები ცალკეულ პროცესებს:

- ბიზნეს-პროცესების პირველი ჯგუფი: ბაზრის და მომხმარებლების ანალიზი.
- ბიზნეს-პროცესების მეორე ჯგუფი: სტრატეგიის შემუშავება.
- ბიზნეს-პროცესების მესამე ჯგუფი: გენერაცია.
- ბიზნეს-პროცესების მეოთხე ჯგუფი: ტრანსპორტი.
- ბიზნეს-პროცესების მეხუთე ჯგუფი: პერსონალის მართვა.
- ბიზნეს-პროცესების მეექვსე ჯგუფი: ტექნიკური მომსახურება და რემონტი.
- ბიზნეს-პროცესების მეშვიდე პერიოდი: დისპეტჩერიზაცია.
- ბიზნეს-პროცესების მერვე ჯგუფი: გასაღება.
- ბიზნეს-პროცესების მეცხრე ჯგუფი: ინფორმაციული რესურსების მართვა.
- ბიზნეს-პროცესების მეათე ჯგუფი: მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვა.
- ბიზნეს-პროცესების მეთერთმეტე ჯგუფი: გარე კავშირების მართვა.
- ბიზნეს-პროცესების მეთორმეტე ჯგუფი: ცვლილებების და გარდაქმნების მართვა.
- ბიზნეს-პროცესების მეცამეტე ჯგუფი: გარე გარმოსთან მუშაობის მართვა.

ზემოთჩამოთვლილი ბიზნეს-პროცესები იმართება შპს „სამცხე“-ს მართვის აპარატის მიერ. ზოგიერთ პროცესს, მაგალითად, ბაზრის შესწავლა, სტრატეგიის შემუშავება და სხვა, მართვის უმაღლესი დონე მართავს, ზოგიერთს, მაგალითად, პერსონალის მართვა, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენება და ა. შ. - მართვის საშუალო დონე, ხოლო ზოგიერთს, მაგალითად, გენერაციას, ტრანსპორტს, დისპეტჩერიზაციას და ა. შ. - მართვის ქვედა (ოპერაციული) დონე.

ქვედა ანუ ოპერაციულ დონეზე ბიზნეს-პროცესების მართვის ანაგრიზებები მოცემული ჰესის კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. ამით ისინი თავს იცავენ კონკურენტებისგან. რაც

შეეხება მართვის ზედა და საშუალო დონეზე მართულ პროცესებს - ბაზრის შესწავლას, სტრატეგიის შემუშავებას, პერსონალის მართვას, ფინანსების მართვას თუ სხვას, ეს ანგარიშგებებიც ნაწილობრივ საჯაროა, ნაწილობრივ არა.

დასკვნა. შპს „სამცხე“-ს ზემოჩამოთვლილი ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტის ადგილზე გაცნობით, ჩვენ ისინი ასე შევაფასეთ:

- პროცესები არ არის გააზრებული ცალკეულ დეტალების (მხედველობაში ოპერა-ციები გვაქვს) ჭრილით;
- არ არსებობს პროცესების მმართველობითი აღრიცხვა;
- მრავალი პროცესი არაფორმალიზებულია;
- კორპორატიული სტანდარტები პროცესებში ნაკლებ გათვალისწინებულია;
- პროცესების განახლებას ფრაგმენტული ხასიათი აქვთ;
- პროცესების შედეგი ხშირად რაოდენობრივად არ გამოიხატება და არც შედეგებზე არის ვინმე მპასუხისმგებელი;
- პროცესებზე საქმის წარმოება არაეფექტურია და ხშირ შემთხვევაში ანგარიშგებაც არ სდგება;
- ადგილი აქვს პროცესებზე ინფორმაციის დამახინჯებას;
- პროცესები მოწყვეტილია კლიენტთა მოთხოვნებისგან;
- ცალკეულ პროცესების ეფექტიანობა სხვა პროცესების დაზარალებით მიიღება;
- პროცესებზე არსებობს დუბლირებული ფუნქციები;
- ბიზნეს-პროცესების გარდაქმნები და ცვლილებები იშვიათად ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. მახვილამე, ბიზნეს-პროცესების რეინჟინინგის თავისებურებები საქართველოში, თბ., 2016. დისერტაცია, გვ. 16.

2. ნ. სამსონია, მ. ლომსაძე-კუჭავა, ბ. ჭანტურიძე. საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის ძირითადი ამოცანები. ჟურნალი სოციალური ეკონომიკა, №2, 2010 წ.
3. გ. ამყოლაძე, მ. ლომსაძე-კუჭავა; „ენერგობაზრის მართვა, საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი" 2012 წ.
4. გ. ამყოლაძე, მ. ლოსაძე-კუჭავა, „ორგანიზაციის თეორია და მენეჯმენტის საფუძვლები, უნივერსიტეტი „გეომედი“, თბილისი 2011 წელი.
5. ა. სიჭინავა „ინვესტიციები თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა, თბ. 2010წ.

**შეფასების საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების
მნიშვნელობა უძრავი ქონების შეფასების მსოფლიო პრაქტიკაში**
**The Importance of International and European Standards in the World
Practice of Real Estate Assessment**

ნაზი ჭიკაიძე - პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
nazichikaidze@gmail.com

თეკლე ხელაძე - დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
tekle-1991@mail.ru

Nazi Chikaidze - Professor, Georgian Technical University
nazichikaidze@gmail.com

Tekle Kheladze - PhD Student, Georgian Technical University
tekle-1991@mail.ru

რეზიუმე

წინამდებარე სტატია, „შეფასების საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მნიშვნელობა უძრავი ქონების შეფასების მსოფლიო პრაქტიკაში“ ეხება მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება უზრავი ქონების შეფასების სისტემის განვითარებაში. საერთაშორისო სტანდარტებიდან აღსანიშნავია შეფასების საერთაშორისო სტანდარტები (IVS) და ევროპული შეფასების სტანდარტები (EVS). სწორედ აღნიშნული სტანდარტები წარმოადგენს შეფასების საფუძველს მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. IVS 2017 და EVS 2016 სტანდარტები, თავისი სტრუქტურულიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა შინაარსობრივად და მათი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ისინი ერთმანეთს გავს. მნიშვნელოვანია იმ განსხვავებების განხილვა, რომლებიც აღნიშნულ სტანდარტებს ახასიათებს.

შეფასების ყველა მეთოდი და პროცედურა, თუ იგი დაფუძნებულია ბაზრის მონაცემებზე, ერთიდაიგივე საბაზრო ღირებულებას გამოხატავს. გაყიდვების შედარების მეთოდი ან სხვა შედარებითი საბაზრო მეთოდი, ბაზრის დაკვირვებაზეა დაყრდნობილი. სამშენებლო დანახარჯები და ცვეთის ხარჯები უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასების ანალიზიდან და ცვეთის აკუმულირებიდან გამომდინარე. კაპიტალიზაციისა და ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი უნდა ეფუძნებოდეს ბაზრის მიერ განსაზღვრულ ფულად ნაკადებს და შემოსავლის ნორმებს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი შეფასების მეთოდის გამოყენების მიზანს უნდა წარმოადგენდეს საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.

დღეისათვის, მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად ურთიერთობს. ამ ქვეყნების ნაწილი სახელმწიფო კონტროლიდან თავისუფალია, ნაწილი კი მჭიდროდ თანამშრომლობს და მონაწილეობას იღებს სახელმწიფო დაგეგმვისა და მენეჯმენტის მექანიზაციაში, რაც წარმოშობს ეკონომიკურ თანაარსებობას.

უძრავი ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტებიდან, რომლებიც შეფასების მსოფლიო პრაქტიკაშია აღიარებული, აღსანიშნავია შეფასების საერთაშორისო სტანდარტები (IVS) და ევროპული შეფასების სტანდარტები (EVS). სწორედ აღნიშნული სტანდარტები წარმოადგენს შეფასების საფუძველს მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

როდესაც საუბარია შეფასების საერთაშორისო სტანდარტებზე (IVS) და ევროპული შეფასების სტანდარტებზე (EVS), მნიშვნელოვანია იმ განსხვავებების განხილვა, რომლებიც აღნიშნულ სტანდარტებს ახასიათებს.

მნიშვნელოვანი სტანდარტების რიცხვს მიეკუთვნება სამეფო კომიტეტის სერთიფიცირებული შემფასებლების (RICS, Royal Institute Of Chartered Surveyors) მიერ მოწოდებული სტანდარტები.

გლობალური ეკონომიკის განვითარებამ წარმოშვა სერთიფიცირების საჭიროება შემფასებლებისთვის საერთაშორისო დონეზე. Royal Institute Of Chartered Surveyors (RICS) - სამეფო სერთიფიცირებული შემფასებლების კომიტეტი - შეიქმნა 1868 წელს და იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც ადგენს სტანდარტებს და რეგლამენტებს პროფესიონალური საქმიანობისთვის მშენებლობაში, უძრავი ქონების და მიწათსარგებლობის სფეროში.

არსებობს ორი ტიპის RICS ხარისხი: MRICS (Member of RICS) სტანდარტული წევრობა, და FRICS (Fellow of RICS) კორესპონდენტ-წევრი, რომელიც მიეკუთვნება ორგანიზაციის საქმიანობასა და განვითარებაში აქტიურად მონაწილე წევრებს. ორგანიზაციაში წარმოდგენილი არის 22 მიმართულება.

ხარისხის მოპოვება შეუძლიათ გამოცდილ სპეციალისტებს უძრავი ქონების სფეროში. დღეისათვის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 100 000 მოქმედი წევრი 146 მსოფლიოს ქვეყნიდან.

სტანდარტული წევრობის (RICS) სტატუსი მეტყველებს იმაზე, რომ შემფასებელს შეუძლია საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. თუმცა ეს ერთადერთი ცოდნა არ არის რომელიც შეიძლება იქნას მიღებული. ანაზღაურების კუთხითაც ამ სტატუსის მფლობელ შეფასებლებს გაცილებით მეტის გამოიმუშავება შეუძლიათ.

ორგანიზაცია რეგულარულად ახდენს მონიტორინგს წევრების კომპეტენტურობაზე. მოთხოვნების არდაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელია სტატუსის დაკარგვა. RICS წევრობა შეზღუდული არ არის დროში. შესაძლებელია იყო ამ ორგანიზაციის წევრი მთელი ცხოვრების განმავლობაში, თუ არ არღვევ შესაბამის წესებს და მოთხოვნებს.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონება, უძრავი ქონების შეფასება, ღირებულება, სტანდარტი.

Abstract

The present article, "The Importance of International and European Standards in the World Practice of Real Estate Assessment" is about important issues that have

a great importance to the development of the real estate assessment system. The International Standards of Evaluation (IVS) and the European Evaluation Standards (EVS) are the most important standards of valuation. These standards are main in the world economies development. IVS 2017 and EVS 2016 standards are different from each other, but they have similar content and demands. It is important to consider the differences that characterize these standards.

All methods and procedures of evaluation, if it is based on market data, express the same market value. Sales comparison method or other comparative market method is based on market observation. Construction costs and depreciation costs should be determined from market price analysis and accumulation of depreciation. The method of discounting capitalization and cash flows shall be based on cash flows and income norms defined by the market. Therefore, the purpose of applying any assessment method is to determine market value.

For today, a significant part of the world deals with the market economy requirements. Part of those countries are free from state control, while others are working closely and participate in the planning and management of state planning, which generates economic coexistence.

Keyword: Real estate, Real Estate Appraisal, price, standard.

შესავალი. ვიდრე უშუალოდ EVS -სა და IVS -ს სტანდარტების მნიშვნელობის განხილვაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია თავად იმ ორგანიზაციების განხილვა, რომლებიც ადგენს ამ სტანდარტებს.

TEGOVA, რომლის ეგიდითაც ქვეყნდება ე.წ. შეფასების ევროპული სტანდარტები, 1997 წლის შუა პერიოდში ჩამოყალიბდა. აღნიშნულ პერიოდამდე მისი სახელწოდება იყო „EUROVAL“. დღეისათვის იგი აერთიანებს 34 ქვეყნის 63 შემფასებელთა ნაციონალურ ასოციაციას, ძირითადად ევროპის ტერიტორიაზე.

ამჟამინდელი ფორმატით TEGOVA წარმოადგენს 70 ათასზე მეტ პროფესიონალ შემფასებელთა ინტერესს. TEGOVA არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ეროვნული შეფასების ასოციაციებს, ძირითადად ევროპის კონტინენტზე.

ჰარმონიზებული სტანდარტების შემუშავება და გავრცელება მსოფლიო მასშტაბით TEGOVA -ს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ზოგადად სტანდარტებს შეიმუშავებს შეფასების ევროპული სტანდარტების კომიტეტი EVSB (European Valuation Standards Board), რომლის წევრებიც TEGOVA- ს ნაციონალური ორგანიზაციის შემფასებლები არიან.¹²

¹² <https://www.tegoval.org/>, უკანასკნელად გადამოწმებულია 24/03/2019

საერთაშორისო შეფასების სტანდარტების საბჭო, როგორც უკვე იქნა აღნიშნული, წარმოადგენს არაკომერციულ კერძო ორგანიზაციას, რომლის შტაბიც ლონდონში, დიდ ბრიტანეთში მდებარეობს.

იგი შეიქმნა 1981 წელს და 1994 წლამდე ატარებდა აქტივების შეფასების სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტის TIAVSC (The International Assets Valuation Standard Committee) სახელწოდებას. ორგანიზაციისთვის უპირველეს მიზანს წარმოადგენს მოწინავე სტანდარტებისა და სტანდარტების გამოყენების ტექნიკის შემუშავება და გავრცელება. მათ შექმნაში დღეისათვის მონაწილეობას იღებს მსოფლიოს 58 ქვეყნის 96 ორგანიზაცია.¹³

TEGOVA _სგან განსხვავებით, IVSC გაწევრიანებული სტრუქტურები განსხვავდებიან სტატუსით, შეფასების ნაციონალურ და რეგიონალურ დონეზე, ერთი სიტყვით, IVSC გაწევრიანების მსურველთათვის არ არსებობს რაიმე კონკრეტული მოთხოვნა ან კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ხდება მასში გაწევრიანება.

არსებობს რიგი ორგანიზაციები რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე, რომლებიც გაერთიანებულები არიან, როგორც IVSC _ში, ისე TEGOVA _ში, ამასთან ისინი ახერხებენ ერთმანეთს შეუთავსონ ამ ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტების გამოყენებით, განსაკუთრებით გამოირჩევა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, კერძოდ: ბელარუსი, საქართველო, უკრაინა, ყაზახეთი, ლატვია, ლიტვა, რუსეთი.

ძირითადი ნაწილი. სოციალისტურ პერიოდში, როგორც ვიცით არ არსებობდა კერძო საკუთრება და შესაბამისად, საუბარიც კი არ იყო შეფასების სისტემის ჩამოყალიბებაზე. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებზე გადასვლის შემდეგ, საჭირო გახდა შეფასების სისტემის აქტივობის სიღრმისეული განვითარება, საპრივატიზაციო პროცესის, საფონდო ბაზრის გაჩენა, სადაზღვეო სისტემის განვითარება და ბანკების მიერ სესხების გაცემა საკუთრების დაგირავების სანაცვლოდ. შეფასების პროცესის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი მიზნიდან გამომდინარე საკუთრების უფლების ღირებულების განსაზღვრა სხვადასხვა მეთოდებისა და შეფასების საშუალებების გამოყენებით.

¹³<https://www.ivsc.org/>, უკანასკნელად გადამოწმებულია 24/03/2019

კომერციული უძრავი ქონების მყიდველები ძირითადად დაინტერესებულები არიან ამ ობიექტიდან მიღებული შემოსავალით. შემოსავალი არის ფულადი სახით გამოხატული ქონების დაბრუნება. რაც უფრო მაღალია შემოსავალი, მით მეტია საიმედოობა და მისი ხანგრძლივობა. აღსანიშნავია, რომ ქონების ღირებულების დადგენის დროს, შემფასებელმა უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ქონების გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლის რაოდენობა, მასთან დაკავშირებული რისკი და პერიოდი.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან, საბაზრო ღირებულება წარმოადგეს შემფასებლების საქმიანობის ქვაკუთხედს. იგი განისაზღვრება, როგორც თანხა, რომლის გადახდითაც ქონება გადადის ხელიდან ხელში ნებაყოფლობით მყიდველსა და ნებაყოფლობით გამყიდველს შორის მოლაპარაკების შედეგად განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ, თითოეული მხარე მოქმედებდა კომპეტენტურად, გონივრულად და იძულების გარეშე.

შეფასების ყველა მეთოდი და პროცედურა, თუ იგი დაფუძნებულია ბაზრის მონაცემებზე, ერთიდაიგივე საბაზრო ღირებულებას გამოხატავს. გაყიდვების შედარების მეთოდი ან სხვა შედარებითი საბაზრო მეთოდი, ბაზრის დაკვირვებაზეა დაყრდნობილი. სამშენებლო დანახარჯები და ცვეთის ხარჯები უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასების ანალიზიდან და ცვეთის აკუმულირებიდან გამომდინარე. კაპიტალიზაციისა და ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი უნდა ეფუძნებოდეს ბაზრის მიერ განსაზღვრულ ფულად ნაკადებს და შემოსავლის ნორმებს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი შეფასების მეთოდის გამოყენების მიზანს უნდა წარმოადგენდეს საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.

ნებისმიერი ქონება, რომელიც ღია ბაზარს ეხება, წარმოადგენს სხვადასხვა შეფასების მეთოდებისა და პროცედურების ინდიკატორს ღირებულების დადგენის პროცესში. ნებისმიერი მეთოდი, რომელიც საბაზრო ინფორმაციას ეყრდნობა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, შედარებითი ხასიათის მატარებელია. ყველა პრობლემისთვის გამოიმუშვნება ერთი ან ორო მეთოდი, რომელიც უკეთ ასახავს სიტუაციას ღია ბაზარზე. შეფასების პროცესში, შემფასებელმა კარგად უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ყველა შეფასების მეთოდი და მხოლოდ ამის შემდეგ ამოარჩიოს მათ შორის მისთვის სასურველი.

არის შემთხვევები, როდესაც დამკვეთს ესაჭიროება საბაზრო ღირებულებისგა განსხვავებული ღირებულების დადგენა. ასეთ შემთხვევაში, შემფასებლისთვის ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს საბაზრო ღირებულების შეფასების ანგარიში ან სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ასახავს განსხვავებას არასაბაზრო ფასეულობებსა და საბაზრო ღირებულებებს შორის.

შემფასებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს არასაბაზრო შეფასებისა და საბაზრო შეფასების ერთმანეთიდან განსხვავებას. იმის მიუხედავად, რომ არასაბაზრო შეფასებისას გამოყენებული შეფასების მეთოდები სავსებით კორექტულია, შესაძლებელია მიღებული შედეგები არ დაემთხვეს საბაზრო მაჩვენებლებს.

შემოსავლის მომტანი ქონება, როგორც წესი, ინდივიდუალურად ფასდება, თუმცა შესაძლებელია საკრედიტო დაწესებულებებს დასჭირდეთ მისი შეფასება, როგორც პორტფელური აქტივისა. ასეთ შემთხვევაში მათ შორის განსხვავება თვალსაჩინო უნდა იყოს.

ევროპული სტანდარტები, ძირითადად უძრავი ქონების შეფასების საკითხებს მოიცავს. EVS _ს 2016 წლის გამოცემით აღნიშნული ფაქტი უფრო თვალსაჩინო გახდა. TEGOVA _ს ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ევროპის თანამეგობრობის მმართველ სტრუქტურებთან მჭიდრო კავშირი. ეს კარგად ჩანს ორგანიზაციის შტაბის ადგილმდებარეობისგანაც, რომელიც მდებარეობს ბრიუსელში, სადაც თავმოყრილია ევროპის საზოგადოების ძირითადი ორგანიზაციები.

TEGOVA _ს მიზანია EVS სტანდარტების დამკვიდრება და პრაქტიკაში გამოყენება ყველა აქტივის შეფასებისას, პირველ რიგში საინვესტიციო საქმიანობაში, კრედიტის გირაოს სანაცვლოდ გაცემის შემთხვევაში, საგადასახადო მიზნებისათვის, ევროპის ყველა ქვეყანაში.

რაც შეეხება IVSC, ამ ორგანიზაციის მიზნები გაცილებით გლობალური ხასიათისაა. ორგანიზაცია პრაქტიკაში უკვე არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მსოფლიოში ავრცელებს შეფასების უნივერსალურ სისტემას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების უნივერსალური შეფასების სტანდარტები საშუალებას იძლევა მსოფლიოს შეფასების სისტემის განვითარებისა.

აქედან გამომდინარე IVS სტანდარტები გაცილებით გლობალური ხასიათისაა და ფართო მოხმარებისთვისაა გამიზნული. აღნიშნული განსხვავება თვითონ ამ სტანდარტების სტრუქტურაშიც გამოიხატება,

კერძოდ IVS 2017 მოიცავს 5 საბაზისო სტანდარტს და 6 დამატებით სტანდარტს, რომლებშიც აღწერილია ძირითადი მოთხოვნები შეფასების პროცესში.

რაც შეეხება EVS, IVS _სგან განსხვავებით, იგი გაცილებით მოცულობითია და მოიცავს 5 საბაზისო სტანდარტს, 10 სახელმძღვანელოს, 2 ევროპულ კოდს და 8 ტექნიკურ დოკუმენტს, რომლებიც აკონკრეტებს და განსაზღვრავს შეფასების მიმართულებას.

თითოეულ სტანდარტს გააჩნია მსგავსება და განსხვავება. გარკვეული ანალიზის შემდეგ შესაძლებელია ამ განსხვავების ნათლად დანახვა.

საერთაშორისო სტანდარტების ახალი ვერსიისა და ევროპის შესაბამისი სტანდარტების განხილვისას, შესაძლებლობა გვეძლევა დავასკვნათ შემდეგი:

- სტრუქტურიდან გამომდინარე საერთაშორისო სტანდარტები IVS 2017 და ევროპული სტანდარტები EVS 2016 ერთმანეთისგან განსხვავდება. პირველ რიგში, ეს განსხვავება მათი შეფასების ობიექტისადმი სპეციფიკურ დამოკიდებულებაში მდგომარეობს. თუ საერთაშორისო სტანდარტები ორიენტირებულია საერთაშორისო მასშტაბებზე, ევროპული სტანდარტები კონცენტრაციას ახდენს უძრავი ქონების შეფასებაზე, რაც გამომდინარეობს ამ სტანდარტების საერთოევროპული საკანონმდებლო- სარეგულაციო ველში ჩართვაზე ორიენტაციიდან გამომდინარე.
- მიუხედავად სტრუქტურული განსხვავებისა, აღნიშნულ სტანდარტებს გააჩნიათ საერთო მიდგომები და მოთხოვნები, კერძოდ: საბაზრო ღირებულება, საბაზრო გირა, შეფასების მიდგომები, შეფასების მეთოდები, შეფასების პროცესის მოხსენების შესახებ, შეფასები პროცედურა და სხვა.
- ზემოთ აღნიშნული სტანდარტები შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ურთიერთშემავსებელი სტანდარტები. საერთო ელემენტების შეფასებისას, მიზანშეწონილია IVS 2017 სტანდარტების გამოყენება, ხოლო, როდესაც საუბარია კონკრეტულად უძრავი ქონების შეფასებაზე, EVS 2016 სტანდარტების გამოყენება.
- აღნიშნული სტანდარტების ახალმა ვერსიებმა, მრავალი ცვლილება განიცადეს მათი წინამორბედებისგან განსხვავებით. ეს ძირითადად განპირობებულია დაგროვილი პრაქტიკითა და გამოცდილებით.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, შესაძლებელია IVS 2017 სტანდარტებსა და EVS 2016 სტანდარტებს შორის არსებული განსხვავებების დანახვა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთაშორისო დონეზე IVS სტანდარტების გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, თუმცა სტანდარტებზე მოქმედებს ნაციონალური ფაქტორები და თავისებურებები, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სტანდარტების მოდიფიცირებას შესაბამისი ქვეყნის ნაციონალურობიდან გამომდინარე.

დასკვნა. თემაში ზემოთ განხილული საკითხების განხილვის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემაში არსებობს სტანდარტების გარკვეული რაოდენობა, თუმცა მათი მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, მათი საფუძველი საერთოა.

ზოგადად როგორც ვიცით, აღნიშნული სტანდარტების შექმნის და ჩამოყალიბების საფუძველი იყო ერთიანი შეფასების სისტემის ჩამოყალიბება, თუმცა ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობისა და ნაციონალურობისგან გამომდინარე ეს საკითხი პრობლემატური იყო. მიუხედავად ამისა, დღეისათვის არსებული სტანდარტები წამოადგენს იმ სახეცვლილ ვარიანტს, რომელიც მიღებული იქნა მრავალწლიანი პრაქტიკისა და გამოცდილების შედეგად.

IVS 2017 და EVS 2016 სტანდარტები, თავისი სტრუქტურულიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა შინაარსობრივად და მათი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ისინი ერთმანეთს გავს.

დღეისათვის, მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად ურთიერთობს. ამ ქვეყნების ნაწილი სახელმწიფო კონტროლიდან თავისუფალია, ნაწილი კი მჭიდროდ თანამშრომლობს და მონაწილეობას იღებს სახელმწიფო დაგეგმვისა და მენეჯმენტის მექანიზაციაში, რაც წარმოშობს ეკონომიკურ თანაარსებობას.

შეფასების პროცესი საჭიროებს რიგი ნიუანსების გათვალისწინებას და პრაქტიკაში გამოყენებას. სწორედ ამისთვისაა შემუშავებული წინამდებარე სტანდარტები და მეთოდები. დღეისათვის პრაქტიკაში არსებული მეთოდები სტანდარტები საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების პროცესი. თუმცა სტანდარტების არსებობა არ ნიშნავს შეფასების სიტემის გამართულ ფუნქციონირებას. ამისთვის საჭიროა პროფესიონალი შემფასებლებისა და შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც, სამწუხაროდ საქართველოს რეალობაში დეფიციტურს წარმოადგენს. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის

ეკონომიკა ჯერ კიდევ შორსაა გამართული უძრავი ქონების შეფასების ბაზრის არსებობისკენ. თუმცა, არ ვიმყოფებით უიმედო მდგომარეობაში, ვინაიდან ბოლო პერიოდის განმავლობაში აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი გაიზარდა და შესაბამისად მისი განვითარების პერსპექტივა წარმოიშვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.tegova.org/>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 24/03/2019
2. <https://www.ivsc.org/>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 24/03/2019
3. შეფასების საერთაშორისო სტანდარტები 2017 (IVS 2017);
4. შეფასების ევროპული სტანდარტები, „ლურჯი წიგნი“ 2016 (EVS 2016, „BLUE BOOK“)
5. <https://www.rics.org/eu/> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 27/04/2019.

გადასახადები და მათი ზეგავლენა ეკონომიკის სტაბილურობაზე

Taxes and their Impact on Economic Stability

ბეჟარ კილასონია - დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
beqarkilasonia@gmail.com

Beqar Kilasonia - PhD Student, Georgian Technical University
beqarkilasonia@gmail.com

Abstract

Taxes are an important source for the functioning of the economic system. Without taxes the state will not be able to exist.

The fee is a certain amount of money that is paid by the tax payer budget or by the state fund. Taxes are some kind of service to the public by the state. The state economy regulates the change of taxation system, tax maneuvers and tax payments.

The economic role of the state is clearly expressed in respect of the budget. Effective functioning of the economic system of the country depends largely on the tax system. The inefficient distribution of resources, resulting in economic growth hindering, which in turn affects the country's rating and development.. In order to maintain a stable economy, the State is obliged to properly determine existing risks to accumulate them in one area and in an instant response. Excessive taxes can cause major damage to the country's economy, increase unemployment, reduce private savings, increase public expenditure and others. The state economy regulates the change of taxation system, tax maneuvers and tax payments.

Keyword: Principle of Justice, Liberal Tax Model, Strict Tax Model, Tax Regulatory Function, Tax Social Function, State Budget.

შესავალი. გადასახადები სათავეს უძველესი დროიდან იღებს. მან გაიარა რიგი ეტაპები და შემდეგ ჩამოყალიბდა ერთიან სისტემად, რომლის გარეშე სახელმწიფოს არსებობა შეიუძლებლია.

გადასახადი სახელმწიფო და მუნიციპალურ ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო შენატანია, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადასახადის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. არც ერთ სახელმწიფოს გადასახადების გარეშე არსებობა არ შეუძლია, რადგან იგი ქვეყნის ძირითადი სახელმწიფო ფინანსური გეგმის - ბიუჯეტის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს.

ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის გადასახადები უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. იგი სახელმწიფოსა და მეურნე სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დონესა და ხარისხს ასახავს. უპირველეს ყოვლისა გადასახადები თავისი ეკონომიკური ბუნებით განაწილებისა და გადანაწილების გზით მიღებული ეროვნული შემოსავლის ნაწილია, რომელიც მიმართულია დაუკმაყოფილოს ხელისუფლებას ფინანსური მოთხოვნილება. გადასახადების გარეშე სახელმწიფო არსებობას ვერ შეძლებს. საიდანაც სახელმწიფოსა და მეურნე სუბიექტებს შორის არათანაბარუფლებრივი, ცალმხრივი საგადასახადო ურთიერთობა მომდინარეობს. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ ურთიერთობებში სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ, აქტიურ მოქმედ პირს, ხოლო გადასახადს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სავალდებულო საგადასახადო კანონების პასიური შემსრულებლები იხდიან.¹⁴

საგადასახადო ურთიერთობა, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში რამდენიმე თავისებურებებით გამოირჩევა. პირველი, იგი გამოიხატება იმაში, რომ გადასახადები ატარებენ აუცილებელ ხასიათს, ისინი ქმნიან ეროვნული შემოსავლის იმ ნაწილს, რომელსაც სახელმწიფო გადასახადის გადამხდელისგან იძულების წესით იღებს. ასეთი ადმინისტრაციული მეთოდის აუცილებლობას განაპირობებს, გადასახადის გადამხდელთა ფსიქოლოგია. ისინი საკუთარი შემოსავლების მაქსიმალურ გადიდებასა და გადასახადის გადაუხდელობას ცდილობენ. ამიტომაცაა, რომ გადასახადის გადახდა ნებისმიერი პიროვნებისა თუ სამეურნეო სუბიექტისთვის მეტად მძიმე და არასასიამოვნო პროცესია.

გადასახადი წარმოადგენს განსაზღვრულ ფულად შენატანს, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი ბიუჯეტში, ან სახელმწიფო ფონდში დადგენილი წესით. ფართო გაგებით კი გადასახადი წარმოადგენს დამოკიდებულებათა რთულ სისტემას, რომელიც მოიცავს მთელ რიგ ელემენტებს. გადასახადი, როგორც კომპლექსური ეკონომიკურ-სამართლებრივი მოვლენა წარმოადგენს განსაზღვრული, ურთიერთდამოკიდებული ელემენტების ერთობლიობას. ამასთან, თოთოეულ მათგანს გააჩნია დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა. დამოუკიდებელი ელემენტების გამოყოფა განპირობებულია იმ

¹⁴ ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ. საგადასახადო საქმე, თბ., თსუ, 2007

ურთიერთობების განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომლებიც ეხება გადასახადის გადამხდელების მატერიალურ ინტერესებს

მთლიანობაში შესაძლებელია ითქვას, რომ გადასახადები ერთგვარად წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისადმი გაწეული მომსახურების საფასურს. დღევანდელ თანამედროვე და ცივილიზებულ საზოგადოებაში გადასახადების წინაშე წაყენებულ ამოცანათა წრე თანდათან ფართოვდება. ცივილიზებული სახელმწიფოები საგადასახადო მექანიზმს აქტიურად იყენებენ საზოგადოებრივი წარმოების დინამიკისა და სტრუქტურის რეგულირებისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიურ მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვისა და სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მიზნობრივი პროგრამის რეალიზაციისათვის.¹⁵

გადასახადების დამოკიდებულება ეკონომიკაზე ძალიან დიდია, რადგან ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გადასახადების მობილიზება, მათი სწორი და ჯეროვანი გამოყენება და რაც მთავარია იმ პრიორიტეტების განსაზღვრ, რომელიც მოცემული მომენტისათვის უმთავრესია. გადასახადის **სამართლიანობის პრინციპის თანახმად**, სახელმწიფოს ხელქვეითები ვალდებულნი არიან, შეძლებისდაგვარად, თავისი შესაძლებლობების შესაბამისად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს შენახვაში, ანუ შემოსავლების შესაბამისად, რამდენადაც სარგებლობენ სახელმწიფოს მფარველობით და დაცვით. აი სწორედ აქ იწყება გადასახადებსა და ეკონომიკას შრის კავშირი, მათი დამოკიდებულება ძლიერი სახელმწიფოს შენებისათვის. ჩვენ გვსურს ვიყოთ დაცული, გვქონდეს ბედნიერი და უზრუნველი სიბერე, მივიღოთ უკეთესი განათლება და სამედიცინო მომსახურება, გვქონდეს მეტი შემოსავალი და უმუშევრობის დაბალი დონე, ამავედროს იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რომელიც პირველადი და მეორადი მოთხოვნილებით ხასიათდება. ყოველივე ზემოთჩამოთვლილისათვის კი აუცილებელია თითოეულმა მოქალაქემ თავისი წვლილი შეიტანოს იმ პროცენტულობით რის საშვალეობასაც აძლევს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. ყოველი გადასახადი იმგვარად უნდა იყოს ჩაფიქრებული და დამუშავებული, რომ მას

¹⁵ კაკულია რ., საქართველოს საგადასახადო სისტემა და ფისკალური პოლიტიკა, ჟ. „გადასახადები“, N13, 2002

ამოჰქონდეს და აკავებდეს მოსახლეობის ჯიბიდან იმაზე ნაკლებს, რაც მას მოაქვს სახელმწიფო ხაზინისათვის. დაავალდებულო მოსახლეობას გადაიხადოს, ამ გზით შესაძლოა შეამცირო და გაანადგურო კიდეც ის ფონდები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსახლეობას გადაიხადოს გადასახადები მარტივად.¹⁶

როდესაც ვსაუბრობთ გადასახადებზე და მის გავლენას ეკონომიკაზე აუცილებელია ცალკად შევხვით გადასახადის რამოდენიმე ფუნქციას და მის კავშირს არსებულ ეკონომიკურ სისტემასთან. გადასახადის ფისკალური ფუნქცია ვლინდება სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში, რომელიც აუცილებელია საერთო სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა შესასრულებლად.

გადასახადების სოციალური ფუნქციის, ანუ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლების გამოთანაბრების ფუნქციის ამოცანაა მაღალშემოსავლიანი ფიზიკური და იურიდიული პირების პროგრესული საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრის მეშვეობით ეროვნული შემოსავლის დაბალშემოსავლიან ჯგუფში გადანაწილება. გადასახადების სოციალური ფუნქციის რეალიზაცია ხორციელდება სხვადასხვა მოცულობის შემოსავლებზე არათანაბარი დაბეგვრის გზით. საწარმოებისა და მოსახლეობის პირადი შემოსავალი უმეტესწილად იბეგრება პროგრესული საშემოსავლო გადასახადით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, პროგრესიული მეთოდით გადასახადების ამოღება იწვევს აზრთა სხვადასხვაობას მოსახლეობის ცალკეულ ფენებში. დაბალშემოსავლიანები თვლიან, რომ გადასახადის განაკვეთი მაღალ შემოსავლებზე კიდეც უფრო უნდა გაიზარდოს, ხოლო მაღალშემოსავლიანები თვლიან, რომ მათი შემოსავლების მაღალი კოეფიციენტებით დაბეგვრა ამუხრუჭებს ინვესტიციურ აქტივობას და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდას. სოციალურად ყველაზე არასამართლიანია არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადები (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი). ისინი თანაბარ საგადასახადო ზეწოლას ახდენენ საზოგადოების თითოეულ წევრზე. ამასთან, მათი ზეწოლა განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე. საქმე იმაშია, რომ არაპირდაპირი გადასახადები წარმოადგენენ პროდუქციაზე და

¹⁶ კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., გადასახადები და დაბეგვრა, თბ.,თსუ, 2011

მომსახურებაზე ფასნამატს, რის გამოც, მომხმარებელი მას თავისი პირადი შემოსავლიდან იხდის. რა თქმა უნდა, მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ჯგუფებიც ჩვეულებრივი მომხმარებლები არიან და მათეც ვრცელდება ფასნამატის საკუთარი შემოსავლიდან გადახდა, თუმცა ის მათ იმ სიმძიმით არ აწევს, როგორც დაბალშემოსავლიანი ჯგუფებს. გამომდინარე აქედან, სოციალური სამართლიანობის მიღწევის მიზნით, საგადასახადო სისტემა უშვებს ცალკეულ შეღავათებს მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისათვის.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული შემოსავლის გადანაწილების პროცესში, ასტიმულირებენ ან ანელებენ ამ პროცესის ეტაპებს. ასევე ძლიერებენ ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობას. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია მჭიდრო კავშირშია გადასახადების ფისკალურ ფუნქციასთან. სახელმწიფოებისათვის ეროვნული შემოსავლის ნაწილის მობილიზაცია, იქნება ეს მისი გადიდების, თუ შემცირების პოზიციებიდან, მუდმივად იწვევს გადამხდელებთან სისტემატიურ შეხებას, რაც საბოლოო ჯამში, საშუალებას აძლევს ხელისუფლებას რეალური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, კვლავწარმოების პროცესის ყველა სტადიაზე. საყურადღებოა, რომ მარეგულირებელი ფუნქცია დიდ ეფექტს იძლევა ეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში. ამასთან, კრიზისის პირობებში მისი მნიშვნელობა ეცემა.¹⁷

სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებას ახორციელებს დაბეგვრის სისტემის ცვლილებით, გადასახადების მანევრირებით და საგადასახადო შეღავათების დაწესებით. პრაქტიკაში ეკონომიკური რეგულირებისათვის გამოიყენება ორი საგადასახადო მოდელი: **ლიბერალური და მკაცრი**.

ლიბერალური საგადასახადო მოდელის გამოყენებისას დაბალია საგადასახადო განაკვეთები, შედარებით მეტია საგადასახადო შეღავათების წრე, რის გამოც გადასახადის გადამხდელებს თავიანთ განკარგულებაში რჩებათ შემოსავლების უფრი დიდი ნაწილი და შესაბამისად, შესაძლებლობა ეძლევათ წარმართონ იგი ინვესტირებისათვის, საწარმოთა

¹⁷ გველესიანი მ., „ეკონომიკური რეგულირება“, თბილისი 2000

ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფისათვის, რაც საბოლოო ჯამში იწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

მკაცრი საგადასახადო მოდელი გულისხმობს მაღალ საგადასახადო განაკვეთებს და შეღავათების ვიწრო წრეს. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელებს არ რჩებათ საბრუნავი სახსრები წარმოების გაფართოებისათვის, მისი ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღებისათვის, რის გამოც მცირდება სამეურნე აქტივობა, შესაბამისად ეცემა წარმოების მოცულობა და ვიწროვდება საგადასახადო ბაზა.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა და სიცოცხლის უნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის გამართულობასა და სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკაზე. გამომდინარე იქიდან, რომ გადასახადები სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკური საფუძველი და ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა, ფისკალურ დანიშნულებასთან ერთად, გადასახადები ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მძლავრ მექანიზმად გამოიყენება.

ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში საგადასახადო მექანიზმის გამოყენების აუცილებლობა, იმითაცაა განპირობებული, რომ დღეს, პრაქტიკულად, არ არსებობს ქვეყანა, სადაც ეკონომიკაში შექმნილი დოვლათი თანაბრად იქნება განაწილებულ, როგორც საზოგადოების წევრებს, ისევე ტერიტორიულ ერთეულებს შორის. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს ერთ–ერთი უმთავრესი ამოცანა ქვეყანაში ფინანსური რესურსების მეტ–ნაკლებად თანაბრად განაწილებაა, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მთავარ ინსტრუმენტად საგადასახადო რეზერვების გამოყენებით სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდება და აღნიშნული შემოსავლების მცირე რესურსების მქონე ეკონომიკურ სუბიექტებზე (რეგიონი, მოსახლეობა) გადანაწილება – გამოყენებაა მიჩნეული.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ყველაზე მკაფიოდ ბიუჯეტთან მიმართებაში ვლინდება. იმის გამო, რომ სახელმწიფო ყოველთვის საჭიროებს ხარჯების ზრდის აუცილებლობას და მის პარალელურად

განიცდის საზოგადოების დაწოლას საგადასახადო განაკვეთების შემცირების მიზნით, ხელისუფლება ასეთი პოლიტიკის შედეგად დეზულობს მზარდ დეფიციტს, მაღალ ინფლაციას და ბოლოს, ფინანსურ კრიზისს, რომელიც საერთო ეკონომიკური კრიზისის წინაპირობაა.


ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტური ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული საგადასახადო სისტემის ორგანიზაციაზე. საქართველოს საგადასახადო სისტემა ეყრდნობა მკაცრად განსაზღვრულ ფისკალურ პოლიტიკას, ანუ იყენებს გადასახადების მხოლოდ ფისკალურ ფუნქციას, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შევსებას სტაბილური გადასახადებით და ცენტრალიზებული გზით, რაც სახელმწიფოს აქცევს უმსხვილეს ეკონომიკურ სუბიექტად.

მოქმედი საგადასახადო სისტემის და საგადასახადო კანონმდებლობის არასრულყოფილება, გადამხდელთა სახელმწიფო რეგისტრაციის დაუმუშავებლობა მნიშვნელოვნად განაპირობებდა საგადასახადო სამართალდარღვევებს, სწორედ, საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო პოლიტიკის არასრულყოფილება გახდა ქვეყანაში ხანგრძლივი საბიუჯეტო კრიზისის მიზეზი.

2018 წელს გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი ბიუჯეტის 76% შეადგენდა. თუ დავუკვირდებით იმას, საქართველო არ არის ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო და ეკონომიკური ზრდა არცთუ ისე დიდია, ბიუჯეტი მთლიანად ორიენტირებულია გადასახადებზე და არსებული სიტუციიდან შეგვიძლია გავაკეთოთ რეალური დასკვნა, თუ არ გაიზრდება მკვეთრად არსებული ეკონომიკური სიტუაცია და პარალელურად გადასახადები გაიზრდება, მოსახლეობის უმრავლესობა სღარიბისთვის იქნება განწირული.¹⁸

¹⁸ <http://www.geostat.ge> გამომოსმებულია 20.04.2019

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში ძირითადი კატეგორიების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი

2019 წელს თუ განვიხილავთ დაგეგმილი ეკონომიკური ზრდის პროცენტული მაცვენებელი განსაზღვრულია 4.5%-ტი. 2020 წლეს კი ეს მაცვენებელი გაზრდილია 0,5%-ით და დაგეგმილი ეკონომიკური ზრდა მიახლოებით 5%. შემდეგ წელს ანალოგიურად შესაძლებელი იქნება 0,5% იანი მატება, აქედან გამომდინარე 2022 წლისათვის ეკონომიკურმა ზრდამ 6%-იან მაცვენებელ უნდა მიაღწიოს 6.0%-იანი.

2019 წლისათვის ლარის დოლარის მიმართ გაცვლით საორიენტაციო კურსად 2.63 არის აღებული. ერთ მოსახლეზე შემოსავალი 2019 წელს 4 600 დოლარამდე უნდა გაიზარდოს. წლიური ინფლაციის მოსალოდნელი დონე 3%-ია. ექსპორტი 12.9%-ით უნდა გაიზარდოს, ხოლო იმპორტი - 6.6%-ით. მტავრობის ვალმა მშპ-ის 42.2% უნდა შეადგინოს - საგარეო ვალი მშპ-ს 32.4% იქნება, ხოლო საშინაო ვალი მშპ-ს 9.8%.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2019 წელს გეგმიური მაცვენებელი 10 487 700.0

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
შემოსავლები	9,750,326.9	10,314,248.0	10,487,700.0
გადასახადები	8,991,307.4	9,490,000.0	9,645,000.0
გრანტები	350,602.4	414,248.0	382,700.0
სხვა შემოსავლები	408,417.1	410,000.0	460,000.0

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რაც შეეხება გადასახადებს ის 9 645 000.0 განისაზღვრა. მთლიანობაში ბიუჯეტი გეგმიურთან შედარებით 423 მლნ – ით გაიზარდა და ჯამში 12. 5 მლნ ლარით განისაზღვრა.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
გადასახადები	8,991,307.4	9,490,000.0	9,645,000.0
გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე	3,282,526.2	3,410,000.0	3,947,000.0
გადასახადები ფიზიკური პირებიდან	2,525,970.7	2,780,000.0	3,166,000.0
საშემოსავლო გადასახადი	2,525,970.7	2,780,000.0	3,166,000.0
გადასახადი საწარმოებიდან	756,555.5	630,000.0	781,000.0
მოგების გადასახადი	756,555.5	630,000.0	781,000.0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	5,573,534.7	5,850,000.0	5,498,000.0
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	4,122,612.8	4,400,000.0	4,036,000.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,122,612.8	4,400,000.0	4,036,000.0
აქციზი	1,450,921.9	1,450,000.0	1,462,000.0
გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე	71,618.9	60,000.0	83,000.0
იმპორტის გადასახადი	71,618.9	60,000.0	83,000.0
სხვა გადასახადები	63,627.6	170,000.0	117,000.0

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი ინსტრუმენტების მოქნილად გამოყენება ხელსაყრელ პირობებს ქმნის სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ამასთან, ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების დაწესებით საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგების ნაწილით მას შეუძლია გააფართოვოს საწარმოო სიმძლავრეები, დანერგოს წარმოებაში უახლესი ტექნიკა და გახდეს კონკურენტუნარიანი. ამასთან, საჭიროა აუცილებელი საგადასახადო შეღავათების დაწესებისათვის ამოსავალ პუნქტად იქცეს წარმოების მიზნობრიობა და წარმოების განვითარების დონე. რაც უფრო დაბალია წარმოების დონე, მიზანშეწონილია, უფრო გაიზარდოს

საწარმოებისთვის საგადასახადო შეღავათები, რათა მათ განკარგულებაში დარჩეს, რაც შეიძლება მეტი ფინანსური რესურსები წარმოების მამულებების შემდგომი გაფართოებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის.

საქართველოს მთავრობაც აქტიურად მუშაობს სხვადასხვა საგადასახადო შერავათების დაწესებაზე და ცდილობს წახალკისოს ბიზნეს სექტორი. წახალისება ძირითადად რეინვესტირების კუთხით დაიგეგმა და დღემდე მოდერნიზების პროცესშია. მსოფლიოში მომხდარმა კრიზისებმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ერთიანი საგადასახადო სისტემის შექმნა ერთობ რთული და თითქმის მიუღწევადია. შესაძლოა ესთმა სისტემამ გაამართლოს ერთ ან რამოდენიმე ქვეყნის მაგალითზე, თუმცა დალუპოს სხვა უფრო მეტად განვითარებული ან განუვითარებელი სახელმწიფო. ესტონური მოდელის მაგალითს თუ განვიხილავთ მისი ეფექტი უდაოა და პრაქიკულადაც მიღწევადი შედეგებით ხასიათდება. საქართველოსში არსებული საშეღავათო პოლიტიკის შედეგად კომპანიებს მიეცათ საშუალება განავითარონ არსებული ტექნოლოგიური ბაზა, გაზარდონ წარმოება და მიიღონ უფრო მეტი ეკონომიკური სარგებელი.¹⁹

სტაბილური ეკონომიკის შესანარჩუნებლად სახელმწიფოს ვალდებულია სწორად განსაზღვროს არსებული რისკები, მოახდინოს მათი აკუმულირება ერთ სივრცეში და მყისიერი რეაგირება. ზედმეტად დაწესებულ გადასახადებს შეუძლია დიდი ზიანის მომტანი გახდეს ქვეყნის ეკონომიკისათვის, გაიზარდოს უმუშევრობა, შემცირდეს კერძო დანაზოგი, გაიზარდოს სახელმწიფო ხარჯები და სხვა. უმუშევრობის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე გამოიხატება შემდეგში: უმუშევრობა

¹⁹ ილარიონოვი ა., „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008.

(განსაკუთრებით ხანგრძლივადიანი) ამცირებს საზოგადოების ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის სიდიდეს; ამცირებს დანაზოგების მოცულობას და შესაბამისად ინვესტიციებს, მათ შორის, ინვესტიციებს ინოვაციებზე. მცირდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან; აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს (ინვესტიციების შემცირებას), რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და კრიმინოგენური დამაბულობის ზრდასთან. უმუშევრობის აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ უნდა გაატაროს არა ინფლაციური პროცესების მაპროვოცირებელი პოლიტიკა, არამედ იმ ინოვაციების მასტიმულირებელი პოლიტიკა, რომელიც გაზრდის წარმოების მოცულობას ძველის გაფართოებისა და ახალი ეკონომიკური სფეროების ათვისების მეშვეობით. მას ეკონომიკის ინოვაციური რეგულირება შეიძლება ეწოდოს. ამავედროს ზედმეტად დაბალი გადასახადები სახელმწიფოს განვითარების შემაფერხებელი ფაქტორიც შესაძლოა გახდეს. ეკონომიკურ აღმავლობას შემდგომ მოზდევს ეკონომიკური დაქვეითება რომელსაც თან ახლავს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), დასაქმებისა და მოსახელობის რეალური შემოსავლის შემცირება. ამ პროცესს უკავშირდება მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების დონის დაცემა. შემდეგ ეს პროცესი მეორდება, ანუ აღმავლობას კვლავ მოზდევს ახალი დაქვეითება. წარმოების ასეთი აღმავლობა და დაცემა ქმნის ეკონომიკურ ციკლს. რყევების მომენტები ეკონომიკაში უამრავია. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, ყოველდღიურად ცდილობენ იმუშაონ საგადასახადო რეფორმებზე, მოახდინონ მათი მოდერნიზება და ჩამოაყალიბონ ერთიან მძლავრ სისტემად, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის მაღალი ტემპის შენარჩუნებას.

დასკვნა. ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაზე მოქმედებს უამრავი ფაქტორი. გადასახადები კი ამ ფაქტორთაგან უმთავრესია. ეკონომიკის აღორძინებისათვის საჭიროა დიდძალი შრომა და რესურსების ჯეროვანი განაწილება, გამოყენება. სახელმწიფოთა უმეტესობის პრობლემა სწორედ ეს წარმოადგენს, რესურსების არაეფექტიანი განაწილება, რის შედეგადაც ეკონომიკური ზრდა შეფერხებით მინდინარეობს, რაც მთლიანობაში ქვეყნის რეიტინგზე და განვითარებაზე უარყოფითად აისახება. მსოფლიოში არსებობს უამრავი პრაქტიკა იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა ეკონომიკური მოდელები თუ თეორიები სხვადასხვა ქვეყნებისათვის განსხვავებულია. შესაძლებელია ერთი ქვეყნის ეკონომიკას მორგებული მოდელი მეორე ქვეყნისათვის სრულებით განსხვავებული აღმოჩნდეს. ინოვაციები და ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც დღესდღეობით წამყვანი პოზიციით დომინირებს, უმთავრეს ფაქტორად წარმოგვიდგება ეკონომიკის განვითარებაში.

დედამიწაზე მცხოვრებ სულიერ არსებებ არ შეუძლიათ ცხოვრება წყლისა და ჰაერის გარეშე. ეკონომიკაც მსგავსად ამ ყველაფრისა ვერ იარსებებს თუ მას არ ექნება შესაფერისი გარემო ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ, გაანოყიერებენ და მისცემენ ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას.

ეკონომიკის მიზანი არის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, რომლის მიღწევაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლია ოპტიმალურად განსაზღვრულ გადასახადებს, რაც თავის მხრივ საზოგადოების მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის მიღწევის მნიშვნელოვანი ბერკეტია. ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მისაღწევად საჭიროა ისეთი ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტიურობის ზრდას და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ეკონომიკური განვითარება ეკონომიკის სრულყოფა, მისი ახალ თვისებრიობაში გადასვლაა. ეკონომიკის, სამრეწველო ძალების, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ცხოვრების დონისა და ცხოვრების ხარისხობრივი და კაპიტალის ხარისხობრივი და სტრუქტურული დადებითი ცვლილებების გაფართოებაა. ეკონომიური ზრდა განვითარების ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია, ხოლო, თავის მხრივ, ეკონომიკური განვითარება ქმნის ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდის განუსაზღვრელ პირობებს. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დიდ რესურსს და დროს ხარჯავენ ამ პორტალის დაკავშირებაზე რასაც ეკონომიკურიზრდა და ეკონომიკური განვითარება ჰქვია.

გადასახადების როლი ეკონომიკის განვითარებაში უდაოა, რადგან ქვეყანა ვერ განვითარდება სანამ მას ფულადიკაპიტალი არ ექნება. ფულადი კაპიტალი ქონის შემთხვევაში აუცილებელია გარკვეული პრიორიტეტების განსაზღვრა გამომდინარე იქიდან თუ საითკენ აქვს ქვეყანას აღებული კურსი. საგადასახადო შეღავათების მეშვეობით შესაძლებელია გარკვეული ფინანსების მოძიება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. სწორედ ამიტომ გადასახადები პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ. საგადასახადო საქმე, თბ.,თსუ, 2007,
2. გველესიანი მ., ეკონომიკური რეგულირება, თბილისი 2000
3. ილარიონოვი ა., ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. რეფორმები და თავისუფლება, თბ., 2008.
4. კაკულია რ., საქართველოს საგადასახადო სისტემა და ფისკალური პოლიტიკა, ჟ. გადასახადები, N13, 2002
5. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., გადასახადები და დაბეგვრა, თბ.,თსუ, 2011
6. <http://www.geostat.ge> – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი

7. <https://www.mof.ge> – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
8. <http://www.economy.ge> – ეკონომიკის სამინისტრო

ფინანსური მენეჯმენტი და ეფექტიანი მართვის პრობლემები Financial Management and Efficient Management Problems

თორნიკე შიოშვილი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Tornike Shioshvili - PhD student
Georgian Technical University

რეზიუმე

თანამედროვე პერიოდში საბანკო საქმე ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ, ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანობაში ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. შორეულ წარსულში, როდესაც საბანკო ბიზნესი შედარებით „მარტივი“ და უსაფრთხო იყო, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასთან მიმართებაში მკაცრი რეგულირება მენეჯერების შესაძლებლობებს ზღუდავდა. საბაზრო ურთიერთობები განვითარებული ფულად-საკრედიტო სისტემის გარეშე წარმოდგენილია, იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე, განსაზღვრავს მის მიმართულებებს და ტრაექტორიებს. ამავდროს, საბანკო სისტემა გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიური „სამყარო“, რომელსაც განვითარების საკუთარი, სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს.

სტატიაში განხილულია ფინანსური მენეჯმენტის არსი და ფუნქციები. განხორციელებულია საქართველოსა და უცხოეთში ფინანსური მართვის განვითარების დონის შეფასება. გამოვლენილია ეროვნული ფინანსური მენეჯმენტის ფორმირების ძირითადი პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური მენეჯმენტი; საბანკო მენეჯმენტი; ფინანსური მართვა.

Abstract

In modern times, the banking economy is one of the most dynamic, the most difficult and essential sectors which are characterized by the development of features and the overall economic efficiency of the system is determined.

The technological revolution, rapid inflation, strengthening the fight in the competition and processes in banking activities led to the formation of a much more aggressive strategy in the banking management, accompanied by increased riskiness.

One of the features of financial management in a commercial bank in the current conditions - is the lack of uniform technology in economic management of the credit institution within the existing credit and banking system.

The main feature of financial management in a commercial bank in the current environment due to the fact that the commercial bank - this is the only economic subject's, which systematically controls all the functions of money, and this connection is the primary element of a market economy.

Keywords: Financial Management; Banking Management; Financial Accounting.

შესავალი. საერთო ისტორიული თვლსაზრისით ეკონომიკის გაფართოებადი, თვითზრდადი ხასითი ადვილად შესამჩნევია, თუნდაც მას მრავალი ზიგზაგი და გამოვლინების ურიცხვი ვარიანტულობა ახასიათებდეს, როცა მთელი მსოფლიოს ეკონომიკას ავიღებთ, ასევე ცალკეულ ქალაქებში.

ეკონომიკური ზრდის პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1857 წელს წერდა ჯონ სტიუარტ მილი - საითკენ მიემართება კაცობრიობა, როდესაც მიზდევს სამრეწველო ზრდის გზას? რა გველოდება ჩვენ ამ გზის შეწყვეტის შემდეგ - რა პირობებში აღმოჩნდება კაცობრიობა. ეკონომიკური ზრდის, მისი შედეგების კრიტიკული ანალიზის და ეკონომიკური ზრდისადმი ახლებული მიდგომის, კერძოდ მისი შეზღუდვის კონცეფციები, რაც არც ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა, მწვავე პრობლემაზე რეაგირებაა. პირველ რიგში მხედველობაშია მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებულია „რომის კლუბში“ (ჯ.ფორესტერი, დ.მედოუზი, მ.მესაროვიჩი ე.ლასლო და სხვა აყენებენ „ნულოვანი ზრდის“, „შეზღუდული ზრდის“ და სხვა ანალოგიურ იდეებს.), რომლებიც ასაბუთებენ ზრდის ზღვრის არსებობას, აყენებენ „ნულოვანი ზრდის“, „შეზღუდული ზრდის“, და სხვა ანალოგიურ იდეებს.

ძირითადი ტექსტი. „რომის კლუბის“ მეცნიერთა მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად, მსოფლიო სისტემის ხუთი ძირითადი ელემენტი: მოსახლეობის რიცხოვნობა, აგროკულტურა, ინდუსტრიალიზაცია, პოლუცია (გარემოს გაჭუჭყიანება) და განუახლებელი სიმდიდრეების (ნავთობი და მინერალები)

მოხმარება თანამედროვე პირობებში მკვეთრ ზრდას განიცდის. მათი ზრდა ხასითდება გარკვეული კანონზომიერებებით, რომელსაც მათემატიკოსები მოიხსენიებენ როგორც ექსპონენციალური (აჩქარებულ) ზრდას. სწორედ აღნიშნული ხუთი ელემენტის მკვეთრი დეფიციტი დაუდებს ზღვარს ეკონომიკურ ზრდას. ეს კი მათი წინასწარი გათვლებით XX საუკუნის დასასრულს უნდა მომხდარიყო, რაც რეალობისაგან შორს აღმოჩნდა. ქვემოთ განვიხილოთ მათი თეორიული დებულებები.

აღნიშნული თეორიის მიმდევრები გარემოს დაცვას მიიჩნევენ ერთ-ერთ საკაცობრიო პრობლემად და როდესაც განიხილავენ ეკოლოგიურ კრიზისს, მას უკავშირებენ ინდუსტრიალიზაციის ექსპონენციალურ ეკონომიკურ ზრდას. უკანასკნელ 100 წელიწადში მსოფლიოს სამრეწველო წარმოება გაიზარდა 50-ჯერ. საწარმოო საქმიანობის ასეთმა სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ჰაერისა და წყლის აუზების, ნიადაგის მასიური გაჭუჭყიანება. ამის შემდეგ განვითარებულ ქვეყნებში განადგურებულია 30 მლნ ფექტარზე მეტი ტყე. უვარგისადაა გადაქცეული უზარმაზრი ფართობები. მიმდინარეობს ფლორისა და ფაუნის მზარდი გაღარიბება, ყოველწლიურად უდაბნოდ იქცევა 6 მლნ-მდე ჰექტარი მიწა.

კაცობრიობას ერთი განუყოფელი ჰაერი, ერთი მსოფლიო ოკეანე, ერთი კოსმოსი, ერთი პლანეტა გააჩნია. ბუნებრივი პირობების გაუარესებას გლობალური ხასიათი აქვს, რადგან ჰაერის, მდინარეებისა და მსოფლიო ოკეანის გაჭუჭყიანების შემოფარგვლა არ შეიძლება მოცემული ქვეყნის საზღვრებით.

კაცობრიობა დადგა ფაქტის წინაშე : მისი ბუნებრივი საარსებო გარემო დეგრადაცია განიცდის. აქედან წარმოსდგება ამოცანა; კაცობრიობამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს კონცეფცია, რათა გადალახოს წინააღმდეგობა ბუნებასა და საზოგადოებას შორის. საქმე ისაა, რომ მსოფლიო მაშტაბით ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება მოითხოვს მსხვილ ინვესტიციებს. ის, რაც ახლა ამ

მიზნით იხარჯება, სპეციალისტების აზრით, ორჯერ ნაკლებია იმაზე, რაც საჭიროა.

რადგან ეკოლოგიური პრობლემა გლობალური და უნიკალურია, მისი მოგვარებისაკენ მიმართული ღონისძიებებიც გლობალური და ამავედროს შეთანხმებული უნდა იყოს. თუ პრობლემის ეკონომიკური მხარე გვეჩვენა მხედველობაში, მაშინ ამოცანა ის იქნება რომ მსოფლიო მაშტაბით ჩამოყალიბდეს ყველასათვის სავალდებულო ეკონომიკური ბარიერები, რომლებიც მოაწესრიგებენ საზოგადოების მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და ხელს შეუწყობს რესურსდამზოგავ, უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლას. გააძლიერებენ ეკოლოგიურ კონტროლს ადამიანის საწარმოო საქმიანობაზე. როგორც წესი, ნარჩენები არ არის გარდაუალი, ისინი წარმოების არასრულყოფილების შედეგია.

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის ისეთ შემზღუდავ ფაქტორს, როგორც კვების დეფიციტი, „რომის კლუბის“ წევრები აქცენტს აკეთებენ შემდეგ მიდგომაზე. მსოფლიოს ეკონომიკურად ჩამორჩენილ მრავალ ქვეყანაში საკმაოდ მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ახალშობილთა შორის, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ბავშვი იღუპება დაწყებითი განათლების მიღებამდე. როცა საუბრობენ ღარიბ ქვეყნებში სკოლამდელი ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის შესახებ, მიზეზთა შორის ჩვეულებრივ ასახელებენ: წითელას, დეზინტერიას, ან სხვა რაიმე დაავადებას. „ზღვრის თეორიის“ წარმომადგენლები კი აღნიშნავენ, რომ სინამდვილეში ეს ბავშვები ცუდი კვების მცხვერპლნი ხდებიან. მათი გათვლების თანახმად, საუკუნის დასასრულისათვის დედამიწაზე მოსალოდნელი იყო სახნავი მიწების და ამავე დროს კვების პროდუქტების კრიტიკული უკმარისობ, რომელსაც შეეძლო მსოფლიოს მოსახლეობა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიეყვანა.

ეკონომიკის ექსპონენციალური ზრდის შეზღუდვის ფაქტორთაგან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განუახლებად (არაკვლავწარმოებად) სიმდიდრეებს (ნავთობი და მინერალები).

„ფესიმიტური მოდელის” თანახმად აღნიშნული კატეგორია ზღვარს დაუდებდა ეკონომიკურ ზრდას და ჯერ კიდევ XX საუკუნის დასასრულისთვის, თუმცა მსოფლიო პრაქტიკამ საწინააღმდეგო რამ დაამტკიცა. კაცობრიობა სულ უფრო მზარდი მაშტაბით გადავიდა არატრადიციულ ენერგორესურსებისა და მასალების გამოყენებაზე. აქ, უწინარე ყოვლისა იგულისხმება ატომური ენერჯის, გეოთერმული ენერჯის სულ უფრო მზარდი გამოყენება და ხელოვნური მასალების შექმნა. ანალოგიური მდგომარეობა კოსმოსის ათვისების საქმეში. იგი მეტად ძვირი სიამოვნებაა, თანაც ამ სფეროში მიღწევებს დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია.

ამ საკითხს არც შემდგომ პერიოდში დაუკარგავს თავისი აქტუალობა. როგორც ცნობილია XVIII-XIX საუკუნეებში მოღვაწე ინგლისელი მოაზროვნე თომას რობერტ მალთუსი მოსახლეობის სწრაფ ზრდას „ხალხთმოსახლეობის ბუნებრივი კანონის” მოქმედებით ხსნიდა. კერძოდ, მოსახლეობის გამრავლების საკითხს მალთუსი ცხოველებისა და მცენარეების გამრავლების კანონის, ანუ ბუნების კანონის ასპექტში, მის შესაბამისად იხილავდა, ხაზს უსვამდა ამ მძიმართლულებით ბიოლოგიურ ფაქტორთა მოქმედების განმსაზღვრელ როლს და ასკვნიდა, რომ მოსახლეობის რაოდენობა ბევრად უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე საარსებო საშუალებათა წარმოება. სახელდობრ, მისი აზრით მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პროცესი ხორციელდება გეომეტრიული პროგრესიით., ხოლო საარსებო საშუალებათა წარმოების ზრდის პროცესი - არითმეტიკულით. ამ ყველაფრის ფონზე მალთუსი თვლიდა, რომ ორი საკუნის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობის შეფარდება საარსებო საშუალებათა რაოდენობასთან იქნება 256/9, სამი საუკუნის შემდეგ 4096/13 და განვითარების მომდევნო საფეხურზე - სულ უფრო მეტი. მალთუსის სქემის მიხედვით, რომელიც გაანგარიშებულია საარსებო საშუალებათა პირობით ერთეულზე სულ უფრო გაიზრდება მოსახლეობის რაოდენობა და ამ საშუალებებზე მათი მოთხოვნილების შესაბამისი მაჩვენებელი.

მალთუსის სიტყვებით ეს არის ობიექტური კანონზომიერება, კერძოდ „ხალხთმოსახლეობის კანონი“, რომელიც მარადიულია საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე, ნებისმიერი წყობილების პირობებში მოქმედებს და განაპირობებს ხალხის მდგომარეობის სულ უფრო გაუარესების, სიღატაკის, შიმშილისა და საბოლოო ანგარიშით, წარღვნის ანუ მოსახლეობის ამოწყვეტის გარდაუვალობას. ამით მალთუსი მიზნად ისახავდა იმის დასაბუთებას და ადამიანთა დარწმუნებას იმაში, რომ ხალხთა სიღატაკისა და ცხოვრების პირობების სულ უფრო გაუარესების მიზეზია საარსებო საშუალებათა წარმოებასთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობის უფრო სწრაფი ზრდის კანონი, რომელიც წარმოებით ურთიერთობათა მიღმა ანუ მათგან დამოუკიდებლად მოქმედებს.

ამ კანონის მოქმედების სავალალო და საბედისწერო შედეგების თავიდან აცილების, მათგან თავის დაზღვევის აუცილებელ პირობად მალთუსი თვლიდა მოსახლეობის რაოდენობასა და საარსებო საშუალებათა წარმოების მოცულობას შორის ნორმალური წონასწორობის დამყარებას, რომლის ყველაზე მიზანსეწონილ გზასაც მისი აზრით, მოსახლეობის რაოდენობის სემცირება წარმოადგენდა.

მალთუსის მოცემული თეორია საკმაოდ პესიმისტურია და დასმული პრობლემის მოგვარების გზაც მიუღებელი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ხელაღებით უარყოფა არ შეიძლება, რამეთუ ჭარბმოსახლეობა ამჟამადაც მწვავე პრობლემას წარმოადგენს განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ქვეყნებისათვის, რამდენადაც რიგ შემთხვევაში მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად გამოდის. მიუხედავად იმისა, რომ როგორც მალთუსის და „რომის კლუბის“ წევრთა თეორიულმა დებულებებმა მოსახლეობის სიჭარბისა და შესაძლო კატასტროფის შესახებ ვერ გაამართლეს, თანამედროვე პრაქტიკაში აღნიშნულ თეორიებს აქტუალობა არ დაუკარგავს.

ეკონომიკური ზრდის კრიტიკოსები ასევე აყენებენ მთელ რიგ არგუმენტებს იმის სასარგებლოდ, რომ თუმცა ეკონომიკური ზრდა უზრუნველგვყოფს „სიცოცხლისთვის საჭირო საშუალებებით“, მაგრამ მას არ შეუძლია ჩვენთვის „კარგი ცხოვრების“ მოტანა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეკონომიკური ზრდა ნიშნავს მასობრივ წარმოებას, რომელიც შემოქმედებით ხასიათს არ ატარებს და მომუშავეებისათვის თავისი შრომით კმაყოფილება არ მოაქვს, იწვევს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისაგან მომუშავეთა გაუცხოებას.

ეკონომიკური ზრდა მატერიალური სიუხვისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ძირითადი პირობაა, იგი ამასთან ახანგძლივებს სიცოცხლეს, თანდათანობით ზღუდავს სოციალურ უთანასწორობას, ამცირებს სამუშაო დროის ხანგძლივობას და აუმჯობესებს ცხოვრების წესს.

ეკონომიკური ზრდა ასუსტებს წინააღმდეგობას შეუზღუდავ მოთხოვნილებებსა და მწირ რესურსებს შორის, ანუ უფრო გარკვევით; ეკონომიკური ზრდის პირობებში სოციალური მიზნების არჩევანი ნაკლებად მტკივნეულია და ნაკლებ წინააღმდეგობებს იწვევს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის. იქმნება შესაძლებლობა ერთდროულად მოდერნიზებულიქნეს შეიარაღებული ძალები, შენარჩუნებულ იქნეს ინფრასტრუქტურა მოცემულ დონეზე, განხორციელდეს დახმარების პროგრამები ხანდაზმულთათვის, ავადმყოფებისა და დარღვევისათვის, სრულყოფილ იქნეს განათლების სისტემა და სოციალური სფეროს სხვა დარგები, და ამასთან ამაღლდეს პირადი შემოსავლები გადასახადების გამოქვითვის გარეშე.

როდესაც ვმსჯელობთ ეკონომიკური ზრდის პირობებში ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, აქ უპირველს ყოვლისა იგულისხმება ადამიანთა მოხმარების ფრიზიკური მოცულობის გადიდება. მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება ზრდის შრომის წარმოებლურობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს სამუშაო დღის

ხანგძლივობის შემცირებას. ამავე დროს ცხოვრების დონის ზრდა აისახება ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობაში.

მსოფლიოს მოსახლეობის 58% ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 წელი და მეტია, მათ შორის 9% - იმ 32 ქვეყანაში, სადაც ადამიანები საშუალოდ 80 წელზე მეტს ცოცხლობენ. მიუხედავად სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის მდგრადი ტენდენციისა, ქვეყნებს შორის სხვაობები ძალიან დიდია.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაჩვენებელმა 82 წელსაც გადააჭარბა. ეს ქვეყნებია: ავსტრალია, ჰონგ-კონგი და მაკაო, ჩინეთის ცალკეული ავტონომიური რეგიონები, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, სინგაპური, შვეიცარია და იაპონია. ადამიანები 55 წელზე მეტს ვერ ცოცხლობენ კოტ-დივუარში, ლესოტოში, ნიგერიაში, სვაზილენდში, სიერა-ლეონეში, სომალიში, ჩადიში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ სიცოცხლის ხანგძლივობა გაცილებით მაღალია იმ ქვეყნებში სადაც ეკონომიკური ზრდის კვალომაზე მიღწეულია ცხოვრების მაღალი დონე. ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება. განსაკუთრებით ეს ითქმის ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრ შემცირებაზე.

ეკონომიკური ზრდის დამცველები ამტკიცებენ, რომ მისი შენელება ან შეწყვეტა დადებით გავლენას ვერ მოახდენს ადამიანურ ფასეულობებზე და ვერ უზრუნველყოფს „კარგ ცხოვრებას“. სინამდვილეში შესაძლებელია საპირისპირო შედეგს ველოდოთ. მაგალითად, ეკონომიკური ზრდის დასასრული არ გააუქმებს მუშაობას კონვეირზე, პირიქით ეკონომიკური ზრდა ყოველთვის მიმდინარეობს საკონვეირო წარმოებაში მასში დასაქმებულთა რიცხვის შემცირებით.

ასევე არ იქნება სწორი თუ დავეთანხმებით იმას, რომ ეკონომიკური ზრდის შენელება ან შეწყვეტა ასუსტებს ადამიანთა ლტოლვას მატერიალური ფასეულობისაკენ და ამცირებს მათ გაუცხოებას წარმოებისაგან, შედეგები შეიძლება შებრუნებულიც

აღმოჩნდეს. სწორედ ცხოვრების მაღალი დონე რომელსაც ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფს, შესაძლებლობას აძლევს ადამიანთა სულ უფრო მეტ რაოდენობას „დრო დახარჯოს განათლებასა, ფიქრსა და თვითრეალიზაციაზე“.

დასკვნა. ამგვარად, იკვეთება ეკონომიკური ზრდის შეზღუდვის ორი: უარყოფითი, საზოგადოებისათვის საზიანო და დადებითი, სასარგებლო ტენდენცია. ეკონომიკის ზრდა მისი მაღალი ტემპი კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა, ან არ არის საჭირო. ამჟამად მთელი საზოგადოების მიერ საკმარისად ღრმად არ არის გაცნობიერებული ეკონომიკური ზრდის, როგორც განვითარების ერთ-ერთ მთავარი მომენტის, რეგულირების აუცილებლობა. თავისთავად ჩნდება ეკონომიკური ზრდის, ეკონომიკის განვითარებაში რაოდენობითი და თვისებითი ფაქტორების თანაფარდობის რეგულირების აუცილებლობა. ასეთი რეგულირება ნიშნავს ეკონომიკის გაფართოების შინაგანი მექანიზმის კორექციას, რაც მხოლოდ საზოგადოების ინტელექტუალური ძალებით შეიძლება განხორციელდეს. კორექცია გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ზრდის დაჩქარებასაც და შეზღუდვასაც. ასეთი, კორექცია ფართოა სახემწიფოებრივ და სახელმწიფოთაშორის კოორდინირებულ და მკაცრად დეტერმინირებულ იმპეტრატიულ ღონისძიებებს უნდა ითვალისწინებდეს, მაგრამ მას წინ უდგას მეწარმეთა და მომხმარებელთა ძლიერი, საშიში, სტიქიური მიდრეკილება სიმდიდრისა და წარმოების უზომო გადიდებისაკენ.

რაც შეეხება ჩვენს სინამდვილეს, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის ზრდის ამოცანის ახლანდელი სიმწვავე იმას როდი ნიშნავს, თითქოს მუდამ აუცილებელი იქნება განვითარების განსაკუთრებით მაღალი ექსპონენციალური ტემპი. ზრდის მაღალი ტემპებისაკენ სწრაფვა გამოწვეულია იმით, რომ ეკონომიკა იმყოფება მკვეთრად დაქვეითებულ მდგომარეობაში და აუცილებელია დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთში ეკონომიკის განვითარების კრიზისამდელი დონის მიღწევა, ხოლო

პერსპექტივაში გადაჭარბებაც კი. ყოველი აღნიშნულის რეალიზაციის შემდეგ დღის წესრიგში დადგება ეკონომიკური ზრდის რეგულირების პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Банк и банковские операции: учебник (Бакалавриат), Под ред. О.И. Лаврушина. Москва: КНОРУС, 2012.
2. Банковская система в современной экономике: учебное пособие, Под ред. О.И. Лаврушина. Москва: КНОРУС, 2012.
3. Брусов П.Н. Финансовый менеджмент. Финансовое планирование: учебное пособие (Бакалавриат). Москва: КНОРУС, 2013.
4. Масленченков Ю.С. Финансовый менеджмент в коммерческом банке. Книга вторая. Технологический уклад кредитования. Москва: Перспектива, 2010.
5. Финансовый менеджмент: теория и практика. Учебник. Под ред. Е.С. Стояновой. Москва, 2012.
6. Белозерова Л.М. Направления деятельности банковской системы по формированию экономики благосостояния Актуальные проблемы экономики и права. 2011. № 1. С. 171 - 177.
7. Охалкин В.П. О роли финансовой безопасности банковской системы в экономической безопасности государства: методологические основы решения, Актуальные проблемы экономики и права. 2012. № 3. С. 182-189.
8. Данилов И.В. Правовое регулирование банковской деятельности, Актуальные проблемы экономики и права. 2009. № 4. С. 179 -187.
9. Ахмадеев М.Г., Шакиров Д.Т. Экономическая безопасность в банковском секторе, Актуальные проблемы экономики и права. 2011. № 2. С. 39 -45.
10. Кондрашов В.А. Причины, сдерживающие развитие банковских инноваций в современной России, Вектор науки Тольяттинского государственного университета. 2012. № 3. С. 170 – 173.
11. ბერიძე რ., საბანკო მენეჯმენტი (სახელმძღვანელო). თბილისი, გამომცემლობა „პოლიგრაფისტი“, 2013. გვ. 363.

12. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2015, 800 გვ.

ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში -
იან ტინბერგენი, რაგნარ ფრიში

Laureates of the Nobel Prize in Economics - Jan Tinbergen, Ragnar Frisch

ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ, vmosiashvili@yahoo.com
მარიამ გიკოშვილი - ბაკალავრიატის სტუდენტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ

Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor, Georgian National University, SEU, vmosiashvili@yahoo.com

Mariam Gikoshvili - Bachelor's Student, Georgian National University, SEU

იან ტინბერგენი (Tinbergen), 1969 წელი, (12.IV. 1903, ქ. ჰააგა, ჰოლანდია - 1994, ქ. ჰააგა, ჰოლანდია), ჰოლანდიელი ეკონომისტი. დაიბადა ლინგვისტიკის სფეროს სპეციალისტისა და სკოლის მასწავლებლის დარკ კორნელუს ტინბერგენისა და ჟანეტ (ქალიშვილობის გვარი ვან ეევი) ტინბერგენის ოჯახში. ტინბერგენი უფროსი იყო თავის ოთხ და-ძმაზე. ერთი ძმა ნიკოლას ტინბერგენი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ცხოველთა ქცევის სფეროში და გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში (1973), უმცროსი ძმა ლუიკ ტინბერგენი ზოოლოგიის პროფესორი იყო.

ტინბერგენი 1922-26 ფიზიკას სწავლობდა ლეიდენის უნივერსიტეტში. 1929 მიიღო დოქტორის ხარისხი ფიზიკაში დისერტაციისთვის „მინიმუმის პრობლემები ფიზიკაში და ეკონომიკაში“. მისმა ინტერესმა ფიზიკიდან ეკონომიკაში გადაინაცვლა. ამაში დიდი როლი ითამაშა მისმა მასწავლებელმა პაულ ენეფესტმა, რომელთანაც ტინბერგენი ასისტენტად მუშაობდა.

ფიზიკის მათემატიკური საფუძვლებისადმი ინტერესის შენარჩუნებასთან ერთად მათემატიკურ ფორმულებს იყენებდა ეკონომიკის შესასწავლად და დაიწყო მოდელების აგება, რომლებიც ასახავდნენ ეკონომიკურ პროცესებს. მათემატიკისა (სტატისტიკის სახით) და ეკონომიკის შეერთების პრაქტიკული მიზანი იყო,

განეჭვრიტა ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიმართულეზა და მთავრობისთვის მიეცა სასარგებლო ინფორმაცია დაგეგმვისთვის.

1929 ტიმბერგენმა ცოლად შეირთო ტინა დე ვიტი, არმიის ოფიცრის ქალიშვილი. მათ ოთხი ქალიშვილი ჰყავდათ.

ჰოლანდიის სამხედრო სამსახურში უარის გამო, ალტერნატიული სამსახურის სახით გაგზავნეს როტერდამის ციხის ადმინისტრაციაში, შემდეგ კი ჰოლანდიის მთავრობის სტატისტიკის ცენტარულ ბიუროში. 1929 ტიმბერგენი მოხვდა იმ ბიუროს ახალ ქვეგანყოფილებაში, რომელიც შეიქმნა ეონომიკური ციკლების შესწავლის მიზნით. იგი ამქვეგანყოფილების სული და გული გახდა, სადაც 1943 წლამდე დარჩა, თუ არ ჩავთვლით 1936-48, როცა გაგზავნეს ერთა ლიგაში - ჟენევაში სამუშაოდ. 1931 ლექციებს კითხულობდა სტატისტიკაში ამსტერდამს უნ-ტში, 1933 იყო ეკონომიკის ნიდერლანდური სკოლის პროფესორი როტერდამში.

ტიმბერგენმა XX ს. 20-იანი წლების ბოლოდან II მსოფლიო ომამდე რ. ფრიშთან და ი. ფიშერთან ერთად შექმნა ახალი ეკონომიკური დისციპლინა - ეკონომეტრიკა. 1930 ისინ გამოვიდნენ ინიციატივით შექმნილიყო ეკონომეტრიკული საზოგადოება, როგორც „საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც ეკონომიკურ საზოგადოებას შეაერთებდა სტატისტიკასა და მათემატიკასთან“. ეკონომიკური საზოგადოების შექმნის ორგანიზაციულ საქმიანობასთან ერთად ტიმბერგენმა ფუნდამენტური წვლილი შეიტანა ადრინდელი ე. წ. „აბლაზუდასნაირი თეორემის“ აღმოჩენით, და ასევე ეკონომიკური ციკლის თეორიების სტატისტიკური შემოწმების დინამიკისა და მეთოდის პრობლემების დამუშავებით.

„აბლაზუდასნაირი თეორემა“ წარმოადგენს ცდას, აეხსნა ზოგიერთი საქონლის წარმოებისა და ფასების რეგულარული ციკლური რყევები. ამ პრობლემაზე ტიმბერგენი მუშაობდა ამერიკელი ეკონომისტის გ. შულცისა და იტალიელი ეკონომისტის უ. რიჩისგან დამოუკიდებლად და პარალელურად, ხოლო შედეგები წარმოდგენილი იყო ამ ავტორების სამ დამოუკიდებელ სტატიაში.

„აბლაბუდასნაირმა თეორემამ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების ფორმირების მექანიზმის ღრმად გაგებაში იზოლირებული ბაზრის თეორიის ფარგლებში და ასევე ამოსავალ პუნქტად იქცა თანამედროვე დინამიკური თეორიისთვის მთლიანად.

30-იან წლებში ჯ.მ. კეინზის იდეებზე დაყრდნობით ფულად საკრედიტო პოლიტიკის მეთოდებით ეკონომიკის სტიმულირების შესახებ. ტიმბერგენი მონაწილეობდა ეკონომიკური კრიზისისა და დეპრესიის დაძლევის სოციალურ-დემოკრატიული პროგრამის შედგენაში.

ტიმბერგენის მეორე დიდი წვლილი ეკონომიკაში გახდა ეკონომიკური ციკლის თეორიის სტატისტიკური შემოწმება 1939 გამოაქვეყნა წიგნი „ ეკონომიკური ციკლი შეერთებულ შტატებში, 1921-1932 წწ.“

1941 გამოვიდა ტიმბერგენის წიგნი „ეკონომეტრიკა“. ომის დამთავრებისთანავე დანიშნეს ნიდერლანდების დაგეგმვის ახლადშექმნილი ცენტრალური ბიუროს დირექტორად (1945). ტიმბერგენს თავის ამოცანად მიაჩნდა მოდელის შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მიეღო ეკონომიკური განვითარების საიმედო მოკლევადიანი პროგნოზები სხვადასხვა ღონისძიებების (რომლებსა სთავაზობენ ტავრობა და ცალკეული პარტიები) შესაძლო შედეგების ანალიზში, აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე რაციონალური მეთოდების რეკომენდაციებში.

ტიმბერგენის თეორიული იდეები კონომიკური პოლიტიკის დარგში ყველაზე სრულად გადმოცემულია ნაშრომებში „ეკონომიკური პოლიტიკის თეორია“ (1952) „ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში“ (1954) „ეკონომიკური პოლიტიკა- პრინციპები და მოდელი „ (1956).

1956 მას შემდეგ, რაც გაატარა ერთი წელი ჰარვარდის უნივერსიტეტში მიწვეული პროფესორის რანგში, ტიმბერგენი აირჩიეს პროფესორის თანამდებობაზე, „ეკონომიკური განვითარების

დაგეგმვის სპეციალობით ეკონომიკის ნიდერლანდურ სკოლაში. 60-იან წლებში ტიმბერგენი ამუშავებდა დაგეგმვის რაოდენობრივ მოდელებს განათლებისა და კაპიტალდაბანდებების ოპტიმალური განლაგებისა და წარმოების სფეროში ქვეყნის რეგიონების მიხედვით. ამავე პერიოდში იყო კონსულტანტ-მრჩეველი ინდოეთის, ეგვიპტის, თურქეთის, სურინამის, ჩილეს, ინდონეზიის, სირიის, ერაყისა და ლიბანის მთავრობებში. იგი კონსულტაციას უწევდა საერთაშორისო ორგანიზაციებს - მსოფლიო ბანკს, ნახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებას, გაეროს სხვადასხვა განყოფილებას. 1966 გახდა გაეროს განვითარების დაგეგმვის კომიტეტის თავჯდომარე და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 70-იანი წლების განვითარების საერთაშორისო სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.

ტიმბერგენმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „მესამე სამყაროს“ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში.

ტიმბერგენი არასდროს იყო ჩაკეტილი წმინდა აბსტრაქტული მეცნიერების ჩარჩოებში. მთელი ცხოვრების მადინლზე იგი მხარს უჭერდა სოციალური სამართლიანობის ჰუმანურ იდეალს, თავისი ცხოვრების მოწოდებად გულწრფელად მიაჩნდა საზოგადოების გარდაქმნა სოცალური სამართლიანობის სულისკვეთებით. სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ეს რწმენა.

სიცოცხლის ბოლო 20 წლის განმავლობაში ტიმბერგენის ძალისხმევა მიმართული იყო გლობალური მსოფლიო პრობლემების გადაჭრისა და საზოგადოების ოპტიმალური ეკონომიკური მოწყობის გზების ძიებაში. 1975 რომის კლუბის დავალებით ტ. სათავეში ჩაუდგა კომისიის მუშაობას, რომელსაც უნდა მოემზადებინა კომისიის მოხსენება გლობალური მსოფლიო პრობლემების შესახებ (გამალებული შეიარაღება, სურსათის, ნედლეულისა და ენერგეტიკული დეფიციტი, ეკოლოგიური მდგომარეობა, გარღვევა ცხოვრების დონეში მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის). მოხსენების დებულებები გლობალისტიკის, როგორც ახალი კომპლექსური მეცნიერების კონცეფციისა და მეთოდოლოგიის ჩამოყალიბები

გადმოცემული იყო მონოგრაფიაში „საერთაშორისო წესრიგის გადასინჯვა“ (1976).

1969 ტიმბერგენმა რ. ფრიშთან გაიყო ნობელის პირველი, ახლად დაარსებული პრემია ეკონომიკაში „დინამიკური მოდელების განვითარებისა და გამოყენებისთვის ეკონომიკური პროცესების ანალიზში“.

პოლ საუელსონი ასე ახასიათებს ტიმბერგენს: „ეს გულითადი ადამიანი, რომელსაც ეზიზღება ძალაუფლება -ჭეშმარიტად „წმინდა ჰუმანისტია“. ცდილობდნენ რა დაგვხმარებოდნენ, გაგვეგო როგორ გვეიძულებინა ემუშავა შორეულ ეკონომიკას, ტიმბერგენმა და ფრიშმა უფრო მეტი გააკეთეს მსოფლიოში თავისუფლების შენარჩუნებისთვის, ვიდრე Laissez faire-ს პრინციპის აპოლოგეტებმა.

ნობელის პრემიის გარდა ტიმბერგენს მინიჭებული ჰქონდა ევროპის კულტურის ფონდის ერაზმის (როტერდამელის) სახელობის პრემია (1976) და ჰქონდა სხვადასხვა უნივერსიტეტისა და კოლეჯის 20-ზე მეტი საპატიო ხარისხი.

ფრიში (Frish) რაგნარ (3. III. 1895, ქ. ოსლო, ნორვეგია - 31. I. 1973, ქ. ოსლო, ნორვეგია), ნორვეგიელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ეკონომიკაში იან ტინბერგენთან ერთად (1969). დაიბადა ქ. ოსლოში ანტონ და რაგნი ფრედერიკე ფრიშების (ქალიშვილობის გვარი კიტელსენი) ოჯახში. ამ გვარის მრავალი თაობის მსგავსად რაგნარმაც შეისწავლა საუველირო საქმე ცნობილ ფირმაში - „დავიდ ანდერსონი“. სწავლობდა ოსლოს უნივერსიტეტში, სადაც თავის სპეციალობად ეკონომიკა აირჩია, რადგანაც მისი აზრით „ეს იყო ყველაზე მოკლე და იოლი კურსი“. 1919 მიიღო ბაკალავრის ხარისხი და მომდევნო წლიდან სწავლა ასპირანტურაში გააგრძელა საფრანგეთში, შემდეგ გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, იტალიასა და აშშ-ში.

ფრიში 1920 დაქორწინდა მარი სმედალზე, რომელიც გარდაიცვალა 1952, მომდევნო წელს ქორწინდება ასტრიდ იოჰანსენზე. პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ერთი ქალიშვილი.

1925 ფრიში დაბრუნდა ოსლოში უნივერსიტეტის ეკონომიკის ასისტენტ-პროფესორის წოდებით და 1926 დიესრტაციის დამთავრების შემდეგ მათემატიკაში (ნახევარ ინვარიანტებისა და მნიშვნელობების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სტატისტიკური განაწილების შესწავლაში), მიიღო დოქტორის ხარისხი. ფრიშის პირველი სპეციალური ნაშრომი ეკონომიკური ციკლის პრობლემებზე იყო სტატია „შეფარდება პირველად ინვესტიციებსა და რეინვესტიციებს შორის“ (1927), რომელშიც მოცემულია ციკლურ მერყეობაში რეინვესტიციების როლის სრული თეორიული ანალიზი.

1931 დაინიშნა სოციალური ეკონომიკისა და სტატისტიკის სრული (ნამდვილი) პროფესორისა და ოსლოს უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის ინსტიტუტის კვლევითი განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე. ეს პოსტი ეკავა სამსახურიდან გადადგომამდე.

სასწავლო კურსების საფუძვლად იყენებდა ისეთი გამოჩენილი მეცნიერების შრომებს, როგორებიც იყვნენ დ. რიკარდო, ა. ვიკსელი, ა. მარშალი. მართალია, ეს უკანასკნელნი თავის თეორიაში რთავდნენ მათემატიკას, მაგრამ მათი ლოგიკური აზროვნებისა და მტკიცებების სტილის ფრიში „ბუნდოვნად“ და „უფერულად“ თვლიდა. თვითონ ცდილობდა ეკონომიკისათვის მიეცა „ახალი სტარტი“, მიუახლოებინა იგი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან ისეთი თეორიის შექმნით, რომელიც ემყარებოდა მათემატიკურ და აქსიომატურ საფუძვლებს და შეერთებინა იგი ემპირიულ გამოკვლევებთან, რომელიც დაებუძნებოდნენ მათემატიკურ სტატისტიკას.

ფრიში ცდილობდა ეს ახალი საწყისები შეეტანა ეკონომიკაში. თავის პირველ მნიშვნელოვან ნაშრომში „წმინდა ეკონომიკური თეორიის პრობლემის შესახებ“, რომელშიც წამოაყენა ორიგინალური სამომხმარებლო მოთხოვნის თეორია, როგორც ეკონომიკური მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს მომხმარებლის ქცევას. მათემატიკური და აქსიომატური საფუძვლების დახმარებით ფრიშმა

ახლებურად ჩამოაყალიბა წარმოების თეორია, რომელშიც განიხილავდა მწარმოებლებისა და ფირმების ქცევას.

ფრიშმა ეკონომიკურ მეცნერებაში შემოიტანა ტერმინი „ეკონომეტრიკა“ მათემატიკური მეთოდების გამოყენების აღსანიშნავად ეკონომიკურ თეორიასა და ემპირიულ ეკონომიკურ გამოკველებში. ი. გინგბერთან ერთად იყო ეკონომიკური საზოგადოების შექმნის (1920) ერთ-ერთი ინიციატორი. 20 წელზე მეტ ხანს რედაქტორობდა ჟურნალ „ეკონომეტრიკას“.

30-იანი წლების დასაწყისში დიდი დეპრესიის შთაბეჭდილებით დაიწყო მაკროეკონომიკური ანალიზის, ეკონომიკური დინამიკისა და ეკონომიკური ციკლების პრობლემების კვლევა, საყოველთაოდ არის აღიარებული ე. წ. „აქსელერაციის პრინციპისა“ და მისი მნიშვნელობის ფრიშისეული განმარტება საქმიანი აქტივობის ციკლების განვითარებაში. ამ პრობლემების კვლევის შედეგი იყო ციკლის ორიგინალური და მათემატიკურად დამუშავებული თეორიის შექმნა, რაც გადმოცემულია ცნობილ სტატიაში „გავრცელების პრობლემები და იმპულსის პრობლემები ეკონომიკურ დინამიკაში“. (1933), რომელიც მიეძღვნა გ. კასელის ხსოვნას. სტატიაში სამეცნიერო ბრუნვაში პირველად იყო შემოღებული ტერმინები „მიკროეკონომიკა“ (ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების ქცევის სფეროს აღსანიშნავად) და „მაკროეკონომიკა“ (საქმიანობის სფეროს აღსანიშნავად ერთიანი ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებში). ამავე სტატიაში შემოთავაზებულია ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების ერთ-ერთი პირველი სისტემა, რაც აუცილებელი წინამძღვარი გახდა მაკროეკონომიკური თეორიის დამუშავებისთვის.

შვედური სკოლის ეკონომისტებისა და ჯ. მ. კეინზის პარალელურად ფრიში ინტენსიურად ამუშავებდა ეკონომიკური პოლიტიკის თეორიას. მისმა ბროშურამ „დანაზოგები და ბრუნვის დაგეგმვა“ (1933) განჭვრიტა კეინზის ბევრი დებულება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის როლის შესახებ გაჭიანურებული

ეკონომიკური დეპრესიის პირობებში. ფრიში ამუშავებდა აგრეთვე წარმოების აღდგენის პრობლემას დეპრესიით მოცულ ეკონომიკაში და უჩვენებდა, რომ არასაკმარისი მოთხოვნა ამცირებს მეწარმეთა დაინტერესებას განახორციელონ ინვესტირება.

ფრიშის დანაზოგების თეორიაში აისახა თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიისა და დაგეგმვის თეორიის ბევრი ელემენტი, რასაც დღეს უკავშირებენ ვ.ლენტიევის, ტ.კუმპანსის და ლ. კანტროვიჩის სახელებს. სტატიაში „მიმოქცევის დაგეგმვა“ (1935) ფრიშმა პირველმა წარმოადგინა ვ. ლენტიევის „დანახარჯები-გამოშვების“ მოდელის მსგავსი მოდელი.

ფრიშის იდეებმა ეკონომიკური დინამიკის სფეროში საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს 1936 გამოქვეყნებული სტატიის - „წონასწორობისა და უწონასწორობის ცნების შესახებ“ შემდეგ. ნაშრომის დებულებებმა გავლენა მოახდინა მომდევნო გამოვლევებზე ეკონომიკური თეორიის სფეროში, მ.შ.პ. საუელსონის შრომაზე „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები“ (1947).

ფრიშის ეკონომიკური დაგეგმვის პრობლემებზე განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა ნორვეგიაში ლებორისტული მთავრობის მოსვლის შემდეგ. მან დაამუშავა რთული წრფივი და არაწრფივი მოდელები.

ფრიშმა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების სისტმა დეტალურად დაამუშავა სტატიაში „კონცეფციების სისტემა, რომლებიც აღწერენ ეკონომიკურ ბრუნვასა და საწარმოო პროცესს“ (1948). ამ მუშაობის პრაქტიკული შედეგი ის იყო, რომ ნორვეგიაში სხვა ქვეყნებზე ადრე შეიქმნა ეროვნული შემოსავლის გამოთვლის კარგად მოფიქრებული ისტემა.

ფრიში მუშაობდა ეკონომიკური დაგეგმვის ყოვლისმომცველი მოდელების შექმნაზე. იგი პიონერი იყო ამ სფეროში. მის მიერ შექმნილი მოდელები გამოირჩეოდა მასშტაბურობით, რაც იმ დროს ამცირებდა მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს. შემდეგში კი კოპუტერული ტექნიკის განვითარების კვალობაზე

მათი პოტენციალი გაცილებით მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა მოდელებისა და ფრიშის მოდელები აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ეკონომიკაში.

ფრიშმა წვლილი შეიტანა აგრეთვე თანამედროვე ეკონომიკური თეორიის სხვა განყოფილებების განვითარებაში - ზოგადი ეკონომიკური წონასწორობისა და ოლიგოპოლიის თეორია, მოსახლეობის საარსებო მინიმუმისა და ოპტიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია.

ფრიშის კვლევითმა და პედაგოგიურმა საქმიანობამ ხელი შეუწყო ოსლოში ეკონომიკური სკოლის ჩამოყალიბებას, რომელმაც გააგრძელა მისი მუშაობა. საერთაშორისო სახელი მოიპოვა ამ სკოლის ორმა წარმომადგენელმა ტ.ჰაველმომ და ლ. იოჰანსენმა.

ფრიშმა პენსიაზე გასვლის შემდეგ გააგრძელა კვლევა ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში. იგი გატაცებული იყო კლდეზე ცოცვითა და სპორტის სხვა სახეობებით ღია ცის ქვეშ. პროფესიულად შეისწავლა ფუტკრების ცხოვრება. სამოც წელზე მეტი მიუძღვნა გენეტიკურ კვლევებს იმ მიზნით, რომ გაეუმჯობესებინა ფუტკრის ჯიში. ეს საქმიანობა მან დახასიათა იმდენად არა როგორც „სასიამოვნო დროსტარება“, რამდენადაც „მანია რომელსაც თავს ვერ დაანებებ“.

1969 ფრიში და ი. ტინბერგენი პირველი ეკონომისტები გახდნენ ახლად დაარსებულ ნობელის პრემიისა ეკონომიკაში „ეკონომიკური მოდელების განვითარებისა და გამოყენებისათვის ეკონომიკური პროცესების ანალიზში“. პრეზენტაციაზე წარმოთქმულ სიტყვაში ე. ლუნდბერგმა, შვედეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის წევრმა აღნიშნა, რომ ფრიშმა „დროს გაუსწრო მათემატიკური მოდელების შექმნით, რაშიც ბევრი მიმდევარი ჰყავდა. იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე მისი წვლილისადმი ჰაირითეზების სტატისტიკური შემოწმების მეთოდების დამუშავებაში“.

ავადმყოფობის გამო ფრიშმა ვერ მიიღო მონაწილეობა ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალში, მაგრამ მომდევნო წლის ივნისში

წაიკითხა ნობელის ლექცია: „უტოპიური თეორიიდან პრაქტიკული გამოყენებისკენ: შემთხვევა ეკონომეტრიკასთან“.

ფრიში ნობელის პრემიის გარდა დაჯილდოებული იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის შემპეტერის სახელობის პრემიით და იტალიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ანტონიო ფულტრინელის პრემიით. ორმოც წელზე მეტ ხანს იყო ნორვეგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, იყო აგრეთვე სამეფო სტატისტიკის საზოგადოების (დიდი ბრიტანეთი), ამერიკის ეკონომიკური ასოციაციისა და ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის წევრი.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (საქართველო)
 ეკონომიკური კვლევის და განვითარების ინსტიტუტი (საქართველო)
 ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია)
 ვორმის და მაზური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
 ზოგდან ხმელნიცკის ეროვნული უნივერსიტეტი ჩერკასი (უკრაინა)
 ვილნიუს კოლეჯი / გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი (ლიტვა)

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

საზოგადოების ინსტიტუციური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პარადიგმები

21-22 ივნისი, 2019 წელი

რიგა, ლატვია

კონფერენციის მიზანია: მონაწილეებმა და მსმენელებმა მოახდინონ საზოგადოების ინსტიტუციური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზაზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და შეეცადონ მოძებნონ მათი გადაჭრის გზები, უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს, ერთმანეთს გაუზიარონ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ამ სფეროებში

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები მოიცავს საზოგადოების ეკონომიკური, ინსტიტუციური და კულტურული განვითარების ყველა სფეროს და ასპექტს

სიამოვნებით ვიწვევთ კონფერენციაზე მცენიერებს, პროფესორებს, მკვლევარებს, დოქტორანტებს, მეწარმეებს

კონფერენციის ენები: ქართული, ინგლისური, გერმანული და რუსული.

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება სამეცნიერო ჟურნალში „**ეკონომიკა და ფინანსები**“

ფასი - 50 ევრო ერთ ადამიანზე

სარეგისტრაციო საფასურში შედის: სტატიის დაბეჭდვა სამეცნიერო ჟურნალში „ეკონომიკა და ფინანსები“, კონფერენციის პროგრამა, ბეიჯი, სეტიფიკატი, ყავის შესვენება.

კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცემა **სერტიფიკატი**

რეგისტრაციის ბოლო ვადა: 1 ივნისი, 2019 წელი

რეგისტრაციის საფასურის გადახდის შესახებ ანგარიშის დეტალები მონაწილეებს გაეზავნება განაცხადების დამტკიცების შემდეგ

სტატიის ავტორთა მასქიმალური რაოდენობა - **2 ავტორი**

ელ-ფოსტა: **eco.fin.geo@gmail.com**

ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **ierd.geo@gmail.com**

გელით საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაზე

საზოგადოების ინსტიტუციური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პარადიგმები

ლატვიის უნივერსიტეტი

რაინა ბულვარი 19, ცენტრალური რეგიონი, რიგა, LV -1586

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო
ჟურნალი

ეკონომიკა და ფინანსები

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც ყოველკვარტლურად აქვეყნებს
სამეცნიერო სტატიებს ისეთ სფეროებში როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური
მეცნიერებები, ბიზნეს-ტექნოლოგიები

სტატიები იბეჭდება მხოლოდ ანონიმური რეცენზენტის მიერ სტატიის განხილვის და
დადებითი დასკვნის შემდეგ

რეცენზენტის კითხვარი და სტატიის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ ლინკზე:
[https://economics-and-](https://economics-and-finance.bpengi.com/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/international-scientific-journal-economics-and-finance/guideline-for-reviewers)

[finance.bpengi.com/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/international-scientific-journal-economics-and-finance/guideline-for-reviewers](https://economics-and-finance.bpengi.com/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/international-scientific-journal-economics-and-finance/guideline-for-reviewers)

The journal is an academic edition. It publishes scientific articles in such fields as economics, finances, social sciences, business technologies.

The journal uses external experts to help evaluate articles and assist the editors to make a decision.

Reviewer questionnaire and article evaluation criterias you can find on the following link:

[https://economics-and-](https://economics-and-finance.bpengi.com/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/international-scientific-journal-economics-and-finance/guideline-for-reviewers)

[finance.bpengi.com/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/international-scientific-journal-economics-and-finance/guideline-for-reviewers](https://economics-and-finance.bpengi.com/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/international-scientific-journal-economics-and-finance/guideline-for-reviewers)

მთავარი რედაქტორი - **დავით ჩახვაშვილი**, ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტის პროფესორი

<https://www.linkedin.com/in/davit-chakhvashvili/>

<https://www.facebook.com/davit.chakhvashvili1099>

გამომცემლობა: „დანი“

წერეთლის ქ. 112,

თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 599 78 90 03

Publishing house: "Dani"

Tsereteli street 112,

Tbilisi, Georgia

Tel.: +995 599 78 90 03

ყდაზე გამოსახულია ქ. რიგა (ლატვია), სადაც 2019 წლის 21-22 ივნისს ჩატარდება
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„საზოგადოების ინსტიტუციური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების
პარადიგმები“